ალბ

აგვისტოს ომის გაუხმაურებელი ფაქტები

№32(470)
6/VIII-12/VIII
ფასი 1 ლარი

ეკა ანდრონიკაშვილის მეტამორფოზა

რატომ დაენგრა ირაკლი წერეთელს 15 წლის ოჯახი

არაქართული გარეგნობის მსახიობის ფაშისტური იერი

„ჩემსა და ნათიას დაცილებას ხმაური არ მოჰყოლია"

ვისზე ჭორაობენ თინეიჯერები

ვინ დაამტკიცა დინი ვირსალაძე წმინდა ნინოს როლზე

მაკა ასათიანის შარმი, კახა კალაძის ფანეები და ზურა ხაჩიძის დაკარგული შანსი

ISSN 1987 - 3029

ვინ უწოდა „დიდოსტატის მარჯვენას" პორნოგრაფია

მაგთი ფიქსი
magti fix

დაიბრუნე ქსელში ჩართვის საფასური!

ჩაერთეთ მაგთი ფიქსის ქსელში და ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვე თქვენ მიერ მითითებულ მაგთის ან ბალის ნომერზე დაირიცხება 15 წუთი საჩუქრად.

რატომ მაგთი ფიქსი?

- ყველაზე დაბალი ტარიფი მთელ საქართველოში;
- არავითარი საბონენტო;
- ინტერნეტი უფასო ჩართვით: **ულიმიტო, თვეში 15 ლარად** ან 1 წუთი 1 თეთრად;
- აქცია „ჩემი ოჯახი და მეგობრები", უფასოდ ჩაერთვებით აქციაში, აირჩევთ მაგთისა და ბალის 5 ნომერს, მათ დაუკავშირდებით 5 თეთრად და **ისინიც 5 თეთრად დაგირეკავენ;** ასევე შესაძლებელია მაგთის და ბალის ნებისმიერ აბონენტთან საუბარი მხოლოდ **5 თეთრად** (ნაცვლად სტანდარტული 15 თეთრისა), თუ წინასწარ შეიძენთ 200 წუთს 10 ლარად;
- მაგთი ფიქსიდან მაგთი ფიქსზე საუბარი – 2 თეთრი წუთში – საქართველოს ნებისმიერ წერტილში;
- ყველაზე იაფი საერთაშორისო ტარიფები: დსთ – **წუთი 10 თეთრიდან,** ევროპა, აზია, ამერიკა – **15 თეთრიდან;**
- SMS – **3 თეთრი;**
- ანგარიშის შევსება მარტივად – მონო-ბარათით ან გადარიცხვით;

მომსახურების პირობებში სიახლე!

- გამავალი ზარი არ გაგეთიშებათ ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში, თანხის ამოწურვამდე! ასევე, 1 წლის განმავლობაში გარანტირებული გექნებათ შემომავალი ზარი.

ქსელში ჩართვის ღირებულებაა 60 ლარი, აქედან 10 ლარი დაგერიცხებათ ანგარიშზე.

დაინტერესდით?

მობრძანდით მაგთიკოების მომსახურების ნებისმიერ ოფისში ან

დაგვიკავშირდით 890 500 500-ზე

და მაგთი ფიქსის ტელეფონს ადგილზე მოგართვევთ!

www.magtifix.ge

№32 (478)
6 - 12 აგვისტო, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

სხვისი საიდუმლო

ზეა ვნილები

ბოზლონი თანხმობის ნიშანია

ორნი

39

■ მინიატიურები
შემჯდრები 5
■ ერთი კითხვა
„საქართველოსა და რუსეთში ვოვა-კრაბია და მიშა-კრაბია ყვავის“ 6
■ ეკრანს მიღმა
ორი ამბავი ომის შემდგომი საქართველოს ცხოვრებიდან — მიგელ ანხელ ხიმენესის ქართული ფილმი სანსებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე 7
■ ომი
მწარე გამოცდილება: აგვისტოს ომის „მრუდე“ ციფრები და აგრესიის გამომწვევი ფაქტორები 9
■ პოლიტიკა
PRO ET CONTRA:
მართალი და უუნარო სჯობია თუ — თავხედი?.. „საზოგადოების გულის მოსაგებად იოლი ხერხი იპოვეს...“ 11
■ დაიჯესტი 14
■ ჭორ-მართალი
ომის დროს დაბომბილი კასპი და ბაქრაძისა და ბორისოვის საიდუმლო შეხვედრა 16
■ მეტამორფოზები
„როცა იმიჯს ვიცვლი, საკუთარ თავს ველარ ვცნობ“ 18
■ სასიძო
„მე და ჩემი შეყვარებული „გავიპარებით“... 20
■ სახე
შვილის ქორწილში ატირებული მსახიობი, „ჯულიეტას“ ეტაპობრივი სიყვარული და ანის „ავსტრალიური“ ოცნება 22
■ ფსიქოპორტრეტი
ირაკლი წერეთლის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ქალებს ენის დამოკლება და კაბის დაბრძელება მოუწევთ 24
■ ამპლუა
დინი ვირსალაძის ურჩობა და „გადახვევის“ წყალობით მიღწეული წარმატება 27
■ ფესვები
14 ქართული სოფელი — საქართველოდან 400 კილომეტრის დაშორებით 29

ქალებს ენის დამოკლება და კაბის დაბრძელება მოუწევთ

„ქალმა რა უფლებით უნდა გაისეირნოს?! ქალის მხრიდან ეს ბოზობაა, ქალებში მოსიარულე კაცებს კი ბოზებს არ ეძახიან. ბოზებს ჩამშვებ კაცებს ეძახიან“.

24

„როცა იმიჯს ვიცვლი, საკუთარ თავს ველარ ვცნობ“

„გაპრანჭვა ცოტა გვიან დავიწყე. როცა პირველად პომადა წავისვი, საშინლად არ მომეწონა. გავიფიქრე, — ნეგავ, ამაში რა მოსწონთ-მეთქი?!“

18

— რას გულისხმობ?
— ნუუ, ხომ იცი?
— არაფერიც არ ვიცი!
— და უეცარი გააფთრებით შემოსცხო ცხენს ქუსლები. ლურჯა ადგილიდან მოწყდა და გიჟივით გაფრინდა მინდორზე. ნოდარს ყვირილი აღმოხდა:
— ეეეი! — და თვითონაც გააფრინა ცხენი. მიერეკებოდა დაუნდობლად და ხედავდა, როგორ ბურთაობდა უნაგირში ფაფარსა და კეხში განწირულად ჩაფრენილი ზეინაბი.

74

■ ერუდიტი
შუა ზღვაში გაჩერებული კატერი და ტელესკოპიდან დანახული სამყარო 30
■ ანტიდეპრესანტი 32
■ ადამიანი
როცა გინდა, დაინახო გზა, რომელზეც დადიხარ 32
■ მოზაიკა 34
■ ჯანმრთელობა
✓ პირველადი დახმარება საკვებით, კონსერვებითა და ალკოჰოლით მოწამვლის დროს 36
✓ საინტერესო სიახლეები 37
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ ნამდვილი ამბავი
გასართობი — მდიდარი ქალბატონებისათვის! 71
■ უშიშროების არქივიდან
ვინ უწოდა „დიდოსტატის მარჯვენას“ პორნოგრაფია 72
■ რომანი
ვაქა გიგაშვილი. ერთი ვინმე ყაფლანიშვილი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ დავძლიოთ დეპრესია... 80
✓ ფერის გავლენა ადამიანის ქცევაზე 81
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია. წითელი ფეხსაცმელი (გაგრძელება) 82
■ შემოქმედი
„როგორ შევეზარდეთ თურმე ამ აურზაურს...“ 86
■ ვარსკვლავები
10 ყველაზე რომანტიკული ხელის თხოვნა 88
■ კოლეგა
სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტი და ფრანგი ქურნალისტების თვალით დანახული ქართული მედია... 90
■ თინეიჯერული პონტები
ვისზე ჭორაობენ თინეიჯერები 92
■ შთამომავლობა
სოსელოს „მამობილი“ იაკობ ეგნატაშვილი, მისი მაღალჩინოსანი შვილები და ბელადის მეფური საჩუქარი 96
■ ბელადი
შეხვედრები სტალინთან 98
■ ტაძარი
ქრისტიანული ეკლესიის დაბადების დღე, იუდეველთაგან დევნილი ქრისტიანები და პირველი საეკლესიო მსახურებები 100
■ მადლი
„ვუმკურნალებთ ბოლომდე და თანხის ამოღებაზე მერე ვიზრუნებთ...“ 102
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ასტროლოგია 105

დღინი ვირსალაძის მიღწეული წარმატება

„ის კადრები ფილმში არ მოხვდა. წმინდა ნინოს როლს ვასრულებდი, ხელში ჩემსიგრძე ჯვარი მეჭირა. მაშინ საბჭოთა პერიოდი იყო და სერგო ფარაჯანოვს ფილმის გადაღების უფლების მოსაპოვებლად ბევრი პრობლემა ექმნებოდა“.

27

ვინ უწოდა „დიდოსტატის მარჯვენას“ პორნოგრაფია

მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკიდან გამოგანილი მაქვს მე ერთი ცალი ჩემი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლის ყოველ აბზაცზეც მიწერილია ასეთი რამეები: „კონტრრევოლუცია“, „ფაშისტური აზრი“, „პორნოგრაფია“...

72

„ბევრ თვალხილულზე ბედნიერი ვარ...“

„თვალის პრობლემა დაბადებიდანვე მაქვს და როგორც ექიმები ამბობენ და ახლაც აღიარებენ, ჩემი თვალისჩინის აღსადგენად ნებისმიერი მცდელობა უშედეგოა“.

32

წითელი ფეხსაცმელი

— მაგრამ ხომ გინდა, შვილები გყავდეს?

მოულოდნელმა შეკითხვამ ნია წამით დააბნია.

— ასე მალე ალბათ, ვერა! ამისთვის ჯერ უნდა გავთხოვდე. ეს კი ასე ადვილი არ არის...

— რატომ?

— რა ვიცი... ჯერ ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანი, ვინც... — და გაჩუმდა, რადგან მიხვდა, კვლავ მტკივნეულ თემას რომ უბრუნდებოდა.

82

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

შემჯდრები

შესავლის ნაცვლად

ესეც ასე! ხომ გითხარით, ჩამოვა და ჩაჯდება-მეთქი?! ღვთის მადლით, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუმჯობესდა (ამას მართლა ვულოცავთ, „პროვოკაციის“ გარეშე), ახალი ზმანებიც უყიდია, სალაპარაკოც დაუგროვდა და მეტი რა უნდა კაცს ციხეში? ჰოდა, არის ისევ „ჩამჯდარი“...

ეს კიდევ, დადის და ისევ სასტუმროებს ხსნის... ეგრეა, რა, ცხონებულმა ბებიაჩემმა რომ დამინახა, სიგარეტს ვეწეოდი, მაშინვე მითხრა, — „წასულია, ბებია, შენი საქმე, თუთუნის სმას და სხვა გლახა და ადვილად საქნელ საქმეს კი არა, სასიკეთო საკეთებელსაც კი ეჩვევა კაცი და თავს ვერ ანებებს, გადამეტებული იგიც აბდლობაა და იგიც!“ ჰოდა, ესეც მიეჩვია „სასიკეთო საკეთებელს“, ანუ (ახალგაზრდებმაც რომ გაიგონ) სასტუმროების გახსნაზე „შეჯდა“!

შაბათს ბათუმში გაიჭრა მორიგი სასტუმროს ლენტი. მერე იმ სასტუმროს აივანზე გაიშალა სუფრა... უჰ, ბოდიში, ეს მისი „ძველი გატაცებაა“, სუფრა კი არა — ბათუმის გეგმა და ჩვენმა მიშიკომაც მორიგი „პენალტი“ დაარტყა: ასეთი სასტუმრო ბათუმში კიდევ ასი(!) უნდა ავაშენოთო!!! ამას 9-საათიან „კურიერში“ ვუყურებდი, ვიფიქრე, მომესმა-მეთქი და კომპიუტერს ვეცი (იქ „ლაივი“ 20-30-წამიანი დაგვიანებით მოდის), მაგრამ რასაც გინდა, ეცი, მართალი იყო ბებიაჩემი — ასიო, ასი სასტუმროო! ბათუმშიო!!! ისე, რად მინდოდა კომპიუტერი, პრეზიდენტმა ათი კი არა, ასი რომ თქვა, აჭარის ლიდერს სახეზევე შეეტყო: როგორც იქაურები იტყვიან — „გაბეჩდა“! მერე მიშიკომ ამაყად გახედა ქალაქის პანორამას და ირგვლივ ერთადერთ საღ შენობაზე მიუთითა, რომლის ლენტიც აგრეთვე თავად გაჭრა შარშან, ოღონდ აღარ ახსოვდა:

— ეს სკოლა აქედან გადაიტანეთ და აქაც სასტუმრო ააშენეთ!

ახლა ამ სასტუმროს პატრონი „გაბეჩდა“, საწყალს, რად უნდა ათი მეტრის დაშორებით კონკურენტის არსებობა?!

თან, ოთხსართულიანი სკოლა „გადაიტანეთ“, როგორია?! მიდი და გადაიტანე, თუ კარგია...

რა მაინტერესებს, იცით?.. ბავშვობისას, კომუნისტების დროს, ბრეჟნევებს და შევარდნაძეებს რომ ვუყურებდი „ვრემიებში“ და „მოამბეებში“ (ისინიც ხომ მაგრად ამუღამებდნენ ლენტების გაჭრებს), სულ მაინტერესებდა, ამ წითელ ლენტს შუაში რომ ამოჭრიდნენ და იმ ნაჭერს „საპატიო გამჭრელს“ აძლევდნენ, ისინი პიჯაკის ზედა ჯიბეში კი იდებდნენ, მაგრამ მერე ნეტავ, სად მიაქვთ-მეთქი?.. ერთი უნდა ავიდე კრწანისში და ვკითხო...

ჰოდა, ჩვენი მიშიკო თუ სახლში მიარბენინებს ამ ლენტებს, აშენებია სანდრას ოჯახი — ერთი ოთახი ამ „კოლექციას“ დასჭირდება...

არადა, საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, წელს აჭარაში 122817 ტურისტია (ნეტავ, ასე ზუსტად ვინ დათვალა?! ისიც მაგარი „შემჯდარი“ იქნება), აქედან 42000 უცხოელიო (მე ჩემდა თავად დავამატებ: იმ 42 ათასიდან, 40 ათასი სომეხია). ამათგან ნახევარზე მეტი სახლს იყიდის წელს აჭარაში და ის მეორე ნახევარიც გაისად მაგათთან ჩამოვა სტუმრად! ჰოდა, რაღად უნდათ მაგათ ამდენი სასტუმრო?!. მაგრამ რომ „შეჯდები“, „გადაგდება“ ძნელია...

კარგი, შევეშვათ ამ „შემჯდრებს“ და „ჩამჯდრებს“ და „ჩასაჯდომად გამზადებულებს“ დავუბრუნდეთ: ძმებო და ბატონებო და მოკლედ, კარგო ხალხო, დიდი ბოდიში და, კი არ ინერვიულოთ, მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ მანდ „ჯდომაც“ უკვე „შეჯდომას“ ემსგავსება და „გადაგდება“ შეიძლება გაჭირდეს?.. გამოდი(თ), რა, ვერ ხედავ(თ), კაცი ვეღარ ჩერდება, მიხედე(თ), დაილაპარაკეთ... თორემ მალე მოვა, მაგ „საკანშიც“ სასტუმროს გაგიხსნით და ლენტის გაჭრასაც არ დაგასწრებთ!

მოკლედ, „გა-და-აგ-დეთ“!!! და საქმეს მიხედეთ!!!

P.S.

ქალბატონ ლ. მოროშკინას წიგნი დაუწერია — „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“. ძალიანაც კარგი, მაგრამ გამომცემლებს ვურჩევ, ბეჭდვა დააჩქარონ, თორემ ის მსოფლიო ჩემპიონი უკვე აღარ არის მსოფლიო ჩემპიონი, ამ ჩვენმა ცნობილმა უცნობმაც „ვერ გადააგდო“ — ისევ გაიძახის, პრეზიდენტი უნდა გადავაყენოთო და ბოლოს ისე არ გამოვიდეს, რომ მაგ წიგნმა აქტუალობა დაკარგოს — და „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“-დან მხოლოდ „მე“ არ დარჩეს.

პროვოკატორი

„საქართველოსა და რუსეთში ვოვა-კრატია და მიშა-კრატია ყვავის“

„ხელისუფლებას მომავალი არჩევნების გაყალბება წინასწარ აქვს დაგეგმილი“

კულუარული ინფორმაციის მიხედვით, შემოდგომიდან ხელისუფლება ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა და მათი მომხრეების დასაშინებლად ზეწოლის სხვადასხვა ბერკეტის (მათ შორის, ფიზიკური ანგარიშსწორების) განხორციელებას გეგმავს. ასეთი ვერსია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ხელისუფლებამ მიტინგებისა და მანიფესტაციების წესების გამკაცრებასთან ერთად, ადმინისტრაციული ჯარიმებისა და პატიმრობის ვადების გაზრდა გადაწყვიტა, ოპოზიციონერთა მოძრაობების გატაცებისა და ცემის ფაქტების მიმართ კი სრული იგნორირება მოახდინა. რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს ეს კულუარული ინფორმაცია? — ამ კითხვით რიგით მოქალაქეებს მივმართეთ.

ხათუნა ბახტურიძე

ფრიდონ აბუთიძე, *ფოტოგრაფი:*

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ინფორმაცია სარწმუნოა. ბაიდენის ნაკვალევი აეროპორტში წაშლილიც არ იყო, რომ ბიწაძეს ძვლები დაუმტვრიეს.

ნინო გურჭულაძე, *ჟურნალისტი:*

— არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ამ ხერხსაც მიმართოს, მაგრამ შესაძლოა, დღეს არსებული სიტუაცია შემოდგომისთვის რადიკალურად შეიცვალოს და მმართველმა ძალამ ჩანაფიქრი ვეღარ განახორციელოს. პროცესები ისე სწრაფად ვითარდება, წინასწარ რაიმეს განჭვრეტა ძნელია. ვნახოთ, „აღდგომა და ხვალეო“.

ანდრო მაისურაძე, *არქიტექტორი:*

— არა მგონია, ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯი გადადგას. მათ ისედაც ვერ აქვთ საქმე კარგად და წესით, საზოგადოების გაღიზიანებას უნდა მოერიდონ.

მაკა ლაცაბიძე, *სტუდენტი:*

— დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რათა ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივოს.

გია ცნობილაძე, *სპორტსმენი:*

— ასეთი ფაქტი ადრეც ხშირად მომხდარა, ახლაც ხდება და რა გასაკვირია, რომ მომავალშიც მოხდეს. მოგეხსენებათ, ამას წინათაც საკმაოდ ბევრი ოპოზიციონერი და მათი მხარდამჭერი სცემეს, მაგრამ ხელისუფლებამ არც ერთი ფაქტი არ გამოიძია. ისე, როცა თავად სჭირდებათ, საქმეს ერთ კვირაში იძიებენ.

თამარ ბარბაძაძე, *მუსიკოსი:*

— არა მგონია, ეს ამბავი სიმართლეს შეესაბამებოდეს. აბა, ამ ოპოზიციას კიდევ გალახვა და ზეწოლა უნდა?!

ნათია მირუტაძე, *ექიმი:*

— ადვილი შესაძლებელია, ხელისუფლებამ მათზე ზეწოლის ბერკეტები გააძლიეროს. ოპოზიციონერი ლიდერები ამბობენ, შემოდგომიდან აქტიურ ბრძოლას დაიწყებთო და როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი მათ ქმედებებს გულხელდაკრეფილი დაელოდება? ქვეყნის რეალურ მტერს — რუსეთს ვერაფერს აკლებს და სუსტი ოპოზიციის დაჩაგვრით მაინც ოჯერებს გულს.

გურამ შათირიშვილი, *მეწარმე:*

— დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ოპოზიციის დაშინებას ძალისმიერი მეთოდით შეეცდება. მაშინ, როდესაც ქვეყანაში დაძაბული სიტუაციაა და რუსეთიდან წამოსულ ახალ აგრესიას ყოველდღე ველით, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთთან ბრძოლაში ხარჯავენ ძალებსაც და საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებსაც.

რიგითი მოქალაქეების მოსაზრებისა და ქვეყანაში არსებული ვითარების გაანალიზება პოლიტოლოგს, ***სოსო ცისკარიშვილს*** *ვთხოვეთ.*

— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ხელისუფლების მხრიდან აგრესიულ ქმედებებს ელის?

— საზოგადოების ასეთი მოლოდინი სრულიად ლოგიკურია, რადგანაც უკვე საკმაოდ ბევრი ადამიანი გახდა სახელისუფლებო ტერორის მსხვერპლი. არაა გამორიცხული, რომ სამთავრობო გუნდმა შემოდგომასა და ზამთარში ასეთი ტიპის ქმედებები კიდევ უფრო მეტი ხალისით გააგრძელოს, რადგან ოპოზიციასთან კონსტრუქციული დიალოგისა და რაიმე ტიპის დემოკრატიული ცვლილებების სურვილი ხელისუფლების არსენალში ნამდვილად არ მოიძებნება.

— მას შემდეგ, რაც ჯო ბაიდენმა პრეზიდენტს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისკენ მოუწოდა, სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებმა ოპოზიციას ურთიერთობების „გადატვირთვა“ შესთავაზეს. ეს ყველაფერი მხოლოდ ფორმალობა იყო?

— საბჭოთა კავშირი აწარმოებდა საექსპორტო და საშინაო მოხმარების ნაწარმს. საშინაო მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქცია უკიდურესად დაბალი ხარისხის იყო, საექსპორტოს — არა უშავდა. დღევანდელი ხელისუფლება საბჭოთა ეპოქას მახსენებს. მართალია, ვერანაირ პროდუქციას ვერ აწარმოებს, მაგრამ ამის ნაცვლად ტერმინოლოგია აქვს საექსპორტოდ სხვა და საშინაო მოხმარებისთვის — სხვა: საუბარი დიალოგზე და დემოკრატიაზე — საექსპორტო ტერმინოლოგიაა, რომელიც უცხოური ჟურნალ-გაზეთებისთვისაა გათვლილი, შიდა მოხმარებისთვის კი ყველაზე აქტიურად გამოიყენება ნიღბები, ხელკეტები და პლასტმასის ტყვიები.

— ხელისუფლება, რომელიც ორმაგი სტანდარტით მოქმედებს, რამდენად შეძლებს დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერის შენარჩუნებას?

— თუ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები დროზე გააცნობიერებენ, რომ მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი ქვეყანაში დემოკრატიის რეალური განვითარებაა, ამ შემთხვევაში, მათაც ეშველებათ და ჩვენც.

— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართული მუდმივი ბრძოლა რამდენად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ რუსეთიდან მოსალოდნელ საფრთხეებთან გამკლავება შევძლოთ?

— რუსეთთან გამარჯვების ერთადერთი გზა საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებაა. თუ მათ დემოკრატიის ხარისხით დავჩაგრავთ, მხოლოდ მაშინ შევძლებთ მიზნის მიღწევას. ჯერჯერობით, საქართველოსა და რუსეთში დემოკრატიის ნაცვლად, ვოვა-კრატია და მიშა-კრატია ყვავის.

— ოპოზიციურ პარტიებს შორის თუ გეგულებათ ძალა, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას შეუწყობს ხელს?

— ისეთი ვერაგობის პოტენციალი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების

ძალოვან სტრუქტურებს აქვთ, არა მგონია, რომელიმე ოპოზიციურ ძალას ჰქონდეს, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ოპოზიციის სახით ანგელოზების კრებულთან გვაქვს საქმე. ჯერ მათაც სჭირდებათ რაფინირება, მიუღებელი ხერხებისა და მეთოდებისგან მკაფიოდ გამიჯვნა. თუ ოპოზიციონერი ლიდერები საკუთარი პროგრამების წარმოჩენას შეძლებენ და პოლიტიკოსის ხმის ომახიანობის ან მანერების ნაცვლად საზოგადოების ორიენტირი პოლიტიკური პროგრამა გახდება, ვფიქრობ, ხალხი არჩევანში ასე მწარედ აღარ შეცდება.

— თქვენი აზრით, რამდენად იქნება იმის შესაძლებლობა, რომ მოსალოდნელი ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს?

— თუ დღევანდელ საარჩევნო სისტემასა და ხელისუფლების მენტალობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. როგორ ფიქრობთ, რატომ გაამკაცრეს კანონი მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ? ამ ახალი კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქემ, თუ ის პოლიციას გაუწევს წინააღმდეგობას, რუსეთის მოქალაქეზე ექვსჯერ მეტი ხანი უნდა დაყოს ციხეში.

— პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა კარგი საქციელი არ უნდა იყოს...

— პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება დაჰბრალდეს ადამიანს, რომელსაც ე.წ. სამართალდამცავი დედას შეაგინებს და მას ამაზე რეაქცია ექნება. ე.ი. დედის გინების გაპროტესტება რუსეთში 15-დღიანი პატიმრობით ისჯება, საქართველოში — 90 დღით. ეს კიდევ არაფერი. იცით, პარლამენტი ქუთაისში რატომ გადაიქცა? ამ ხელისუფლებას მომავალი არჩევნების გაყალბება წინასწარ აქვს დაგეგმილი. სააკაშვილის გუნდმა იცის, რომ კიდევ ერთი გაყალბების შემთხვევაში, ხალხი ისევ მივა პარლამენტის შენობასთან, ამ დროს კი დეპუტატები სესიებს ქუთაისში გამართავენ, სადაც არც საელჩოებია და არც უცხოელი ჟურნალისტები არიან. ვისაც უნდათ, იმას დაიჭერენ და რა კანონსაც უნდათ, იმას მიიღებენ. ამას პარლამენტის ევაკუაცია ჰქვია. ევროპელი ლიდერები ყველაფერს კარგად ხედავენ და სააკაშვილი იმ მცირეოდენ მხარდაჭერასაც მალე დაკარგავს, რაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს. ისეთი ქვეყნის პრეზიდენტი, როგორიც ამერიკაა, საჯაროდ აცხადებს, რომ დაწერა ანდერძი და ხელი მოაწერა ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცნენ მას, როცა ამერიკის ქმედუნარიანი მეთაური აღარ იქნება. ხედავთ, რა დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში? სააკაშვილის გუნდის წევრები კი ისე მოქმედებენ, რომ ძალაუფლების გარეშე საკუთარ ქვეყანაში ერთი დღეც ვეღარ გაჩერდებიან. ძალიან მაინტერესებს, რის საფუძველზე ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე დარჩებიან?..

■

ორი ამბავი ომის შემდგომი საქართველოს ცხოვრებიდან

მიგელ ანხელ ხიმენესის ქართული ფილმი სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე

პატარა სიუჟეტის გადასაღებად საქართველოში ჩამოსული ესპანელები სამშობლოში სრულმეტრაჟიანი ფილმით „ხელდამშვენებული“ დაბრუნდნენ. მიგელ ანხელ ხიმენესის რეჟისორობით და ქართველი მსახიობების მონაწილეობით გადაღებული ქართულენოვანი ფილმი — „ორი“ — დღეს უკვე სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამის მონაწილე გახლავთ. თუ როგორი იყო ქართულ-ესპანური თანამშრომლობა და რაზეა ფილმი, ამის შესახებ შემოქმედებითი ჯგუფის რამდენიმე წევრს გავესაუბრე.

ეთო ყორღანაშვილი

ხათუნა შურღაია, *მსახიობი:*

— ფილმს „ორი“ იმიტომ ჰქვია, რომ მასში 2 ამბავი ვითარდება: ერთი — თბილისში, მეორე — ყაზბეგში და ამ ამბებს ერთმანეთთან რაღაც კავშირი აქვს... ალბათ, ესპანელების მიზანია, მთელ მსოფლიოს უჩვენონ, თუ როგორ ვცხოვრობთ ქართველები ომის შემდეგ. მათი აზრით, ჩვენ კარგები, ნიჭიერები, ლამაზები ვართ, მაგრამ დუხჭირი ცხოვრება გვაქვს.

— შენი როლის შესახებ მიამბე.

— ჩემი პერსონაჟი არაფრით გამორჩეული, რიგითი ქართველი გოგონაა: ჰყავს საქმრო, მუშაობს, მაგრამ ხელფასი არ ჰყოფნის, რადგანაც ბევრი პრობლემა აქვს. ამას თან ისიც ერთვის, რომ ქვეყანაში ომი ახალი დამთავრებულია და შექმნილი რთული სიტუაცია გოგონას პირად ცხოვრებაშიც უშლის ხელს — პატარა ოცნებების ასრულებასაც ვერ ახერხებს. გიორგი გოგუაძე ჩემი შეყვარებულის, ტიპური ქართველი მამაკაცის როლს ასრულებს, რომელიც თურმე, საცოლეს მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან ღალატობს...

გიორგი გოგუაძე, *მსახიობი:*

— ჩემი გმირი „ტაქსისტია“, რომელსაც რეპორტიორი დამწვარ-განადგურებული სახლების სანახავად დაჰყავს.

— თქვენს ეკრანულ წყვილს ბოლოს, რა ბედი ეწევა?

ხათუნა:

— მათი ურთიერთობა გაურკვეველი რჩება — ეს მაყურებელმა უნდა განსაჯოს.

— მსახიობები ერთმანეთს იოლად შეეწყვეთ?

— გიორგი ძალიან კარგი პარტ-

ნიორია. ის თეატრალური უნივერსიტეტიდან პირდაპირ დიდ კინოში მოხვდა. სხვათა შორის, ნიჭიერი ბიჭია. მას ასეთი მეტსახელებიც ჰქონია: ალ პაჩინო, ბანდერასი (*იცინიან*)... მოკლედ, წინ დიდი წარმატება ელის!..

გიორგი:

— თავდაპირველად, თითქოს, ნიჭიერი მსახიობები „ბინდში“ არიან და მერე, ერთბაშად „გასკდებიან“ ხოლმე. ხათუნაც ასეა: ნახავთ, სან-სებასტიანის კინოფესტივალზე პრიზს „მოხსნის“!

ხათუნა:

— ჩემი ერთადერთი სურვილია, სამუშაო მქონდეს. პოპულარობა და კინოფესტივალზე გასვლა მიზნად არასდროს დამისახავს.

— **ხათუნა, შენ როგორ მოხვდი ამ ფილმში?**

— „ცხელი ძაღლის“ მე-4 და მე-5 სერიებში მთავარ როლს ვასრულებ. ამ კადრების ნახვის შემდეგ, როლზე საბოლოოდ დამამტკიცეს, მაგრამ მანამდე მკითხეს: ინგლისური და ცურვა თუ იცი? ფილმში დიდი სიმაღლიდან 7-მეტრიან აუზში ჩახტომამ და ცურვამ მომიწია.

— **ესპანელ რეჟისორთან თანამშრომლობა გაგიჭირდათ?**

— პირიქით, მასთან მუშაობა იოლი იყო: ზედმიწევნით კარგად გვიხსნიდა, თუ რას ითხოვდა ჩვენგან. უცხოელებს ყველაფერი საათებში ჰქონდათ გათვლილი. ძალიან პუნქტუალურები და თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. სხვათა შორის, მიგელ ანხელ ხიმენესმა შემოგვითვალა: ფილმის ფესტივალზე წარდგენაში ყველაზე დიდი დამსახურება ქართველ მსახიობებს მიგიძღვითო. მოკლედ, ჩვენით ძალიან მოხიბლულია.

მიგელ ანხელ ხიმენეს და ბექა ქავთარაძე

7 წლის **იოანე გეგეჭკორმა** *ხმა მანამდე არ ამოიღო, ვიდრე არ ვუთხარი: შენნაირ მორცხვ მსახიობს არასოდეს შევხვედრივარ-მეთქი. ბიჭუნა ამ „პროვოკაციას“ წამოეგო და ალაპარაკდა:*

— მორცხვი არ ვარ და კიდევ, მსახიობობას არ ვაპირებ. უბრალოდ, ჩემი სახე მოეწონათ და ფილმში ეპიზოდური როლის შესასრულებლად მიმიწვიეს. დიდი დატვირთვა არ მქონია. თუმცა, ამბობენ, რომ რაც გავაკეთე, ჭკვიანურად გავაკეთე — ესპანელ რეჟისორს ძალიან მოვეწონე. გეგეჭკორების „თეატრალური გვარი“ არ შემირცხვენია! ისე, ცნობისათვის, კარატისტი უნდა გავხდე...

ზ უ რ ა მაღალაშვილი, *ქართული კინოკომპანია „სინეტექის“ დირექტორი:*

— საქართველოში ესპანელები სხვა მიზნით ჩამოვიდნენ: კონფლიქტურ ზონაზე დოკუმენტურ-ჟურნალისტური პატარა სიუჟეტის გადაღება სურდათ. ამ ნიჭიერ ახალგაზრდებთან ჩვენი თანამშრომლობა შედგა და საბოლოოდ, სრულმეტრაჟიანი ფილმი გადავიღეთ. რეჟისურა, პროდიუსინგი, სცენარი მათია, მაგრამ ფილმში ქართველი მსახიობები მონაწილეობენ. გადაღებები თბილისში, ერგნეთში, ყაზბეგში მიმდინარეობდა. ერთხელ, როცა ობიექტის ასარჩევად წავიდნენ, ჯგუფის წევრებს ავტოკატასტროფა მოუხდათ: ქართველი პროდიუსერის — ირაკლი ბაღათურიას მანქანა ღამის 2 საათზე, 25-მეტრიან ხრამში გადავარდა. ავტომობილში 4 ესპანელი იჯდა. საბედნიეროდ, არავის არაფერი დაშავებია და არც საყვედური დასცდენია ვინმეს. ჩვენ შორის ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მენტალიტეტით ერთმანეთს ვგავართ, ტემპერამენტი კი ჩვენზე მეტი აქვთ — უფრო „გიჟები“ არიან. შესაძლოა, სამომავლოდ ახალ პროექტშიც ვითანამშრომლოთ.

არჩილ შუბაშვილი, *კინომცოდნე, კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:*

— სან-სებასტიანის კინოფესტივალი ევროპაში ძალიან პრესტიჟულია და ის 1953 წლიდან ტარდება. საბჭოთა პერიოდში ფესტივალში ქართული ფილმი — „ვერის უბნის მელოდიები“ მონაწილეობდა, რომელმაც განსაკუთრებული პრიზი დაიმსახურა. ევროპაში ქართული კინოს წარმატება დღესაც ახსოვთ. რამდენიმე წლის წინ სან-სებასტიანის კინოფესტივალის პარალელურ პროგრამაში დიტო ცინცაძის ფილმი — „ხელმოცარული მკვლელები“ უჩვენეს, 2003 წელს კი ასევე დიტოს გერმანიაში გადაღებულ ფილმს — „გასროლის შიში“ მთავარი პრიზი — „ოქროს ნიჟარა“ მიენიჭა. წელს კონკურსისთვის 15 ნამუშევარი შეარჩიეს, მათ შორის — ქართულ-ესპანური. რა თქმა უნდა, ეს ყურადსაღები ფაქტია, მაგრამ შედეგებს დაველოდოთ — იქნებ, უფრო დიდი წარმატებაც მოვიპოვოთ... ■

მწარე გამოცდილება: აგვისტოს ომის „მრუდე“ ციფრები და აგრესიის გამომწვევი ფაქტორები

„ქართველ სამხედროებს მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციებისთვის წვრთნიდნენ...“

აგვისტოს ომის წლისთავზე, ქართველი და რუსი სამხედრო ექსპერტების უმრავლესობა, საკუთარ ხელისუფლებას ომის დროს მომხდარი ფაქტების გაყალბებაში ადანაშაულებს — ისინი აცხადებენ, რომ ვერსიები, რომელთაც ოფიციალური წრეები ავრცელებენ, მხოლოდ ტყუილების კასკადია და სხვა არაფერი.

ხათუნა ბახტურიძე

მოსკოვის ოფიციალური ვერსიით, ცხინვალთან მომხდარ ომში რუსეთმა დაკარგა: 669 კაცი, აქედან 507 სამხედრო და 162 მშვიდობიანი მოქალაქე; ქართულმა მხარემ კი 224 ადამიანი, რომელთა შორის 186 სამხედრო იყო. ოფიციალური თბილისი მხოლოდ ქართული მხარის დანაკარგებს ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, ჩვენ 170 ადამიანი — მათ შორის 23 ოფიცერი, 136 კაპრალი/სერჟანტი, 1 რიგითი, 9 რეზერვისტი და 1 სამოქალაქო პირი დავკარგეთ. ექსპერტები ამ მონაცემებს სარწმუნოდ არ მიიჩნევენ, თუმცა ამბობენ, რომ რეალური ინფორმაცია არც მათ გააჩნიათ. მიზეზად კი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ორივე ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო ყველა მნიშვნელოვან ფაქტს ასაიდუმლოებს და მხოლოდ მათთვის სასურველ ცნობებს ავრცელებს. საბოლოო ჯამში, ომის შედეგებით უკმაყოფილონი არიან, როგორც ქართველი, ისე რუსი ექსპერტი-ანალიტიკოსები. რუსები ხელისუფლებას იმ ფაქტის გამო კიცხავენ, რომ პატარა საქართველოსთან ბრძოლას ამდენი ცოცხალი ძალა და სამხედრო რესურსი შეალია, ქართველებს კი დღე-ნახევარსა თუ ხუთ დღეში ომის წაგება ვერ მოუნელებიათ.

რა ინფორმაციას მალავენ რუსეთის და საქართველოს სამხედრო მაღალჩინოსნები, ჰქონდათ თუ არა ქართველებს ომის მოგების შანსი, რა იყო ასეთი სწრაფი მარცხის რეალური მიზეზი და არის თუ არა მოსალოდნელი რუსეთისგან კიდევ ერთი ახალი აგრესია? — ამ კითხვებით სამხედრო ექსპერტს — კახა კაციტაძეს, ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში — ირაკლი სესიაშვილსა და ყოფილ სამხედრო ჩინოვნიკს — გიორგი მელითაურს მივმართე.

— რატომ ფიქრობთ, რომ ოფიციალური ვერსიები დანაკარგების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება?

კახა კაციტაძე:

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, ერთ-ერთი კი ის გახლავთ, რომ მოსკოვი და თბილისი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით ავრცელებენ დეზინფორმაციას, რის შესახებაც მე ხშირად სწორი, უტყუარი ინფორმაცია მაქვს. ყველაზე ობიექტურად შვეიცის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებს მივიჩნევ, რომლის მიხედვითაც, ქართული არმია ორჯერ ნაკლებმა მტერმა დაამარცხა. ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა.

— რას გულისხმობთ, ბატონო კახა? თავად რუსი ექსპერტებიც კი ამბობენ, რომ ცხინვალში 40 ათასი რუსი ჯარისკაცის წინააღმდეგ მხოლოდ 12 ათასი ქართველი სამხედრო და 5 ათასი პოლიციელი იბრძოდა.

— მე ქაღალდზე დადასტურებული დოკუმენტაციის მიხედვით ვმსჯელობ. თქვენ იცით, რომ საქართველოს 37 ათასი ჯარისკაცი ჰყავს?

— კი, მაგრამ ცნობილია, რომ აქედან ყველაზე ბრძოლისუნარიანი ბრიგადა — 2 ათასი კაცი ერაყში იყო წასული.

— ლომაიამ ისიც კი თქვა, რომ 80 ათასი რუსი სამხედრო იბრძოდა ცხინვალში. სააკაშვილი კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა ფანტაზიებში და განაცხადა, საქართველოში 200 ათასი სამხედრო შემოიჭრა, რომელთაც 3 ათასი ტანკი ჰყავდათო.

— მხოლოდ ლომაიამ — არა, ბატონო კახა, რუსმა ექსპერტმა, ალექსანდრ ილარიონოვმა ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნა, რომ 17 ათასი ქართველის წინააღმდეგ ცხინვალში 40-ათასკაციანი რუსული არმია იბრძოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ყველა მონაწილე შეიარაღებულ ძალას, მათ შორის, ზურგის ფრონტის უზრუნველყოფას ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში, რუსი სამხედროების რიცხვი დაახლოებით, 70-80 ათასამდე ადისო.

— ილარიონოვს, როგორც ეკონომიკურ ექსპერტს, ისე ვიცნობ და ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სამხედრო საქმეში ავტორიტეტად ვერ ვაღიარებ.

— როგორია შვეიცის თავდაცვის სამინისტროს მონაცემები, რომელსაც თქვენ ყველაზე ობიექტურად მიიჩნევთ?

— მათი კვლევები ადასტურებს, რომ ცხინვალში იბრძოდა 15 ათასი ქართველი და 9 ათასი რუსი სამხედრო, ტანკების რაოდენობა კი თანაბარი იყო. ამ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს.

— ბრძოლაში ადგილობრივი ოსებიც ხომ მონაწილეობდნენ? რუსი სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსი და ოსი სამხედროების გარდა, ცხინვალში იმყოფებოდნენ აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებები, ე.წ. „ოპოლჩენცები“, ასევე — კაზაკები, მოხალისეები და საბ-



ოლოო ჯამში, სამხედრო შეტაკებებში მონაწილე ძალების თანაფარდობის მხრივ, რუსულ-აფხაზურ-ოსური კოალიცია ქართულ ჯარს სამჯერ აღემატებოდა...

— 500 ოსი მხედველობაში მისაღები არ არის; აფხაზი სეპარატისტების მონაწილეობა მხოლოდ მითია. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და დავამსხვრიო მითი იმის შესახებ, თითქოს რუსეთმა ომი მხოლოდ საჰაერო ბრძოლების შედეგად მოგვიგო. ჰაერიდან არც ჯარის პირადი შემადგენლობა განადგურებულა და არც სამხედრო ტექნიკა, თუ არ ჩავთვლით სენაკის რეზერვისტებს, რომლებიც ჩვენმა „გონიერმა“ „თავდაცვამ“ აეროპორტის საფრენ ბილიკზე, პირდაპირ მტრის სამიზნედ დასვა.

უმცროსმა ოფიცრებმა და რიგითმა ჯარისკაცებმა გმირულად იბრძოლეს

— მაშ, რა საშუალებით გაანადგურეს რუსებმა ის ტანკები, რომლებიც ჩვენ ტელეეკრანზე ვიხილეთ?

— ეს ყველაფერი ცუდი მართვის სავალალო შედეგი იყო. თქვენ იცით, რომ თავდაცვამ ერთი სატანკო კოლონა არასწორი მიმართულებით გაუშვა და პირდაპირ რუსული არმიის შუაგულში მოახვედრა?! ვიდრე ჩვენი ბიჭები აზრზე მოვიდოდნენ, რუსებმა ყველა მათგანი გაანადგურეს. ეს ყველაფერი ხალხმა, სამწუხაროდ, არ იცის.

— მიუხედავად იმისა, რომ ომი ერთი წლის დასრულებულია, დღემდე დავის საგანია ბრძოლის ველზე დაკარგული სამხედრო ტექნიკის რაოდენობა. თქვენ თუ ფლობთ ამ მხრივ რაიმე სარწმუნო ინფორმაციას?

კახა კაციტაძე:

— მე ნამდვილად ვიცი, რომ რუსებმა ჩვენი 65 ტანკი უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში. აქედან 40 ერთეული რუსეთში წაათრიეს და მოსკოვთან ახლოს, სამხედრო მუზეუმში, ნადავლის სახით გამოფინეს.

გიორგი მელითაური:

— ეს იყო მოდერნიზებული, თანამედროვე ტანკები, რომლებიც აღჭურვილი იყო ღამის ხედვის ხელსაწყოებით, ცეცხლის მართვის თანამედროვე სისტემებით, მაღალი სიზუსტის რაციებით... ტანკები რუსებმა ნადავლის სახით, ისე ჩაიგდეს ხელში, რომ ბრძოლის ველზე არც ერთი არ გამოგვიყენებია. ერთ-ერთი რუსი ტანკისტი იმასაც კი ამბობდა, — როცა ეს ტანკები ვნახე, პირველივე შემხვედრ ეკლესიაში სანთელი დავანთე და ღმერთს მადლობა შევწირე, რომ ქართველებმა ღამით ბრძოლა არ ჩაგვიტარესო...

— როგორ ფიქრობთ — რა იყო უმთავრესი შეცდომა, რომლის გამოც ქართულმა არმიამ ომი ორ დღეში წააგო?

ირაკლი სესიაშვილი:

— ომში დამარცხების მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ მიხეილ სააკაშვილმა არასწორი პოლიტიკური კურსი აირჩია და ქართველებს თავს მოგვახვია ომი, რომელიც მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედიოდა. შეცდომა იყო მისი ილუზია, თითქოს საქართველოს არმია ძლევამოსილია და რუსეთს ომს მოუგებდა. ამით სააკაშვილი ორი კურდღლის დაჭერას აპირებდა — თან, ცხინვალს დაიბრუნებდა და თან, ქვეყანაში პოლიტიკურ ძალაუფლებას გაიმყარებდა.

— ასეთი ილუზია სააკაშვილს რატომ უნდა ჰქონოდა?

— ასეთი მოლოდინი სააკაშვილს, „თავდაცვაში“ მოკალათებულმა არაპროფესიონალების გუნდმა შეუქმნა. მათ ვერც არსებული საფრთხეები შეაფასეს სწორად და ვერც ომის მოსალოდნელი შედეგები გათვალეს. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს თავდაცვას არც სამხედრო ოპერაციის სტრატეგია ჰქონდა შემუშავებული და არც უკან დახევის გეგმა. ისე, ზოგი ჭირი მარგებელია: მათი არაპროფესიონალიზმის „წყალობით“, ჩვენს მხარეს დიდი მსხვერპლი არ იყო. ქაოსურად დაწყებული სამხედრო ოპერაციის შედეგად, პრეზიდენტი ძალიან მალევე მიხვდა, რომ ომს აგებდა და კაპიტულაცია გამოაცხადა.

კახა კაციტაძე:

— ჩვენი მარცხის მიზეზი, ცუდი ჯარისკაცი და ტანკისტი არ ყოფილა. ამ ომში ქართველი ტანკისტები საერთოდ ვერ ჩაებნენ. მარცხის მიზეზი — „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსული, არაკომპეტენტური კადრები გახლავთ. ამ ადამიანებმა ქვეყნის თავდაცვა თავდაყირა დააყენეს. მათი „წყალობით“, ომში ისე ჩავებით, რომ ყველაზე ელემენტარული — ომის შესაძლებლობაც კი არ გვქონდა გათვალისწინებული. პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის მიხედვით, რუსეთთან ომის შესაძლებლობა გამორიცხული იყო. ქართველ სამხედროებს მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციებისთვის წვრთნიდნენ.

— ოპოზიცია ერთი წლის განმავლობაში გვიმტკიცებდა, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო. თქვენ ახლა საწინააღმდეგოს ამბობთ?

— გულში ვის რა ედო, არ ვიცი; მე ომის წაგების მიზეზებზე გელაპარაკებით. სააკაშვილს რომ ომის მოგებაზე ეფიქრა, არც კეზერაშვილს დანიშნავდა თავდაცვის მინისტრად და არც პოლიციელ ზაზა გოგავას — გაერთიანებული შტაბის უფროსად.

— ხელისუფლებაში კომპეტენტური კადრები რომ ყოფილიყვნენ და „თავდაცვაც“ გამოცდილი პროფესიონალებით დაეკომპლექტებინათ, რუსეთთან ომის მოგებას მოვახერხებდით?

— მოგებას თუ ვერ მოვახერხებდით, ასე სამარცხვინოდ მაინც არ დავმარცხდებოდით. მეომარ ბიჭებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, პირიქით აღვნიშნავ, რომ უმცროსმა ოფიცრებმა და რიგითმა ჯარისკაცებმა გმირულად იბრძოლეს, მაგრამ გენერლები და სხვა მაღალჩინოსნები საქართველოდან დაფეთებულნი გარბოდნენ.

ირაკლი სესიაშვილი:

— მინდა, ისრაელისა და ეგვიპტე-სირიის ომი გაგახსენოთ. ეგვიპტეს, მოწინააღმდეგეზე რამდენიმე ათეულით მეტი საბრძოლო ტექნიკა და ასეული ერთეულით მეტი მეომარი ჰყავდა, მაგრამ ისრაელმა სწორად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციისა და ეფექტური საბრძოლო მოქმედებების შედეგად, ომი ერთ კვირაში მოიგო. ჩვენი მთავარი პრობლემა — საკადრო პოლიტიკაა. გოგავა თავისი საქმის პროფესიონალია, მაგრამ სამხედრო არ არის. ის ანტიტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, განათლება სულ სხვა მიმართულებით ჰქონდა მიღებული და ეფექტური სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა ამიტომაც გაუჭირდა.

გიორგი მელითაური:

— ჩემი აზრით, აგვისტოს ომში ყველაზე დიდი შეცდომა და საშინელება ის იყო, რომ ბრძოლის ველზე დაჭრილი მეომრები მიატოვეს.

— ამის დამადასტურებელი ფაქტები გაქვთ?

— არაერთხელ მინახავს სხვადასხვა ინტერნეტსაიტზე ქართულ ფორმაში ჩაცმული ჯარისკაცების ნაწამები სხეულები.

— ნაწამები სხეული იმაზე მეტყველებს, რომ ის ბრძოლის ველზე დაჭრილი მიატოვეს?

— სწორედაც ამას ნიშნავს, იმიტომ, რომ მკვდარს არავინ შეურაცხყოფს. ის ბიჭები რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა სეპარატისტებმა ჯერ კიდევ ცოცხლები იპოვეს და შემდეგ, წამებით მოკლეს.

— აგვისტოს ომის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. როგორ ფიქრობთ — შეძლებს თუ არა რეფორმირებული ქართული არმია რუსეთის შესაძლო აგრესიის მოგერიებას?

კახა კაციტაძე:

— რომელი აგრესიის მოგერიებაზეა ლაპარაკი, როდესაც დღეს არმია მეხუთასეხარისხოვნად გადააქციეს?!. ახლა ფლოტ-

სა და ავიაციის ნაწილსაც კი შინაგან საქმეთა სამინისტრო აკონტროლებს. „უნიკალური“ სახელმწიფო გვაქვს. საქართველოს გარდა, არც ერთი ზღვისპირა ქვეყანა არ მეგულება, რომელსაც სამხედრო ფლოტი არ ჰყავს.

— ჩვენში ამ ფაქტს რითი ხსნიან?

— ეს ხელისუფლება ძალიან ბევრ ისეთ რამეს აკეთებს, რასაც ახსნა არ მოეძებნება. დღეს ჩვენ მხოლოდ საზღვაო პოლიციის იმედზე ვართ.

გიორგი თავდგირიძე:

— დღეს „თავდაცვა“ კოლაფსშია. რა რეფორმებსა და განვითარებაზე შეიძლება ლაპარაკი იმ შეიარაღებულ ძალებში, სადაც მინისტრის მოადგილე ანუ სამოქალაქო პირი შეიარაღებულ ძალებს მართავს და მინისტრსაც თავის ჭკუაზე ატარებს?!. ბაჩო ახალაია წყვეტს, ვინ უნდა იყოს ბატალიონის მეთაური ან ოფიცერი...

— წელს თავდაცვის სამინისტროს, შს სამინისტროსგან განსხვავებით, ბიუჯეტი არ გაუზარდეს. თქვენი აზრით, ეს ფაქტი რით არის განპირობებული?

გიორგი მელითაური:

— „თავდაცვას“ რა თანხაც გამოუყვეს, ისიც ზედმეტია. არმიას, განვითარებისთვის უზარმაზარი და არამიზნობრივად დახარჯული თანხები კი არა, პროფესიონალი კადრები და კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცები სჭირდება.

კახა კაციტაძე:

— „თავდაცვისთვის“ გაზრდილი ბიუჯეტი არასოდეს ხმარდებოდა არმიის ბრძოლისუნარიანობის ზრდას. კონტროლის პალატამ ჯერ კიდევ ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს აღმოაჩინა, რომ თავდაცვის სამინისტროდან 200 მილიონი ლარი იყო გამქრალი. რატომღაც, ამ ფაქტს ხელისუფლება დღესაც არ ამჟღავნებს. აფხაზეთში წელიწად-ნახევარი ვიომეთ, არმიისა და ბიუჯეტის გარეშე. უზარმაზარი თანხებით დაფინანსებულმა თავდაცვამ კი დღე-ნახევარში წააგო ომი.

— შარშანდლის მსგავსად, რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი ამჯერადაც ირწმუნება, რომ საქართველოში ომის დაწყების ალბათობა — 80%-ია. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

ირაკლი სესიაშვილი:

— დღეს რუსეთს მორიგი აგრესიის წამოსაწყებად, არც საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს და არც საკმარისი რესურსები. უფრო მეტიც — გარკვეული საფრთხის წინაშეც კი დგას. შესაძლოა, მოსკოვმა კონტრშეტევის სახით, საკმაოდ დიდი დარტყმაც მიიღოს, რადგან დასავლეთი, განსაკუთრებით კი ამერიკა, სამხრეთ კავკასიის დერეფანს ასე მარტივად არ დათმობს. შარშან დასავლეთი და ამერიკა მზად არ იყვნენ მოვლენების ასეთი განვითარებისთვის და სწრაფი, ადეკვატური რეაგირება იმიტომ ვერ მოახდინა. ამ შემთხვევაში, ვითარება სხვაგვარია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აშშ-სთან უკვე გაფორმებული გვაქვს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც კრიზისულ ვითარებებში გარკვეულ დახმარებასაც ითვალისწინებს.

— ექსპერტები ამ ქარტიის გაფორმების პირველივე დღეს აცხადებდით, რომ დოკუმენტი ამერიკას, საქართველოს მიმართ არანაირ ვალდებულებას არ აკისრებდა...

— ამერიკა ვალდებულების კი არა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, არ დათმობს საქართველოს. ასეთივე დიდი ინტერესი აქვს ჩვენ მიმართ დასავლეთს. ჩემი აზრით, კრემლი ამ საფრთხეებსა და რისკებს გააანალიზებს და ფართომასშტაბიანი აგრესიისგან თავს შეიკავებს.

კახა კაციტაძე:

— მეც ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის მხრიდან აგრესია მოსალოდნელი არ არის. ახლა მთავარია, საქართველოს ხელისუფლებამ არსებული რეალობა გონივრულად გააანალიზოს და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებაზე გააკეთოს აქცენტი. ადრე ხმამაღლა ვერ ვაცხადებდი, მაგრამ ვიწრო წრეში სულ ვამბობდი: 15 წელიწადში რუსეთის ბირთვული, სტრატეგიული პოტენციალი ჩამოიშლება-მეთქი, — ახლა კი ამის გაცხადების აღარ მერიდება, რადგან ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა, რომელსაც ჩემზე გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს, საქართველოში ვიზიტის დროს თქვა: რუსეთის ეკონომიკა 17 წელიწადში ჩამოიშლება. ფაქტია, რომ რუსეთი „ჩამოსაშლელად“ არის განწირული. ახლა ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ამერიკელების რჩევა გავითვალისწინოთ, ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას ხელი შევუწყოთ და რუსეთის „ჩამოშლას“ მომზადებულები შევხვდეთ, რომ მერე ნანგრევებში არ მოგვიწიოს მოყოლამ.

ხელისუფლება ძალიან ბევრ ისეთ რამეს აკეთებს, რასაც ახსნა არ მოეძებნება

PRO ET CONTRA:

მართალი და უუნარო სჯობია თუ — თავხედი?..

„საზოგადოების გულის მოსაგებად იოლი ხერხი იპოვეს...“

ლალი პაპასკირი

პოლიტიკა დისკუსიის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ ჯანსაღი პოლიტიკური პროცესისთვის აუცილებელია კონსტრუქციული, არგუმენტებით გამაგრებული კამათი. როგორ ვითარდება ამ მხრივ პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში? ვფიქრობთ, ამ საკითხზე მსჯელობა ყოველთვის დროულია, მით უმეტეს ახლა, როცა ხანგრძლივი საპროტესტო აქცია დასრულდა და მისი მონაწილენი, სულის მოთქმის შემდეგ, ცოტა ხანში, ქვეყნისთვის აქტუალურ პრობლემებთან კვლავ შეჭიდებას შეეცდებიან.

ამ თემაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ერთ, თითქოს მეორეხარისხოვან, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს — ოპონენტებს შორის დავა-კამათის ფორმას, რომელიც ხშირად, ეთიკის ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ჩვენი საზოგადოებაც ისე შეეჩვია ამას, რომ საჯარო შეურაცხყოფაზეც კი, ფაქტობრივად, აღარ იჩენს მწვავე რეაქციას. სწორედ ამიტომ, საუბარი აკადემიკოს ზოთა ნადირაშვილთან ამით დავიწყეთ.

— პოლიტიკოსებს შორის ჩხუბსა და შელაპარაკებაში გადასული აზრთა გაცვლა-გამოცვლა ახალი არ არის და არ შეიძლება, მხოლოდ მოქმედი პოლიტიკოსების ასაკსა და გამოუცდელობას დავაბრალოთ... ყველას ახსოვს, შევარდნაძის დროინდელი, ხმაურიანი პარლამენტი, სადაც სიტყვიერი კი არა, ფიზიკური შეურაცხყოფაც კი ხდებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი მრავლად იყო; საკმარისია, ერთი გავიხსენოთ — ვახტანგ რჩეულიშვილმა ნოდარ ნათაძეს სახეში „ბორჯომი“ რომ შეასხა... მოგვიანებით, უკვე ახალი მოწვევის პარლამენტში, პეტრე ცისკარიშვილისა და დავით საგანელიძის „შერკინება“ და რამდენიმე მსგავსი ფაქტიც დაგვამახსოვრდა... როცა ქვეყანა დამოუკიდებლად არსებობას იწყებს, მას როგორც სხვა, ასევე ამ მიმართულებითაც ბევრი პრობლემა აქვს. ჩვენ თავის-

შესაძლოა, დასავლელი დიპლომატებისგან საპირისპირო აზრიც მოვისმინოთ, მაგალითად: სააკაშვილი გაცილებით თავისუფალი და უშუალოა, ვიდრე მისი ოპონენტებიო...

უფალი აზრის გამოხატვას თითქმის გადაჩვეულები ვიყავით, რამაც პოლიტიკოსის პიროვნების პროცესზე თავისებური გავლენა იქონია. ასე ხდებოდა თითქმის ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში; დროთა განმავლობაში პოლიტიკოსთა მუშაობის სტილი იხვეწებოდა და გადაწყვეტილებების მშვიდ გარემოში მიღების მოთხოვნა უკვე საზოგადოებაში გაჩნდა. საქართველოში ამას ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ. პოლიტიკური დებატები ხშირ შემთხვევაში, პიროვნულ დაპირისპირებაში გადადის და მოუგვარებელ პრობლემას, პიროვნული შუღლიც ემატება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ოპონენტებს, საკუთარ სიმართლეში ერთმანეთის დასაჯერებლად არგუმენტები არ ჰყოფნით; ამ დროს ღიზიანდებიან, ერთმანეთს ძველ ცოდვებს უხსენებენ და ლანღვა-გინებაზე გადადიან. ადამიანური მომენტით ამის გამართლება შესაძლებელია, მაგრამ ადამიანს, რომელსაც ქვეყნის მართვასა და ერის სახის წარმოჩენაზე აქვს პრეტენზია, მეტი მოთმინება და მოზომილი ფრაზებით საუბარი მართებს... ერთმანეთისადმი აგრესიის გამოვლენაში დიდი წვლილი მიუძღვის მასმედიასაც, რომელიც ყოველთვის ხმაურიანი რესპონდენტის მოწვევას ცდილობს, რათა გადაცემა თუ სტატია საინტერესო გამოუვიდეს.

— ბოლოდროინდელ პოლიტიკურ დებატებზე რას გვეტყვით?

— ბოლოდროინდელი, ლამის მასსროობამდე დასული პოლიტიკური დებატები, ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე მიანიშნებს. ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლებაში ძალის გამოყენებით მოსვლაზე უარი თქვეს და ცდილობენ, მშვიდობიანი გზით მოერიონ ხელისუფლებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელია — თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლება ოპოზიციისა და მისი მომხრეების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებს ახორციელებს. თან ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების თვალში დემოკრატიული მმართველის იმიჯი შეინარჩუნოს. ამასთან, მან ოპოზიციას სიმწრით შემუშავებული სოციალური პროგრამებიც წაართვა, რის გამოც ოპოზიციას სიტუაცია კიდევ უფრო გაურთულდა.

ლამის მასსროობამდე დასული პოლიტიკური დებატები, ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე მიანიშნებს

— ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ძლიერია? თუ ოპოზიციაა სუსტი?

— არა, ამ მხრივ ქვეყანაში არსებულ რეალობას „უსარგებლო ფრე“ ჰქვია, რომელიც არც ერთისთვის არ არის მომგებიანი. ხელისუფლების ქმედებები, ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე გათვლილი გეგმები კი არა, „ნაციონალების“ „პიარშიკების“ სწორად გათვლილი მუშაობის შედეგია: ოპოზიცია ძალიან ბევრ საკითხში მართალია, მაგრამ მისი მოთხოვნების მშვიდობიანი მეთოდით განხორციელების უნარი არ შესწევს; ძალის გამოყენებაზე უარი თქვა, სიმართლის ქადაგებით კი ხელისუფლებას ვერ მოუგებს და არც ალტერნატიული გეგმის მოფიქრება შეუძლია. ასეთ შემთხვევაში კი საქმეში წმინდა ადამიანური ემოცია „ერთვება“ — ოპოზიცია თავისი უსუსურობის დაფარვას, ხელისუფლების ლანძღვა-გინებით ცდილობს და მხარდამჭერთა შემოკრებას ასე აპირებს. ამის შედეგია არაფრის მომტანი თეატრალიზებული დადგმები და შოუები, რომლებმაც საზოგადოება დაინტერესა და მიიზიდა. თავის მხრივ, ხელისუფლებაც აძაგებს ოპოზიციას და ამით, საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულის დაფარვას ცდილობს. ასევე ხშირია შემთხვევა, როცა ხელისუფლება ოპონენტების მოთხოვნებს იგნორირებას უკეთებს. ასეთი არასწორი და არაჯანსაღი პოლიტიკური კრიტიკის პირობებში საზოგადოება ვერ ვითარდება; მისი დიდი ნაწილი ობიექტური ანალიზის, მოვლენების სწორი შეფასების უნარს კარგავს და მთლიანად ემოციებით მოქმედებს. პოლიტიკოსებს შორის ასეთმა დამოკიდებულებამ ის კატასტროფული შედეგი მოგვიტანა, რომლის მომსწრენიც ახლა ვართ. პოლიტიკური კრიტიკა იმ დონეზე დარჩა, რომელზეც 1990-იან წლებში იყო; ემოციებზე გათვლილი განცხადებები მხოლოდ ცალკეული პიროვნებების გულის მოოხებას ემსახურება; გაფუჭებული ადამიანური ურთიერთობების ფონზე პრობლემა კი არ გვარდება, არამედ უფრო მწვავდება. გარდა ამისა, ორივე მხარე ხვდება, რომ მათი დაუსრულებელი შეურაცხყოფა უშედეგო ლაყაფია, მაგრამ უკან დახევა და დათმობა არ უნდათ, რეალობის შეცვლის უნარი არ შესწევთ...

— ბოლო დროს ოპოზიციის ლიდერები ხშირად, ერთმანეთსაც ლანძღავენ...

— ამით ისინი თვითდამკვიდრებას ცდილობენ. საზოგადოების თვალში სხვისი ძაგება — თავდაცვის ერთგვარი საშუალებაა. გარდა ამისა, ისინი ცდილობენ, ბრძოლის სხვადასხვა მეთოდი გამონახონ; ამასობაში რამდენიმე „მიმართულებად“ დაიყვნენ და თან, ერთმანეთის „ჩაძირვაზეც“ მიდიან. ოპოზიციონერი ლიდერების ასეთი ქმედებები ნიშნავს, რომ მათ სიტუაციიდან გამოსავლის ძიების საკმარისი პოლიტიკური გამოცდილება არა აქვთ.

— თუმცა რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ემოციური გამოსვლებით გამოირჩევიან, საზოგადოების თვალში მაღალი რეიტინგითაც სარგებლობენ...

— ეს ქართველი ხალხის ემოციურ ბუნებაზე მიანიშნებს. ამიტომაც, საზოგადოება პოლიტიკოსებს ლოგიკური ქმედებების მიხედვით კი არა, რადიკალური გამოსვლებით აფასებს. მაგალითად, ლეიბორისტებს, რომლებიც ორიგინალური გამოთქმებით პირველ ადგილზე არიან, ყველაზე მყარი ელექტორატი ჰყავთ... ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეები კი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ განასახიერებენ ქართველი ადამიანის ბუნებას. მათ ემოციურ საუბარში, გულწრფელ გამოთქმებსა და მგზნებარე ტონში ქართველი კაცის ხასიათი იკითხება, ამიტომაც ისინი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობენ. თუ გახსოვთ, ხალხმა ლევან გაჩეჩილაძის მიკროფონთან წარმოთქმული გინებაც კი გაამართლა: ქართველი კაცია და შეიგინა, მერე რა მოხდაო?!. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, იგი დანარჩენი ქართველი პოლიტიკოსებისგან რადიკალურად განსხვავდება. მას ხალხი მგზნებარედ და გადაჭარბებული მოლოდინით შეხვდა, თუმცა ამ ადამიანში დიპლომატიურობა და თავდაჭერილობა უფრო მეტი დოზით არის, ვიდრე ტიპური ქართული ტემპერამენტი, ამიტომაც, საზოგადოებისთვის თავისი სათქმელი დაბერილი ძარღვებით არ უთქვამს და არც უყვირია; არც მოწი-

ნააღმდეგე მოუხსენებია შეურაცხმყოფელი და სასაცილო ფრაზებით, შესაბამისად, მისი გამოსვლები „მშრალი“ ჩანს და საზოგადოების ნაწილიც იმედგაცრუებული დარჩა. სინამდვილეში, ალასანია შემწყნარებელი, დახვეწილი და ალღიანი ლიდერია, რომელიც ცდილობს, ხელისუფლებასთან ბოლომდე არ გაწყვიტოს ურთიერთობა და აღარც რადიკალურ ოპოზიციასთან აპირებს, „აითქვიფოს“. ამ თვისებების მქონე ადამიანი ცივილიზებულ ქვეყნებში შესაფერის სიმაღლეზე იდგებოდა, მაგრამ ის გზა, რომელიც ალასანიამ აირჩია, საქართველოში მომგებიანი ვერ იქნება. ჩვენს ქვეყანაში ასეთი პერსონის ადგილი ჯერჯერობით არ არის და ძნელი სათქმელია, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში იქნება თუ არა. ეს კაცი

ლეიბორისტებს, რომლებიც ორიგინალური გამოთქმებით პირველ ადგილზე არიან, ყველაზე მყარი ელექტორატი ჰყავთ...

ქართველი საზოგადოების შეკვეთას ვერ პასუხობს... რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციას, — როგორც აღვნიშნე, ისინი ბევრ რამეში მართლები არიან, მაგრამ მათი ბრძოლა „შიშველ ფრაზებზეა“ აგებული; მხილების პოლიტიკით, გამარჯვება არ მიიღწევა, სხვა გეგმა კი არ გააჩნიათ... ქუჩაში 200-300 ათასი კაცის გამოყვანა ხელისუფლების გაშვების წინაპირობა რომ არ იქნებოდა, ამას ქუჩაში გამოსვლამდეც უნდა მიმხვდარიყვნენ. თავის მხრივ, არც ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, რომ ქუჩაში გამოსულ, მოთმინებადაკარგულ ოპოზიციასა და მათ მხარდამჭერებს რაიმე ალტერნატივა შესთავაზოს, ამიტომაც მათ დამცირებაზე გადადის და უმოქმედოს უწოდებს. ეს მათ ძალაუფლებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს... რეალობა იმის ფიქრის საფუძველს იძლევა, რომ სანამ ხელისუფლება თავის ვადას არ ამოწურავს, ეს არაფრის მომცემი ყაყანი გაგრძელდება... ოპოზიცია მართალია, მაგრამ — უუნარო, ხელისუფლება კი თავხედია, მაგრამ ისეთი თავხედი, რომ მის ხელთ არსებულ რესურსებს ქვეყანაში პრობლემების მოსაგვარებლად კი არა, საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებს.

— ოპოზიცია სააკაშვილს ყველაზე ხშირად, გაუწონასწორებლობაში ადანაშაულებს. მას გამუდმებით ახსენებენ სხვადასხვა დროს წარმოთქმულ ფრაზებსა და მანერებს...

— დიახ, მათ შორის, ჰალსტუხის დაღეჭვას, რაც ჩასაფრებული პოზიციიდან იერიშს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული პოლიტიკოსის შეტევას. ისე, თუ უცხოურ პრესას გადავხედავთ, შესაძლოა, დასავლელი დიპლომატებისგან საპირისპირო აზრიც მოვისმინოთ, მაგალითად: სააკაშვილი გაცილებით თავისუფალი და უშუალოა, ვიდრე მისი ოპონენტებიო... ოპოზიციის კიდევ ერთი სისუსტე, უფრო სწორად, დანაშაული ის არის, რომ მათ ვერ შეძლეს, ხელისუფლება, რუსეთთან წარმოებული არასწორი პოლიტიკის გამო არგუმენტირებულად გაეკრიტიკებინათ და საზოგადოება დაერწმუნებინათ იმაში, რომ კურსი, რომელიც სააკაშვილმა რუსეთთან ურთიერთობისას აირჩია, დამღუპველი იყო. გარკვეული სუსტი მცდელობები იყო, მაგრამ ხელისუფლებამ მათ გასაჩუმებლად „ჭკუა იხმარა“ და ოპონენტები რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულა. ისინი კი, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი მოსაზრებები (თუ რაში ტყუოდა ხელისუფლება) დაესაბუთებინათ, თავის მართლებას მოჰყვნენ; ამასთანავე, ოპოზიციონერებიც, თავის მხრივ, რუსეთს აძაგებენ და ხელისუფლებას მის აგენტობაში ადანაშაულებენ. ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც საზოგადოების გულის მოსაგებად იოლი ხერხი იპოვეს — რუსეთის ლანძღვა და მის აგენტობაში ერთმანეთის დადანაშაულება. ეს პრობლემას ვერ უშველის, პირიქით — გაამწვავებს.

ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეები კი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ განასახიერებენ ქართველი ადამიანის ბუნებას

ამ ადამიანში დიპლომატიურობა და თავდაჭერილობა უფრო მეტი დოზით არის, ვიდრე ტიპური ქართული ტემპერამენტი

— ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას ხშირად, რუსეთთან ომის დაწყებაშიც ადანაშაულებენ. მათი მხრიდან ასეთი განცხადებები საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქართველოს იმიჯზე როგორ აისახება?

— ამაზე საკმაოდ მკაცრ, მაგრამ ფრთხილ პასუხს გაგცემთ: ოპოზიცია ამ ბრალდებებს ხელისუფლებას ისევ გაბრაზებული ადამიანის პოზიციიდან, თუმცა მიზანმიმართულად უყენებს — ამით მისი იმიჯის შელახვას ცდილობს და სურს, მსოფლიო საზოგადოებაც მის წინააღმდეგ განაწყოს... რაც შეეხება ხელისუფლების პასუხს — რომ ის მხოლოდ თავს იცავდა რუსეთის აგრესიისაგან, — ეს ერთი შეხედვით, მართალიც არის, მაგრამ სინამდვილეში ომის გამომწვევი მიზეზები უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენება რუსეთის „საწინააღმდეგოდ“ დაიწყო და ახალ პატრონად, დემოკრატიული ამერიკა და დასავლეთის ქვეყნები აირჩია. მოკავშირე ქვეყნის მოძებნის საკითხში დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისუფალია, მაგრამ „დიპლომატიური“ ქვეყნები ამას დროშების ფრიალით კი არა, ფარულად აკეთებენ... ამავდროულად, სააკაშვილს დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობაზე არც უფიქრია, ისე დაიწყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე მუშაობა. დაკარგული მიწების დაბრუნება მთავარია, მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ხელისუფლებამ საფუძველი უნდა შექმნას. სეპარატისტული რეგიონების შემოერთება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებით უნდა დაგვეწყო, რათა მათთვის მიმზიდველად წარმოვჩენილიყავით, მაგრამ ხელისუფლებამ ამას, სამხედრო რიტორიკა ამჯობინა. ეს პერიოდი მოძალადე რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა და მისთვის სასურველ შედეგსაც მიაღწია. ამიტომ ვამბობ, რუსეთთან ომი საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის ბრალია-მეთქი... ■

აბრამოვიჩს ლონდონიდან ბაქოში სუში 40 ათას გირვანქა სტერლინგად ჩაუტანეს

დიდ ბრიტანეთში რუს ოლიგარქებზე კიდევ ერთი წიგნი დაიწერა

რუსმა ოლიგარქებმა დიდი ხანია, საცხოვრებლად ლონდონი აირჩიეს და უკვე სახელიც კი სათავისო — ლონდონგრადი შეარქვეს. ისინი იქ ათეულ მილიონობით გირვანქა სტერლინგად ყიდულობენ მიწებს, მამულებსა და იახტებს. ნისლიან ალბიონზეც თითქოს, იმდენად შეეჩვივნენ გადაპრანჭულ რუს მდიდრებს, რომ მათზე უკვე ფილმებს იღებენ, ტელეგადაცემებს ამზადებენ და წიგნებსაც წერენ. თუმცა, რუსი „ფულის ტომრების“ ყოველი მორიგი ფართო ჟესტი, თავისი არნახული გაქანებითა და ასეთივე არნახული უგუნურებით, ინგლისელებს მაინც, უწინდებურად აოგნებს.

ახლახან დიდ ბრიტანეთში რუს მდიდრებზე კიდევ ერთი წიგნი გამოვიდა. მისი მთავარი პერსონაჟები რომან აბრამოვიჩი, ოლეგ დერიპასკა, ბორის ბერეზოვსკი და კიდევ ათობით სხვა, ლონდონში მცხოვრები რუსი ბიზნესმენია.

რომან აბრამოვიჩი მხოლოდ ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი კი არა, იაპონური სამზარეულოს დიდი თაყვანისმცემელიცაა

წიგნს „ლონდონგრადი: რუსეთიდან ნაღდი ფულით“ (Londingrad: From Russia with Cash) ჰქვია. მისი ავტორები მარკ ჰოლინგსუორტი და სტიუარტ ლენსლი არიან. წიგნი 400-ზე მეტ გვერდს შეიცავს და 12,29 გირვანქა სტერლინგი (615 რუსული რუბლი) ღირს.

„თუკი გამომწვევი ვულგარულობის, ცუდი გემოვნებისა და წარმოუდგენლად მდიდარი ადამიანების დაუნდობლობის ცქერა გატკბობთ, მაშინ ეს წიგნი თქვენთვისაა ზედგამოჭრილი“, — ნათქვამია ბრიტანულ გაზეთ The Sunday Times-ში გამოქვეყნებულ წიგნის რეცენზიაში.

ბერეზოვსკიმ მამული ვერტმფრენიდან აირჩია

ამჟამად, ლონდონში თითქმის, 300 ათასი რუსი ცხოვრობს, რომელთაგან დაახლოებით, 100 არნახულად მდიდარიცაა. სხვათა შორის, 300 ათასს ნებისმიერი საშუალო სიდიდის ინგლისური ქალაქის, მაგალითად, ლეიჩესტერის მთელი მოსახლეობაც კი არ შეადგენს. 300 ათასი რუსი თვით დიდი ბრიტანეთის დედაქალაქისთვისაც ფრიად შთამბეჭდავი ციფრია და მას შემთხვევით როდი შეარქვეს ლონდონგრადი.

მდიდარი რუსები ნისლიანი ალბიონისკენ გასული საუკუნის 90-იან წლებში, სწრაფი პრივატიზაციისა და რუსეთის მრეწველობის დატაცების შემდეგ დაიძრნენ. ლონდონში ისინი თავიდან დაბეგვრის შეღავათიანმა ნორმებმა მიიზიდა — ადრე ხომ იქ საზღვარგარეთ ნაშოვნ კაპიტალზე არანაირ გადასახადს არ ითხოვდნენ. ამასთან, რუს მდიდრებს ლონდონის, როგორც მოდური ქალაქის სტატუსიც იზიდავდა, მოგვიანებით კი იმასაც მიხვდნენ, რომ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი რუსეთის ხელისუფლებისგან გამოქცეულთა საიმედო თავშესაფარია, ანუ მაშინაც კი, თუ სამშობლოში შენ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების მთელი ტომებია შექმნილი, დიდ ბრიტანეთში მაინც თავისუფალი ადამიანი ხარ და შეგიძლია, ქუჩებში, ვითომც აქ არაფერიაო, ისე ისეირნო. ამიტომაცაა, რომ ოლიგარქები ამ ქალაქში ფულს არაფერში იშურებენ.

ბერეზოვსკიმ უენტვორტ-პარკში მდებარე მამული 20,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად, მხოლოდ ვერტმფრენიდან ერთი შეთვალიერების შემდეგ იყიდა

როგორც ზემოთ ნახსენებ წიგნშია მოთხრობილი, რუსი მდიდრები დიდი მხატვრების: პიკასოს, მონესა და უამრავი თანამედროვე მხატვრის ნაწარმოებებსაც მეტრობით, როგორც შპალერის რულონებს, ისე ყიდულობენ. ეს „რულონები“ ხომ ასე ძალიან უხდება უცხო თვალისთვის დაფარულ მათი სახლების ინტერიერს. იგივე ხდება უძრავი ქონების შეძენის დროსაც. ამასთან, რუს ოლიგარქებს ლონდონში გვერდიგვერდ მდგარი, 4-5 სახლის ყიდვა და შემდეგ მათი ერთ, ფეხბურთის მოედნისხელა სასტუმრო ოთახის მქონე გიგანტურ სახლად გაერთიანება აღარ აკმაყოფილებთ — მათ დარბაზები ქალაქგარეთაც „სჭირდებათ“. მაგალითად, ბერეზოვსკიმ უენტვორტ-პარკში მდებარე მამული 20,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად, მხოლოდ ვერტმფრენიდან ერთი შეთვალიერების შემდეგ ისე იყიდა, რომ არც კი დაინტერესებულა, შიგნით რა ხდებოდა.

„ეკლიპსი“ მინისუბმარინითა და საჰაერო თავდაცვის სისტემითაა აღჭურვილი და თითქმის, 300 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს

ოლეგ დერიპასკა

როგორც წიგნის ავტორები წერენ, ასეთ მდიდრებთან მიმართებაში გამოთქმამ — „ფულის ტომარა“ სრულიად კონკრეტული მნიშვნელობა შეიძინა. გაყიდვების ერთი აგენტი იხსენებს: „ერთმა მდიდარმა რუსმა 64 მილიონ გირვანქა სტერლინგად ლონდონის ცენტრში ორი და შოტლანდიაში ერთი სახლის ყიდვის თხოვნით მომმართა. მე, რა თქმა უნდა, მაშინვე მისი საბანკო ანგარიშით დავინტერესდი, მაგრამ ნაღდ ფულს ვიხდიო, — მიპასუხა. რუსებს თავიანთი სახლების მარმარილოთი მოპირკეთება უყვართ და ასევე, უამრავ ფულს ხარჯავენ ელექტროგაყვანილობაში. მაგალითად, ერთმა მაგნატმა დააყენა სისტემა, რომლის დახმარებითაც, 5 ათასი მილის მანძილიდან — ფაქტობრივად, სხვა კონტინენტიდან — შეუძლია იმის დანახვა, თუ ვინ აკაკუნებს მისი სახლის კარზე. რუს ოლიგარქებს 2.000 გირვანქა სტერლინგი, სპეციალური მობილური ტელეფონებიც აქვთ, რომლის წყალობითაც, რაღაც მანქანებით, თავიანთი საუბრების გარედან მოსმენის დაბლოკვას ახერხებენ“.

მდიდარი რუსები ყველაზე ძვირად ღირებულ მანქანებს — „როლს-როისს“, „ბუგატს“ და „ლამბორჯინის“ ანიჭებენ უპირატესობას. მათი ყოველი მოდევნო იახტაც უწინდელზე განსაცვიფრებელია. მაგალითად, აბრამოვიჩის მომცრო კუნძულისხელა თეთრი იახტა — „ეკლიპსი“ მინისუბმარინითა და საჰაერო თავდაცვის სისტემითაა აღჭურვილი და თითქმის, 300 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს.



თავის მოკრძალებულ და გემოვნებით ორგანიზებულ წვეულებებზე რუსი მდიდრების მიწვევა ძალიან უყვარს

ლორდებს „ფულის ტომრებთან“ დამეგობრება სურთ

რუსი ოლიგარქები ლონდონში უკვე იმდენად შინაურები და ახლობლებიც კი გახდნენ, რომ მათთან დამეგობრებას ლამის მთელი ადგილობრივი დიდკაცობა ცდილობს. როგორც წიგნის ავტორები წერენ, მათ ირგვლივ ტრიალებს ცნობილ ბრიტანელთა მთელი გუნდი — პიტერ მენდელსონი, ნეტ როტშილდი, ლორდები, ნაირ-ნაირი ქალბატონი და ელტონ ჯონი, რომელსაც თავის მოკრძალებულ და გემოვნებით ორგანიზებულ წვეულებებზე რუსი მდიდრების მიწვევა ძალიან უყვარს. სხვათა შორის, ამ მოვლენას თვით The Sunday Times-ის ენაალესილი ჟურნალისტებიც კი ნორმალურად მიიჩნევენ. როგორც წიგნის რეცენზიის ავტორი, როდ ლიდლი აღიარებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლონდონი „სულ უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და საცხოვრებლად ღირსეული ქალაქი ხდება“.

რუსი ოლიგარქების საყვარელი ავტომობილები

ძვირად ღირებული ვახშამი

როგორც ირკვევა, რუსი მილიარდერი და კლუბ „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი მხოლოდ ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი კი არა, იაპონური სამზარეულოს დიდი თაყვანისმცემელიცაა. როგორც ჩანს, წიგნის ავტორებისთვის ისტორიაში საჭმლის ყველაზე ძვირად ღირებული შეკვეთის შემთხვევაც გახდა ცნობილი. თურმე, ნუ იტყვით და, ერთ საღამოს, როცა სავახშმოდ დაჯდა, აბრამოვიჩს ადგილობრივი კი არა, იაპონური სამზარეულოს სიკეთეებით ტკბობა მოუნდა. მან თავისი სურვილის შესახებ თანაშემწეს აუწყა და პრობლემაც შემდეგნაირად გადაიჭრა: თანაშემწემ, 1.200 გირვანქა სტერლინგად აღმოსავლეთ ლონდონში მდებარე ფეშენებელურ რესტორან Ubon-ში სუში შეუკვეთა. ეს კერძი ლიუტონის აეროპორტში, ლიმუზინით მიიტანეს, საიდანაც აბრამოვიჩის კერძო თვითმფრინავით, თითქმის 5 ათასი კილომეტრით დაშორებულ აზერბაიჯანში ჩაიტანეს. მართალია, ოლიგარქს ეს კაპრიზი 40 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც უნდოდა, ზუსტად ისე ივახშმა. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 106

ომის დროს დაბომბილი კასპი

და ბაქრაძის და ბორისოვის საიდუმლო შეხვედრა

გასული წლის აგვისტოს ომის დროს, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საჰაერო იერიში კასპის რაიონზეც მიიტანეს. დაბომბვის შედეგად დაზიანდა მდინარე ლეხურაზე გადასასვლელი ხიდი, სატელეფონო კომუნიკაციები, ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალი, საცხოვრებელი სახლები და მიღებული დაზიანებებისგან ერთი ადამიანი გარდაიცვალა. საოკუპაციო ჯარები კვირაზე მეტხანს პატრულირებდნენ კასპში მანამ, სანამ ქართლის ამ პატარა ქალაქში პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის და გენერალ ვიაჩესლავ ბორისოვის საიდუმლო შეხვედრა არ შედგა...

ემა ტუხიამშვილი

გია, *კასპის მკვიდრი:*

— 6 აგვისტოს, როგორც კი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, ჩვენი რაიონიდან 350 რეზერვისტი გაიწვიეს. კასპის რაიონი ყოველდღე იღებდა დევნილებს კონფლიქტის ზონიდან და გორის რაიონიდან. ომის პირველ დღეებში, დევნილთა რაოდენობამ 7000 კაცს მიაღწია. 12 აგვისტოს კი კასპის გავლით, უკვე ქართული ჯარის ნაწილები ბრუნდებოდნენ... ხმა გავრცელდა, თითქოს რუსული ჯარები უნდა შემოსულიყვნენ და რაიონის გამგეობისა და პოლიციის შენობები უნდა დაეკავებინათ. მოსახლეობა რაღაც ცუდის მოლოდინში იყო, მაგრამ ხალხი სახლების დატოვებას არ ჩქარობდა. იმ დღეს კასპში რუსული ჯარის ნაწილები არ შემოსულან, მაგრამ ღამით, ორის 20 წუთზე კასპის თავზე ორი რუსული გამანადგურებელი გამოჩნდა. საზარელმა ხმამ შეძრა მთელი ქალაქი და მალევე აფეთქებების ხმაც გაისმა. ქალაქი ჯერ განათდა, შემდეგ კი უკუნეთმა მოიცვა. მხოლოდ მეორე დღეს, გამთენიისას გახდა შესაძლებელი, გვენახა, რომ ერთი ჭურვი კასპის ცემენტის ქარხნის სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე იყო ჩამოვარდნილი, მეორე იქვე მდებარე საცხოვრებელ კორპუსთან აფეთქდა და მნიშვნელოვნად დააზიანა შენობა. კიდევ ერთი ჭურვი სარკინიგზო მაგისტრალს დაეცა, რის შედეგადაც დაინგრა რკინიგზის მეისრის ჯიხური, ხოლო მეისრე მურაზ მერებაშვილი მიღებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა. კიდევ რამდენიმე ჭურვი მდინარე ლეხურაზე გადასასვლელ ხიდს დაეცა. იმავე გამანადგურებლებმა სოფელ სამთავისის თავზეც გადაიფრინეს და რამდენიმე ბომბი სოფლის სასაფლაოზე ჩამოაგდეს. ჭურვების ნამსხვრევები ფაქტობრივად მთელ ქალაქში იყო მიმობნეული, თითქმის ყველა შენობის მინები ჩამსხვრეული იყო. 13 აგვისტოს ქალაქში ისევ გავრცელდა ხმა, რომ ოკუპანტები კასპში შემოდიოდნენ. ამ ცნობის შემდეგ მოსახლეობის უმეტესობა თბილისისკენ დაიძრა. ქალაქში მხოლოდ ხანდაზმულები და ყველაზე გულადი ადამიანები დარჩნენ — ისინი, ვისაც საკუთარი ქალაქი დამპყრობლებისთვის არ ეთმობოდათ და თუ ამის საჭიროება იქნებოდა, სისხლის ბოლო წვეთამდე დაიცავდნენ კასპს რუსი ოკუპანტებისგან. 14-ში დილით, რუსული საბრძოლო ავტომობილები მართლაც გამოჩნდა ჩვენი ქალაქის ქუჩებში. რამდენიმე ტანკი ქალაქის ცენტრში განთავსდა. მოსახლეობის დაყაჩაღების, ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები რუსი ოკუპანტების მხრიდან ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ხალხი მაინც ძალიან შეშინებული და დაძაბული იყო. მოსახლეობასთან საუბრისას რუსი ჯარისკაცები აცხადებდნენ, რომ კასპში სამშვიდობო მისიით იყვნენ შემოსული და ხალხს კაზაკების და ჩრდილოკავკასიელი მაროდიორებისგან იცავდნენ. საკვებ პროდუქტებსა და სასმელს მაღაზიებში ყიდულობდნენ და საბრძოლო მანქანებში ეძინათ.

ლია, *კასპის მკვიდრი:*

— სხვათა შორის, ერთ-ერთ ჯარისკაცში კასპიდან წასული, ეროვნებით ოსი ბიჭი შევიცანით. თავადაც გამოგველაპარაკა, მოგვიკითხა და სინანული გამოხატა იმის გამო, რაც ხდებოდა. ჩვენს ქუჩაზე, ჩემს შვილებთან ერთად გაიზარდა და შეუძლებელია ქართველების მიმართ სიძულვილი ჰქონოდა. მანამ, სანამ რუსი ოკუპანტები კასპში იმყოფებოდნენ, ჩვენს ქალაქში საინტერესო შეხვედრა შედგა. თავის დროზე, კასპი ინდუსტრიული ქალაქი იყო. ცემენტის ქარხნის გარდა, აქ მუშაობდა საკონსერვო, ელექტროქარხანა და ამის გამო ქალაქში ბევრი რუსი ეროვნების ოჯახი ჩამოვიდა საცხოვრებლად. ზოგი არეულობის პერიოდში სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ვინც ქართველებს დაუნათესავდა, კასპში დარჩა საცხოვრებლად. მაშინ, როდესაც იგოეთში რუსული ტანკები იდგნენ და კასპიც ოკუპანტების ხელში იყო, ჩვენს ქალაქში რუსი გენერლის, ბორისოვისა და დავით ბაქრაძის შეხვედრა შედგა. არ ვიცი, ვინ იყო ამ შეხვედრის ინიციატორი, მაგრამ ბორისოვის პირობა ასეთი ყოფილა, რომ შეხვედრა კასპელი რუსის ოჯახში უნდა შემდგარიყო. ეს მოთხოვნა ქართულმა მხარემ გაითვალისწინა და ბაქრაძე და ბორისოვი ჩვენი თანაქალაქელის, გვარად ვორონას ოჯახში შეახვედრეს. მთელი ქალაქი ერთი მხრივ, ქართველი სპეცრაზმელებით, მეორე მხრივ კი რუსი სამხედროებით აივსო. ჩვენთვის უცნობია ამ შეხვედრის შინაარსი. სხვათა შორის, ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციაც არსად გამოქვეყნებულა. უფრო მეტიც — პარლამენტის საგამოძიებო კომისიაშიც კი არავის უკითხავს ბაქრაძისთვის ბორისოვთან შეხვედრის შესახებ. ერთი კი ცხადია, ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, რუსულმა სამხედრო ნაწილებმა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიიდან გასვლის ბრძანება მიიღეს. 25 აგვისტოს რუსი ჯარისკაცები კასპიდანაც გავიდნენ, მაგრამ ერთი თანამებრძოლი დარჩათ, რომელიც თურმე ნასვამი ყოფილა და სადღაც ჩრდილში ეძინა, როდესაც მისი მეგობრები ქალაქს ტოვებდნენ. მეორე დღეს, უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი მშვიდობიანად გავაცილეთ კასპიდან. ■



MK

„ჯოცა იმიჯს ვიცვლი, საკუთარ თავს ველარ ვცნობ“

„საკუთარი გარეგნობით ძირითადად, კმაყოფილი ვარ, მაგრამ პერიოდულად, რაღაცები არ მომწონს ხოლმე. ამ დროს ვცდილობ, ჩემს გარეგნობაში რაღაც უკეთესობისკენ შევცვალო. ჩემი აზრით, ქალი სულ უნდა ცდილობდეს, რომ მრავალფეროვნად და საინტერესოდ გამოიყურებოდეს“, — მითხრა მსახიობმა ეკა ანდრონიკაშვილმა, რომელსაც არც ფოტოების გადაღება ეზარება და არც — მათი დახევა.



მიყვარს კამერა და მის წინ პოზირება, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს

არაქართული გარეგნობის მსახიობის ფაშისტური გამომეტყველება

მარეხ ჭონიშვილი

— მიყვარს კამერა და მის წინ პოზირება, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. სურათის გადაღებისას ყოველთვის ვცდილობ, სხვადასხვანაირად გამოვიყურებოდე. აი, მაგალითად, ამ სურათში ფაშისტის გამომეტყველება მაქვს. ეს ფოტო ფილმის სინჯების დროსაა გადაღებული. მართალია, მაშინ როლზე დამამტკიცეს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პროექტი ჩაიშალა... აი, ამ ფოტოზე ნაზი ქალი ვარ, აქ კი ბიზნესქალბატონი და როგორც ხედავთ, შესაბამისი, საქმიანი ქალის გამომეტყველება მაქვს.

მსუქანი და კეთილი ბავშვი გახლდით. რუსი ქალბატონი მზრდიდა, რის გამოც, 3 წლის ასაკამდე რუსულად ვლაპარაკობდი

იერით დედას უფრო მამსგავსებენ, ხასიათით — მამას

სხვათა შორის, მე-8 კლასში გახლდით, კლასის მისად რომ ამირჩიეს

— როგორი ბავშვი იყავი?

— მსუქანი და კეთილი ბავშვი გახლდით. რუსი ქალბატონი მზრდიდა, რის გამოც, 3 წლის ასაკამდე რუსულად ვლაპარაკობდი. ძალიან მიყვარდა თოჯინებით სახლობანას თამაში, მერე კი, როცა წამოვიზარდე, ექიმობანას თამაში დავიწყე. მახსოვს, საშლელზე ცარცს ვუსვამდი და ჩემს გამოწერილ რეცეპტზე ბეჭედს ასე ვსვამდი (*იცინის*).

— გაპრანჭვა რა ასაკიდან დაიწყე?

— გაპრანჭვა ცოტა გვიან დავიწყე. როცა პირველად პომადა წავისვი, საშინლად არ მომეწონა. გავიფიქრე, — ნეტავ, ამაში რა მოსწონთ-მეთქი?!

— შენი თანატოლებისაგან რით გამოირჩეოდი?

— ქერა თმით და ჩემი არაქართული გარეგნობით. სხვათა შორის, მე-8 კლასში გახლდით, კლასის მისად რომ ამირჩიეს.

— სკოლის დამთავრების შემდეგ როგორ გამოიყურებოდი?

— სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. როცა იმ პერიოდში გადაღებულ სურათებს ვათვალიერებ, მეცინება, ისეთი მსუქანი ვიყავი, მაგრამ შემდეგ, თანდათანობით, ყოველგვარი დიეტის გარეშე დავიკელი და მას შემდეგ ასეთი გამხდარი ვარ.



ყოველდღიურად ღია ფერის მაკიაჟს ვხმარობ

ასეთი სურათი რამდენიმე ვარსკვლავთან გადავიღე

— ყურები რა ასაკში გაიხვრიტე?

— ყურები არც ბებიას, არც — დედას და არც მე არა გვაქვს გახვრეტილი. ასე რომ, ყველა საყურე „კლიპსებზე“ მაქვს.

— გიყვარს აქსესუარები?

— დედას ბევრი სამკაული ჰქონდა, რომელსაც ერთ უჯრაში ინახავდა. ჰოდა, ბავშვობაში იმ უჯრის დათვალიერება ძალიან მიყვარდა. აქსესუარები ყოველთვის მიზიდავდა. ვცდილობ, ზაფხულში სადა და ნაზი სამკაულები ვატარო. ხშირად მიკეთია ნათლობის ჯვარი და ნათლიის ნაჩუქარი ოქროს კულონი, რომელსაც ლალის თვალი ამშვენებს.

— პირველად მაკიაჟი როდის გაიკეთე?

— ბავშვობაში. 8 მარტის ზეიმი გვქონდა და დედამ ამ დღისთვის მკვეთრი მაკიაჟი გამიკეთა. მაშინ მომწონდა, მაგრამ ახლა როცა იმ სურათებს ვათვალიერებ, ვფიქრობ, რომ სასაცილოდ გამოვიყურები. ამჟამად, ყოველდღიურად ღია ფერის მაკიაჟს ვხმარობ, ასევე,

როგორც ხედავთ, საქმიანი ქალი ვარ

ამ სურათში ფაშისტის გამომეტყველება მაქვს

ამ ფოტოზე ნაზი ქალი ვარ

ძალიან მომწონს იაპონელი და აფრიკელი ქალები და ხშირად მქონია მცდელობა, რომ ფოტოებში მაინც მათ დავმსგავსებოდი

ტუშისა და „რუმიანის“ გარეშე სახლიდან არ გამოვდივარ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი სპექტაკლი მაქვს, მუქ მაკიაჟს ვიყენებ.

— თმას ხშირად იღებავ?

— საკმაოდ ხშირად და სხვათა შორის, ამ მხრივ, ექსპერიმენტების ჩატარებასაც არ ვერიდები. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ თმა მწვანედაც კი შევიღებე. როცა იმიჯს ვიცვლი, სარკეში საკუთარ თავს ველარ ვცნობ ხოლმე.

— თმას განსაკუთრებულად თუ უვლი?

— ბავშვობაში თავს გვირილის ნაყენით მბანდნენ, რაც ჩემს თმას უცნაურ ფერს აძლევდა. თხელი თმა მაქვს და ამიტომაც, ახლა მოცულობის მოსამატებელ სპეციალურ შამპუნს და ბალზამს ვხმარობ. ხშირად ვსტუმრობ სილამაზის სალონს თმის დასავარცხნად.

— ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— უპირატესობას ქალურ სტილს ვანიჭებ. მიყვარს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. მაგრამ მანქანის მართვა ძალიან გამიჭირდა და ამიტომაც გადავედი „ტანგეტკაზე“, რომელიც მაღალიცაა და შედარებით მოსახერხებელიც... გული ძალიან მწყდება, რადგან დღეს თეატრში და კონცერტებზე საღამოს კაბების გარეშე დადიან.

— ეკა, ამ სურათში იაპონურ სამოსში ხარ გამოწყობილი...

— ძალიან მომწონს იაპონელი და აფრიკელი ქალები და ხშირად მქონია მცდელობა, რომ ფოტოებში მაინც მათ დავმსგავსებოდი.

— ფოტოსურათებში სხვადასხვა ფორმის ქუდი გახურავს...

— ბევრნაირი ქუდი მაქვს და ვფიქრობ, რომ მიხდება კიდეც, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხშირად ვხმარობ.

— ამ სურათზე მშობლებთან ერთად ხარ. საინტერესოა, რომელს ჰგავხარ?

— ორივეს — იერით დედას უფრო მამსგავსებენ, ხასიათით — მამას.

— ალბომის დათვალიერება თუ გიყვარს?

— წლების განმავლობაში უამრავი ფოტო დამიგროვდა და მათ დათვალიერებას ბევრი დრო მიაქვს. ამიტომ, სურათებს იშვიათად ვათვალიერებ. ახლა ფოტოების უმრავლესობას კომპიუტერში ვინახავ, აღარ ვბეჭდავ. ყველა რომ დავბეჭდო, ალბათ, მანქანის გაყიდვა მომიწევს (*იცინის*).

— სურათი თუ დაგიხევია იმის გამო, რომ საკუთარი თავი არ მოგწონებია?

— მითხრეს, ფოტოს დახევა არ შეიძლებაო, მაგრამ მე მაინც ვხევ, კომპიუტერიდანაც ვშლი. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, არ მინდა, მომავალმა თაობამ ის სურათი ნახოს, რომელშიც საკუთარი თავი არ მომწონს.

— ეს სურათი კი ჯეკ ნიკოლსონის ვარსკვლავთან გაქვს გადაღებული...

— შარშან ქართული კინოს წარმომადგენლები ლოს-ანჯელესში ვიყავით კონტაქტების დასამყარებლად. ეს ფოტო სწორედ მაშინაა გადაღებული. ასეთი სურათი რამდენიმე ვარსკვლავთან გადავიღე. ■

ახლა ფოტოების უმრავლესობას კომპიუტერში ვინახავ

უპირატესობას ქალურ სტილს ვანიჭებ. მიყვარს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი

როცა იმიჯს ვიცვლი, სარკეში საკუთარ თავს ველარ ვცნობ ხოლმე

ხშირად ვსტუმრობ სილამაზის სალონს თმის დასავარცხნად

ბევრნაირი ქუდი მაქვს და ვფიქრობ, რომ მიხდება კიდეც

„მე და ჩემი შეყვარებული „ვაჟიკაცებით“...

„სიყვარული ადამიანმა არ უნდა ეძებოს, მან თვითონ იცის, ვისთან და როდის უნდა მივიდეს. ამჟამად ჩემი გული თავისუფალია. მშვიდად და წყნარად ვცხოვრობ, რადგან მჯერა, რომ მოვა დრო და ის ერთადერთი, ვისთან ერთადაც ოჯახის შექმნა მომინდება, აუცილებლად გამოჩნდება“, — მითხრა მომღერალმა ***ნოდიკო ტატიშვილმა.***

მარეხ ჭონიშვილი

— ნოდიკო, მითხარი, რომ ამჟამად შეყვარებული არ გყავს. არასდროს ყოფილხარ შეყვარებული?

— რა თქმა უნდა, ვყოფილვარ.

— როგორი ხარ, როცა გიყვარს?

— სიყვარული ჩემზე ძალიან კარგად მოქმედებს. როცა შეყვარებული ვარ, უფრო აქტიური და მობილიზებული გახლავართ. ვცდილობ, ჩემს საყვარელ ადამიანს ყურადღება არ მოვაკლო. ასევე გვერდით მყოფების მიმართ მეტ სითბოს ვიჩენ.

— როგორი გოგონები მოგწონს?

— პირველად ყურადღებას ყოველთვის გარეგნული მხარე იქცევს. ამიტომ გოგო, რომელიც ჩემს ყურადღებას მიიქცევს, ლამაზი და სადა უნდა იყოს. ვულგარული გარეგნობის გოგონები არ მომწონს... ამასთან თბილიც უნდა იყოს; თუ ადამიანისგან სითბო არ მოდის, ასეთ ადამიანთან მიჭირს ურთიერთობა.

— აქტიური გოგონები არ მოგწონს?

— გოგო ზომიერად აქტიური უნდა იყოს. მისი ყურადღება თავს არ უნდა მაბეზრებდეს. საერთოდ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში მიმაჩნია, რომ პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას, ქალმა კი თავი დაიფასოს...

— ნოდიკო, ახლა შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს დედა, მამა და და. დედა პედაგოგია და დაწყებით კლასებში ასწავლის. მამა ამჟამად უმუშევარია. ჩემი და კი სწავლითაა გატაცებული, „მარადმწვანე“ სტუდენტია. მიუხედავად იმისა, რომ 28 წლისაა, დაიჟინა და სასწავლებლად ლონდონში წავიდა. საკმაოდ მხიარულ, მოსიყვარულე და სტუმართმოყვარე ოჯახში გავიზარდე, ჩემმა მშობლებმა ოჯახი მცირე ასაკში შექმნეს. დედა 18 წლის გახლდათ, მამა — 21-ის.

— შენ რამდენი წლის ხარ?

— 22-ის.

— შენი მშობლების მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შენ და შენი და დაოჯახებას აგვიანებთ.

— ხშირად ამბობენ: დაოჯახება ადრეულ ასაკში ჯობიაო, მაგრამ ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. თან სიყვარული ისეთი რამეა, არ იცი, როდის გეწვევა. ეტყობა, ჩემი და ჩემი დის ცხოვრებაში ჯერ არ გამოჩენილა ისეთი ადამიანი, დაოჯახება რომ გადაგვეწყვიტა.

— მშობლები არ გეუბნებიან — ცოლი მოიყვანეო?

— პირიქით. მათ უნდათ, რომ ჯერ ჩემს კარიერას მივხედო. გარდა იმისა, რომ მომღერალი ვარ, მეორე სპეციალობაც მაქვს — სახელმწიფო მართვის მოხელე ვარ. ამ სპეციალობითაც მინდა სამუშაო ვიშოვო და კარიერა გავიკეთო.

— შენს დადებით თვისებად რას მიიჩნევ?

— როგორც ყველა ადამიანს, მეც მაქვს ჩემი დადებითი და უარყოფითი თვისებები, მაგრამ ახლა დადებითი თვისებების ჩამოთვლას არ შევუდგები, რადგან თავის ქება ცუდ ტონად მიმაჩნია.

— მაშინ უარყოფითი თვისება გაგვიმხილე.

— საშინლად ჯიუტი ვარ! გაბრაზებული როცა ვარ, იმ დროს ძალიან რთულია ჩემთან ურთიერთობა. ახლობლებმა და მეგობრებმა ამ ჩემი თვისების შესახებ იციან და ამიტომ ცდილობენ, ასეთ დროს არ დამელაპარაკონ, რადგან საშინლად ვიღრინები ხოლმე (*ციინის*). მაგრამ გაბრაზება დიდხანს არ მიმყვება და მალევე მავიწყდება.

— რამ შეიძლება, გაგაბრაზოს?

— ვერ ვეგუები უსამართლობას და იმას, როცა ჩემს ცხოვრებაში უხეშად ერევიან.

— მავნე ჩვევა თუ გაქვს?

— არ ვიჩხირავ და არც ვსვამ, მხოლოდ სიგარეტს ვეწევი.

— არასდროს დამთვრალხარ?

— ალკოჰოლურ სასმელებს არ ვეტანები. იმიტომ კი არა, რომ ხმას ვუფრთხილდები ან ცუდი სიმთვრალე მაქვს, უბრალოდ, ალკოჰოლი არ მიყვარს. მაგრამ არის ხოლმე მომენტი, როცა უნდა დალიო და 4-5 ჭიქაში უკვე მაგრად ვთვრები. აი, ყავა კი შემიძლია, დღეში რამდენჯერმე მივირთვა.

— მარტო ცხოვრებამ რომ მოგიწიოს, საკუთარი თავის მოვლას შეძლებ?

— მიყვარს, როცა ჩემ ირგვლივ კომფორტი და სისუფთავეა, ამიტომ ჩემს სახლში და განსაკუთრებით ჩემს ოთახში ყოველთვის ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ ამ ყველაფერს, გულწრფელად ვიტყვი, დედაჩემი აკეთებს, ხანდახან მეც ვცდილობ, დავეხმარო, მაგრამ არ გამომდის, ისე ვერ ვაკეთებ, როგორც საჭიროა, ამიტომ მირჩევნია, მან გააკეთოს.

— დაუთოება, რეცხვა თუ გეხერხება?

— ეს ორი საქმე არასოდეს გამიკეთებია. დაუთოების ნაცვლად ტანსაცმელი შეიძლება, დავწვა ან უფრო დავკუჭო. ასეთ პრობლემებსაც დედა მიგვარებს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ალბათ დამოუკიდებლადაც გავართმევ რამენაირად თავს.

— კერძების მომზადება თუ იცი?

— ვერც კულინარიაში ვერკვევი, მაგრამ თუ ძალიან მშია და მარტო ვარ, შემიძლია, ელემენტარული რამ მოვამზადო და შიმშილით თავი არ მოვიკლა.

— ქართულ ტრადიციებზე რა აზრის ხარ?

— ტრადიციული ადამიანი ვარ და ქართულ ტრადიციებს პატივს ვცემ, მაგრამ არის რაღაცები, რასაც დღეს ვერ გააკეთებ, იმიტომ, რომ XXI საუკუნეა.

— ქართული ტრადიციის მიხედვით, ბიჭი გოგოს ხელის სათხოვნელად ოჯახში უნდა მივიდეს; ასე მოიქცევი?

— ძალიან ლამაზი ტრადიციაა, მაგრამ მე სხვანაირი დაქორწინება მინდა. როცა ოჯახის შექმნას გადავწყვეტ, მე და ჩემი შეყვარებული „გავიპარებით“! ის მღელვარება და ნერვიულობა, რაც „გაპარვას“ ახლავს თან, ძალიან საინტერესოდ და რომანტიკულად მეჩვენება.

— სიდედრი და სიმამრი რომ გაგიბრაზდებიან?

— რატომ უნდა გამიბრაზდნენ, მათ შვილს ხომ არ მოვიტაცებ (*იცინის*)? ამ შემთხვევაში კი არ ბრაზდებიან, უფრო გული სწყდებათ, ასეთი სერიოზული ნაბიჯი მათმა შვილმა დაუკითხავად რომ გადადგა. მიმაჩნია, რომ როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, მათ უნდა გადაწყვიტონ, ოჯახი როგორ შექმნან.

— შენს მეუღლეს საოჯახო საქმეები უნდა ეხერხებოდეს?

— რა თქმა უნდა. ხომ ვთქვი, კომფორტი მიყვარს-მეთქი. ჩემმა მეუღლემ უნდა იზრუნოს ჩემზე და ეს კომფორტი შემიქმნას.

— მაგრამ თუ დაქორწინების შემდეგ აღმოაჩინე, რომ საოჯახო საქმეების კეთება არ იცის?

— თუ მასთან ერთად ოჯახი შევქმენი, ესე იგი, ძალიან მიყვარს, ამიტომ ვაპატიებ (*იცინის*), იმ პირობით, თუ ნელ-ნელა ყველაფრის გაკეთებას ისწავლის.

— შენი მომავალი ცოლის მზითევით თუ დაინტერესდები?

— ჩემი აზრით, მზითევსა და მატერიალურ მდგომარეობაზე ლაპარაკი, როცა ადამიანი გიყვარს, უხერხული და მეასეხარისხოვანია.

— ცოლს ჩაცმულობას თუ გაუკონტროლებ?

— აკრძალვები და კონტროლი ურთიერთობაში ზედმეტია. ზოგიერთი ცოლს სიგარეტის მოწევას უკრძალავს, მაგრამ ის მაინც ახერხებს. ჩუმად მოწევას მირჩევნია, ვიცოდე, რომ ეწევა.

— როგორ ფიქრობ, დაქორწინების შემდეგ წყვილმა ცალკე უნდა იცხოვროს?

— ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ჩემთვის ალბათ სულერთი იქნება, რადგან არ მყავს ისეთი მშობლები, რომ ჩემს ცოლთან შეგუება გაუჭირდეთ.

დამეთანხმებით, რომ მშვენიერი სასიძოა, ამიტომ ნოდიკოს თაყვანისმცემლებო, იაქტიურეთ და გამოუგზავნეთ მას მესიჯები და კითხვები ტელეფონის ნომერზე: 855-45-48-50.

■

თუ მიგაჩნიათ,
რომ საინტერესო
ამბავი იცით და გსურთ,
ის ყველას გააგებინოთ...

**მოჰყევით
თქვენი
ამბები**

ამბები.ge-ზე

შვილის ქორწილში აკირეებული მსახიობი, „ჯულიეტას“ ეკაპობრივი სიყვარული და ანის „ავსტრალიური“ ოცნება

ჩემი ულამაზესი რესპონდენტისთვის ჯერ კითხვაც არ დამესვა, რომ მამცნო: სხვათა შორის, ეს ჩემი პირველი ინტერვიუ არისო. თუმცა ტყუპი ქალ-ვაჟის ახალგაზრდა დედას, მეუღლეს, ცნობილი მსახიობების — ზურაბ ცინცქილაძისა და თამარ დათუაშვილის უმცროს ქალიშვილს — ანი ცინცქილაძეს საუბრისას შებოჭილობა არ დასტყობია — არც სილაღე აკლდა, არც სითამამე. ვიმედოვნებ, მისით თქვენც დაინტერესდებით და იქნებ, ჩვენი გაცნობა-ჭაშნიკიც ანისთვის დიდი წარმატებებისა და პოპულარობის საწინდარი გახდეს.

ირმა ხარშილაძე

— ბავშვობიდან ვიცოდი — ან მსახიობი გამოვიდოდი, ან დიზაინერი. ბოლო მომენტში მაინც გრაფიკული დიზაინის სპეციალობა ავირჩიე და სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე. მაგრამ ეკრანთან მაინც „ვმეგობრობ“ — რეკლამებში, სერიალებში, კლიპებში მიღებენ. ძალიან მინდა, რომელიმე ქვეყანაში სამსახიობო კურსები გავიარო. მაგალითად, ვიცი, რომ ოცნების ახდენა ავსტრალიაში, სიდნეიში შემიძლია — ჩემმა მეგობარმა და მამაჩემის ნათლულმა — თათული ბართაიამ, რომლის მამაც, ყოფილი მსახიობი გია ბართაია იმ ქალაქში ცხოვრობს (თათულიმ კი თავად დაამთავრა სიდნეის თეატრალური სასწავლებელი), ამჯერად მეც შემომთავაზა, ერთად წავიდეთ და შენც იქ ჩააბარეო, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით მოვახერხებ: — ჩემი ტყუპი — მარიამი და მერაბიკო რამდენიმე დღის წინ მხოლოდ ერთი წლის გახდნენ... აი, ცოტათი წამოვზრდი და მერე ერთად წავალთ. რაც მთავარია, მეუღლე თანახმაა (*იცინის*).

ვფიქრობ, მამას უფრო ვგავარ, თუმცა დედის იერი მაქვს...

— ვინ არის შენი მეუღლე?

— იურისტია და ხელოვნებასთან არაფერი აკავშირებს... რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახის გარდა (*იცინის*).

— პირველ სერიალში მშობლების რეკომენდაციით მოხვდი?

— კამერის წინ სერიალამდე გაცილებით ადრე დავდექი, სამი წლის ასაკში. გახსოვთ „ანოსა და ვანოს“ სიმღერა — „საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია“? ამ სიმღერის კლიპში გიორგი შარაძემ გადამიღო. მაშინ, ალბათ, დედამ და მამამ მიმიყვანეს, მე არაფერი მახსოვს, მერე კი ამ მხრივ მშობლები აღარ „შემიწუხებია“. ერთხელ თათულის დედამ მითხრა, „იმედზე“ სერიალი „კექსი დიდ ქალაქში“ რომ გადის (თათულიც მონაწილეობდა), ერთ-ერთი როლისთვის გოგონა სჭირდებათ და სცადე, ეგებ, აგიყვანონო. მართალია, სტუდენტი უნდოდათ, მე კი 15 წლის ვიყავი და ისევ სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ მაინც მივედი, მომიწონეს და მიმიღეს. ჩემს მშობლებსაც ძალიან გაუხარდათ.

— მშობლები, ალბათ, გამორჩეულად განებივრებდნენ, გეფერებოდნენ — შენ ხომ უფროს დაზე — თეაზე გაცილებით პატარა ხარ?

— ჩვენ შორის 14 წელიწადია სხვაობა. ვერ ვიტყვი, რომ გამორჩეულად მექცეოდნენ. თვითონ ვიყავი ძალიან ხალისიანი, ლაღი ბავშვი. თეა თითქოს უფრო სერიოზული იყო. თურმე პატარაობისას ჩემსავით, რამდენჯერაც მიუყვანიათ გადაღებაზე, ყოველთვის დაუმორცხვებია...

— მოდი, შენი მშობლებიც „გავჭოროთ“ — ვთქვათ, ზურა როგორია ოჯახში?

— მიუხედავად იმისა, რომ სახის მკაცრი გამომეტყველება აქვს, სულაც არ არის ასეთი. ჩემს მეგობრებსაც ძალიან მკაცრი ეგონათ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ძალიან მეგობრული მამა მყავს. მე რომ ვმშობიარობდი, მამა ბათუმში იყო წასული. ბავშვები ღამის სამ საათზე დაიბადნენ, მშობიარობამდე ყველა ახლობელს, მათ შორის — დედასაც, მეუღლესაც ჩვეულებრივად ვურეკავდი და გზადაგზა ვეუბნებოდი, რა ხდებოდა, სამშობიაროდ რომ წამიყვანეს, მამას დავურეკე — ველარ მოვითმინე, გული ამიჩუყდა და ავტირდი... საწყალი მამაც ავატირე (*იცინის*). იმდენად თბილი და მოსიყვარულეა, მასთან ხშირად მემართება ასეთი რამ. მამა ძალიან გულჩვილია. ალბათ, გოგონებთან ყველა მამა ასეთია, მაგრამ... მაგალითად, ჩემს ნიშნობამდე ისე ინერვიულა, წინაღამეს სიცხემ აუწია, ღამის 39 გრადუსი ჰქონდა.

— სიძე მოიწონა?

— მე და ჩემი მეუღლე ორი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. მამასაც რამდენჯერმე გავაცანი, მაგრამ ყოველი გაცნობის შემდეგ მაინც მეკითხებოდა, ვისთან ერთად იყავიო? — იმდენად არ უნდოდა, ადრე გავთხოვილიყავი (*იცინის*).

— შენც ასე წამდაუწუმ რატომლა აცნობდი?

— ვეხუმრებოდი. ამას ჩემი მეუღლეც იუმორით იღებდა.

— დედა — თამრიკო როგორია?

— თამრიკოც ძალიან კარგი მეგობარია. გადაჭარბებულად თბილიც კი არის.

— დედას ძალიან ჰგავხარ?

— თითქოს კი, მაგრამ ვფიქრობ, მამას უფრო ვგავარ, თუმცა დედის იერი მაქვს... თეა სულ მამის მხარესაა — ცინცქილაძეებს ჰგავს.

— მშობლები ძალიან თუ გაგბრაზებიან?

— ისეთი ბავშვი ვიყავი, გასაბრაზებელს არაფერს ვაკეთებდი. სერიოზულს

MK

არაფერს ვაშავებდი. რომ წამოვიზარდე, შემიყვარდა და პაემნებზე დავდიოდი (ჩემს მეუღლესთან გაცნობისა და შეყვარებულობის პერიოდს ვგულისხმობ), საგულდაგულოდ ვმალავდი მშობლებთან. შინ არასდროს ვაგვიანებდი, ყოველთვის განსაზღვრულ დროს ვბრუნდებოდი და ამიტომაც ვერაფერს იგებდნენ. ამას, ძირითადად, გაკვეთილების ხარჯზე ვაკეთებდი, ხანდახან კი „ალიბად“ მეგობრებთან ყოფნას ვასახელებდი. მგონი, არც მამოწმებდნენ. ძალიანაც არ მსიამოვნებდა ტყუილები, მაგრამ რატომღაც სიმართლის თქმის მეუხერხულებოდა.

— საბოლოოდ, შეაპარე თუ პირდაპირ უთხარი?

— ეტაპობრივად ვუმჟღავნებდი (*იცინის*). ჯერ ვთქვი: ერთ ბიჭს მოვწონვარ-მეთქი. მერე განვავრცე: მგონი, შევუყვარდი კიდეც-მეთქი. მერე გამოვტყდი: მეც მომეწონა-მეთქი და... ასე, ნელ-ნელა მივედით ნიშნობამდე. ჩემმა მომავალმა მეუღლემ, ვაჟა კალანდაძემ ჯერ ჩემს დას უთხრა, დაქორწინებას ვაპირებთო, მერე ჩემმა დამ უთხრა მშობლებს, მგონი შეყვარებულიაო, ერთმანეთიც გაიცნეს, მაგრამ მე რომ ჩამეკითხებოდნენ, მაინც გაურკვევლად ვპასუხობდი — იმდენად პატარად მთვლიდნენ დედა და მამა — 18 წლის ვიყავი — რომ გადაჭრით რამის თქმას ვერ ვახერხებდი, ვერ ვბედავდი (*იცინის*).

— ვაჟამ სად და როგორ აგიხსნა სიყვარული?

— ვაჟაც ეტაპობრივად გამომიტყდა სიყვარულში (*იცინის*).

— ერთ დღეს გითხრა: „მე“, მეორე დღეს — „შენ“ და მესამე დღეს — „მიყვარხარ“?

— დაახლოებით, ეგრე იყო (*იცინის*). მეც ეტაპობრივად მივედი სიყვარულამდე. ვაკვირდებოდი, ვაკვირდებოდი და... ყველაფრით მოვიხიბლე. ძალიან მამაკაცურია და ქალთან ურთიერთობისას — დახვეწილი. თანაც ჩემზე ცოტათი უფროსიცაა, 24 წლის, მაშინ კი 21 წლის იყო.

— იცოდა შენი კინოწარსულის შესახებ?

— კი, იცოდა, რადგან უკვე სარეკლამო რგოლებშიც ვიყავი გადაღებული. თავიდან ძალიან წუწუნებდა, მაგრამ მაინც ვიყოლიებდი გადაღებაზე. ხანდახან ვუთმობდი და უარს ვამბობდი... მაგალითად, შეყვარებულობისას ერთ-ერთ რეკლამაში საქორწინო კაბა უნდა მცმოდა. ვაჟას ძალიან არ ესიამოვნა: მივხვდი, ასე გამოწყობილი მხოლოდ მის გვერდით სურდა ვენახე. ძალიან მთხოვა, არ წახვიდე გადაღებაზეო, ვიჩხუბეთ კიდეც, საბოლოოდ კი მაინც არ ვაწყენინე — არ წავედი. გათხოვების შემდეგაც ბევრ სარეკლამო ვიდეორგოლში გადამიღეს, ფოტოსესიებიც მქონდა, სერიალ „მესამე თაობაშიც“ მოვხვდი, რეჟისორმა ნიკა ხომასურიძემ შარშან „დავით აღმაშენებელშიც“ გადამიღო — უკვე ფეხმძიმედ ვიყავი, სატელეფონო კომპანიების რეკლამებშიც ისევ მიღებენ...

— ბალი-ბიჭს უფრო უყვარხარ თუ ვაჟიკოს? ან ვაჟიკო ხომ არ ეჭვიანობს ბალი-ბიჭზე?

— რომელს მეტად ვუყვარვარ, არ



გათხოვების შემდეგაც ბევრ სარეკლამო ვიდეორგოლში გადამიღეს

ვიცი, მაგრამ ბალი-ბიჭზე ვაჟიკო ნამდვილად ეჭვიანობს (*იცინის*)...

— ჯვარი სად დაიწერეთ?

— სვეტიცხოველში. ძალიან ლამაზი ჯვრისწერა გვქონდა. საერთოდ, ქორწილის მთელი ცერემონიის დიზაინერი, ფაქტობრივად, მე ვიყავი. რა თქმა უნდა, გაფორმებაზე პროფესიონალმაც იმუშავა, მაგრამ თეთრკაბიანი ბავშვებით ქორწილის გალამაზება ჩემი იდეა იყო — ჩემი დისშვილი და ვაჟიკოს ბიძაშვილები გამოვპრანჭეთ. საქორწინო სუფრა კი რესტორანში 450 კაცზე გაიშალა.

— ქორწილში დედამ და მამამ იმღერეს *(ზურაც და თამრიკოც საუცხოოდ მღერიან — ავტ.)*?

— არ უმღერიათ, ალბათ, ძალიან ნერვიულობდნენ. წარმოგიდგენიათ? — მამამ ჯვრისწერის დროს და ხელის მოწერის მომენტშიც იტირა (*იცინის*).

— მარიამისა და მერაბიკოს პირველი დაბადების დღე — 26 ივლისი სად აღნიშნეთ?

— კოჯორში. სადღესასწაულო ცენტრში გართობისას მაინც ვერაფერს გაიგებდნენ, ამიტომ გამოვიდა, რომ უფროსებმა მოვილხინეთ (*იცინის*)... ბავშვები ჯერ მართლა ძალიან პატარები არიან და წარმოდგენა არა აქვთ, რომ მათ დედიკოს ძალიან მოსწონს გადაღებაზე ყოფნა, კამერის წინ მუშაობა, მაგრამ... გულახდილად გეტყვით, რომ ვოცნებობ თეატრზე, სცენაზე. ამიტომაც მინდა, სადმე, დრამის სკოლაში ჩავაბარო.

— მგონი, ახლაც „ეტაპობრივად“ ლაპარაკობ. ბარემ, აღიარე, რომ სწორედ ავსტრალიაში, სიდნეის დრამის სკოლაში გინდა ჩაბარება.

— (*იცინის*) კი. იმ სკოლაში მინდა, სადაც ნიკოლ კიდმანი მასტერკლასებსა და ლექციებს ატარებს. ვოცნებობ შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“ ჯულიეტას როლის შესრულებაზე...



თეთრკაბიანი ბავშვებით ქორწილის გალამაზება ჩემი იდეა იყო — ჩემი დისშვილი და ვაჟიკოს ბიძაშვილები გამოვპრანჭეთ

ირაკლი წერეთლის გაპრეზიდენტების შეთხვევაში,

დედ-მამის გაყრის მუდმივი შიშის გრძნობით იზრდებოდა. დედა მკაცრი ჰყავდა, მამა, როგორც თავად ამბობს, არ „უსურებდა“. ალბათ, ამიტომაც მიჰბაძა მას და როგორც კი წამოიზარდა, ქალებზე „ნადირობა“ დაიწყო. ამბობს, რომ ქალებთან გასეირნება ცოლის ღალატი სულაც არ არის. თავად, ცოლს გაეყარა, უფრო სწორად, ის წავიდა... მიზეზებზე საუბარი არ სურს... ქრისტიანულ სარწმუნოებას მრავალცოლიანობის მიუღებლობას უწუნებს.

პრეზიდენტობისთვის კვლავ ემზადება. ახლა 40-დღიანი შიმშილობისთვის იკრებს ძალას და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მორიგ ინტერვიუზე შესაძლოა, დაცვის თანხლებით მოვიდეს ბატონი ირაკლი წერეთელი. ამჯერად კი, ქავთარაძის ქუჩაზე, მოკრძალებულ ბინაში ვესტუმრეთ.

ქალებს ენის დამოკლება და კაბის დაგრძელება მოუნდათ

ნინო მჭედლიშვილი

— ჩემი მშობლები — აწ განსვენებული სიდამონ წერეთელი და ელეონორა ჯიბლაძე გარეგნობით, ხასიათით, ბუნებით, მოვლენებთან დამოკიდებულებით ტიპური ქართველები იყვნენ. სამშობლოს სიყვარული, ერის სიყვარული, კაცთმოყვარეობა, პოეზიის, მწერლობის, ხელოვნების სიყვარული — სწორედ მათგან ვისწავლე.

— როგორი ბავშვი იყავით?

— ცელქი, ფათერაკების მოყვარული, ცოტათი ზარმაციც. რაც მაინტერესებდა, მხოლოდ იმას ვსწავლობდი, ტექნიკური საგნები არ მიყვარდა. ერთი პერიოდი ხატვამ გამიტაცა, მაგრამ ამის ნიჭი არ აღმომაჩნდა და თავი დავანებე. მეოცნებე ბავშვი ვიყავი.

— ლექსებს ბავშვობაშიც წერდით?

— ვწერდი. მაქვს ლექსები სიყვარულზეც, სამშობლოზეც. პატრიოტულ ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი.

— დედა უფრო მკაცრად გექცეოდათ თუ მამა?

— დედა, რა თქმა უნდა! მამაჩემი მოქეიფე კაცი იყო და სახლშიც იშვიათად გახლდათ. მას ქალებშიც უყვარდა სიარული.

— მერე, დედა ამას როგორ ეგუებოდა?

— დედაჩემი სიდამონის სიმთვრალეს ვერ იტანდა, თორემ ქალებში მისი სიარული დიდად არ აღელვებდა. მთავარი იყო, სიდამონს სიმთვრალეში არ შეეწუხებინა — მამას უყვარდა გინება, ჩვენი „სმირნაზე“ დაყენება, დატერორება.

— მერე, თქვენ მოგწონდათ მამის ასეთი საქციელი?

— მე მამაჩემი არ „მიხურებდა“, სულ სიმამაცისკენ, ვაჟკაცობისკენ მომიწოდებდა.

— დედას რომ აბრაზებდა, პროტესტს არ გამოთქვამდით?

— მშობლების ჩხუბის შემდგომ ყოველთვის იყო ლაპარაკი მათ დაცილებაზე, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვიყავი. მე ორივე მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ოჯახში მატერიალური კეთილდღეობა უმეტესად, დედის წყალობით იყო, რატომღაც, მამას დიდ პატივს ვცემდი.

— მამა არ მუშაობდა?

— მუშაობდა, მაგრამ დედა ფიზიკოსი იყო, მეცნიერებათა დოქტორი და მეტი შემოსავალი ჰქონდა. მამაჩემს რომ თავისი თანამდებობა გამოეყენებინა და ფული ეკეთებინა (როგორც არაერთი საბჭოთა ადამიანი იქცეოდა), მილიონერები ვიქნებოდით, მაგრამ ის ხელფასზე გახლდათ დამოკიდებული. უამრავ სიკეთეს აკეთებდა, მაგრამ აბსოლუტურად უანგაროდ, ძმაკაცობით. ამიტომ იყო, რომ მამაჩემს ზაურ ბოლქვაძემ ასეთი ლექსი მიუძღვნა: „ღმერთობას ნიშნავს სიდამონობა და სიდამონის მინდა მონობა“. შოთა ნიშნიანიძეს და ტარიელ ჭანტურიასაც აქვთ მამაჩემისადმი მიძღვნილი ლექსები.

— დედმამიშვილები გყავთ?

— ერთი და მყავს, ჩემზე 5 წლით უმცროსი. ახლა 2 შვილის დედაა. დედის გზას გაჰყვა — ნინოც გეოფიზიკოსია. ძალიან მკაცრ-

— მგონი, ჯულიეტას ასაკს გადასცდი...

— მაინც მინდა. თავს დავიპატარავებ (*იცინის*). ვიცი, რომ თეატრს დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ შევძლებ. მარიამსა და მერაბიკოს კი მამიკო წამოიყვანს ხოლმე თეატრში და სპექტაკლებს დაასწრებს. ჩემს თეატრალურ კარიერაზე მე და ვაჟას ხშირად გვისაუბრია და გადაწყვეტილებასაც, რა თქმა უნდა, ერთად მივიღებთ. სხვათა შორის, პროფესიაში დასაოსტატებლად მაგისტრატურის დამთავრებაც საზღვარგარეთ მინდა, ოღონდ ეს სამი-ოთხი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამ დროისთვის ჩემი ტყუპიც გაიზრდება და წაყვანაც გამიიოლდება.

— დედასთან და მამასთან ერთად ფილმში გადაღებაზე ან სპექტაკლში თამაშზე არ გიოცნებია?

— სხვათა შორის, ერთხელ ბათუმში, სიმღერის კონკურსზე ერთად ვიმუშავეთ — დედა და მამა ჟიურის წევრები იყვნენ, მე — წამყვანი... ისე კი ძალიან მინდა, სცენაზე ერთად ვითამაშოთ. და მაშინაც ჯულიეტას შევასრულებდი, დედა და მამა კი იქაც დედა და მამა იქნებოდნენ.

— რომეოც ხომ არ შეგირჩევია?

— ვაჟიკო ხომ ვერ ითამაშებს — ის იურისტია (*ფიქრობს*)... რომეო — ლეონარდო დი კაპრიო იქნება (*იცინის*).

— რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული ლეგენდად იქცა, შენი სიყვარულიც ძალიან ძლიერია, მაგრამ მიწიერი. რას გაიღებდი სიყვარულისთვის?

— 18 წლის გავთხოვდი... სიყვარულისთვის (*იცინის*)... და თუ მსხვერპლის გაღება მართლა დამჭირდება, აუცილებლად გავიღებ, რადგან ვფიქრობ, რომ სწორედ სიყვარული არის ადამიანის ცხოვრებაში უმთავრესი. ■



ჩემი ტყუპი — მარიამი და მერაბიკო რამდენიმე დღის წინ მხოლოდ ერთი წლის გახდნენ...

რი ძმა ვიყავი. ეზოში ჩასვლას, წანწალს და ბიჭებთან ყველანაირ ურთიერთობას ვუშლიდი.

— მერე, როგორ გათხოვდა?

— (*იცინის*) 4 წელი ციხეში ვიყავი და ამით ისარგებლა. როცა ჩამოვედი, ნინო უკვე სტუდენტი იყო, ჩამოყალიბებული, წესიერი პიროვნება და ამიტომაც, აღარაფერს ვუშლიდი. ჩემი მთავარი მოთხოვნა იყო, ჩემი სიძე არაქართველი არ ყოფილიყო და ამას მივაღწიე. თუ გინდათ, ნაციონალისტობა დამაბრალეთ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩემთვის.

— შორს წავედით... რომელი სკოლა დაამთავრეთ?

— 151-ე. მასწავლებლებთან კარგი ურთიერთობა მქონდა. არ მიყვარდა ქიმია, მაგრამ კარგი პედაგოგი მყავდა — მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. ისტორია მიყვარდა ძალიან. ახლა გული მწყდება, რომ მაშინ, როცა გავლენიანი კაცი ვიყავი, ჩემს მასწავლებლებს არ დავუძახე და არ ვაქეიფე.

— რა მეთოდებით აბრაზებდით მასწავლებლებს?

— მაშინ ბიჭები კინოლენტებისგან საჩხაკუნოებს აკეთებდნენ და იმას ვახმაურებდით, „შატალოების“ დიდი ორგანიზატორი ვიყავი. გარდა ამისა, გამოვირჩეოდი ანტისაბჭოური იდეოლოგიით. ამის ნიადაგზე მქონდა კონფლიქტები მასწავლებლებთან.

— „შატალოებზე“ სად მიდიოდით?

— ლისის ტბაზე, კუს ტბაზე, კინოში, ზოგჯერ სხვა სკოლაშიც.

— კლასელი გოგონა თუ გყვარებიათ?

— ისე დავამთავრე ინსტიტუტი, ერთი გოგო არ მყვარებია. მახსოვს, 80 ლამაზი გოგონას სია მქონდა, მაგრამ ოთხმოცივე ისე მინდოდა, გასართობად. სხვათა შორის, ერთადერთი, რასაც ქრისტიანობას ვუწუნებ, ეს მრავალცოლიანობის არდაშვებაა. არადა, საჭიროა, ერს გამრავლება სჭირდება. ძალიან მომწონს ლომების ცხოვრების სტილი. ყველა ლომს ჰყავს რამდენიმე ძუ. ჩემი მხრიდან ამის თქმა უხერხული თუ არ იქნება, ჩემი ხასიათითა და ცხოვრებით სწორედ ლომს ვგავარ.

— კლასელი არ მყვარებიაო, ბრძანებდით...

— კარგი გოგონები კი იყვნენ ჩვენს კლასში, მაგრამ სხვანაირი ხასიათის კაცი ვარ. ჩემთვის შეყვარებული შორეული უნდა იყოს. ის, რაც ახლოსაა და ხელმისაწვდომი, ნაკლებად სასურველია, თორემ სამეზობლოშიც მშვენიერი გოგონები მყავდნენ.

— მაგრამ ისინი „კოლექციისთვის“, არა?

— აჰ, არა, მეზობლის ქალს ამას როგორ ვაკადრებდი?! პარალელურკლასელებისკენ, სხვა სკოლელებისკენ გამირბოდა თვალები.

— პირველი სიყვარული გახსოვთ?

— მახსოვს. საბავშვო ბაღში შემიყვარდა პირველად, მაკა ხატიაშვილი. ძალიან მომწონდა, ერთხელ საკოცნელადაც კი გავიწიე და გამექცა, მერე გოგოებმა გადამალეს. სადაც დამალეს, ყველგან მივაგენი, ბოლოს კი გოგონების „საჭირო ოთახში“ შევარდა და იქ ვერ ვიპოვე, პირსახოცები ჰქონია გადაფარებული. მერე გავიგე, 2 უფროსი ძმა ჰყოლია მაკას და არ გამლახონ-მეთქი, შემეშინდა და შევიკავე თავი. 14 წლის რომ გავხდი, მივხვდი, რომ ჭკვიანმა კაცმა შეყვარებული თანატოლებში არ უნდა მოიძიოს, ცოლზე მინიმუმ, 10 წლით უფროსი მაინც უნდა იყო.

— რატომ?

— ქალი უფრო მალე ბერდება და იმიტომ. შენც რომ 50 წლის იქნები და ისიც, ძალაუნებურად, სხვა ქალისკენ გაგექცევა თვალი.

— ცოლზე 10 წლით უფროს კაცს სხვა ქალისკენ არ გაურბის თვალი?

— ახალგაზრდა ცოლს მიხედვა სჭირდება. თუ ყურადღება მოადუნე, მერე სხვას გაექცევა თვალი შენი ცოლისკენ. ახალგაზრდა ცოლი მუდმივად დაკმაყოფილებული უნდა გყავდეს. თვალის გაქცევა ერთია, მაგრამ ქალთან ურთიერთობას, თვალის გარდა, კიდევ ერთი რამ სჭირდება — ის ერთი რაღაც, ასაკში რომ შედიხარ, ყოველთვის არ გემორჩილება კაცს (*იღიმის*).

— გულახდილად მიპასუხეთ, ცოლისთვის არასდროს გიღალატია?

— არა. ღალატი იმას ნიშნავს, სხვა ქალს რომ შეიყვარებ ცოლზე მეტად, თორემ ქართველი კაცი რომ გაისეირნებს, გამოისეირნებს და გაინადირებს, ხან ბელურას გაარტყამს მშვილდს და ხან — ხოხობს, მე ამას ღალატს არ ვეძახი. ამას ღალატს იდიოტები ეძახიან.

— და ქალმაც რომ გაისეირნოს, გაინადიროს?

— ქალმა რა უფლებით უნდა გაისეირნოს?! ქალის მხრიდან ეს ბოზობაა, ქალებში მოსიარულე კაცებს კი ბოზებს არ ეძახიან. ბოზებს ჩამშვებ კაცებს ეძახიან.

— აბა, გენდერული ბალანსი, თანასწორი უფლებებიო...

— ეგ გათახსირებული, გახრწნილი ევროპული აზროვნების შედეგია. რა გენდერული ბალანსი?! ქართველმა ქალებმა უნდა ილოცონ, ირაკლი წერეთელი არ მოვიდეს ქართული სახელმწიფოს სათავეში და მიხეილ სააკაშვილი დარჩეს ისევ, თორემ მე თუ მოვედი, მოუწევთ ენის დამოკლება და კაბის დაგრძელება. ღმერთმა ისე გაანაწილა, რომ ერთ ჯანმრთელ მამაკაცს შეუძლია, ქალთან ურთიერთობის შედეგად, წელიწადში მინიმუმ, 50 ნაყოფი მოგვცეს. ერთ ქალს, როგორი ჯანმრთელიც უნდა იყოს, წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეუძლია იმშობიაროს. ასე რომ, ბუნებამ თავად გადაწყვიტა, როგორი

ცოლ-შვილთან ერთად

ბალანსი უნდა იყოს ქალსა და მამაკაცს შორის.

— თქვენს სასიყვარულო თავგადასავლებზე ვსაუბრობდით...

— მაკას მერე იყვნენ: თამრიკო, ნინო...

— ...ლეილა, ლონდა, ელისო, არა?

— (*იცინის*) არა, ელისო მართლა არ ყოფილა... სიმართლე თუ გინდათ, სიყვარუ-

ლით მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა — ეს იყო ჩემი ცოლი. თუმცა, მერე უფრო შემიყვარდა, როცა დავოჯახდით, თორემ მანამდე კარგად არც ვიცნობდი. მაშინ 72 ქალი მყავდა სიაში, იქიდან საუკეთესოები იყვნენ ოცეულში, უფრო კარგები — ათეულში. ნათია შვიდეულიდან ამოვარჩიე. ძალიან მომეწონა.

— ეი. საცოლეს არ იცნობდით?

— როგორ არ ვიცნობდი, მაგრამ სად მქონდა იმის დრო, რომ 72-ვე ქალი კარგად გამეცნო?! მაშინ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი ლიდერი ვიყავი (მერაბ კოსტავა უკვე ცოცხალი აღარ იყო), ზვიად გამსახურდიასთან და გიორგი ჭანტურიასთან ერთად.

— როგორ შეუღლდით?

— ნათია მოვიტაცე. 4 თვე არ მცალიაო, — მითხრა და სად მქონდა ამდენი დრო?! ერთი მხრივ, მომეწონა მისი პასუხი. არც ერთი გოგონა, ირაკლი წერეთელმა კი არა, სულ რომ ტარიელმა, ავთანდილმა ან ალექსანდრე მაკედონელმა სთხოვოს, მაშინვე არ უნდა დათანხმდეს სიყვარულზე. ჩემი ყოფილი ცოლი ახმეტელია, ვაჟკაცი მამის შვილია, საკმაოდ თავშეკავებული გოგოა, კარგად აღზრდილი. მაშინ მასაც არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავდა და მეც ბევრი გოგონა მომწონდა, როგორც უკვე გითხარით. ერთს ნინო ერქვა, შეხვედრა ვთხოვე და უარი რომ მითხრა, ამან ჩემს თავმოყვარეობაზე ძალიან იმოქმედა. ამასობაში, ნათია გამოჩნდა და მასზე გადავიტანე ყურადღება. ნათია ჭკვიანი აღმოჩნდა, შეხვედრაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ მითხრა, — 4 თვე გადაწყვეტილებას ვერ მივიღებო. ერთხელაც, გავასეირნე და თავად მივიღე გადაწყვეტილება. ქსნის ხეობაში წავიყვანე. ამ ხეობის დეოკუპაცია მარტო იმიტომ უნდა მოხდეს, რომ ჩემი პირველი და ჯერჯერობით, ერთადერთი ცოლი იქ წავიყვანე.

— პირველი ქორწინებიდან გყავთ ქალიშვილი, გვანცა...

— 17 წლის არის უკვე.

— მაშ, ახლა მის თაყვანისმცემლებზე მოგიწევთ ნერვიულობა...

— გვანცას ჩემი კონტროლი არ სჭირდება, აფთარივით დედა ჰყავს, რომელიც შვილის თავს არავის დაჩაგვრინებს. ჰყავს ბიძა, ბაბუა. მე მძიმე არტილერია ვარ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამუშავდება. ჩემმა ქალიშვილმა იცის, რომ ჯერ არ უნდა გათხოვდეს, არ გაიპაროს და როცა ამის დრო მოვა, ქართველი ვაჟკაცი უნდა შეარჩიოს. გვანცამ ისიც იცის, რომ არ უნდა იყოს თანამედროვე ქალი. მე მგონია, რომ თანამედროვე ქართველი ქალების 80%-ს ვაჟკაცი კაცი ცოლად არ მოიყვანს.

— აბა, დავლუპულვართ...

— რატომ, ამ საკითხის გამოსწორება შეიძლება. თუ ქალი მრუდე გზას ადგება, ეს კაცების ბრალია. მამაკაცი უნდა იყოს მომთხოვნი. ამასთან, მან კეთილი უნდა ინებოს და როცა ცოლს მოიყვანს, მისი რჩენაც შეძლოს. შენ რომ დივანზე წამოწვები და ცოლი გახდება ოჯახის მარჩენალი, ცოტა ხანში ის ქალი არ დაგემორჩილება, სულ რომ ალენ დელონი იყო.

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

— გადასარევი. ჩემთვის არავის უთქვამს, შენთვის ღვინის სმა არ შეიძლებაო. მამაჩემს ეხვეწებოდნენ, — არ დალიოო, მე კი მეხვეწებიან, როცა დალევ, არ „გაგვიხურო“, არ დაიძინოო. როცა სმას ვიწყებ, პერიოდულად, მაგიდასთან ჩამომეძინება ხოლმე (*იცინის*).

— გავკადნიერდები და გკითხავთ, რატომ დაინგრა თქვენი ოჯახი?

— ეს ცოტა დელიკატური საკითხია. ამაზე რომ ვილაპარაკო, ჩემი პოზიცია უნდა გავამართლო და... 15 წელი ვიცხოვრეთ ერთად. არაფერი დანგრეულა, უბრალოდ, გავშორდით ერთმანეთს. დანგრევას ხმაური მოჰყვება ხოლმე, ჩემსა და ნათიას დაცილებას კი დიდი ხმაური არ მოჰყოლია, ამით არავინ შეწუხებულა.

— ზარმაცი ხართ?

— რა თქმა უნდა, იმ შესაძლებლობების 50% მაინც რომ გამომეყენებინა, რომელიც ღმერთმა და ბუნებამ მომცა, ახლა ასე არ უნდა ვცხოვრობდე. სუფთა ქართველი თავადიშვილი ვარ, ზარმაცი და ამიტომაცაა, რომ დღეს სხვები არიან პრეზიდენტები. შეიძლება, ვინმეს ჩემი სიზარმაცის ამბავი გაუკვირდეს. ბოლოს და ბოლოს, ამდენი მიტინგი მაქვს ჩატარებული, მაგრამ თანამიმდევრულობა და ორგანიზებულობა მაკლია. მახასიათებს გაფანტულობა, მაგრამ ვფიქრობ, ამ უარყოფით თვისებებს დარჩენილ წლებში გამოვასწორებ. ჩემი სიზარმაცის ბრალია, რომ ამას წინათ მიხეილ სააკაშვილმა და იმ ბავშვებმა შემარცხვინეს, რომლებიც ბაიდენს შეხვდნენ. პატარები ინგლისურად ჭიკჭიკებდნენ, მე კი ერის ლიდერობაზე მაქვს პრეტენზია და ქართულის გარდა, არც ერთი ენა არ ვიცი. რუსული ვიცი მხოლოდ, მაგრამ ამას ცოდნა არც ჰქვია... არაერთხელ ვცადე უცხო ენის შესწავლა, მასწავლებლები ჩემი ნიჭით აღფრთოვანდნენ კიდეც, მაგრამ ყველაფერი მალე მბეზრდება...

— კიდევ, რა ნაკლი გაქვთ?

— ფეთქებადი ვარ, ადვილად ვბრაზდები და მიყვარს საქმის გადადება. თუმცა ვიცი, რომ გადადებული საქმე ეშმაკისაა. უყურადღებოც ვარ. მგონია, რომ მეუღლესთან დაცილების მიზეზი სწორედ ჩემი უყურადღებობაა.

— თქვენს ხასიათში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?

— ტრაბახი დავიწყო? არა, ეს არ გამოვა... ჩემს თვისებებში მომწონს ის, რის გამოც, ქართველი ერის გარკვეული ნაწილი პატივს მცემს.

— და რის გამო გცემენ პატივს?

— ეს ძალიან კარგად ახსნა დათო ტურაშვილმა, თავის შესანიშნავ ისტორიულ რომანში — „იყო და არა იყო რა“. მისი თქმით, ვარ უანგარო, გულისხმიერი, სამშობლოსთვის თავდადებული, პირდაპირი და გულწრფელი. არც ერთ ადამიანს ასე სრულყოფილად არ დავუხასიათებივარ. მისგან გამიკვირდა



ჩემმა ქალიშვილმა იცის, რომ ჯერ არ უნდა გათხოვდეს

კიდეც, რადგან დათო ტურაშვილს ირაკლი წერეთელი არაფერში სჭირდება — მე ხომ არც თანამდებობა მაქვს, არც — ფული და რომ გაუჭირდეს, ვერაფრით დავეხმარები, გარდა ფიზიკური და მორალური მხარში ამოდგომისა (ღმერთმა არ გაუჭირვოს). ლექსებსაც წერდნენ ჩემზე: გიგა ოჩიაურმა მომიძღვნა ლექსი, მორის ფოცხიშვილმა კი „თავისუფლების უფლისწული“ მიწოდა.

— საინტერესოა, ქალებზე კიდევ ნადირობთ?

— ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, ქალებზე ნადირობის არანაირი სურვილი არ მაქვს. თან, ასაკიც აღარ მიწყობს ხელს.

— ვიცი, რომ იარაღი გიყვართ...

— ცივი იარაღის — დანებისა და ხანჯლების კოლექცია მაქვს. ცეცხლსასროლი იარაღიც მქონდა, მაგრამ გავაჩუქე.

— ბატონო ირაკლი, საინტერესოა, როგორ ისვენებთ ხოლმე?

— ჩემი ოცნებაა, თბილისიდან „გავეტიო“, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემთვის საუკეთესო დასასვენებელი ადგილია მაღალმთიანი, ისეთი კურორტი, სადაც ტყეები და ჩუხჩუხა მდინარეებია. დასვენება მე ასე მესმის: უნდა გამოიცვალო ჰაერი, ბუნება და ხალხი. როცა ბათუმში ან ქობულეთში ჩავდივარ, სულ თბილისელები მხვდებიან.

— ცურვა იცით?

— ჩემდა სამარცხვინოდ — არა, მაგრამ ცივ წყალში ბანაობა ძალიან მიყვარს. ზღვის წყალი საზიზღარი, უგემური და მარილიანია. მე თუ წყალი არ ვყლაპე და არ ვიყურყუმელავე, სიამოვნებას ვერ მივიღებ. ზღვის წყალი არ მიყვარს. თან, უამრავი დამსვენებელია პლაჟზე და ჩემი ფიზიკური მონაცემებით თავს ვერ მოვიწონებ.

— მერე, რას აკეთებთ წონაში დასაკლებად?

— ვშიმშილობ. ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს, როცა ვარ 6-7 დღის ნაშიმშილარი. ამ დროს არაფერი მტკივა, არც წნევა მაწუხებს და არც — შაქარი. ახლა 40-დღიანი შიმშილობა უნდა „დავარტყა“, უნდა დავიგინო და ვიშიმშილო.

— რას ლაპარაკობთ, ბატონო ირაკლი, გვლუპავთ?

— რა ვქნა, მაწუხებს ეს ზედმეტი წონა და მინდა, კარგ ფორმაში ჩავდგე.

— წარმატებებს გისურვებთ! ■

დინი ვირსალაძის ურჩობა და „გადახვევის“ წყალობით მიღწეული წარმატება

დინი ვირსალაძე აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწევა და არც ცხოვრების ჯანსაღ წესს ღალატობს: წლის ნებისმიერ სეზონზე ღია აუზს სტუმრობს. გასულ ზამთარს პიანისტისთვის სახიფათო სპორტის სახეობაში — თხილამურებით სრიალშიც მოუსინჯავს ძალები. ახლახან დინი გადაიღეს მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომლის საბოლოო სახელწოდება ჯერჯერობით, დადგენილი არაა.

ეთო ყორღანაშვილი

— ახლახან მონაწილეობა მივიღე პაკო სვიმონიშვილის მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომელშიც მთავარ („ტაპიორის“) როლს ვასრულებ: ეკრანზე პერიოდულად ვჩნდები და ვუკრავ. ჩემი გმირი ოცნებებში ისე გადავარდება, რომ ბოლოს, თითქოს მითური პენელოპე ხდება... თავიდან ბოლომდე დამონტაჟებული მასალა ჯერ არ მინახავს, მაგრამ ძალიან ლამაზი კადრებია. გარდა ამისა, მუსიკის ავტორიც მე გახლავართ.

გადასაღებ მოედანზე

— ეს კინოში თქვენი დებიუტია?

— არა, კიდევ რამდენიმე ფილმში ვმონაწილეობ. ერთ როლს სერგო ფარაჯანოვისა და დოდო აბაშიძის „სურამის ციხეშიც“ ვთამაშობდი, მაგრამ სამწუხაროდ, ის კადრები ფილმში არ მოხვდა. წმინდა ნინოს როლს ვასრულებდი, ხელში ჩემსიგრძე ჯვარი მეჭირა. მაშინ საბჭოთა პერიოდი იყო და სერგო ფარაჯანოვს ფილმის გადაღების უფლების მოსაპოვებლად ბევრი პრობლემა ექმნებოდა. მაყურებელმა ვერ მიხილა, არც მე მინახავს, მაგრამ ერთ-ერთი მსახიობისგან ვიცი, რომ ძალიან ლამაზი კადრები ყოფილა. ლამაზი რომ იქნებოდა, ეს გადასაღებ მოედანზეც ნათელი იყო: სპეცეფექტებით ისე ვაკეთებდით, თითქოს ღრუბლებში მივფრინავდი. მახსოვს, სერგო რომ ყვიროდა, — მატორ! გაფრინდი, გაფრინდიო, — დოდო აბაშიძე პასუხობდა: ეს ბავშვი მართლა არ გაგვიფრინდესო (*იცინის*)...

— დინი, ცოტა ხნის წინ, ბათუმში გამართულ ჯაზ-ფესტივალზეც იყავით. ალბათ, შთაბეჭდილებებით აღსავსე ხართ..

— ყველა ჯაზ-ფესტივალი ჩემთვის ზეიმია, ახლა კი თან ზღვაზე ვიყავი და ორმაგად ვიზეიმე (*იცინის*). ფესტივალზე მსოფლიო დონის ბევრი შემსრულებელი გამოვიდა: ვოკალისტი ფლორა პურუმი, პერკუსიონისტი აირტო მორეირა, მასეუ პარკერი, „ნეჩერლი სევენ“... ქართველი შემსრულებელი — დათო მაზანაშვილიც მონაწილეობდა. ის ერთ-ერთი ჩემი საყვარელი მუსიკოსი და მეგობარია.

— 3-დღიანი ფესტივალის ბოლო დღეს, მაყურებლის წინაშე ბიძინა ივანიშვილის რეპერი შვილიც წარდგა. რეპშემსრულებელი ჯაზმენებს შორის როგორ აღმოჩნდა?

— როგორ აღმოჩნდა, არ ვიცი, მაგრამ ალბათ, ასე იმიტომ მოხდა, რომ ჯაზის შემსრულებლებმაც „გარეპესსავით“ — რეპის ელემენტები ნამდვილად იყო და ეტყობა, რეპერს სცენაზე გამოსვლის საშუალება ამიტომ მისცეს.

— საქართველოში ჯაზს რა კატეგორიის ხალხი უსმენს?

— ძირითადად — ინტელიგენტი ადამიანები, რომლებიც „არ ჩანან,“ მაგრამ მაინც ძვირფასები არიან და არა მხოლოდ ჯაზში ერკვევიან, არამედ — კლასიკურ მუსიკაშიც, ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებშიც. საბედნიეროდ, ჯაზს თავისი მსმენელი ჰყავს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ მუსიკალურ მიმართულებას ბევრი ახალგაზრდა მოყვარულიც ჰყავს. წინათ ეს ფაქტი ჩემთვის აღმოჩენა იყო, ახლა უკვე მივეჩვიე.

— რამდენად შემოსავლიანი პროფესია გაქვთ?

— რა თქმა უნდა, შემოსავლიანი არაა. მიუხედავად ამისა, რაღაცას ვახერხებთ. თბილისის საკონცერტო ბიგ-ბენდში ვმუშაობ გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, ინდივიდუალური მიწვევები, საზღვარგარეთ კონცერტები მაქვს... საერთოდ, ჯაზი ყოველთვის იყო და იქნება მსმენელთა ვიწრო წრისთვის. ესაა ელიტარული, ინტელექტუალური მუსიკა. კომერციული ხელოვნება არაა, მაგრამ ვინც ჯაზში ერკვევა, მუსიკაში მართლა კარგად ერკვევა.

— რატომ აირჩიეთ ისეთი მუსიკალური ჟანრი, რომლის არა მხოლოდ შესრულებაა რთული, არამედ მოსმენასაც მომზადება სჭირდება?

— სხვათა შორის, უფრო რთულით დავიწყე — კლასიკური სამუსიკო განათლება მივიღე: ნიჭიერთა ათწლედი, კონსერვატორია დავამთავრე. ბავშვობიდანვე სმენით ვუკრავ, რაც იმპროვიზაციაში — ჯაზის დაკვრაში გადაიზარდა. როცა ვმეცადინეობდი და გადავუხვევდი კლასიკური მუსიკიდან, დედა სულ მაფხიზლებდა: დავალება ნუ გავიწყდება, ნუ გადაუხვევო. როცა სცენაზე ჩემი, როგორც ჯაზის შემსრულებლის, დებიუტი შედგა, საბოლოოდ „გადავუხვიე“: უამრავი მიწვევა მივიღე.

— თქვენი შემოქმედების თაყ-

ტანია-მარიასთან ერთად

ვანისმცემლები აღტაცებას როგორ გამოხატავენ?

— სხვადასხვაგვარად: ზოგი უბრალოდ, ტაშით შემოიფარგლება, მაგრამ ვხედავ, რა სიამოვნებას იღებს მუსიკის მოსმენისას, ზოგს ემოციის დაფარვა არ შეუძლია და კონცერტის მერეც მხვდება. ეს ძალიან სასიამოვნოა და ხელოვანი ადამიანისათვის — აუცილებელი. ხელოვანი იმიტომ ხარ, რომ სხვასაც მოასმენინო და შეაგრძნობინო. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?! ზოგს პირადად მოსვლის და გასაუბრების ერიდება, ზოგი კონცერტზეც ცეკვავს და ემოციებს ასე გამოხატავს.

— ორიგინალური მსმენელები თუ გყოლიათ?

— როგორ არა! მგონი, გერმანიის საელჩოში ვუკრავდით. რაღაც მნიშვნელოვანი თარიღი იყო და ჩემს ანსამბლთან ერთად მიმიწვიეს. იქ ერთმა ახალგაზრდა კაცმა ასეთი კომპლიმენტი გვითხრა: მაილს დევისები ხართო! — თუმცა მესაყვირე არც ერთი ჩვენგანი არ იყო (*იცინის*). მაილს დევისის კომპოზიციას ვუკრავდით და ალბათ, ასე ამიტომ გვითხრა.

— თქვენს ოჯახში ჯაზით სერიოზულად კიდევ ვინმე თუ არის დაინტერესებული?

— მეუღლე, რომელიც ასევე მუსიკოსია — სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა. უსმენს, უკრავს და ჩემს წარმატებაში მასაც მიუძღვის წვლილი. სერიოზულად — არა, მაგრამ ჯაზი ჩემს ბიჭსაც აინტერესებს. საერთოდ, ჩემს ოჯახში მუსიკა ძალიან უყვართ. ბიძაჩემი მელომანი გახლდათ. მისგან დიდი ინფორმაცია მივიღე. ბავშვობაში ცნობილი მუსიკოსების შემოქმედებას ვუსმენდი, თან — ოთახში ვმღეროდი, ვცეკვავდი... მიკროფონის ნაცვლად ხელში ბოთლის გასახსნელი მეჭირა.

— ცნობილი შემსრულებლების უმეტესობა ბავშვობაში სააბაზანოში მღეროდა, შამპუნის ბოთლით ხელში (როგორც თავად ამბობენ), თქვენ კი რაღაც ახლისთვის მიგიგნიათ...

— სააბაზანოში — არა, მაგრამ მაყურებლები არ მიყვარდა: ოთახში განვმარტოვდებოდი და ერთ ამბავში ვიყავი (*იცინის*)!..

— კონცერტებს საზღვარგარეთ ხშირად მართავთ?

— კი. ბოლოს კიევში მქონდა კონცერტი. კიდევ მაქვს შემოთავაზებები, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე გერმანიაში გავემგზავრები კონცერტის გასამართავად.

— ვიდრე გაემგზავრებით, ზაფხულის ცხელ დღეებს როგორ ატარებთ?

— დავდივარ წყნეთში და რაც მთავარია — აუზზე, მაგრამ აუზს წელიწადის 12-ვე თვის განმავლობაში ვსტუმრობ, რადგან ცურვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამაა ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ, სპორტი ძალიან მიყვარს.

— ცურვის გარდა, სპორტის კიდევ რომელი სახეობით ხართ გატაცებული?

— მხოლოდ ვცურავ, თუმცა წელს პირველად დავდექი თხილამურებზე და მოთხილამურეც გავხდი (*იცინის*). გუდაურში კონცერტები მქონდა და ეს მომენტი გამოვიყენე.

— ტრავმები არ მიგიღიათ?

— საერთოდ, ძალიან ექსტრემალური სპორტია, მაგრამ თფუი, თფუი, ტრავმები არ მიმიღია (*იცინის*)!. სწავლის დასაწყისში რამდენჯერმე დავეცი. რა თქმა უნდა, თხილამურებით სრიალს მწვრთნელი მასწავლიდა. ხშირად ვვარჯიშობდი, ჩემს მიღწევებს ვხვეწდი. იმ ტერიტორიაზე ერთადერთი ცხენი იყო და ერთ-ერთი დამოუკიდებელი ვარჯიშის დროს ცხენმა წამაქცია (*იცინის*).

— ეი. უკვე წარმატებული მოთხილამურე ხართ?

— მოყვარულის და პიანისტის კვალობაზე — საკმაოდ წარმატებული: მოგეხსენებათ, ყველა პიანისტი მუდმივ შიშშია — ხელებს უფრთხილდება. ■

ჯაბა ანანიძე

ბათუმელი მეცნიერი ფილოლოგები — მზია ხახუტაიშვილი და შუშანა ფუტკარაძე ახლახან დაბრუნდნენ თურქეთის ქართული სოფლებიდან, სადაც აკვირდებოდნენ იმას, თუ რამდენადაა იქ შემონახული ქართული სული. ***ქალბატონი მზია*** *მოგვითხრობს:*

— ფაცაში მცხოვრები ქართველების ცნობიერება დღემდე განიცდის სამშობლოსთან განშორების სევდას. სარფიდან 400 კილომეტრში, ფაცას სოფლებში თითოეული ეზო-კარი ისეა მორთული და ისეთი სახით შემოგეგებება იქაური მასპინძელი, რომ უთუოდ, რომელიმე ქართულ სოფელში გეგონება თავი. ისინი სევდიანად იხსენებენ მამა-პაპათაგან გადმოცემულ მუჰაჯირობის დღეებს, როცა ქართულ ოდებს უკან დაბრუნების იმედად ტოვებდნენ, ეზოებში კი ფახირებს (ქვაბს) მარხავდნენ, რათა დაბრუნების შემდეგ საკუთარი კარ-მიდამო ეცნოთ. მიდიოდნენ თურქეთში — ზოგი ფეხით, ზოგიც გემით, ცრემლითა და სამშობლოს დაკარგვის შიშით. ცნობილია ისიც, რომ ქობულეთელები თურქეთის ნაპირებთან მისული გემიდან კარგა ხანს არ ჩამოსულან, — თუ ერთად არ დაგვასახლებთ და ერთმანეთს დაგვაშორებთ, დაე, აქ ჩავიხრჩოთო. მიუხედავად ფადიშაჰის ბრძანებისა — ქართველები „დააპნიეთო“, — ჯიუტი მუჰაჯირები მაინც ფაცის ცარიელ სოფლებში ერთად დასახლეს. ჩემი ერთი რესპონდენტი, სოფელ თახთაბაშში მცხოვრები ჯემალ ცეცხლაძე იხსენებს: „ჩემს წინაპრებს წყალი და წყავი უძებნიათ აქ, მერე ლიკუმფხაც უპოვიათ მადლიან მიწაზე, ამუუღიათ და მის ფესვებზე უკოცნიათ. უნდოდენ, საქართველოში ყოფილიყვნენ მაინც, მათი წარმოდგენით“. მუჰაჯირობა ქართველთა ეროვნული ტრაგედია იყო, მაშინ დაახლოებით, 400 ათასმა ქართველმა დატოვა სამშობლო, ქობულეთში კი 2 ათასი მცხოვრებიდან სულ 500 კაცი დარჩა, გაპარტახდა სოფლების დიდი ნაწილი. მუჰაჯირები სამშობლოში დარჩენილებზე ამბობდნენ, — ისინი იქით იტანჯებიან, ჩვენ — აქეთო. ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ფაცაში დასახლების შემდეგ, ცოლშვილიანი რეჯებ ბალაძე მარტო გადმოპარულა საქართველოში, შემდეგ საზღვარი ჩაკეტილა და სიკვდილამდე შორიდან ესიყვარულებოდა ოჯახს, წერილებით. ფაცის 14 სოფელში დღეს მხოლოდ ქობულეთელები სახლობენ, მათ შორის, მხოლოდ რამდენიმეა თურქი. ფაცელი ქართველების მეტყველება, ყოფა-ცხოვრება თუ ფოლკლორი მნიშვნელოვან სამეცნიერო რესურსს წარმოად-

14 ქართული სოფელი - საქართველოდან 400 კილომეტრის დაშორებით

„ნენეი გვეტყოდა, მზემ ზღვაში ჩევდა, აქამდე რატომ არ მოითო? მიკვირდა, აქა, ფაცაში, ზემთაში ჩადის, აჭარაში რომ ჩამუედით, ვნახე, მზე რაფერ ჩევდა ზღვაში...“ — ამ ფრაზის ავტორი თურქეთის ქალაქ ფაცაში მცხოვრები ქობულეთელი ჯემალ ცეცხლაძეა. მუჰაჯირობის ტალღამ მისი წინაპრების სამშობლოდ, თურქეთი აქცია. ჯემალის მსგავსად, ფაცას 14 სოფელში ახლა ათიათასობით ქართველი, ქართულად ცხოვრობს — ქართული ენით, სიმღერით, წესით თუ ადათით ისტორიული სამშობლოს ხსენებაზე კი ზღვაში ჩასული მზე აგონდებათ...

ისტორიულ უკულმართობას შეეგუვნენ, პატარა საქართველო მოიწყვეს

„ეგერ, გალმა ეკლის ფაცხა, ნეტაი, ვიყო შენი რაცხა...“

გენს, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტებისთვის ამ ტიპის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება პრობლემაა. მე და ქალბატონმა შუშანამ ჩვენი ფინანსებით, ფაცელების გახარება მოვახერხეთ და თან, „მარგალიტებიც“ შევაგროვეთ. მაგალითად, 78 წლის უმიან შავიშვილმა ერთი ქართული ლექსის ასეთი ვარიაცია შემოგვთავაზა: „ნენემ კაბა შიმიკერა, ზეთ კობჭები დიმიკერა, გათხოვა რუმ მევდომე, კიბილები ჩიმიტეხა. ეგერ, გალმა ეკლის ფაცხა, ნეტაი, ვიყო შენი რაცხა“. ამ მოხუცს თავისი ნენეის ჩამოტირებაც ახსოვს: „ასე იტყოდა: იქა რუმ ჩევდე, ჩემს ნასახლებს, ყველას ვნახავ. ჩურუქსუში (*ქობულეთის ძველი სახელწოდება. — ავტ.*) ხიდს გევდოდი, იგზე ჩემი სახლი იყოვო“. ფაცის ქართველებში დღემდე პოპულარულია ქართული კერძები: ზეთიანი ქათამი (იგივე საცივი), ბორანო, ტათლი... ფაცელები იხსენებენ: „ჩამურში დანაყვიდენ სიმინდს, პურს, ღომს დაცეხვავდენ. იყო ხელნისქვილაი. ფურუნში შევწვავდით სიმინდს, თევზს შეწვიდენ ნიგზის ჟვერში, ჭადს — შკერის ჟვერში, ბუხარში, ნაცარში გამუაცხობდით კვერს...“ ფაცელები ამ და სხვა ქართულ ტრადიციებს ზედმიწევნით იცავენ და უფრთხილდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები არიან, მათ შელოცვებში დღემდე, ქრისტიანული ტერმინოლოგია გვხვდება. მაგალითად, თვალის ლოცვას ჰაჯერ ანანიძე ასე იწყებს: „სახელითა, ხატითა, მამითა და ძითა, ლოცვა თვალისა, დაბალისა, მაღალისა, თვალჭრელისა, თვალშავისა, მოდიოდა შავი წყალი... მე ვარ ლოცავი, ღმერთია მარგები“; შაკიკის შელოცვას მოხუცები ასე იწყებენ: „მარიავ, რას ჩივი, მარიავ, რას ტირი?“ ფაცაში აგვისტო დღემდე, მარიობისთვეა, მაგრამ ის, რომ მარიამ ღვთისმშობლის სახელს უკავშირდება, აღარ იციან.



ჩვენ „ასიმილიე“ გავხდით; წინათ, თურქი რაც უნდა ვაჟკაცი ყოფილიყო, ქალს არ მივათხოვებდითო

— ფაცაში არ არსებობს ქართული სკოლა, არ ვრცელდება ქართული ჟურნალ-გაზეთები. საინტერესოა, როგორ ახერხებენ იქაური ქართველები მშობლიურ ენაზე ლაპარაკს?

— საქმეც ისაა, რომ მალე ვეღარ ილაპარაკებენ. მათთვის ქართული ენის შესასწავლად, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვცალია. ფაცაში ერთგან გვითხრეს: ახლა ქართულს მაშინ ვიყენებთ, როცა გვინდა, შვილებმა ჩვენი ნალაპარაკები არ გაიგონონ... ახალგაზრდები ძირითადად, თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, მაგრამ უმრავლესობამ ქართულად წერა თუ არა, ლაპარაკი მაინც იცის. ერთმა მოხუცმა მითხრა: ჩვენ „ასიმილიე“ გავხდით; წინათ, თურქი რაც უნდა ვაჟკაცი ყოფილიყო, ქალს არ მივათხოვებდითო. როგორც წინათ, დღესაც ფაცაში მცხოვრები ბევრი ქართველი თურქეთის აქტიური საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეა. მუჰაჯირები, ასე თუ ისე, ისტორიულ უკულმართობას შეეგუვნენ, პატარა საქართველო მოიწყვეს, სოციალური ფონიც თანდათან გაიუმჯობესეს და დღეს ვეღარ ვიტყვი, რომელიმე ფაცელ ქართველში სამშობლოში დაბრუნების სევდა დავინახე-მეთქი. მართალია, ამაყობენ, რომ გურჯები არიან, მაგრამ ხშირად ჩამოდიან საქართველოში და ჩვენი ღარიბი ცხოვრება აკვირვებთ. მიუხედავად ყველაფრისა, ბევრს მაინც ენატრება თუნდაც ის აჭარა, სადაც მათი ფესვებია დარჩენილი და ფაცისაგან განსხვავებით, მზე მთაში კი არა, ზღვაში ჩადის...

შუა ზღვაში გაჩერებული კატერი და ტელესკოპიდან დანახული სამყარო

მსახიობი ირაკლი ფრანგიშვილი აღიარებს, რომ ბოლო წლებში ლიტერატურული ნაწარმოები აღარ წაუკითხავს. ის კარგი მკითხველი არც ბავშვობაში ყოფილა — ერჩივნა, ვინმეს წიგნის შინაარსი მოეყოლა ან იმ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი ენახა. დღეს წიგნზე ხშირად, ქართულ პრესას ეცნობა. უფრო ხშირად — ჟურნალებს. „გზა“ მოსწონს, მაგრამ შენიშვნაც აქვს — ფანტასტიკაზე მეტს თუ დაწერთ, უკეთესი იქნებაო. კითხვაზე — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდი? ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მპასუხობს: — ლიტერატურულ პერსონაჟთან მეგობრობას, ნიკო ფიროსმანთან დაძმაკაცებას ვამჯობინებდიო. მისი საყვარელი ავტორები ნოდარ დუმბაძე, მურმან ლებანიძე და გალაკტიონ ტაბიძე არიან.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ირაკლი, დასვენება სად გირჩევნია, მთაში თუ ზღვაზე?

— მთაში, ზღვა 2 დღეში მბეზრდება. ერთხელ ბათუმში კონცერტების ჩასატარებლად ჩავედით. ძალიან მაგარი სიცხე იყო და ერთმა პიროვნებამ კატერით გასეირნება შემოგვთავაზა. კონცერტი საღამოს 7 საათზე იწყებოდა, მთელი დღე წინ გვქონდა, ამიტომ მე და კიჭა დავთანხმდით. შუა ზღვაში შევედით, თან, ლუდს მივირთმევთ. ბედნიერები ვართ და უეცრად, კატერი გაჩერდა. თურმე, ბენზინი გაუთავდა. არც რაცია გვაქვს, არც — ტელეფონი, შუა ზღვაში ვართ, სადმე წახვალ თუ რა?..

— მერე, როგორ გამოხვედით?

— სხვა კატერმა გამოიარა, გავაჩერეთ და იმაში გადავსხედით. ვაი იმ გამოსვლას, დამწვრები კი არა, დანახშირებულები ვიყავით. კიდევ კარგი, იმ დღეს კონცერტი საორგანიზაციო პრობლემის მოუგვარებლობის გამო გადაიდო, თორემ არ ვიცი, როგორ უნდა გამოვსულიყავით.

— მთის კურორტებიდან უპირატესობას რომელს ანიჭებ?

— აბასთუმანში დასვენება მიყვარს, იქ ბევრი ახლობელი ადამიანი მყავს. ობსერვატორიის მიმდებარე ტერიტორია თავად დაბა აბასთუმნისგან ძალიან განსხვავდება. იქ სხვა ჰაერია.

— ტელესკოპიდან ცას არ ათვალიერებ ხოლმე?

— როგორ არა! ყველაზე საინტერესო ღამის 3-4 საათზე გახედვაა.

— ამ დროს რა მოჩანს?

— ცა წმინდაა და მთვარის რელიეფს ყველაზე კარგად ამ დროს დაათვალიერებ, თანაც, ვარსკვლავებზე ფერების საოცარი მონაცვლეობა ხდება. მოკლედ, ტელესკოპიდან კარგი ხედი ჩანს (*იცინის*).

— ამ კომპოზიტორმა მუსიკალური განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღო და იგი არაერთი ოპერის ავტორია. მის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

— ეს კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილია.

— ვინ არის მსოფლიოში აღიარებული ფილმის „ნათლიის“ რეჟისორი?

— (*ფიქრობს*) ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.

— ფრენსის...

— (*მაწყვეტინებს*) ფრენსის ფორდ კოპოლა.

— მან ვისი ნაწარმოების მიხედვით გადაიღო ეს ფილმი?

— არ ვიცი.

— „ნათლია“ პუზოს ამავე სახელწოდების რომანის ეკრანიზაციაა. რომელი ციური სხეულის სადიდებელია სვანური სიმღერა „ლილე“?

— არ ვიცი.

— მზის. რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი?

— ვა!!! იმ ზღვას რა ჰქვია?

— მიგანიშნებ, ამ ზღვის სანაპიროებზე მდებარეობს ტალინი და კოპენჰაგენი.

— არ ვიცი.

— ბალტიის ზღვა. რომელია მზესთან ყველაზე ახლომდებარე პლანეტა?

— არ ვიცი.

— მერკური. დაასახელე ბაღჩეული, რომელიც ყველაზე დიდ ნაყოფს იძლევა. ის ევროპაში ამერიკიდან შემოიტანეს და სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანაშიც საკმაოდ პოპულარულია.

— წარმოდგენა არა მაქვს...

— გოგრა. დაასრულე შოთა რუსთაველის სიტყვები: „თუ ყვავი ვარდსა იშოვის...“

— „... თავი ბულბული ჰგონია“.

— რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის ჩვენთვის ჯვარცმულ კუნძულად ცნობილი ტექსელი?

— მგონი, ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანას ეკუთვნის.

— ჰოლანდიას. რომელ ქვეყანაში იმართება კანის ფესტივალი?

— საფრანგეთში.

— როდის მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება?

— 1991 წლის 9 აპრილს.

— გადმოცემის თანახმად, რომელი ტაძარი აიგო იმ ადგილზე, სადაც იესო ქრისტეს კვართია დაკრძალული?

— სვეტიცხოველი.

— მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?

MK

— არ ვიცი. გეოგრაფია არ მიყვარს.

— ეგეოსის ზღვას. რომელი მანიაკური ქცევისკენ აქვთ მიდრეკილება კლეპტომანიით დაავადებულ ადამიანებს?

— ქურდობისაკენ.

— ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძულში“ რომელ ცხოველს ერქვა ტოპი?

— არ მახსოვს.

— ძაღლს. რამდენი წამია საათში?

— მაგას რა დაიანგარიშებს...

— ვერ მიპასუხებ?

— არა, მოიცა და გეტყვი (*ანგარიშობს*) 3600.

— რომელ თეატრში მოღვაწეობდა ეროსი მანჯგალაძე?

— რუსთაველის სახელობის თეატრში.

— ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს, ცეკას ერთ-ერთი გენერალური მდივნის დადგენილებით, საშენი მასალების ეკონომიის მიზნით, საცხოვრებელ სახლებს ჭერის სიმაღლე შეუმცირეს. ვინ იყო ამ დადგენილების ავტორი?

— ნიკიტა ხრუშჩოვი.

— რამდენჭიანია ებრაელების დროშაზე გამოსახული ვარსკვლავი?

— არ ვიცი.

— ექვსჭიანი. რომელ ბრძოლაში შეაკვდა მტერს 300 არაგველი?

— კრწანისის ბრძოლაში.

— რომელი კონტინენტია კენგურუს სამშობლო?

— აფრიკა.

— ცდები, სწორი პასუხია — ავსტრალია. წერილის მიმღებია — ადრესატი, რა ჰქვია წერილის გამგზავნს?

— არ ვიცი, რა ჰქვია?

— ადრესანტი. ვინ დაასურათა პირველად „ვეფხისტყაოსანი“?

— არც ეს ვიცი.

— მამუკა თავაქალაშვილმა. 1958 წლის ოქტომბერში, მაშინდელი კომკავშირის ხეივანზე „ქართველის დედა“ აღიმართა. თბილისის რომელი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაიდგა ეს ქანდაკება?

— 1500 წლის აღსანიშნავად.

— რომელი ქართველი პოეტი მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის დაპყრობით ომებში?

— არ ვიცი.

— გრიგოლ ორბელიანი. დაასახელე ბერძენი ისტორიკოსი, რომელსაც „ისტორიის მამას“ უწოდებენ.

— ჰეროდოტე, სწორად მახსოვს?

— ნამდვილად ასეა. ვინ იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, რომელიც ისტორიას „ზაქარიის“ მეტსახელით შემორჩა?

— ვერ გიპასუხებ.

— გიორგი XII. ბულგარეთი, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, უნგრეთი — ამ ქვეყნებიდან, ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა?

— აზერბაიჯანი.

— ცდები, ყველაზე პატარა ჩეხეთია.

— და ყველაზე დიდი ბულგარეთი, არა?

— დიახ. რომელი ქვეყნის დროშა შედგება თეთრი, ლურჯი და წითელი ზოლისგან?

— რუსეთის დროშა.

— რას უწოდებდნენ ძველ საქართველოში ნიღბებით გამართულ სახალხო თეატრალიზებულ წარმოდგენას?

— ბერიკაობას.

— 1913 წელს, ნიუ-იორკში, გამოიგონეს სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობი თამაში, რომელიც შემდეგ მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა. რაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— კროსვორდებზე.

— ახლაც კროსვორდს არ მავსებინებ (*იცინის*)? სამწუხაროდ, ცუდი რესპონდენტი ვარ.

— შემდეგი კითხვა მათემატიკიდანაა: კლასში 30 მოსწავლეა, ვაჟების რაოდენობა გოგონების რაოდენობის 50%-ია. რამდენი ვაჟია კლასში?

— კითხვა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*) არ ვიცი, სწორად გამოვიანგარიშე თუ არა — კლასში 10 ვაჟი და 20 გოგონა უნდა იყოს.

— დიახ. 1981 წელს თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიგო. ვინ იყო იმ ლეგენდარული გუნდის მწვრთნელი?

— ნოდარ ახალკაცი. მაშინ თბილისის „დინამომ“ იენის „კარლ ცაისი“ 2:1 დაამარცხა.

— „ამორძალივით მოვჯირითე რაინდთა შორის, ყინწვისის ანგელოზივით მჭმუნვარე“ — რომელ პერსონაჟს ახასიათებს ასე კონსტანტინე გამსახურდია?

— შორენას.

— რა ერქვა შორენას მამას?

— არ მახსოვს, მაგრამ გვარად კოლონკელიძე იყო.

— მამამისს თალაგვა ერქვა. რომელ ტაძარში დაიწერეს ჯვარი თამარ მეფემ და დავით სოსლანმა?

— არ ვიცი.

— დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში. ქრისტეს ამ მოციქულმა ქრისტეს ხორციელი აღდგომა მანამდე არ დაიჯერა, ვიდრე მაცხოვარს ხელით არ შეეხო...

— ასე ურწმუნო თომა მოიქცა. გამონათქვამი — „ურწმუნო თომაც“ — აქედან მოდის.

— ამ ცხოველმა რომის დამაარსებელი ძმები — რემუსი და რომულუსი გამოზარდა. მოგვიანებით მას ქალაქში ძეგლიც დაუდგეს და ეს ცხოველი რომის სიმბოლოდ იქცა. დაასახელე იგი.

— მგელი.

— აქვს თუ არა აქლემს სწორი ხერხემალი?

— რა თქმა უნდა, სწორი ხერხემალი აქვს!

— „ლამბორჯინი“, „ფიატი“, „ბენტლი“, ფერარი“ — დასახელებული ავტომობილებიდან, რომელი არ არის იტალიაში წარმოებული?

— „ბენტლი“ — ამ მარკას დიდ ბრიტანეთში აწარმოებენ.

— რამდენი შვილი ჰყავდა ილია ჭავჭავაძეს?

— მას შვილი საერთოდ არ ჰყავდა.

— ამ ადამიანის მიერ შექმნილი წიგნით უამრავი თაობა აღიზარდა. თავიდან მასში ხშირად შეეხვდებოდით ისეთ ბარბარიზმებს, როგორიცაა: ფეჩი, სტოლი, შკოლა, კარანდაში, სტაქანი. რომელია ეს წიგნი?

— თუ არ ვცდები, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

— დიახ, რომელ ქალაქშია ბრანდენბურგის კარიბჭე — ბერლინში, ვენაში, ამსტერდამსა თუ პარიზში?

— ბერლინში.

— რა ჰქვია მთავარ გმირს ვიქტორ ჰიუგოს რომანში — „კაცი, რომელიც იცინის“?

— არ მახსოვს.

— გუინპლენი. „დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,/ აქა ვარ ჩემის თავითა,/ გულითა გაუტეხელი,/ მოუღალავი მკლავითა,/ რაც უნდა ჭირი მომკერძო,/ ბილწთ არ შევეკერ ზავითა;/ მცნებას ვერ შემაცვლევინებ/ მოზღვავებულის ავითა!..“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ვაჟა-ფშაველა.

— დაბოლოს, დაასრულე ავსტრიელი კომპოზიტორის, მოცარტის სიტყვები: „გენიალობა და ბოროტება...“

— ეს ციტატა ზეპირად არ მახსოვს.

— „... ერთმანეთს ვერ ეწყობიან“.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალიშ

უბის წიგნაკიდან:

1. ოღრო ამოღრმავებული ადგილია.

2. სანსკრიტი ძველი ინდური სამწერლო ენაა.

3. ადოლფ ჰიტლერს უმაღლესი განათლება არ ჰქონია.

4. „უ ნას ნე ბედნაია, ა პრიბედნიაიუშაიასია სტრანა“, — ამბობენ რუსები.

5. კარდინალთა საბჭოს, რომელიც რომის პაპს ირჩევს, კონკლავი ჰქვია.

6. „ოროველა“ გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერაა აღმოსავლეთ საქართველოში.

7. დაკლული საქონლის მთელ ტანს, გატყავებულსა და გამოშიგნულს, ორფეშხო ჰქვია.

8. ოლარი მღვდლის სამოსლის ნაწილია. ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო ქსოვილი ხშირად ოქრომკედით არის ნაქარგი.

9. ღვინის გამოხდით და სათანადო დავარგებით მიღებულ მაგარ არომატულ სასმელს კონიაკი საფრანგეთის ქალაქ კონიაკის (Cognac) მიხედვით ეწოდა.

10. გადანაჭერზე რგოლების დათვლით ხის ასაკის დადგენის წესი ლეონარდო და ვინჩის აღმოჩენილია.

11. „კონდომინიუმი“ — საერთაშორისო სამართლის ტერმინია და ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ერთი და იმავე ტერიტორიის მართვას ნიშნავს.

12. ჟურნალს, რომელშიც რევოლუციამდელი რუსეთის სასწავლებლებში მოსწავლის მიერ ჩადენილ ყოველგვარ დანაშაულს აღნიშნავდნენ, კონდუიტი ერქვა.

13. ოსმალებმა 1578 წელს ჩილდირის ბრძოლაში სპარსეთის მხარეს მებრძოლი, ტყვედ ჩავარდნილი ქართველი მეომრები ცოცხლად დაწვეს.

14. ლონდონის ხანძრის დროს 1666 წელს კარლ II-ის არმიის ჯარისკაცებს რამდენიმე ასეული სახლის აფეთქება მოუხდათ, რათა ამ შენობებამდე მიღწეულ ცეცხლს გზად არანაირი საწვავი აღარ დახვედროდა და ხანძრის ლოკალიზაცია მომხდარიყო.

15. 1921 წელს ამერიკელმა ექიმმა ლარსონმა შექმნა მოდერნიზებული სამედიცინო აპარატი სუნთქვის სიხშირის, წნევისა და პულსის გასაზომად. ამ აპარატსა და მის თანამედროვე ანალოგებს დღეს სიცრუის დეტექტორს ვეძახით.

16. „არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება“ — ასე ითარგმნება მშრომელთა მასობრივი თავდაცვითი პატრიოტული ორგანიზაციის, დოსაააფის აბრევიატურა (ÄÎÑÀÀÔ – Äîáðîâîëüíîå îáùåñòâî

როცა გინდა, დაინახო გზა, რომელზეც დადიხარ

ერთხელ, როცა ავტობუსით ვმგზავრობდი, ტრანსპორტში 3 ადამიანი — 1 ქალი და 2 მამაკაცი — ამოვიდა, მათ აშკარად, მხედველობის პრობლემა ჰქონდათ. ჩემ უკან დასხდნენ. მათ ხალხი ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა. კაცები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ცისფერ კაბაში გამოწყობილი ქალბატონი კი მეგობრებს ხმამაღლა ამხნევებდა, კისკისებდა. ის საოცრად მხიარულ ადამიანად მომეჩვენა და რომ არა მისი ნაკლი, უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევდი. ცოტა ხანში შევამჩნიე, რომ ქალბატონი რაღაცას საქმიანობდა და მისკენ შევტრიალდი. ის ცელოფანის პარკისგან რაღაცას ქსოვდა. ვერ მოვითმინე და გამოველაპარაკე:

„ბევრ თვალხილულზე ბედნიერი ვარ...“

ლიკა ქაჯაია

— გამარჯობა. მე ლიკა ვარ, შენ რა გქვია?

— გაგიმარჯოს. მე მარი ვარ.

— რას საქმიანობ?

— ჩანთას ვქსოვ...

— ქსოვა ვინ გასწავლა?

— უსინათლოთა სკოლაში დავდიოდი და იქ მასწავლეს. სხვათა შორის, საქსოვი ჩხირებითა და ძაფით წინდებს, ქუდებს ვქსოვ. კერვაც მეხერხება.

— საინტერესო ადამიანი ჩანხარ. მინდა, შენ შესახებ მეტი ვიცოდე, თუ რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გაქვს...

— უკვე ჩემი ჩასვლის დრო მოვიდა და აბა, ეს როგორ უნდა მოვახერხოთ? იცი, მე ვარკეთილის მეტროსთან ვმღერი ხოლმე და თუ ჩემთან ლაპარაკი მოგინდება, შეგიძლია, იქ მომაკითხო.

მარი დამემშვიდობა და მეგობრებთან ერთად, მორიგ გაჩერებაზე ჩავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ მას მეტროსთან, თავის სამუშაო ადგილას ვესტუმრე...

„ვინ ხართ? მარისგან რა გნებავთ? თქვენც მოტყუებას ხომ არ უპირებთ?“ — *დამაყარეს კითხვები იქვე მდგომმა მოვაჭრეებმა, რომლებიც აშკარად, ჩემგან მის „დაცვას“ ცდილობდნენ.*

— კი, მაგრამ რა უნდა მოვატყუო?

— რა ვიცი, შვილო, დღეს ვეღარავის ვენდობით. ამას წინათ ჩვენთან ვიღაც გოგონა მოვიდა, რომელმაც თავი მარი სხირტლაძედ გაგვაცნო. მან მარის იმედი მისცა და უთხრა, ლელა წურწუმიას სტუდიაში მიგიყვან; დიდი ხანია, გაკვირდები. დაახლოებით, 15 კაცი მოვიყვანე აქ, მათ მოგისმინეს და ყველას მოეწონე, ჰოდა, უნდა წაგიყვანო, მაგრამ მანამდე, რაღაცებს გასწავლიო. ის გოგონა ხშირად მოდიოდა, გაკვეთილებს უტარებდა, მერე კი, როცა მისი სტუდიაში წაყვანის დრო დადგა, სადღაც გაქრა. არადა, საცოდავმა მარიმ ბაზრობაზე გაყოლა გვთხოვა, ახალი ტანსაცმელი შეიძინა, — ხალხთან ასე ჩაცმული ხომ ვერ მივალო?!. როგორ შეიძლება, ადამიანი ასე აწვალო?! თითქოს, თავისი გასაჭირი არ ეყოფოდა, იმანაც ცრუდაპირება მისცა, ოცნებები დაუმსხვრია, გული გაუპო. სამწუხაროდ, ასეთებიც არსებობენ...

მარი:

— ჰო, ასეა! სამწუხაროდ, მან იმედი მართლაც გამიცრუა და გული ძალიან მატკინა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება... მოდი, ამ თემაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. მე კიდევ არ ჩამიქნევია ხელი და მგონია, რომ ადრე თუ გვიან, ის გოგონა მაინც მოვა... გულით მინდოდა, ჩემი სიმღერების დისკი გამოსულიყო და ხალხს ჩემი შემოქმედება შეეფასებინა.

— მარი, რამდენი წლის ხარ?

— 38-ის. თვალის პრობლემა დაბადებიდანვე მაქვს და როგორც ექიმები ამბობდნენ და ახლაც აღიარებენ, ჩემი თვალისჩინის აღსადგენად ნებისმიერი მცდელობა უშედეგოა.

— ახლა სად ცხოვრობ?

— ამჟამად, ფონიჭალაში ვცხოვრობ, საერთო საცხოვრებელში. წარმოშობით ახალციხიდან ვარ, ჩემი მშობლები იქ ცხოვრობენ.

— ახალციხიდან რატომ წამოხვედი?

— იმიტომ, რომ უსინათლოთა საზოგადოებაში, ჩემიანებთან მქონოდა კონტაქტი. 1

წელია, რაც სოფლიდან საბოლოოდ წამოვედი.

— შენს ბავშვობაზე მიამბე რამე.

— სხვათა შორის, ძალიან ცელქი ვიყავი. ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი „წრეში ბურთს“, „დროშობანას“. სიმართლე გითხრა, სოფელში ყოფნისას არასდროს მიგრძნია, რომ უსინათლო ვარ. ბავშვები საბანაოდ მდინარეზე რომ მიდიოდნენ, მეც ჩამავლებდნენ ხოლმე ხელს და გაგრილების საშუალებას მაძლევდნენ... 6 წლის ვიყავი, როცა თბილისში ჩამომიყვანეს და უსინათლოთა სკოლაში მიმიყვანეს. ჩვენ ჩვენი დამწერლობა გვაქვს — წერტილებით ვწერთ... ძალიან მიყვარს წიგნების „კითხვა“ და ღვთის წყალობით, ჩვენ გვაქვს ბიბლიოთეკა, სადაც ხმოვანი წიგნები, დისკებზე ჩაწერილი ნაწარმოებები ინახება. ამ ბიბლიოთეკით ხშირად ვსარგებლობ და წიგნებს ღამღამობით „ვკითხულობ“.

— განსაკუთრებით, რომელი ნაწარმოები მოგწონს?

— ახლა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“ ვკითხულობ და ძალიან მომწონს, მაგრამ ის „ჯეინ ეარს“ ვერ შეედრება, ეს ჩემი უსაყვარლესი წიგნია... პოეზიაც მიყვარს, განსაკუთრებით, გალაკტიონის შემოქმედების მოყვარული გახლავართ.

— უსინათლოთა საზოგადოების წევრები ხშირად იკრიბებით?

— იქ, სადაც ვცხოვრობ, ბევრი უსინათლოა შეხიზნული. ვიკრიბებით, კარტს ვთამაშობთ — ბანქოს ჩვენებურად, სპეციალური ფანქრით ვნიშნავთ და მერე ვთამაშობთ. დღესასწაულებზე ვქეიფობთ ხოლმე.

— როგორია შენთვის ერთი ჩვეულებრივი დღე?

— დილით ადრე, დაახლოებით, 8 საათზე ვიღვიძებ, ქვეშაგებს ვასწორებ, თავს ვიწესრიგებ, მერე კი აქ მოვდივარ და ვმღერი. ვისაც ჩემი რეპერტუარი მოეწონება, ფულს მჩუქნის და თავი ასე გამაქვს.

— დღის განმავლობაში საშუალოდ, რამდენს შოულობ?

— რა ვიცი, 10-15 ლარს მაინც ვშოულობ ხოლმე. ადრე მეტს ვაგროვებდი, დაახლოებით, 20-25 ლარს, ახლა კი... ხალხი კეთილია, მაგრამ მათ სიკეთის გაკეთების საშუალებაც არ აქვთ, სამწუხაროდ. ღმერთის დიდი იმედი და რწმენა მაქვს. რასაც უფალი მომცემს, იმითაც კმაყოფილი ვიქნები. ყოფილა ისეთი დღეებიც, როცა „კაპიკი“ არავის მოუცია, მაგრამ აქ მოსვლა მაინც ძალიან მიხარია — მოვაჭრე ადამიანები დროის მხიარულად გატარებაში მეხმარებიან, ისინი ჩემი მეგობრები გახდნენ. სახლში ყოფნა არ მიყვარს.

— რატომ?

— ერთ ოთახში სამნი ვცხოვრობთ...

— მერე, ერთმანეთს ხელს არ უშლით?

— უიმე, სულ ჩხუბი გვაქვს და ამას შენ მაინც ნუ გამახსენებ, რა... გეფიცები, ხშირად ვამბობ, რომ ჯოჯოხეთში ვცხოვრობ. მხოლოდ ერთი საწოლი და გარდერობი მაქვს, რადგანაც იქ სხვას ვერაფერს დავატევ. ოთახში ერთი ქალი ჩვენზე ადრე შეასახლეს, მას ბევრი ავეჯი აქვს და ისინი ლამის მთელ ოთახშია მიმოფანტული. მიუხედავად ამისა, მაინც უკმაყოფილოა, სულ გვეწუწუნება. ჰოდა, თავის მოსაწესრიგებლად და საჭმლის მოსამზადებლად მეგობარ გოგოსთან მივდივარ, რომელიც მეზობლად ცხოვრობს და ქმარ-შვილიც ჰყავს.

— დასახმარებლად არავისთვის მიგიმართავს?

— არა. ვიცი, რომ ფაქტობრივად, ფართობი არ აქვთ და...

— ვის არა აქვს ფართობი?

— მთავრობას, ბატონ მიშა სააკაშვილს. მის მიმართ ყველა პრეტენზიას გამოთქვამს, ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ ყველაფრის წყალში ჩაყრაც არ შეიძლება. მე იმისთვისაც მადლობელი ვარ, რაც მაქვს და ვცდილობ, ჩემი არსებობით არავინ შევაწუხო... ჩემი აზრით, ადამიანმა მხოლოდ სიკეთე უნდა თესოს, მაგრამ ამასაც დანახვა უნდა. მაგალითად, მე ბევრისთვის გამიკეთებია სიკეთე, მაგრამ საპასუხოდ, მადლობაც არ მიმიღია და ამის გამო გული ბევრჯერ მეტკინა.

— მაგალითად, რა სიკეთეს თესავ?

— რა ვიცი, თუ ადამიანს ჩემი დახმარება სჭირდება, მას მარტოს არ მივატოვებ და ჩემზე გაჭირვებულებს, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, შეძლებისდაგვარად, მატერიალურადაც ვეხმარები. არ მიყვარს, როცა ჩემზე ამბობენ: უი, საწყალი გოგო, ბრმა ყოფილაო. ეს სიტყვა ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს. მე შეიძლება, ვერ ვხედავ, მაგრამ მერწმუნეთ, ბევრ თვალხილულზე ბედნიერი ვარ, რადგანაც გული ბოროტებით არ მაქვს დამძიმებული.

— მარი, ძირითადად, ქართულ სიმღერებს მღერი, არა?

— არა მარტო, ზოგჯერ — რუსულსაც. მუსიკალურ სასწავლებელში დავდიოდი, სადაც ნაწარმოებებს ზეპირად ვსწავლობდით, აბა, ნოტების გარჩევა სად შეგვეძლო?..

— თუ საიდუმლო არაა, რაზე ოცნებობ?

— ძალიან მინდა, ოდნავ მაინც დავინახო გზა, რომელზეც დავდივარ, რათა სხვის დაუხმარებლად, გაბედულად შემეძლოს გადაადგილება.

— მარი, შეყვარებული არასდროს ყოფილხარ?

— როგორ არა, მაგრამ ჩემი სიყვარული მარცხით დასრულდა. ჩემი პირველი და მგონი, უკანასკნელი სიყვარული დაიმსხვრა. 17 წლის ვიყავი, როცა მე და დათოს ერთმანეთი შეგვიყვარდა, ჩვენი სკოლის დირექტორმა კი ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არ დავქორწინებულიყავით...

— რატომ?

— ის თავადაც გაუთხოვარი იყო და არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა შეყვარებულ წყვილს უშლიდა ხელს. როცა სკოლაში სწავლა დავამთავრეთ, გაპარვა გადავწყვიტეთ, მაგრამ ეს ამბავი დირექტორის ყურამდე მივიდა და გეგმა ჩაგვიშალა... მერე მე სოფელში წავედი, დათომ კი თავი მოიკლა. ეს ამბავი მეგობარმა ერთი თვის შემდეგ შემატყობინა. ძალიან ცუდად გავხდი, მძიმე დარტყმა მივიღე... მიუხედავად ყველაფრისა, ღვთის წყალობით, დღეს ბედნიერი, მხიარული ვარ და იმდენს ვახერხებ, რომ ვიარსებო...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ñîäåéñòâèÿ àðìèè, àâèàöèè è ôëîòó). საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ხელშეწყობა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის მშრომელთა მომზადება — ასეთი გახლდათ საზოგადოების უმთავრესი მიზანი.

17. არსებობს გეოგრაფიული რუკები, რომლებზეც დატანილია პალმის არარსებული ტყეები, არარსებული ოაზისები, ტბები და მთები. ეს რუკები უდაბნოში მოგზაურთათვის არის განკუთვნილი და მათზე ის ადგილებია აღნიშნული, საიდანაც ამგვარი მირაჟის დანახვაა შესაძლებელი.

18. ბაღდადის ხალიფა შაჰრიაჰი თავისი ცოლის, შეჰერეზადას მოყოლილ ზღაპრებს 1001 ღამე უსმენდა. ამ ხნის განმავლობაში სიკვდილის განაჩენის მომლოდინე ქალმა ხალიფას სამი შვილი გაუჩინა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა შეწყალებული.

19. ესპანელი ბერი, ემანუილ რამირეს კარიონი, მარკიზ პრიეტოს შვილებს ერთობ უცნაური მეთოდით ამეცადინებდა: იგი მოწაფეებს კეფას ჰპარსავდა და შიგ ცალკეულ სიტყვებსა თუ წინადადებებს ჩაჰყვიროდა. სასოწარკვეთილ ბერს ამგვარი მეთოდის შემუშავება მოუხდა, რათა ესპანელი დიდებულის ყრუ-მუნჯი შვილებისათვის საკუთარი ცოდნა გადაეცა.

20. ეფესოში მდებარე არტემიდეს ტაძარი ჭკუანაკლულმა ჰეროსტრატემ საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად გადაწვა. ბოროტმოქმედი წამებით მოკლეს. იონიის ქალაქებმა ერთხმად დაადგინეს, ბრიყვი ბოროტმოქმედის სახელი დავიწყებას მისცემოდა, მაგრამ ამაოდ. P.S. მოგვიანებით ალექსანდრე მაკედონელმა შესთავაზა ეფესოელებს ტაძრის აღდგენა, იმ პირობით, თუ ისინი ტაძრის კედელზე მისი მოღვაწეობის ამსახველ წარწერას გააკეთებდნენ, რაზეც დელიკატური უარი მიიღო: ღმერთს არ შეჰფერის სხვა ღმერთების სახელზე ტაძრების აღმართვაო. ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც ამონის ძედ ასაღებდა თავს, აღარაფერი დარჩა სათქმელი.

21. ყოველი წლის 6 აგვისტოს, 8 საათსა და 15 წუთზე ამ ქალაქის ერთ-ერთ პარკში შეკრებილი ათეულათასობით ადამიანი ნაბათის ცემისა და ფაბრიკა-ქარხნების სირენების ხმაზე ასიათასობით მტრედს უშვებს ზეცაში. გვიან საღამოს კი მდინარის ნაპირებს ხალხის მიერ წყალში შეცურებული ათასობით ქაღალდის ფარანი ანათებს. საჭიროა კი იმის თქმა, რომ ამ ქალაქს ხიროსიმა ჰქვია?!.

ცნობილი ადამიანების უჩვეულო ცხოვრება

ჰენრიეტ მრინი
(1834-1916)

XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი, რომელმაც გარდაცვალების შემდეგ 100 მილიონი დოლარი დატოვა, ღორის კონსერვს გამათბობელზე აცხელებდა და ისე სადილობდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ ჩვეულებრივი ღუმლით სარგებლობა ძვირი ჯდებოდა. ჰენრიეტა ჩიკაგოს რამდენიმე კვარტალის მეპატრონე იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება ნაქირავებ ბინებში გაატარა. ქალბატონის მომჭირნეობამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა მის შვილს ფეხის ამპუტაცია მხოლოდ იმის გამო დასჭირდა, რომ დედამისი 3 დღის განმავლობაში უფასო საავადმყოფოს ეძებდა. საბოლოოდ, ძუნწი ქალბატონი 82 წლის ასაკში გულის შეტევით მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც შეიტყო, რომ მისმა მოსამსახურემ ერთი ქილა რძე რამდენიმე ცენტით ძვირად შეიძინა.

უილიამ სპუნერი
(1844-1930)

უჩვეულო დაავადების წყალობით, რომელსაც მოგვიანებით სპუნერიზმი ეწოდა, უილიამ სპუნერი ისტორიაში შევიდა. მეტყველებისას სიტყვებში ადგილებს უნაცვლებდა ასოებს, მარცვლებს. მაგალითად, შეეძლო, ეთქვა: „ლიდა ვიმშდობისა“. შეიძლება, სპუნერივით ათასობით ადამიანი ლაპარაკობს, მაგრამ იგი ოქსფორდის პროფესორი გახლდათ და მის ლექციებზე ხშირად შეცდომების ჩასაწერად დადიოდნენ.

ოსკარ უაილდი
(1854-1900)

მწერალი ძალზე ექსცენტრიკული პიროვნება გახლდათ. კონსერვატიულ ინგლისელებს თავისი საქციელით შოკში აგდებდა. ქუჩაში ლობსტერით დასეირნობდა (ამ დროს ოქსფორდში ლექციებს კითხულობდა). ბინა ჭყეტელა ფერებში ჰქონდა მორთული და თავადაც ჭრელ ტანისამოსს იცვამდა. არ მალავდა თავის გრძნობებს მწერალ ალფრედ დუგლასის მიმართ, რის გამოც ციხეში გამოამწყვდიეს.

სერ ჯორჯ სიტველი
(1860-1943)

სიტველი დასავლეთში ცნობილი პოეტი ქალის მამა გახლდათ. წიგნების დიდ მოყვარულს 7 ბიბლიოთეკა ჰქონდა. უჩვეულო გატაცებებს შორის კიდევ ერთით გამოირჩეოდა — ძროხებს ცისფერ ზოლებს ავლებდა. სახლის კარზე ჩამოკიდებულ აბრაზე ეწერა: „პატივი ეცით ჩემს მოსაზრებებს და არ შემეწინააღმდეგოთ, თორემ უმადობა და უძილობა დამტანჯავს“.

უილიამ ბაკლანდი
(1784-1856)

მან აღწერა ყველა ცხოველი და მცენარე. საკუთარ სახლში ზოოპარკი ჰქონდა მოწყობილი, რათა მოემზადებინა და სტუმრებისთვის მიერთმია ფაუნის ყველა სახეობის (მათ შორის, პანტერისა და ნიანგის) ხორცი. ამბობენ, ნუნეჰამის სასახლეში ლუდოვიკო XIV-ს გულს ვერცხლის ფიალაში ინახავდნენო, სანამ ბაკლანდმა არ შეჭამა, თანაც დაამატა: აქამდე მეფის გული არ გამისინჯავსო.

ჯემი ჰირსტი
(1738-1829)

უცნაური საქციელის გამო ჯორჯ III-მ ჩაიზეც კი მიიწვია. ჯემის ცხოველები უყვარდა და ხშირად მათ მოთვინიერებას ცდილობდა. ცხენის ნაცვლად, მის ეტლში ხარი იყო შებმული, ძაღლის მაგივრობას ღორი უწევდა. დაკრძალვისას მის კუბოს 12 ბებერი ქალწული, მევიოლინის მხიარული ჰანგების თანხლებით მიაცილებდა. ■

საინტერესო ფაქტები

* 1140 წელს ვეინსბერგის აღების შემდეგ რომის იმპერატორმა კონრად III-მ ქალებს ნება დართო, დანგრეული ქალაქიდან რასაც მოერეოდნენ, ყველაფერი გაეტანათ. ქალებმა ქალაქიდან ხელში აყვანილი ქმრები გამოიყვანეს.

* გამარჯვების შემდეგ, თემურ-ლენგი მტრების თავებით პირამიდებს აგებდა. ყველაზე მაღალი — 70 ათასი თავის ქალისგან იყო აგებული.

* ნაპოლეონ III-ის ბრძანებით, დაამზადეს ალუმინის დანა-ჩანგალი, რომლითაც საზეიმო წვეულებებზე იმპერატორის ოჯახი და საპატიო სტუმრები მიირთმევდნენ. დანარჩენი სტუმრები ვერცხლისა და ოქროს დანა-ჩანგლით სადილობდნენ.

* ჩინეთის იმპერატორი ციანლუნი სევდიანი ლექსების გამო, პოეტებს სიკვდილით სჯიდა.

* პირველი მსოფლიო ომის დროს გაწეული დახმარებისთვის საფოსტო მტრედ №888-ს ინგლისური არმიის პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და სიკვდილის შემდეგ სამხედრო წესით დაკრძალეს.

* ძველ რომში ხელით ჭამდნენ. მდიდარ რომაელებს სპეციალური მსახურები ჰყავდათ, რომელთა თმაზე, ჭამის დროს, ხელებს იწმენდდნენ.

* ინდიელთა ტომის, კვაკიუტლის წარმომადგენელს ვალის აღებისას, გირაოდ საკუთარი სახელის დატოვება შეეძლო და სანამ ვალს არ დაბრუნებდა, სახელით არავინ მიმართავდა. ■

უჩვეულო დაავადებები

* 20 წლის ბრიტანელი კეი ანდერვუდი კატაპლექსიითაა დაავადებული. ნებისმიერი ემოციის (შიში, სიცილი, სიხარული) განცდისას, გული მისდის.

* 13 წლის ამერიკელი ბრედონ ადამსის სიმაღლე 232 სმ-ია. მშობლების ბინაში ბავშვი ვერ ეტევა და მისთვის დიდ სახლს აშენებენ, საგანგებო ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს უკერავენ.

* მელბურნის მკვიდრს, 21 წლის ნატალი ადლერს უკვე 4 წელია, 3 დღის განმავლობაში თვალები მუდმივად ღია აქვს, ხოლო მომდევნო 3 დღე — დახუჭული.

* 19 წლის ავსტრალიელ ეშლი მორისს წყალზე ალერგია აქვს. ერთწუთიანი შხაპის შემდეგ 2 საათი კანის ჩაცხრობას ელის. მისთვის აკრძალულია — ცურვა, წვიმაში სეირნობა.

* 59 წლის მისტერ პერის გასუქება არ შეუძლია: „ბავშვობაში საკმაოდ პუტკუნა ვიყავი, მაგრამ 12 წლის ასაკში ძალიან გავხდი და მას შემდეგ გრამი აღარ მომიმატებია“, — ამბობს მისტერ პერი.

* 16 წლის ჩინელი ხაო ხაო კატასტროფულად იმატებს წონაში. მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა მკაცრი დიეტა დაუნიშნეს, ბიჭი 135 კგ-ს იწონის და კვლავაც განაგრძობს გასუქებას. სიმსუქნის გარდა, ხაო ხაო იმითაც განსხვავდება თანატოლებისგან, რომ ხელ-ფეხზე 6-6 თითი აქვს.

* 33 წლის ბრიტანელ მენდი სელარს ფეხები ეზრდება. „127 კგ-ს ვიწონი. აქედან 95 კგ ფეხების წონაა“, — აღნიშნავს მენდი. დაბადებისას მას

ფეხები სხვადასხვა სიგრძის ჰქონდა (ტანთან შედარებით — გრძელი). დღესაც მარჯვენა ფეხი მარცხენაზე 13 სმ-ით გრძელი აქვს. სელარი სპეციალური მანქანით გადაადგილდება.

* 13 წლის ეგვიპტელი რიხამ აბდელ ლატიფი ერთი წელია, აღარ ჭამს. ეგვიპტის ჯანმრთელობის სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელსაც ამ უჩვეულო ფენომენის გამოკვლევა დაევალა.

* 3 წლის ლამბ რეტის დაბადებიდან არ უძინია.

* ინდოელი რაშიდა ხათუნი სისხლის ცრემლებით ტირის. ლიბიელ ხასნა მოხამედ მესელმანს ტირილის დროს, თვალებიდან მარცვლისხელა კრისტალები, ხოლო 19 წლის ინდოელ სავიტრის — უწვრილესი კენჭები სცვივა. ■

უამინდობა

1877 წლის 15 იანვარს ამერიკელმა ჟურნალისტმა აღწერა, რომ მემფისში 18-დუიმიანი (დაახლოებით 45 სმ) გველების წვიმა მოვიდა. უჩვეულო ამინდი სხვადასხვა დროსა და ადგილზეც დააფიქსირეს:

1953 წლის 7 სექტემბერს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ლასტერში ბაყაყების წვიმა მოვიდა; 2002 წელს საბერძნეთის სოფელ კორონაში — თევზების; 1978 წელს ახალ სამხრეთ უელსში (ავსტრალია) — ხამანწკების; 2007 წელს სალტის პროვინციაში (არგენტინა) — ობობების წვიმა მოვიდა. ■

იუმორზე აცრილები

საპირველაპრილოდ ყველა ახლობლების მოტყუებასა და გაშაყირებას ცდილობს. გთავაზობთ ყველაზე უჩვეულო ხუმრობებს:

* 1994 წელს „პეპსიმ“ გამოაცხადა, რომ თინეიჯერები, რომლებიც კომპანიის ლოგოს ყურებზე ამოისვირინგებდნენ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, სასმელს 10-პროცენტიანი ფასდაკლებით მიიღებდნენ. ახალგაზრდების შემოტევას კომპანიის ხელმძღვანელობა რამდენიმე თვე იგერიებდა.

* 1992 წელს „ლონდონ თაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია, თითქოს ბელგიის ჩრდილოეთი ნაწილი — ნიდერლანდებს, ხოლო სამხრეთი — საფრანგეთს უერთდებოდა. განცხადებამ ისეთი მღელვარება გამოიწვია, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ტელევიზიით მოუწია ხუმრობის ახსნამ.

* 1987 წელს, გაზეთ „ბერგენს ტიდენდის“ ჟურნალისტმა მკითხველებს ამცნო, რომ კონფისკაციის წესით ამოღებული იყო 10 ათასი ლიტრი ღვინო და სასმლის გასინჯვა ყველა მსურველს ქალაქის ცენტრალურ მაღაზიაში შეეძლო. დილით მაღაზიასთან, ბოთლებით შეიარაღებული დეგუსტატორების გრძელი რიგი იდგა.

* 2002 წელს ბრიტანეთის სუპერმარკეტში გამოაკრეს განცხადება, თითქოს გასაყიდად გამოვიდოდა გახვრეტილი (გულგამოცლილი) სტაფილო, რომელიც მოხარშვისას სტვენას დაიწყებდა.

* 1957 წელს ბი-ბი-სიმ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შვეიცარიაში სპაგეტის კარგი მოსავალი მიიღეს. 200-მა მაყურებელმა დარეკა რედაქციაში, რათა გაეგო, სად იყიდებოდა სპაგეტის ნერგები.

* 1999 წელს ბი-ბი-სიმ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბრიტანეთის ჰიმნი — „ღმერთო, დაიფარე დედოფალი!“ — ევროპული ჰიმნით შეიცვლებოდა და მას გერმანულ ენაზე შეასრულებდნენ. გადაცემის დასრულებისას, რადიოში პრინც ჩარლზის ოფისიდან დარეკეს და ახალი ჰიმნის ასლის მათთვის გაგზავნა სთხოვეს. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

პირველი დახმარება საკვებით, კონსერვებითა და ალკოჰოლით მოწამვლის დროს

მოწამვლა ანუ ინტოქსიკაცია პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმისა და შხამის ურთიერთქმედების შედეგად ვითარდება. შხამის როლში შესაძლოა, ნებისმიერი ქიმიური ნივთიერება აღმოჩნდეს, რომელსაც შეუძლია, სასიცოცხლო ფუნქციების დარღვევა გამოიწვიოს და ამით ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას.

ორგანიზმზე ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედება და შედეგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: შხამის კონცენტრაციაზე, ორგანიზმში მისი მოხვედრის გზაზე, ორგანიზმში შესვლისა და იქიდან გამოსვლის დროზე, მოწამლულის სქესზე, ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, კლიმატზე... მავნე ნივთიერება ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს — პირის ღრუდან, სასუნთქი გზებიდან, სისხლის მიმოქცევის სისტემიდან, კანიდან (ყველაზე ხშირად ტოქსიკური ნივთიერებები ორგანიზმში პირიდან ხვდება). უმთავრესად იწამლებიან ძველი, ვადაგასული სურსათით, უხარისხო სასმლით, კონსერვებით, სოკოთი. მოწამვლის შედეგი სხვადასხვაგვარია, მსუბუქი დისკომფორტით დაწყებული, ინვალიდობითა და სიკვდილით დამთავრებული (ბოტულიზმისა და ალკოჰოლით მოწამვლის შემთხვევაში). უქეიფობის პირველმა სიმპტომებმა შესაძლოა, თავი საკვების ან სასმლის მიღებიდან 5-6 ან 12-14 საათის შემდეგ იჩინოს. ეს სიმპტომები ყველასთვის ცნობილია: ღებინება, ფაღარათი, ძლიერი სისუსტე, მუცლის ტკივილი. საკვებით მოწამვლა განსაკუთრებით ზაფხულობით ხშირდება, რასაც სიცხე და მაღალ ტემპერატურაზე კვების პროდუქტების გაფუჭება განაპირობებს. ამიტომ წელიწადის ამ დროს, თითოეულ ჩვენგანს ორმაგი სიფრთხილე მართებს. ვიცით, რომ საკვები გრილ ადგილას უნდა შევინახოთ.

როგორ ავიცილოთ თავიდან სოკოთი მოწამვლა

სოკოთი მოწამვლის შემთხვევაში ადამიანს შემდეგი სიმპტომები უვითარდება: კუჭის ტკივილი, პირის სიმშრალე, ღებინება, ფაღარათი, გონების დაკარგვა, ხელ-ფეხის გაცივება, ნევროლოგიური დარღვევები, კრუნჩხვები. მოწამვლის პირველი ნიშნებისთანავე ავადმყოფს დაუყოვნებლივ უნდა ამოვურეცხოთ კუჭი და გავუთავისუფლოთ ნაწლავები (უნდა გაუკეთდეს გამწმენდი ოყნა), მივცეთ ნახშირი და სასწრაფოდ გადავიყვანოთ სტაციონარში.

როგორ დავიცვათ თავი ბოტულიზმისგან

ბოტულიზმი მძიმე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ბაქტერიული ტოქსინი — ბოტულოტოქსინი იწვევს. მას კონსერვები და შაშხი შეიცავს. ბოტულიზმით დაავადების დასაწყისშივე ყურადღებას მხედველობის დარღვევები იპყრობს: ავადმყოფი ბუნდოვნად, გაორებულად ხედავს, თითქოს ბურუსშია, კითხვისას ასოები ეფანტება, თვალების მოძრაობა შეზღუდული აქვს. მხედველობის მოშლასთან ერთად, ირღვევა ყლაპვისა და მეტყველების ფუნქციაც: ავადმყოფი საკვებს ვერ ყლაპავს, უჭირს ენის მოძრაობა, ლაპარაკი, შეცვლილი აქვს ხმა. დაავადების დროული და სათანადო მკურნალობის გარეშე მდგომარეობა ძალიან მძიმდება და ავადმყოფი სუნთქვისა და გულის გაჩერებით იღუპება.

ბოტულიზმის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, დაკონსერვების წინ პროდუქტები გულდასმით გავრეცხოთ, რათა მთლიანად მოვაცილოთ მიწა და ფეკალური მასები, რომელიც ბოტულიზმის გამომწვევ მიკრობს შეიცავს. საიმედო მეთოდად მიიჩნევა სათანადო სტერილიზაცია მაღალი წნევისა და ტემპერატურის (1200 C) პირობებში, მაგრამ მათი მიღწევა კონსერვების დამზადებისას, შესაძლებელია მხოლოდ ქარხნული წესით, შინაურ პირობებში კი გამომწვევის გამძლე ფორმების (სპორების) მოსპობა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ გამოყენებამდე დაკონსერვებული პროდუქტი თერმულად უნდა დამუშავდეს — 20-30 წუთის განმავლობაში იდუღოს. ბოტულიზმზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ავადმყოფს, თუ ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ყლაპვისა და ხველების უნარი, უნდა ამოერეცხოს კუჭი, დაუყოვნებლივ მოთავსდეს საავადმყოფოში და ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ავადმყოფთან ერთად მიიღეს საეჭვო საკვები, ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატს უკეთებენ.

როგორ მოვიქცეთ ალკოჰოლით მოწამვლისას

ალკოჰოლის მინიმალური სასიკვდილო დოზა სხვადასხვაა, გააჩნია მინარევს და ინდივიდუალურ მგრძნობე-

ეირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ГЕО / GEO	9.00	27.00
2. ЛИЗА	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.00
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.00
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! / ХЭЛЛОУ!	4.00	52.00
7. ОТДОХНИ!	2.00	26.00

ტელ: 38-26-73; 38-26-74

ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

ლობას. ეთილის სპირტი (ღვინის სპირტი, არაყი, ჭაჭა და სხვა) მოქმედებს გულზე, სისხლძარღვებზე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ღვიძლზე, თირკმლებზე, ყველაზე მეტად კი თავის ტვინზე. ეთანოლი ახდენს ფსიქოტროპულ მოქმედებას, აქვს ნარკოტიკული ეფექტი, იწვევს ფსიქომოტორულ აგზნებას. მძიმე ხარისხის თრობის დროს, ადამიანი იძინებს, ძილიდან კი გადადის უგონო მდგომარეობაში — კომაში. ხშირია პირღებინება და პირნაღები მასების სასუნთქ გზებში გადაცდენა, რაც სუნთქვის შეფერხებას და სიკვდილს იწვევს. მწვავე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ნიშნები: წამოწითლებული, ციანოზური (მოლურჯო) სახე; ცივი, წებოვანი კანი; უგონო, უკონტაქტო მდგომარეობა; წყვეტილი, ხმაურიანი სუნთქვა; წნევისა და პულსის ცვალებადობა. თუ მოწამლული უგონოდ არის ან გონება აქვს დაბინდული, დაუყოვნებლივ გვერდზე დააწვინეთ, რათა უზრუნველყოთ სასუნთქი გზების გამავლობა. სახე მიქცეული უნდა იყოს ოდნავ ქვემოთ, რათა პირნაღები მასა სასუნთქ გზებში არ

მოხვდეს. რაც შეიძლება, სწრაფად გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა. „სასწრაფო დახმარების“ მოსვლამდე მოწამლული უყურადღებოდ არ დატოვოთ. ალკოჰოლი კანის სისხლძარღვებს აფართოებს, ამიტომ ალკოჰოლით გაბრუებული ადამიანი სწრაფად კარგავს სითბოს. ამიტომ თბილად დაახურეთ. გარდა ამისა, თუ მოწამლულს შეუძლია, ყლაპვა და ხველება, ამოურეცხეთ კუჭი — მიეცით ცივი სოდიანი წყალი და ენის ძირზე თითის დაჭერით გამოიწვიეთ პირღებინება; ასუნთქეთ ნიშადურის სპირტი; დაალევინეთ აღმგზნები საშუალება (ჩაი, ყავა); მიეცით ნახშირი — 2 აბი 2 საათში ერთხელ. მაგრამ თუ მდგომარეობა დამძიმდა, აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია.

■

შარდის შეუკავებლობისას

1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი და 1 ჩაის კოვზი ახალგამოწურული ნივრის წვენი აურიეთ 150 გ ანადუღარ თბილ წყალში და დალიეთ ჭამამდე 15 წუთით ადრე. ეს ნაყენი ყოველდღიურად, დღეში 3-ჯერ მიიღეთ. ყოველ მიღებაზე ახალ-ახალი ნაყენი დაამზადეთ. შეგიძლიათ, ნაყენს 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი ან ვაშლის ძმარი დაუმატოთ. მკურნალობა სრულ გამოჯანმრთელებამდე განაგრძეთ.

შეშუპების დროს

შეშუპების დროს ახალ ან გამომშრალი საზამთროს ქერქისგან მომზადებულ ნახარშს შარდმდენ საშუალებად იყენებენ. 1/2 ჭიქა საზამთროს დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 5 ჭიქა წყალი და ხარშეთ. შემდეგ გაფილტრეთ და გაცივების შემდეგ მიიღეთ 1/2-1/2 ჩაის ჭიქა ნახარში 3-4-ჯერ დღეში.

ცხვირსა და ხახაში პოლიპების დროს

გამოსავლებად რეკომენდებულია თანაბარი რაოდენობის ქრისტესისხლასა და გვირილის ნახარში. ბალახებს დაასხით ცივი წყალი და მი-



რჩევები

იყვანეთ ადუღებამდე. გააჩერეთ 1 საათი და შემდეგ გაწურეთ.

მეჭეჭების მკურნალობა

მცირე ზომის კარტოფილი გაჭერით შუაზე და გაფცქვენით. განაჭერი მხრიდან დაიდეთ მეჭეჭზე.

ნახეთქები პირის კუთხეებში

ჭრილობაზე დღეში რამდენჯერმე წაისვით თაფლი. მოხარშეთ ბროწეულის ქერქი და თბილი ნაყენი გამოივლეთ პირის ღრუში.

■

ორი ჭიქა ყავა დაგვიცავს ალცჰაიმერის დაავადებისგან

როგორც ირკვევა, დღეში ორი ჭიქა მაგარი ყავა არა მარტო ალცჰაიმერის დაავადების შეფერხებას, არამედ დაავადების ზოგიერთი სიმპტომის უკუგანვითარებასაც იწვევს. ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ალცჰაიმერის დაავადების დროს, კოფეინს როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხთან დაკავშირებით სამხრეთ ფლორიდაში კვლევა ჩატარდა, რომელსაც გარი არენდაში ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევის შედეგები ცხოველებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს ემყარება, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კოფეინის ზემოქმედების განსაზღვრა ამ

საინტერესო სიახლეები

სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული კვლევაა. მიღებული შედეგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კოფეინი ერთ-ერთი ყველაზე უვნებელი „ნარკოტიკული საშუალებაა“, რომელიც თავის ტვინში იოლად აღწევს და როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, გავლენას ახდენს დაავადების განვითარებაზე.

■

შაკიკი ნორმალურ ცხოვრებას უშლის ხელს

ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, რომ იმ გოგო-ბიჭებს, რომელთაც ხშირად აწუხებთ შაკიკი, სკოლაში ცუდი მოსწრება აქვთ და ზოგი, ამის გამო სასწავლებელსაც კი ვერ ამთავრებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვები, რომელთაც შაკიკი აწუხებთ, ხშირად აცდენენ სკოლას, გაკვეთილებზე უჭირთ ყურადღების კონცენტრირება. მეცნიერები იმაზეც საუბრობენ, რომ შაკიკიან ბავშვებს სხვებთან შედარებით 5%-ით დაბალი მოსწრება აქვთ. არსებობს 5%-იანი რისკი, რომ ვერ დაამთავრებენ სკოლას, და 15%-იანი — რომ ვერ მოეწყობიან კოლეჯში ან უნივერსიტეტში. მეტიც, შაკიკი დაკავშირებულია ბავშვებისა და მათი მშობლების სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან.

■

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტი

ჩვეულებრივი სურსათი D ვიტამინს ძალიან ცოტას შეიცავს, მაგრამ მზის სხივების ზემოქმედებით ორგანიზმი მას თავადაც გამოიმუშავებს. ასე რომ, თუ ბავშვი მზეზე საკმაო ხანს იმყოფება, ის სათანადო ოდენობის D ვიტამინს მიიღებს.

ძილის დარღვევები და მათი დიაგნოსტიკა

გამოღვიძების კატაპლექსია არის მდგომარეობა, როცა ახალგაღვიძებული, ნათელ გონებაზე მყოფი ადამიანი ირგვლივ არსებულ სიტუაციას ადეკვატურად აფასებს, მაგრამ არ შეუძლია მიზანდასახული მოქმედება.

მეც შემიძლია

პატარებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ დანისა და მაკრატლის ხმარება. თუ სამი წლის ბავშვმა შემთხვევით ხელი წაავლო ამ საგნებს, სასოწარკვეთილი ნუ აყვირდებით; მშვიდად მიუახლოვდით ბავშვს და აუხსენით, როგორ უნდა დაიჭიროს დანა ან მაკრატელი, რომ ხელი არ გაიჭრას.



ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲕᲜᲘ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

მარინა ბაბუნაშვილი

მშობლები შვილებისადმი გადაჭარბებული სიყვარულით ხშირად სცოდავენ. ჩემი რესპონდენტი ლალი დედის ეგოისტური გრძნობის „მსხვერპლი“ აღმოჩნდა („ვისზეც უნდოდა „გამყიდდა“, თუ არა და „თაროზე შემომდებდა“ — „კვირის პალიტრა“, 5 მარტი, 2007 წელი)

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, ᲨᲘᲜᲐᲑᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ“

ლალი პატარაობიდანვე დედის მონა-მორჩილი გახლდათ. მისი ყოველი სურვილი, მითითება თუ ბრძანება ლალისთვის კანონი იყო. მამა არ ერეოდა გოგონას აღზრდაში; დარწმუნებული იყო, რომ დედა ერთი წუთითაც არ მოადუნებდა ერთადერთი ქალიშვილის მიმართ ყურადღებას.

ამონარიდი წერილიდან: „დედამ შთამაგონა, რომ მეგობრებში ყველას ვჯობდი, ამიტომ თავი ამაყად უნდა დამეჭირა. ერთხანს მართლაც მჯეროდა ეს, მაგრამ მერე, როცა ზურა შემიყვარდა, ყველაფერი თავდაყირა დადგა. სიყვარულმა ყველასა და ყველაფერზე სულ სხვა თვალით შემახედა“.

ლალის დედას სასიძო თვალში არ მოუვიდა და შვილს მასთან ურთიერთობა კატეგორიულად აუკრძალა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ლალის აღარ მოუნდა, დედისთვის დაეჯერებინა.

ამონარიდი წერილიდან: „იგი მიჩვეული იყო ჩემს მორჩილებას და ეგონა, დავყაბულდებოდი, მაგრამ ვერ „დავემშვიდობე“ ზურას. ამბავი მიუტანეს, ლალი და ზურა ისევ ხვდებიანო. დედამ ურჩობისთვის ყველაზე ლამაზი ტანსაცმელი დამიჭრა. მეწყინა, რომ უსამართლოდ მომექცა. მე და ზურამ მეგობრების დახმარებით წერილებით გავაგრძელეთ ურთიერთობა... ერთ დროს მორჩილი შვილი კერპ და ურჩ გოგოდ გადავიქეცი. ბანკეტის მეორე დღეს მე და ზურამ გაპარვა მოვახერხეთ“.

სვანეთში წავიდნენ. იქ ერთი კვირა დაჰყვეს და როცა თბილისში დაბრუნდნენ, ზურას მშობლებმა გადაწყვიტეს, რძლის მშობლები თავისთან მიეწვიათ და ქორწილიც ერთად დაეგეგმათ. ლალის მშობლები ერთად მივიდნენ, მაგრამ ცოტა ხანში, დედამ ისეთი ისტერიკები დაიმართა, გოგონამ აღარ იცოდა სირცხვილისგან სად შემძვრალიყო. „მომხდური“ კი ვერ ჩერდებოდა. მისი დამშვიდება ვერც ქმარმა შესძლო, ვერც ლალიმ, რომელიც ცრემლებით ემუდარებოდა დედას გაჩუმებულიყო. მას არაფერი ესმოდა, ჯერ სიძე მიალანძღა, მერე მისი მშობლებიც ზედ მიაყოლა. თუკი ზურამ თავის ლანძღვა აიტანა, მშობლებზე აუგის თქმამ მწყობრიდან გამოიყვანა და „ახალ დედიკოს“ სახლის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა. მიხვდა ლალი, რომ ასეთ სიტუაციაში ვერც ის დარჩებოდა და მშობლებთან ერთად დატოვა ზურას ოჯახი. გოგონა იმედოვნებდა, რომ დედა დაწყნარდებოდა, მიხვდებოდა თავის შეცდომას და მძახლებს შორის მშვიდობა დამყარდებოდა. ზურამ შეუთვალა, თუ ოჯახი გინდა დაბრუნდი, დედაშენი კი ამიერიდან ფეხს ვერ შემოადგამს ჩვენთანო. სადღაც, გულის სიღრმეში, ლალის ეწყინა ზურას ერთგვარი ულტიმატუმი, ამიტომ ფეხი აითრია მასთან დაბრუნებაზე, ეგონა, ბიჭი მალე მიაკით-

ხავდა და თავისთან წაიყვანდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

გავიდა ერთი წელი. ლალი გულნატკენი იყო ზურას უყურადღებობით. ერთ-ერთ წვეულებაზე პერსპექტიული და დედამისისთვის სასურველი საბა გააცნეს. მესამე შეხვედრაზე საბამ ხელი სთხოვა ლალის. გოგომ კი გადაწყვიტა, ჯერ თავისი ახლო წარსულის შესახებ მოეყოლა.

ამონარიდი წერილიდან: „დედამ რომ გაიგო, რასაც ვაპირებდი სახე შეეშალა; ხომ არ გაგიჟდი, ლეილას უკვე მოველაპარაკე (მისი მეგობარი გინეკოლოგი), ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. კინაღამ გავგიჟდი, დედაჩემის დანახვაც აღარ მინდოდა, საკუთარი თავი შემზიზღდა. დედას გეგმა ჩავუშალე, საბაც უარით გავისტუმრე... მერე გავიგე, დედას დეიდაჩემისთვის უთქვამს მირჩევნია, სახლში მეჯდეს შინაბერად, ვიდრე გათხოვდეს და იწვალოსო“.

ლალისთვის დღემდე გაუგებარია, რატომ არ მოსწონდა დედამისს ზურა. დედა რამდენიმე ხნის წინ გარდაიცვალა და სიკვდილის წინ შვილს გამოუტყდა: მაპატიე, შვილო, რომ შენს ცხოვრებაში ასე შევიჭერი. ზურამ რომ აღარ მოგაკითხა, ეს ჩემი დამსახურებაა. შევცდი ჩემი ბრალია, შინაბერად რომ დარჩი, მაგრამ მაშინ მეგონა, კარგს ვაკეთებდი ტანჯვა-წამებას გარიდებდიო.

ამგავი მეორე

ცხოვრების თავიდან დაწყება

ლალი მარტო დარჩა, 51 წლის ასაკში ყველასგან მიტოვებულად, მარტოსულად გრძნობდა თავს.

— ლალი, როცა დედამ პატიება გთხოვათ, სურვილი არ გაგიჩნდათ, ზურა გენახათ?

— არა, რადგან მას ოჯახი ჰყავდა, ცოლი და სამი შვილი. ჩემთვის გასაგები გახდა, რატომ აღარ მოვიდა ზურა ჩემთან, იგი დედაჩემმა ინახულა და რა გაფრთხილებები მისცა, ღმერთმა იცის. მე მაინც გული დამწყდა ზურაზე. ასე ადვილად არ უნდა შემლეოდა, ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. როგორც უნდა სწყენოდა დედაჩემის უტაქტო სიტყვები, ასე იოლად არ უნდა დავეთმე.

— მაინც რა უთხრა დედამ ზურას?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. მისი სიკვდილის მერე ნათესავები ჩემს გასაგონად წუწუნებდნენ: დედამისმა ამისთანა გოგო შინაბერად დატოვაო. მათზეც ნაწყენი ვარ. მანამდე სად იყვნენ? მაშინ ყველა ჩუმად ისმენდა დედაჩემის ქოთქოთს და ზურას ოჯახის მიმართ გამოთქმულ ლანძღვა-გინებას. ის რომ აღარ იყო, მერე ამოიდგეს ენა.

— ხომ არ დაგიპირეს გათხოვება?

— დედის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის მერე მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ასაკის მიუხედავად, მაინც უნდა გავთხოვილიყავი, თუ შვილი არ შემეძინებოდა ერთგული მეგობარი მაინც მეყოლებოდა გვერდით. ჯერ გავბრაზდი, მერე სიცილი ამივარდა. ასე მეგონა, თოჯინა ვიყავი, როგორც უნდოდათ ისე მომექცეოდნენ. უარი ვუთხარი და ამ თემაზე საერთოდ ავუკრძალე ლაპარაკი, თუმცა გავიდა დრო და მივხვდი, მართლა მიჭირდა მარტოობა. ლეკვიც კი ვიყიდე, რომ შინ დაბრუნებულს სულიერი მომგებებოდა. ერთხელ მეგობარმა მეუღლის დაბადების დღეზე დამპატიჟა, წასვლა არ მინდოდა, მაგრამ რაღაცა ძალამ წამიყვანა. იქ ჩემს გასაცნობად სპეციალურად მოეყვანათ ერთი ქვრივი კაცი, გუჯა. მას ორი ქალიშვილი ჰყავდა, ორივე გათხოვილი. ჩვენ უცებ გავუგეთ ერთმანეთს და ორ თვეში (ამ გაზაფხულზე) ხელიც მოვაწერეთ. მე ახლა 53-ის ვარ, გუჯა 57-ის გახლავთ. ადრე, როცა ამ ასაკის ხალხზე მსგავს რამეს გავიგებდი, ვიტყოდი ხოლმე, — რაღა დროს მათი დაქორწინებაა, ცალი ფეხი საფლავში აქვთ-მეთქი. ახლა კი ვამბობ, ამ ასაკიდანაც შეიძლება ადამიანმა ცხოვრება ხელახლა დაიწყოს და თავი ბედნიერად იგრძნოს. ●

წერილი გულის სწორს

მაპატიე...

„წერილი, რომელსაც ახლა გწერთ, დიდი ხანია დაწერილია, უბრალოდ, ვერა და ვერ გადავწყვიტე მისი ადრესატამდე გაგზავნა.

„გიო, ჩვენი სიყვარული ზღაპარს ჰგავდა, თუმცა ზღაპრისნაირი დასასრული არ ჰქონია. ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარდა, ერთმანეთით ვსუნთქავდით და ვარსებობდით, მაგრამ... მერე იყო უამრავი ცრემლი და დარდით გათენებული ღამეები... დავშორდით და ჩვენ უკვე აღარასოდეს ვიქნებით ერთად. აღარა ვარ ის პატარა გოგო, შენზე ოცნებით რომ ცოცხლობდა და სულდგმულობდა. შენით ვილამაზებდი სევდის მუქი ფერებით დაფარულ დღეებს. მიყვარდი, ჰო, ძალიან მიყვარდი და ახლაც კი მიკვირს, განა შეიძლება ამ ერთმა სიტყვამ დაიტიოს ის გრძნობა, რასაც შენ მიმართ განვიცდიდი? თურმე, რა უძლური შეიძლება იყოს სიტყვა გრძნობასთან, თან ისეთთან, მე რომ გამაჩნდა.

გიო, მაპატიე რომ ვერ მოვერიე საკუთარ სიამაყეს. მაპატიე რომ ჩემი გრძნობა გულის კუნჭულში „ჩავკუჭე“ და შენ აღარაფერი გაგრძნობინე სიცივის გარდა. მე მაშინ დავამარცხე ის ზღვარგადასული გრძნობა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამ გრძნობასთან ერთად მეც დავმარცხდი და სასტიკად დავენარცხე მიწას. აღარ მოვყვები იმაზე ლაპარაკს, რატომ გაგიმეტე ასე. შენ კარგად მიცნობ და იცოდი, „ისეთ რამეს“ ვერასოდეს გაპატიებდი... და მაინც, შეცდი! ვიცი, ამ წერილს, ჟურნალში დაბეჭდილს, აუცილებლად წაიკითხავ, ამიტომ ერთხელ კიდევ და უკვე საბოლოოდ შენგან მიტევებას ვითხოვ: გიო, მაპატიე, რომ აღარ მიყვარხარ.

თათია“ ●

ერთი შეჯახება აჯობა

„ამას წინათ, ტელევიზიით გადმოცემულმა სიუჟეტმა ყველას თავზარი დაგვცა. ფონიჭალაში მეზობელმა მეზობლის შვილი ვითომდა ფულის გამოძალვისთვის რომ წაიყვანა, მერე კი მოკლა. ამ ამბავმა ჩვენს უბანში, 12 წლის წინ მომხდარი ამბავი გამახსენა და მინდა, გიამბოთ.

ავლაბარში, იტალიური ტიპის ეზოში ვცხოვრობდით 10 ოჯახი. ჭირი თუ ლხინი ჩვენთვის საერთო იყო. პირველ სართულზე მამა-შვილი ცხოვრობდა. ოჯახის დედა ადრე გარდაიცვალა და სიმონი მარტო ზრდიდა თავის ოთოს. მეზობლებიც ეხმარებოდნენ მარტოხელა კაცს. მე ოთოზე ხუთი წლით უფროსი ვიყავი. გავიდა წლები. გავთხოვდი და სხვა უბანში გადავედი საცხოვრებლად, მაგრამ ხშირად მივდიოდი მშობლებთან. როცა ეზოში, თავის საყვარელ სკამზე მჯდომ და მზეზე მიფიცხებულ მოხუც სიმონს დავინახავდი, თბილად მოვიკითხავდი ხოლმე, ის კი ხელს ჩაიქნევდა და მეტყოდა, — აბა, როგორ ვიქნები ამის გადამკიდეო. ოთოს გულისხმობდა. ვამშვიდებდი, ნუ გეშინია, ძია სიმონ, ცოლს შეირთავს, შვილიშვილი გეყოლებათ და თქვენი ოჯახიც გამოცოცხლდება-მეთქი. ცრემლებით აევსებოდა თვალები. ეტყობა, იცოდა რა ბედოვლათიც ჰყავდა... ოთო ერთ-ერთ სტამბაში მუშაობდა. დილით გადიოდა, გვიან საღამოს ბრუნდებოდა. მამას საჭმელს დაუტოვებდა, კვირაში ერთხელ კი მეზობლის ქალს ფულს აძლევდა, რომ თეთრეული და ტანსაცმელი გაერეცხა. მისალმება-დამშვიდობების გარდა, არ იცოდა მეზობლებთან ლაპარაკი. თავჩაქინდრული დადიოდა ხოლმე. დედაჩემი იტყოდა, — ამ საწყალმა დედის სიკვდილის დღეს სტრესი მიიღო. იმის მერეა ასეო.

ერთ დღესაც, მშობლებთან მისულს ჩვენი ეზო და მთელი უბანი შეშფოთებული დამიხვდა. მეზობლის პატარა, ლამაზი გოგო, 7 წლის თამუნა ორი დღის წინ დაკარგულიყო და მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. სამი დღის მერე პატარა თამუნა ჩვენი ქუჩის ბოლოში, ნახევრად დანგრეული შენობის სარდაფში იპოვეს მკვდარი. ბავშვი ნაწამები და გაუპატიურებული იყო. ახლაც მზარავს იმ წუთების გახსენება. მთელი ეზო ვგლოვობდით თამუნას სიკვდილს. მამამისი ერთ ღამეში ერთიანად გაჭაღარავდა. გაოგნებულები ვიყავით, ვის უნდა ჩაედინა ასეთი მხეცობა. სამართალდამცველებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ საქმის გახსნისთვის. კვალი ოთომდე მივიდა... იგი დააპატიმრეს და 15 წელი მისცეს, მაგრამ ორი წლის მერე შიზოფრენია დაუდგინდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გოგონას მამამ ოთოს მამაზე შური იძია, შეუვარდა და ვეღარ გააშვებინეს ხელი, გაგუდა კაცი. მერე თამაზიც დააპატიმრეს, თუმცა სამ წელიწადში გამოვიდა. რაღა იყო მათი ცხოვრება? თამუნას მშობლები განადგურებულები იყვნენ. ის ბინა კი, სადაც სიმონი და მისი შვილი ცხოვრობდნენ, დღემდე გაპარტახებულია და არც არავინ ყიდულობს. როგორც გავიგეთ, ოთო ფსიქიატრიულში ორი წლის მერე გარდაცვლილა“...

ყველამ თავისი გულისა და გონების კანონით უნდა იცხოვროს

„რუსოს და ზაზას მეშვიდე კლასიდან უყვარდათ ერთმანეთი. სანამ ბავშვური გატაცება ეგონა რუსოს დედას, ჩუმად იყო, არ ერეოდა წყვილის ურთიერთობაში, მაგრამ მერე, როცა წამოიზარდნენ, თანდათან გამკაცრდა, ბოლოს კი შეუვალი გახდა — ჩემი რუსო არ გაჰყვება ზაზას, ის ჩემი შვილია და მე დამიჯერებსო. იმდენი ქნა, გოგო ძალით გაათხოვა ერთ მდიდარ კაცზე. ზაზამ დიდი ხნის მერე შეირთო ცოლი, მაგრამ ხშირია, როცა კაცები პირველი სიყვარულის მერე ვერა და ვერ ააწყობენ ცხოვრებას. ასე დაემართა ზაზასაც. მალევე გაშორდა ცოლს, იმასთან ერთი ქალიშვილი დარჩა. რუსოს კი ორი შეეძინა. ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი, მაგრამ ქმართან ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო. მე რუსოსთან ვმეგობრობდი და ყველაფერი ვიცი, რაც მას აწუხებდა. ძალიან განიცდიდა იმას, რომ ზაზამ ცხოვრება ვერ ააწყო. მერე, მშობლებისა და ახლობლების ჩარევით, ზაზა მეორედ დაქორწინდა... 5 წლის შემდეგ იმასაც გაშორდა. მე გამომიტყდა რუსოს გარდა ვერავის ვგუობ, არ შემიძლია სხვა ქალთან ცხოვრებაო.



რუსო უძლური გამოდგა ამ გრძნობის წინაშე და ორივემ დაანგრია ოჯახი... იცით რა ამბავი ატყდა?! თითქოს მიწისძვრა მომხდარიყო და ირგვლივ ყველაფერი გაენადგურებინა, ისე მოთქვამდნენ რუსოს და ზაზას ახლობლები. საჭორაო ხომ არა და არ დაელიათ მოსეირეებს. ყველამ ზურგი შეაქცია წყვილს. ცალკე ცხოვრობდნენ და რამდენიმე მეგობრის გარდა, არავინ აკითხავდა. ამ დროს ისინი 35 წლისანი იყვნენ... მიუხედავად ახლობელთა გულისწყრომისა, მაინც ფიქრობენ, რომ სწორი ნაბიჯი გადადგეს, რადგან შვილსაც თავისი ცხოვრება აქვს და დაძმასაც, ხოლო ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს ვისთან იყოს და იცხოვროს...

ნანა კიკნაძე.“

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „გზა“ №31

მარი ჯაფარიძე

ჩაქების ჭოჭოფიქრებთან

ბოლოს და ბოლოს, ეს ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ჯანმრთელობასაც უნდა გაფრთხილებოდა, სულხანიც მოსწონდა და შესაძლოა, ასეთი შემთხვევა მეორედ აღარც ჩავარდნოდა ხელში.

— ცოლი გყავთ? — ჰკითხა ნინომ და საკუთარ თავს გულში სულელი უწოდა.

რა შუაში იყო აქ მისი ცოლი? რა, მასზე გათხოვებას ხომ არ აპირებდა?

ნინომ გონება დაძაბა, რათა რაც შეიძლება, მოხერხებულად გამოსულიყო ამ სიტუაციიდან, მაგრამ სანამ რამეს მოიფიქრებდა, სულხანმა დაასწრო:

— რა მიზნით გაინტერესებთ ჩემი ოჯახური მდგომარეობა?

— ეს უტაქტო კითხვაა, — თავდახრით თქვა ნინომ, — და სულაც არ ხართ ვალდებული, მიპასუხოთ.

— ახლა მთლად დავიბენი, ვისი კითხვაა უტაქტო, ჩემი თუ თქვენი?

„ამ კაცს არ ეტყობა, რომ ჩემთან ურთიერთობა სურდეს, — გაიფიქრა ნინომ, — საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში დალი? სრულიად უბრალოდ! ის რაღაც ამდაგვარს იტყოდა: „ვერ გავიგე, შენ კაცი ხარ თუ არა?“ და მორჩა, ყველაფერი გადაწყვეტილი იქნებოდა. მე კი ეს ფრაზა არ მომიხდება. დალი ნამდვილი ლომია, მე კი ძაღლი, ან ვიყეფები, ან კუდს ვაქიცინებ“.

და ნინომ დაიყეფა:

— ნამდვილი ველური ხართ, სულხან, იქნებ ისიც გეკითხათ, რამდენი წლის ვარ?

— მაგას რატომ შეგეკითხებით, როცა უკვე ვიცი? — მხრები აიჩეჩა კაცმა.

— ეს უკვე ნამეტანია.

ნინო რომ მართლა ძაღლი ყოფილიყო, ახლა დაიღრენდა, ხოლო თუ სულხანი ხელს დროულად არ გასწევდა, მაშინ თითზე კბილსაც გაჰკრავდა.

ნაგავი. პიჟონი. დეგენერატი. გულში ნაცნობი სიმსუბუქე ისადგურებდა. ასე იყო წლების წინ, როცა გაკვეთილზე მათემატიკის მასწავლებელს სულელი უწოდა. ასე იყო უნივერსიტეტში, როცა ერთ-ერთ ლექციაზე წყლიანი გრაფინი კედელს შეანარცხა.

ნინომ შამპანურის მძიმე ბოთლი ხელში აიღო, დაატრიალა და ადგილზე დააბრუნა. ამოისუნთქა, სულხანს დაჟინებით დააცქერდა და თქვა:

— ვინც ქალთან ვახშმობს, მასთანაც ის ცეკვავს.

სულხანს სახეზე გაოცება გამოესახა.

— დიახ, დიახ, ქალს რომ დაათრობთ, მასზე პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე უნდა აიღოთ, — ნინო ცდილობდა, სულხანისთვის შემდგომი ქმედება ეკარნახა.

— დიახ, მე... — დაიწყო სულხანმა, მაგრამ ნინომ არ დააცადა.

— დღეს აქ დაასრულეთ? მაშინ აიბარგეთ...

— აიბარგეთ, ეს როგორ, — დაზუსტება სცადა სულხანმა და შეეცადა, მსუბუქი შფოთვა არ შეემჩნია.

— მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, — დააზუსტა ნინომ, — აქ იყავი, ფეხი არ მოიცვალო და ახლავე დავბრუნდები.

ნინო დალის ოთახში შევარდა. დალიმ მის ნაამბობს მოუსმინა და თქვა:

— სიმართლე თუ გინდა, ასეთი ადამიანები იშვიათად გვხვდებიან. ერთი შეხედვით მაგარი ტიპის შთაბეჭდილებას ტოვებენ, საქმე საქმეზე რომ მიდგება კი შიშისგან ცახცახებენ. თუმცა, ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას შენთან ურთიერთობა მთელი გულით სურს, მაგრამ დღეს შესაფერისი ტრუსი არ ჩაუცვამს.

— კარგი, ეგ გავიგე, მაგრამ ახლა რა ვქნა? როგორ მოვიქცე? წავიდე და ტრუსი ვუყიდო?

დალი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— ცოტა სწრაფად იფიქრე, — გამოაფხიზლა ნინომ.

— სხვადასხვანაირი გზა არსებობს, — როგორც იქნა, ალაპარაკდა დალი, — ყველაზე იოლია, დაათრო. მთვრალი მამაკაცები გულადები და სულელები არიან.

— არ მიყვარს არც მთვრალი და არც სულელი კაცები, — გაპროტესტება სცადა ნინომ.

— მაშინ ინიციატივა საკუთარ თავზე აიღე. მამაკაცებს უფროსობა მხოლოდ სამსახურში უყვართ. ქალთან ურთიერთობისას კი ხბოსავით არიან, საითაც წაიყვან, იქით წავლენ.

— სად წავიყვანო? — ჰკითხა გაღიზიანებულმა ნინომ.

— შენთან სახლში ახლა ხომ არავინაა? ჰოდა, ადექი და შინ წაიყვანე, — არც ისე დამაჯერებლად თქვა დალიმ.

— შენ რა, გაგიჟდი? — საფეთქელთან საჩვენებელი თითი დაიტრიალა ნინომ და უხამსად შეიგინა.

— კარგი, რამეს მოვიფიქრებთ, — ღიმილით თქვა დალიმ და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ტაქსიში სულხანი სისულელეებს ლაპარაკობდა.

— შენი პირველი სიყვარულის შესახებ მომიყევი, — გააწყვეტინა ნინომ და სცადა, მისი აზროვნება საჭირო კალაპოტში მოექცია.

— პირველი სიყვარული? მეცხრე კლასში მეწვია... არა, საბავშვო ბაღში, სილაში თამაშის დროს.

ტაქსის მძღოლმა ეს რომ გაიგონა, გაიცინა.

— მეც ზუსტად ასე დამემართა, ძმაო.

სულხანი გაჩუმდა.

სახლთან მისასვლელად ტალახიანი გზა უნდა გაევლოთ. სულხანი გალანტურობას ავლენდა

და გვერდულად მიდიოდა, თან ნინოს ხელს აშველებდა.

სადარბაზოში საშინელი სუნი იდგა... როგორც იქნა, საჭირო კარს მიადგნენ. ნინომ კედელზე მიკრული ბინის ნომერი კიდევ ერთხელ გადაამოწმა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი ასე, 25 წლის ქალმა გააღო.

ნინომ სახელი უთხრა. ქალმა თავის დაქნევით ანიშნა, რომ შესულიყვნენ. შემდეგ ნინო სამზარეულოში გაიყვანა, კარი მჭიდროდ მიხურა და უთხრა:

— მე 2 საათში დავბრუნდები, ტელეფონს არ უპასუხოთ, ჭიქები არ გადმოალაგოთ, ფული კი წინასწარ გადაიხადეთ, — ჩურჩულით თქვა და დამცინავი ღიმილით შეხედა.

ნინომ ფული ჩაუთვალა. ქალი წავიდა. სულხანი ამ დროს სააბაზანოში იყო.

— ვინ იყო ეს ქალი? — ოდნავ გამოაღო კარი მამაკაცმა.

ნინომ დაინახა, რომ მას ხელში ფეხსაცმელი ეჭირა და ონკანის ქვეშ რეცხავდა.

— ეს გოგო თავს ამით ირჩენს, თავის ბინას წყვილებზე აქირავებს, — გამომწვევად უპასუხა ქალმა.

ნინო გაჩუმდა. ახლა წესით პირველი ნაბიჯი სულხანს უნდა გადაედგა. სულხანმა გარეცხილი ფეხსაცმელი გულიანად შეათვალიერა, ჩაიცვა და მაშინვე მეორე გაიხადა.

— რატომ მოხვედი აქ, ფეხსაცმლის გასარეცხად? — როგორც იქნა, აღშფოთდა ქალი.

სულხანმა გაუღიმა.

— როგორც მივხვდი, დიასახლისი მხოლოდ 2 საათის მერე დაბრუნდება, — რაღაცნაირად, გაწელილად წარმოთქვა და მეორე ფეხსაცმლის რეცხვას შეუდგა.

ნინო ოთახში გავიდა, ტელევიზორი ჩართო და დივანზე მოცელილივით დაეხეთქა.

მას ეჩვენებოდა, რომ ამაზე სულელურ სიტუაციაში არასოდეს ყოფილა. ეკრანზე ასაკოვანი მამაკაცი გამოჩნდა, რომელიც ჰყვებოდა, როგორ დააკავეს მისი მშობლები. მან რაღაც ფრაზა წარმოთქვა, ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიწმინდა. ნინოს რატომღაც ეს მოქმედება სასაცილოდ მოეჩვენა და ახითხითდა. შემდეგ ხმამაღლა ახარხარდა. სიცილისგან სუნთქვაც კი შეეკრა.

„ეს უკვე ისტერიკაა“ — გაიფიქრა და ცოტა შეშინდა. ჯერ ხელზე იპწკინა, მერე ცხვირზე ხელი მოიჭირა, მაგრამ ამ ქმედებამ ორგანიზმზე გავლენა ვერ მოახდინა. სიცილით დაღლილმა ქალმა მაგიდიდან სანთებელა აიღო, აანთო და ცეცხლს ხელისგული მიუშვირა. სიცილი შეწყდა. ნინომ დამწვარ ადგილს სული შეუბერა და დაფიქრდა, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება.

სწორედ ამ დროს ოთახში სულხანი შემოვიდა. ნინომ შეხედა და ისევ ხარხარი აუტყდა. მამაკაცი ფეხშიშველი, ტრუსის ამარა იდგა.

მარჯვენა მხარზე ტატუ ჰქონდა. კბილებდაკრეჭილი ლომი, რომელიც ჩინელს ჰგავდა. ხელში ლიქიორის ბოთლი ეჭირა.

— ეს საიდან მოიტანე? — ჰკითხა ნინომ.

— მაცივრიდან, — წარბშეუხრელად უპასუხა მამაკაცმა, — სულ ცოტას თუ მოვაკლებთ, არ შეემჩნევა.

კარადიდან 2 მომცრო ჭიქა გადმოიღო და ლიქიორი ჩამოასხა.

— დიასახლისს არ უთქვამს, რომ ამ ჭიქებით სარგებლობა შეგვიძლია.

— არა უშავს, — ხელი ჩაიქნია სულხანმა, — საღებავს ხომ არ ვასხამთ შიგ, აბა, კარგად ვიყოთ, — თქვა და ჭიქა ჭიქას მიუჭახუნა.

— არ გცივა? — ჰკითხა ქალმა.

— მე შინაც ყოველთვის ფეხშიშველი დავდივარ, — აუწყა სულხანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამაკაცმა ნაბიჯი უკვე გადადგა, ახლა ნინოს ჯერი იყო. ახლა წესით ნინო სააბაზანოში უნდა შესულიყო, მაგრამ ასეთ დროს პირსახოცი სჭირდება. სხვის პირსახოცს ხომ ვერ გამოიყენებდა? საინტერესოა, სულხანმა რა ქნა? და კიდევ... არც პლედი ჰქონდა, რომ დაეფარებინა... რა საშინელებაა, რამდენი წვრილმანია, რაც ხელს გიშლის, რომ სხვა მამაკაცს დანებდე.

— არ მოიწყინო, — დაიბარა ნინომ და ოთახიდან გავიდა.

სააბაზანოს კარი შიგნიდან ჩაკეტა, წყალი მოუშვა და აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა. ახლა მას რამდენიმე წუთი სჭირდებოდა, რომ აზრი მოეკრიბა. დალის ამდენი ფიქრი არ დასჭირდებოდა. ის უბრალოდ, იტყოდა: „რამეს მოვიფიქრებთ“. მას ყველაფერი თავისთავად გამოსდიოდა, როგორც ცხოველებს, მყვირალობის დროს. მათ არ სჭირდებათ სხვის ჭიქებზე, პირსახოცსა და პლედზე ფიქრი და სულაც არ ადარდებთ, რას იფიქრებს ის არსება, რომელსაც პარტნიორი ჰქვია.

ნინომ ნიჟარას საცობი გაუკეთა და წყლით გაავსო. შემდეგ მასში სასაპნე გემივით გაუშვა...

სულხანი ოთახში არ დახვდა.

უფლისა
ალნეშოვის ნიშანია



კაბის გარეშე ცოტა შესცივდა ქალს. სამზარეულოში გავიდა, მაგრამ მამაკაცი არც იქ დახვდა.

— სად ხარ? — იკითხა ხმამაღლა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

სულხანის დარეცხილ-გაპრიალებული ფეხსაცმელები შემოსასვლელ კართან ელაგა.

ნინო სააბაზანოში შებრუნდა და ჩაცმა დაიწყო.

სულხანი სწორედ ამ დროს დაადგა თავზე, სრულიად შიშველი.

— სად იყავი?

— კარადაში.

— იქ რა გინდოდა?

— მინდოდა, გაგხუმრებოდი და კარგ ხასიათზე დამეყენებინე.

— ნამდვილად გამოგივიდა, ვერ ხედავ, სიცილისგან ჩავბუერდი. გამატარე, უნდა წავიდე.

ნინო მტკიცე ნაბიჯით გავიდა შემოსასვლელში და კარის სახელურს მისწვდა. ამ დროს სულხანმა ხელი ჩაავლო, მკერდზე მიიკრა და ოთახისკენ წაიყვანა. ახლა ქალმა თავი კარგად იგრძნო...

— აბა, ახლავე გამიშვი ხელი!

— დაუყვირა მამაკაცს და იდაყვი გვერდში სდრუზა.

— მეტკინა, — ძლივს ამოისუნთქა მამაკაცმა და ქალს ხელი გაუშვა.

გამოსვლისას ნინომ სულხანის ცალი ფეხსაცმელი ხელს გააყოლა და სანაგვეში ჩაუძახა. გაჩერებასთან მისულმა ნაყინი იყიდა, ქაღალდი შემოაცალა და ერთხელ ალოკა თუ არა, თავი ბედნიერად იგრძნო.

მისი მომლოდინე დალი ადგილს ვერ პოულობდა. როგორც კი თვალი მოჰკრა, ისე ეცა, თითქოს რამდენიმე წელია, არ ენახოს.

კითხვები სეტყვასავით წამოვიდა. ნინო კი დუმილითა და მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით პასუხობდა. როგორც იქნა, დალი დაცხრა და ცოტა გაბუტულმა თქვა:

— მე სიკეთე გავუკეთე, ეს კი დუმს. ახლავე მოჰყევი, რა მოხდა?

— ყველაფერი მოხდა, — ლაკონურად და პათოსით წარმოთქვა ნინომ.

გაჩუმება აღარ შეიძლებოდა... ნინო ყველაფერს დაწვრილებით მოჰყვა.

ამ ნაამბობში იყო ეპიზოდი, თუ როგორ გადაჰყავდა ხელში ატატებული ქალი სულხანს ტალახიან გუბეზე, იყო კონიაკი, ვარდების თაიგული... ძირითადი, ეროტიკული სიუჟეტი კი ნინომ ისე გადმოსცა, დალის სუნთქვა შეეკრა.

როდესაც ნინომ თხრობა დაასრულა, დალიმ ღრმად ამოიოხრა და შური არ დაუმალავს:

— ზოგიერთს როგორ უმართლებს... პირველივე შემთხვევაში ზღაპრული თავგადასავალი...

— ნუ იდარდებ, საყვარელო, შენთანაც ყველაფერი კარგად იქნება, — რაღაცნაირად, დედობრივი მზრუნველობით უთხრა ნინომ და რატომღაც თვალები აუცრემლდა.

●

მოკლე ჩართვა

რაზე ვფიქრობ ყველაზე ხშირად?

• ყველაზე ხშირად უფრო წვეტიან აზრებს ვებრძვი, თუ რატომაა დედამიწა მრგვალი და არა ოთხკუთხედი. ანდა, რატომაა ჯერ დღე, მერე — ღამე ჰო, ასეთი აზროვნება მაქვს. გრუზინკა

• ყველაზე ხშირად იმაზე ვფიქრობ, რატომ გაჭნდი გოგოდ? კიდევ სწავლის დაწყებაზე. მარ, შენი კოლეგა ვარ და ისე მიხარიაااااა... გაკოცეთ ყველას... სოფი19.

• საერთოდ, ხშირად ვფიქრობ მარ, როგორ ვერ ვახერხებ, გავხდე უკეთესი... მინდა, უფრო სასარგებლო გავხდე ადამიანებისთვის და ბევრი სიხარული ვაჩუქო, მაგრამ ამ კვირაში ისეთი რამეები მოხდა, ახლა უფრო ხშირად იმას ვფიქრობ, რომ არაფერს არ უნდა ეცადო. მხოლოდ მაშინ უნდა გაულიმო, როცა ამის საჭიროებას გულწრფელად გრძნობ და არა — თავი დააჯერო, რომ ეს ყოველთვის სავალდებულოა. მგონი, მხოლოდ მე ვარ ასე. სარვიეტა

• ხშირად შეცდომებზე ვფიქრობ და დავფიქრე, რომ შეცდომების რაცხვმა იკლო. ასე მეჩვენება და რა ვი... :-) სხვას არ ვეკითხები, უარყოფითი პასუხის მეშინია. ურჩი გოგო

• ყველაზე ხშირად ვფიქრობ ჩემს საყვარელ ურეკზე. ჯერ არ წავსულვარ და უკვე მენატრებიან ჩემი ძაძია, „მაცალე" და „ბზუილა" კოლოები, რომელთაც ერთგულებით სისხლი კი არ გამიშრეს, არამედ დამიტკბეს. ლიკლიკა

• რაზე და დღეს რა გავაკეთო, რითი გავერთო. აბااა, ასეთი ფიქრები მაქვს. მარად თქვენი პუსკი

• საბწუხაროდ, ყველაზე ხშირად მეფიქრება მასზე, ვინც ძალიან მატკინა გული და ჩემი არსებობაც დაივიწყა. იმედია, უაზრო ფიქრები დიდხანს არ შემაწუხებს, რადგან ყველაფერს აქვს ზღვარი. სიახლეების დროს განსაკუთრებით მაშინ, როცა მზეა, სითბოა, ბაფხულია. ისევ თქვენთან ვარ, მგზავნელებო. მომენატრე, მარ. კეთილი ფერია

• რაზე კი არა, ვისზე ვფიქრობ და ხშირად კი არა, გამუდმებით. ჩემი სიცოცხლე, ლააშ, მიკალქალ „ვიბრიდები" შენზე, ჩემო ანგელოზო. Ashley pcd

• რაზე ვფიქრობ ყველაზე ხშირად? კარგი კითხვაა. ვფიქრობ ჩემს მომავალზე, ვფიქრობ, სკოლას რომ დავამთავრებ და გამოცდების ჩაბარება მომიწევს. თავში მხოლოდ ეს მაქვს, არადა ჯერ 15 წლის ვარ, მაგრამ მაინც ელაკუნა

• რაზე ვფიქრობ იცი, ყველაზე ხშირად? კი არ ვფიქრობ, მესიზმრება კიდეც ვითომ მომღერალი ვარ. იმდენს ვმღერი, არც მიკვირს. ხანდახან ისე მომინდება სიმღერა, ვგიჟდები. მეფიქრება და მემღერება, მაინც შოკოლადა

12 >>>

გამოხმაურება

„თუ შენგან დატოვებულ სიცარიელეს იგრძნობს, არ დაგკარგავს"

„გზის" №31-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი, რომელიც ცოტა არ იყოს და, მართლაც, ბუნდოვანი გახლდათ. ამ წერილმა ზოგი დააბნია, ზოგი კი შეეცადა, თავსატეხი ამოეცნო და საკუთარი ვერსიებიც თამამად გამოთქვა. შეგახსენებთ, უცნობი გვწერდა: „მე და ჩემს ნაცნობს გვყავს საერთო მეგობარი. კარგი გოგოა, მაგრამ როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ის ყოველთვის მას ირჩევს, არადა ამბობს, — ჩემთვის ორივე ერთი ხართო. როგორ მოვიქცე?"

„მეორეხარისხოვან როლში ყოფნას თუ ვერ ეგუები, პირველობისთვის უნდა იბრძოლო"

ლიკა ქაჯაია

მწარე:

„უცნობო, შენი სათქმელის გაგება ნამდვილად არ გამჭირვებია, რადგან მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი... არაფერი შეიმჩნიო, მათაც და საერთოდ, ყველას მოექეცი ისე, როგორც თავად გექცევიან, ნურავის გადაყვები. ალბათ, ასეთ რჩევას არ უნდა გაძლევდე, მაგრამ მეტი გზა არაა. ყველასთვის იყავი ის, რაც შენთვის არიან".

ნილი:

„ან ორივეს უკეთეს მეგობრობაზე დაელაპარაკე, ან თუ იმ გოგოს ასეთი საქციელი გულს ძალიან გტკენს, ორივეს შეეშვი".

იკუზკები:

„დიდი სიამოვნებით მოგცემდი უფრო ვრცელ და კომპეტენტურ რჩევას, მაგრამ ვინაიდან კარგად ვერ გაგვაგებინე, თუ რა ხდება შენს თავს, შევეცდები, თავადვე გამოვიცნო, რა გიჭირს. რატომღაც მგონია, რომ შენ და ის შენი ნაცნობი ბიჭები ხართ და ამიტომაც ვერ ეგუები გოგონას არჩევანს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სამივენი გოგონები ხართ, გამოდის, რომ ეს მეგობრული ეჭვიანობაა. ნებისმიერ შემთხვევაში, მეორეხარისხოვან როლში ყოფნას თუ ვერ ეგუები ან პირველობისთვის სრულყოფილად უნდა იბრძოლო, ან არადა, ადგე და წახვიდე. როცა ვიღაცას არ სჭირდები, მაგრამ შენი დაკარგვა მაინც არ უნდა, ე.ი. საქმე გვაქვს გაუმაძღარ, საკუთარ თავზე შეყვარებულ ეგოისტ ადამიანთან... სხვა დროს რჩევა თუ დაგჭირდება, უფრო კონკრეტულად მოგვწერე შენი პრობლემის შესახებ. მამრობითი სქესის წარმომადგენელი ხარ, არა?"

Ashley pcd:

„ჩემი აზრით, ის გოგონა მეორე მეგობართან მეტ საერთოს პოულობს. დაელაპარაკე და აუხსენი, რასაც განიცდი. მეგობრებს შორის დაფარული არაფერი უნდა იყოს. სამწუხაროდ, შენი სქესი არ გაქვს მითითებული, მაგრამ ვფიქრობ, გოგო უნდა იყო. აბა, ჰე, წარმატებები! გიპაჩეეე".

ნუკანი:

„მე გირჩევ, შეეგუო, რომ ის მისთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე შენ. მაპატიე, თუ გაწყენინე, მაგრამ 2 ადამიანი ერთნაირი ვერასდროს იქნება. ის რაღაცას გატყუებს".

ზოკოლადა:

„ცოტა ბუნდოვნად წერ, მაგრამ როგორც გავიგე, უბრალოდ, დაქალზე ეჭვიანობ და ამბობ, სულ მეორე დაქალს ირჩევსო. არ მესმის, არჩევანის წინაშე რატომ აყენებ? ამას იმიტომ გეუბნები, რომ მეც გამოვცადე მსგავსი რამ — ჩემი დაქალი ჩემზე კარგი შეყვარებულივით, გამუდმებით ეჭვიანობდა :)). საბედნიეროდ, არჩევანის გაკეთება არ დამჭირდა. თავადვე აღიარა, რომ ეგოისტობდა და ახლა, ჩემს ახალშეძენილ მეგობრებთან თავადაც დაქალობს. ასე რომ, არჩევანის გაკეთებას ნუ მოსთხოვ. მას ორივე უყვარხართ და ეს უნდა გაუგო".

სევდიანი ძალი:

„კარგად დააკვირდი იმ შენს ნაცნობს, თუ ის საერთო მეგობრისკენ უფრო იხრება, არა მგონია, მისთვის ორივე ერთი იყოთ. ხომ გაგიგონია: მესამე ყოველთვის ზედმეტიაო?! ჰოდა, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე და თუ დარწმუნდები, რომ მართლა ასეა, მაშინ ადექი და ჩამოშორდი!"

ნიცა:

„მართლა გაურკვევლად წერ ყველაფერს. როგორც შენი მესიჯიდან გავიგე, იმ გოგოზე ეჭვიანობ. მოეშვი მას და განზე გადექი. თუ შენგან დატოვებულ სიცარიელეს იგრძნობს, არ დაგკარგავს და ეცდება თავიდან მოგიპოვოს (თუნდაც, ამას შეყვარებულზე წერდე). უბრალოდ, ძალიან ემოციური და ეჭვიანი რომ ხარ, ამიტომაც გეჩვენება რაღაცები".

ლუნა:

„არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ სჯობს, სიმართლეს თვალი გაუსწორო. რაც არ უნდა მტკივნეული იყოს შენთვის, გეტყვი იმას, რასაც ვფიქრობ და რაც რეალობას შეესაბამება. მას თქვენი საერთო მეგობარი უფრო უყვარს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე არ მოიქცეოდა, როგორც ახლა იქცევა. ის სათანადოდ ვერ გაფასებს. უთხარი, მისგან რაც გწყინს და აჯობებს, სიმართლე თავად გითხრას. თუ ამბობს, რომ მისთვის ორივე ერთი ხართ და მაინც, ყოველთვის მას აყენებს შენზე წინ, ე.ი. ის მეტად უყვარს. ისეთ ადამიანს ნუ გაიხდი მეგობრად, ვისაც შენი ფასი არ ეცოდინება. გკოცნი".

გრუზინკა:

„რჩევა ბევრს სჭირდება, შენ კი გაგიმართლა და მართალია, შენი „ესემესი" დაიბეჭდა, მაგრამ ძალიან ბუნდოვან რაღაცებს წერ. სხვა დროს ცოტა დაკონკრეტდი, რა... ვფიქრობ, უბრალოდ, მეგობრებზე ეჭვიანობ და ყველაფერს ასე ძალიან ამიტომაც განიცდი".

„სიყვარული გრძნობაა და არა – თანაგრძნობა"

„გზის" №31-ში დაიბეჭდა შეყვარებული გოგოს მესიჯი. იგი გვწერდა: „4 წლის განმავლობაში, ვითომ და, ვმეგობრობდით, არადა, ერთმანეთი მოგვწონდა. მან სიყვარული 1 წლის წინ ამიხსნა. ნუ, თავიდან, როგორც ხდება, ერთი-ორჯერ შევხვდით, მერე ვმესიჯობდით..." მაგრამ ბოლო ორი კვირაა, შეყვარებული გოგონასთვის „ლოვეს" არაფერი მიუწერია და ის ამას ძალიან განიცდის. ამასთან, აშკარაა, რომ 15 წლის გოგონა ძალიან ამბიციურია. იგი მესიჯის ბოლოს გვწერდა: „ასეთი რამ ჩემს თავს არასდროს მომხდარა, ჯერ არავის მოვბეზრებივარ".

„თუ გიყვარს, უნდა გაუგო კიდეც!"

გრუზინკა:

„დაურეკე და დაელაპარაკე. გითხრას, რა სჭირს, რატომ ვერ იცლის სამესიჯოდ?.. გარდატეხის ასაკში ბიჭები ხშირ-ხშირად იცვლებიან. იქნებ, ბავშვურად, მეგობრულად გიყურებს?"

ნიცა:

„მაოცებ! შენ ის გიკვირს, რომ მობეზრდი და გული მხოლოდ ამის გამო გტკივა? ჯერ საკუთარ გრძნობებში გაერკვიე და მერე, თუ დარწმუნდები, რომ გიყვარს, დაურეკე და ჰკითხე, პრობლემები ხომ არ აქვს? თუ შენ გამო ამის შემდეგაც არ შეიწუხებს თავს, „ზნაჩიტ", სხვა გოგო გამოჩნდა მის ცხოვრებაში და შენც, იმ ტიპის დავიწყებას უნდა შეეცადო. ყველაფერი „დაიკიდე", შენთვის ცხოვრება ხომ ახლა იწყება!.. შენებურად, მეგობრებთან ერთად გაავჯაზე. მერწმუნე, ცხოვრება მშვენიერია და ამიტომაც, ყოველივე ცუდი უნდა „დაიკიდო".

ლუნა:

„ჰაი, მეგობრობიდან სიყვარულამდე ერთი ნაბიჯია. საინტერესოა, რატომ აღარ გეხმიანება? ისე, ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ თავად თუ გაგცემს. ძალიანაც რომ მოვინდომო, მაინც ვერ გეტყვი, რა სჭირს. საკუთარ თავს ჰკითხე, მისი სიჩუმის მიზეზი რა შეიძლება იყოს? რატომ იქცევა ასე? იქნებ, ამის საბაბი თავად მიეცი? აბა, რა გითხრა, გენაცვალე, შეყვარებული გოგო ხარ და წინდახედულობა გმართებს".

მისტერ:

„რატომ გგონია, რომ მობეზრდი? გრძნობა შესაძლოა, მხოლოდ მაშინ გახდეს მოსაბეზრებელი, როდესაც ცალმხრივია. იქნებ, რაიმე პრობლემა აქვს და ვერ გიკავშირდება? შეეცადე, ყველაფერი დააზუსტო და ნაადრევი დასკვნებისგან თავი შეიკავე".

ბოკოლადა:

„ჩემო კარგო, არ მინდა, იმედი გაგიცრუო, მაგრამ შენ უკვე საკმაოდ დიდი ხარ იმისათვის, რომ მიხვდე, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა და შესაბამისად, ვიღაცას მოეწონები, ვიღაცას — არა. ალბათ, იმ ბიჭსაც აღარ მოსწონხარ, მაგრამ ეს ტრაგედია ნამდვილად არ არის. ამ ამბავს ნურც გაიოცებ და ნურც მას დაემდურები. როგორც ამბობენ, სიყვარული გრძნობაა და არა — თანაგრძნობა, ამიტომ მასზე შენც აღარ იფიქრო და სხვა თაყვანისმცემელს მიეცი შანსი. წარმატებები!"

უცნობი:

„გეტყობა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს და როგორც ვატყობ, იმ ბიჭს შენნაირ მეტიჩარასთან ურთიერთობა მობეზრდა".

DJ virus:

„შეიძლება, შენი შეყვარებული სპეციალურად არ გწერს. ბიჭებს არ მოსწონთ, გოგონები ზედმეტად რომ იფასებენ თავს. ის ალბათ, გცდის და აინტერესებს, თავს როდის შეიწუხებ. აღარ გეკონტაქტება? შენ მისწერე რამე. ნუთუ, ეს არ გეკადრება? საკუთარი საქციელით შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაკარგო კიდეც".

ლელაკუნა:

„ჰაი. ნუთუ, ვერ ხვდები, რომ მას კი არ მობეზრდი, არამედ, ასეთი საქციელით თავს განატრებს. დამიჯერე, პირველი ისევ თავად გამოიჩენს ინიციატივას და დაგიმესიჯებს. დაელოდე".

სევდიანი ქალი:

„ჩემო კარგო, მინდა, ერთი რამ გითხრა: იქნებ, ჯერ გაგერკვია მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გწერს შენი შეყვარებული და მერე გამოგეტანა დასკვნები — მართლა მობეზრდი თუ არა? თუ მართლა უყვარხარ, რატომ უნდა მობეზრებოდა შენთან ურთიერთობა? ან რაღაც ხდება მის თავს, ან გულწრფელად არ უყვარხარ".



თუ გაქვს სოლოლოები
გახვევია, ე.ი. შენ
ცენტრალურია სოლოლი ხარ

Ashley pcd:

„ცოტა გააქტიურდი! მიდი, თავად მისწერე და გაარკვიე, იქნებ და, რა სჭირს? მოსთხოვე, ყველაფერი აგიხსნას. იქნებ, თავადაც ვერ გარკვეულა საკუთარ გრძნობებში? თუ მიგატოვა, ამას ტრაგედიად ნუ აღიქვამ. ბოლოს და ბოლოს, 15 წლის ხარ და მთელი ცხოვრება წინ გაქვს :))“.

იკუზკები:

„ჯერ ერთი, ვინ გითხრა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა შესაძლებელია? სიყვარული ერთი-ორჯერ შეხვედრით და მესიჯობით ნამდვილად არც მოდის და არც — მყარდება. სიმართლე გითხრა, ზუსტად ვერ გავიგე, რა პრობლემა გაქვს? მგონი, შენ ის ამბავი უფრო გადარდებს, ვიღაც არასერიოზულ ბიჭს რომ მობეზრდი და არა ის, რომ შეყვარებული აღარ გყავს. შესაბამისად, გამომაქვს დასკვნა, რომ შეყვარებული არასდროს ყოფილხარ. შენ იმ ასაკში ხარ, როცა გართობა და ხალისი შეგეფერება. საკუთარ თავს ნაადრევად რატომ ასერიოზულებ? ის ტიპი „დაიკიდე“, ჯერ სიყვარული არაფერში გჭირდება. შესაძლოა, არჩევანში შეცდე და მერე, ეს სიყვარულობანას თამაში სანანებელი გაგიხდეს. შენი ასაკის რომ ვიყავი, მხოლოდ მეგობრებთან ერთად გართობაზე ვფიქრობდი. შენც ამავეს გაკეთებას გირჩევ. სიყვარულისთვის მთელი ცხოვრება წინ გაქვს და ნუ იჩქარებ“.

ნილი:

„დაელაპარაკე და აგიხსნას, თუ რა ხდება სინამდვილეში. ჩემი აზრით, მობეზრება არაფერ შუაშია. იცოდე, ოდესღაც ყველაფერი მთავრდება. და კიდევ, ბიჭის წინაშე თავი არასდროს დაიმცირო!“

მწარე:

„ჩემო კარგო, ჯერ მხოლოდ 15 წლის ხარ და კიდევ ბევრის შეყვარებას მოასწრებ. იცოდე, ცხოვრება ბევრ სიურპრიზს მოგიწყობს. რაც შეეხება შენს შეყვარებულს, არ გიცდია, მისთვის მესიჯი თავად მიგეწერა? იქნებ, სერიოზული მიზეზი აქვს? რომ ამბობ, ჯერ არავის მოვბეზრებივარო, რა იცი, რომ მან შენზე გული აიცრუა? ჯერ გაიგე, რა მოხდა სინამდვილეში, რატომ დაიკარგა 2 კვირით და დასკვნებიც მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანე. თუ გიყვარს, უნდა გაუგო კიდეც! აბა, შენ იცი“.

„სულ რამდენიმე თვეა, სიარული დავიწყე... მან ეს თავიდანვე იცოდა“

პატარა ძალუკა 20:

„გამარჯობა. თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. მაინტერესებს, რას მეტყვიან ჩემი თანატოლები იმასთან დაკავშირებით, რაც გულს ძალიან მტკენს... ლევანი ჩათში, ახალ წელს გავიცანი. ჩვენ დავახლოვდით და მერე, ტელეფონის მეშვეობით განვაგრძეთ ურთიერთობა — ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით. რამდენიმე თვის შემდეგ შეხვედრა მთხოვა, მაგრამ ვუთხარი, — ვიდრე თბილისში, საავადმყოფოში დასაწოლად არ ჩამოვალ, ვერ გნახავ-მეთქი. საქმე იმაშია, რომ სერიოზულად ვარ ავად. სულ რამდენიმე თვეა, უფლის წყალობით, სიარული დავიწყე. მან ეს თავიდანვე იცოდა, მაგრამ ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ეს პრობლემა არ იყო. მთავარია, სულიერად ნაზი იყო, ერთმანეთს გავუგოთ და იმას არ აქვს მნიშვნელობა, ჯანმრთელი ხარ თუ არაო. მივენდე მის სიტყვებს... როცა თბილისში ჩამოვედი, შევეხმიანე და მაშინვე ჩემთან გაჩნდა. მთელი 9 დღის მანძილზე გვერდიდან არ მომშორებია, მხარში მედგა, სითბოსა და ყურადღებას არ მაკლებდა. ძმა, ბიძაშვილი და დაქალი გამაცნო, მათ ჩემი თავი „ლოვედ“ წარუდგინა. მერე იყო პირველი კოცნა და ბედნიერების განცდა. მეუბნებოდა, რომ ჩემი დაკარგვა არ უნდოდა, მაგრამ ბოლო დღეებში გულჩათხრობილი, სხვანაირი გახდა ჩემ მიმართ. ვიფიქრე, ჩემს ცუდად ყოფნას განიცდის და იმედია, ყველაფერი მალე გადაუვლისმეთქი. როცა კლინიკიდან გამომწერეს, ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. მეგონა, დროებით, მაგრამ თურმე, სამუდამოდ დავშორდით — 2 დღის მერე, დილით დამიმესიჯა და მითხრა, რომ სიყვარულისთვის მზად არ იყო და მეგობრობა შემომთავაზა. არადა, საავადმყოფოში ყოფნისას სულ იმას მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი, ერთად უნდა ვყოფილიყავით და უფლის ნებას მივნდობოდით. ამბობდა: როცა გამოჯანმრთელდები, ოჯახს შევქმნითო. მპირდებოდა, გულს არასდროს გატკენ, ამას არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენო. ჩემდა სამწუხაროდ, გული მაინც, თანაც, ძალიან მატკინა. ლიკა, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. ამ ყველაფერზე საზოგადოების აზრი მაინტერესებს. ხალხო, როგორ ფიქრობთ, მას შეეშინდა? იმედია, ჩემი რიგი მალე მოვა... ჰო, მართლა, ლევანი 19 წლისაა. მან ასაკი დამიმალა და მიმტკიცებდა, 20-ის ვარო. P.S. როცა ვთხოვე, ჩემთვის დაშორების რეალური მიზეზი ეთქვა, არაფერი მითხრა. ის კი არა, ტელეფონი გამითიშა კიდეც. გაბრაზებულმა მივწერე, რომ ლაჩრულად მოიქცა და დავემშვიდობე, — ხვეწნას არ დაგიწყებ-მეთქი“.

ეჭვიანობის გამო დაკარგული სიყვარული

ზესტა და-კე:

„გამარჯობა. 1 წელზე მეტია, შეყვარებული მყავს და ჩვენ შორის ორმხრივი სიყვარულიც იყო, მაგრამ ჩემი სისულელეების გამო, ახლა ჩემი ხმის გაგონებაც არ უნდა. სისულელეებში იმას ვგულისხმობ, რომ ეჭვიანი ვარ. არადა, ამისთვის არანაირი საბაბი არ მოუცია. ამიტომაც, ჩემზე ძალიან ნაწყენია და აღარც „ესემესზე“ მპასუხობს და არც — ზარზე. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? როგორ დავიბრუნო სიყვარული? უკვე მეორედ გამიბრაზდა. პირველად შევძელი და შემოვირიგე, ახლა კი მგონი, აღარანაირი შანსი არ მაქვს. ამ ამბის შემდეგ 2 თვე გავიდა და მის გარეშე ძალიან ცუდად ვარ“.

P.S. მაშ ასე, თუ პატარა ძალუკა 20-ისა და ზესტა და-კეს წერილების წაკითხვის შემდეგ, რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

ასე ფორეუდი და ეხლოზელი

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-31

ანა: რამდენიმე კითხვა მაქვს:

1. სიგარეტს ეწევი?
2. საათს ატარებ მაჯაზე?
3. სუნამოს ხმარობ?
3. როგორი სტილის ფეხსაცმელი მოგწონს და იცვამ?

მერაბი: სიგარეტს ვეწევი, საათს იშვიათად ვიკეთებ. სუნამო კი მიყვარს და მეგობრები მჩუქნიან, ძვირად ღირებულ სუნამოებს. მძაფრსუნიანი ოდეკოლონები მომწონს. კლასიკური სტილის ფეხსაცმელს ვიცვამ.

ანა: ნუ, არ ვიცი, სადღა წავიღო ამდენი სიყვარული. ეგეც კიდევ 4 „პლუსი“ შენ!

მერაბი: რამდენზე უნდა ახვიდე?

ანა: რა ვიცი... ეგ შენზე და შენს დადებით მხარეებზეა დამოკიდებული... „მინუსებსაც“ ვნახავ და ზოგს გააბათილებს...

მერაბი: ახლა სად ხარ, სახლში თუ სამსახურში?

ანა: ახლა ისევ სამსახურში ვარ...

მერაბი: ამ დრომდე რას აკეთებ?

ანა: ვმუშაობ. საქეიფოდ აღარ მიდიხარ?

მერაბი: არა. ხვალ დილით მანქანა ხელოსანთან უნდა წავიყვანო... მერე „გაგაცნობ“ ჩემს მანქანას და სანამ ეს მყავს, ჩამოდი ჩემთან... შეიძლება გამოვცვალო, უკეთესის ყიდვა მინდა. ახალი ჯიპი უნდა ვიყიდო და მერე ვეღარ გაიცნობ.

ანა: გამოცვალე... შენი რაც იქნება, იმას გავიცნობ... :))) და რატომ ცვლი, აკი მომწონსო? თუ ეს სამსახურის მანქანაა?

მერაბი: არა, ჩემია.

ანა: კაი, ჰო, ნუ მებლატავები... მაგით არ მომწონხარ... ტროლეიბუსით იარე, თუ გინდა. მაგას მნიშვნელობა არ აქვს... ჩემს „მერანში“ ჩაგსვამ და ისე მოგიტაცებ.

მერაბი: ვა, როდის აპირებ? შენი მერანი რა ფერისაა? მანდ, ოფისში ვინაა შენთან ერთად, ასე გვიან?

ანა: არ გრცხვენია, მერაბ?

მერაბი: არც შეგეკითხო?

ანა: აქ ყველაფერი კომფორტულადაა მოწყობილი. ტელევიზორი, კომპიუტერი, დივანი... ორმაგი რკინის კარი, გისოსები... ტანკით რომ მომადგეს ვინმე, ვერ შემოვა...

მერაბი: და რომ ჩამოვიდე, კართან დავდგე მარილიანი თოფით?

ანა: მარილიანი თოფი რად გინდა? თუ ჩამოხვალ, უთოფოდაც გაგიღებ კარს... შენ არ შემიშინდე, ოღონდ... :)))

ანა: ალოოო... დიდი ხნით ნუ იკარგები, თორემ მენატრები ხოლმე...

მერაბი: ჰა, ჰა... ასეთი მშიშარა გგონივარ, საყვარელო? ასეთი მშიშარა რომ ვიყო, ამდენი წელი ვერ ვიმუშავებდი პოლიციაში. გამიშვებდნენ სახლში, ძვირფასო. ახლა რა მინდა, იცი? სადმე მე და შენ „პაეზდკაში“ რომ წავიდეთ.

ანა: საჭესთან შენ დაჯექი, ოღონდ... მე კი გიყურებ, როგორ მართავ საჭეს. გინდა ასე?

მერაბი: აბა, ეგრეც ვაპირებ. რისი მეშინია, იცი? მერე გაგიჭირდება უჩემობა. სულ ჩემთან მოგინდება ყოფნა.

ანა: უშენოდ ყოფნა თუ გამიჭირდება, უფრო კარგი, მერე... შორს იქნები... იშვიათად გნახავ და უფრო გემრიელიც იქნები... მაგრამ ასე მგონია, შენც გაგიჭირდება, უჩემოდ... ეს ასეა და მარტო სიტყვები არ გეგონოს...

მერაბი: ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ისე, რამე რომ იყოს და თბილისში გამომიშვან, რას იზამდი?

ანა: გამიხარდებოდა, ალბათ... ურთიერთობას გააჩნია... ისე, შორს რომ იყო, ის მირჩევნია, თუ გონებით განვსჯით... გულს თუ დავუჯერებ, აქვე, ახლოს... იცი, რა? რომ შეგეჩვიო, ცოდო ვარ... დავიტანჯები. საშინლად ეჭვიანი ვარ და შეიძლება, გული გამისკდეს... არ მინდა, შემიყვარდე... მირჩევნია, მსურდე და მსურდე... ამ ყველაფერზე ლაპარაკი ძალიან ადრეა... ძალიან...

მერაბი: მეც ესე მგონია. ახლა რაღაც, მოვიწყინე. შენთან მომინდა ყოფნა. რა დალაგებული ვიყავი?! თავდაყირა გადაბრუნდა ყველაფერი. ალბათ მეც ასე მინდოდა. არ ვიცი, რა იქნება.

ანა: მეც მინდა შენთან... მართლა ჯადო ხომ არ გამიკეთე?

მერაბი: საიდან, ჰაერიდან? ეგრეც ხდება?

ანა: რა ვიცი... ალბათ... აბა, რას ნიშნავს ეს? ადრე რატომ არ დამემართა ასე? 2 თვეა, ამ საიტზე ვარ და ათასობით კაცი დამეკონტაქტა.... სხვამ რატომ ვერ შეძლო?

მერაბი: მერე, ჩამოდი ჩემთან, 4 საათში აქ იქნები, ჩემთან ერთად.

ანა: :)))))))

მერაბი: რა გაცინებს?

ანა: კი არ ვიცინი, ვიღიმი...

მერაბი: ისე, შეგიძლია, ასეთი ნაბიჯის გადადგმა?

ანა: არ ვიცი... ალბათ არა... ისე, არ არის გამორიცხული, დავქოქო და წამოვიდე, მაგრამ ახლა, ამ ეტაპზე ალბათ არა.... და ალბათ არც მერე... თუმცა, პირველი შეხვედრის მერე ალბათ კი... რომ მითხრა, მომენატრე და ვერ მოვდივარო... ასე ძნელია თქმა... არ ვიცი, რა...

მერაბი: ოდესღაც ხომ უნდა გადადგა ეს ნაბიჯი? მე არ ვაპირებ ურთიერთობის გაწყვეტას შენთან. მე ჩამოვიდოდი, მაგრამ ისეთ რეჟიმში მიწევს მუშაობა, ნაღდად არ შემიძლია ახლა, თორემ შეგივარდებოდი წელში და გაგაქანებდი სადმე, სადაც ვერ დაგვინახავდნენ და ვერც შენს წკმუტუნს გაიგონებდნენ.

ანა: წკმუტუნი მომეწონა... :))) როცა შეძლებ, მაშინ ჩამოხვალ, მე არსად მეჩქარება... თუმცა, კი მეჩქარება, მაგრამ ისე არა, რომ

ვერ მოვითმინო.

მერაბი: კარგი, კარგი, მოითმინე. მთელი დღე მარტო ხარ ოთახში? არავინ შემოდის და გადის მანდ?

ანა: კი, როგორ არა... შემოდიან, საქმეზე დამელაპარაკებიან და გადიან. ეს ჩემი ოთახია... აქ დაჯდომა, ჭორაობა ასე შემდეგ, აკრძალული აქვთ.

მერაბი: უკვე ღამის 3 საათია. ახლა უნდა წამოვწვე. მოხვალ, შემომიგორდები? :)))

ანა: კიიი... თავს დაგადებ, ყურში ჩაგჩურჩულებ, რომ მიყვარხარ. თუ არ გადმომაგდებ, გაკოცებ კიდეც... ჩაგიხუტებ და გულზე დაგადნები... არ დამტოვო, რااა...

მერაბი: არა, შენ სად დაგტოვებ, შე ჩემო პატარა მანიაკო.

ანა: იცი, სად გაკოცებ?

მერაბი: სად?

ანა: ყურის ძირში... ცხლად... მერე ყელში...

მერაბი: მე კი ისე მოგეფერებოდი, ისე, რომ ხორკლებმა დაგაყაროს...

მერაბი: ანა!

მერაბი: ხმა ამოიღე.

მერაბი: ანა!

ანა: გისმენ.

მერაბი: ცუდად ხარ? ჩემთან გინდა?

ანა: ჰო.

ანა: ჩემს გარდა კიდევ ელაპარაკები ვინმეს?

მერაბი: არა, შენს თავს ვფიცავარ, შენს გარდა თუ ვინმეს ველაპარაკებოდე. ასეთ თემაზე შენს გარდა არავისთან მილაპარაკია, შენ მთლად გამაგიჟე. შეიძლება ავდგე და ჩამოვიდე და გაყინული, შემოგივარდები საწოლში და გამათბობ.

ანა: იცი, თერმობირთვული შეგრძნებები რას ნიშნავს?

მერაბი: ისე გაკოცებდი, ისე, რომ ვერ მომიცილებდი.

ანა: შენ მე გადამრევ...

მერაბი: დღეს რომ ჩამოვიდე, გნახავ?

ანა: ოღონდ დღეს არა... მაგის წარმოდგენაზეც კი შიშმა ამიტანა... აქ კი ვარ, მაგარ გულზე და ისე, რომ გნახო, ალბათ ხმას ვერ ამოვიღებ... ეტყობა, გულმა მიგრძნო, რომ გითხარი, ამაღამ ჩამოგიყვან-მეთქი.

მერაბი: მე ამოვიღებ ხმას და შენც აგალაპარაკებ ისე, რომ ველარ გაჩერდები.

ანა: ჰო, ალბათ შენზე იქნება ბევრი რამე დამოკიდებული. კაცი ხარ და უნდა აიტანო... უნდა გამხსნა და შენვე დარჩები მოგებული...

მერაბი: ვნახოთ, როგორი მოსწავლე იქნები. გეფიცები, ეს ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო და მოგამზადე, კომპლექსები რომ არ გქონდეს, გაიგე, სიხარულო? ჩვენ ერთმანეთში დასამალი არაფერი უნდა გვქონდეს, დღეიდან. სწორად გამიგე.

ანა: მე კი მგონია, რომ ახლა უფრო მექნება კომპლექსები... მთელი ჩემი გული დაგიდე ხელისგულზე... შენი ირონიის, საყვედურის და ცუდი აზრის მეშინია...

მერაბი: სურათი რომ გამოგიგზავნე, ნახე?

ანა: კი.

მერაბი: ჩემთან ერთად რომ არის, ის ბიჭი ვინ არის, იცი? მაშინ რომ გაგაბრაზა, „სკაიპში“, ჩემმა თანამშრომელმა, ისაა.

ანა: :))) არ გამაბრაზა. პირიქით, კარგად ჩაერთო ჩვენს ურთიერთობაში... ვიხალისე, მაგრად. მივხვდი, რომ შენთან ახლობლობდა და იმასაც მივხვდი, რომ პატივს გცემს და უყვარხარ... ვემუქრებოდი, მერაბს ვეტყვი, რომ მაბამ და ნახავ, რას გიზამს-მეთქი. ის მპასუხობდა, ახლავე დავალებაზე გავუშვებო... მერე, შენ რა უთხარი, არ ვიცი, მე მაინც ვწერდი, თავს არ ვანებებდი, მაინტერესებდა, რას იზამდა და მითხრა, თავი დამანებე, თორემ მიგბლოკავო... დაგაჩმორეს-მეთქი? ვკითხე და დამბლოკა... მესიამოვნა... ეს იმას ნიშნავს, რომ შენ პატივს გცემენ... თუ მამაკაცს გარშემო პატივს არავინ სცემს, იმას ხელსაც არ ჩამოვართმევ... შორიდან გადავუგდებ გამარჯობას... ერთგვარი ტესტი ჩავატარე მაშინ მაგ ტიპზე და... „ხუთიანი“ — შენ! მოკლედ, კარგად ვიხალისე.

მერაბი: ხომ არ დაიღალე, სიცოცხლევ?

ანა: არა, შენთან ურთიერთობით არ დავიღლები... შენ თუ გინდა, დაიძინე. ნუ გეშინია, სხვა კაცებს არ დაველაპარაკები.

მერაბი: რადგან გამეხსენი, უკვე არაფრის მეშინია. მაგრად მაინტერესებდა შენი გარეგნობაც და მომეწონე. მართლა პირველი ხარ, ვინც ასეთ დღეში ჩამაგდო. ქალებში იმდენჯერ გამივლია, ვინ დათვლის მაგას, მაგრამ შენ მაგრად დამაინტერესე და არ ვაპირებ შენს დაკარგვას. რაც გელაპარაკე აქამდე, ყველაფერი სიმართლე იყო. შენ თუ გინდა, სხვებსაც ელაპარაკე, მაგრამ მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ყოველივე ამის შემდეგ არ ჩავთვლიდი საჭიროდ.

ანა: არც მე ვთვლი საჭიროდ და ეს 2 დღეა, სხვებს მხოლოდ იმიტომ ველაპარაკებოდი, რომ შენს მოსვლამდე დრო მომეკლა. არა მგონია, გამოჩნდეს ვინმე, ვინც შენზე მეტად დამაინტერესებს.

მერაბი: ახლა მაინც მომიყევი ის, რაც აქამდე არ გითქვამს ჩემთვის, ანა?

ანა: რაზე მეუბნები, აბაა... შენ ყველაფერი

მართალი გითხარი, რაც აქ არ გამიკეთებია... ყველას ერთსა და იმავე ტყუილს ვეუბნებოდი, რომ არ ამრეოდა... შენ სიმართლე გითხარი. რა გაინტერესებს, მითხარი და გულწრფელად გეტყვი.

მერაბი: მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ, მე შენს სიყვარულს ვერ გავექეცი, შენ ჩემზე ამბობ, გული არ აქვსო, მე გული მქონდა და შენ მოგეცი.... აი, ასე! შენ ვინ გგონივარ? ანა, შვილი მართლა გყავს? საერთოდ, რას მოღვაწეობ?

ანა: ლექსებს რომ მწერ, ეს უკვე კარგის ნიშანია... გმააადლობთ... შენს გულს შევინახავ. შევინახავ... ჩემს მკერდში და ცივ ნიავსაც არ მივაკარებ... ეს — რაც შეეხებოდა ლექსს... რაც შემეხება მე, 1 შვილი მყავს, გოგონა. რაც შეეხება საქმიანობას, არაფერი მომიტყუებია. მანქანაც მართლა მყავს...

მერაბი: შორ გზაზე დადიხარ მანქანით მარტო?

ანა: კი, შორ გზაზე დავდივარ თავისუფლად, კარგი მძღოლი ვარ.

ანა: პასუხებს რატომ აგვიანებ? შენ თუ მანდ ვინმეს ეფერები, მოგიკვდები, იცოდე...

მერაბი: აქ ვის უნდა ვეფერებოდე? სახლში არ ვეფერები და... აქ შენ გეფერები მარტო.

ანა: პასუხებს რომ აგვიანებ, ვეჭვიანობ.

მერაბი: აარა, არ იეჭვიანო. ვფიქრობ, როგორ მოგწერო, რომ გაგაოცო, მაგრამ ანი ფიქრი არ მჭირდება.

ანა: რატომ არ გჭირდება ფიქრი, უკვე ნაფიქრი გაქვს?

მერაბი: ჰო, ნაფიქრი მაქვს. ვიცი, აღარ მომატყუებ და იმიტომ.

ანა: მგონი სადღაც ცუდად გავყავი თავი და ჯერ გონზე არა ვარ... :)))) ცუდად თავის გაყოფაში შენისთანა პროფესიის ადამიანთან ურთიერთობას ვგულისხმობ.

მერაბი: ისეთ ხასიათზე ვარ, სისასტიკით გაკოცებდი. რაც მაწამე ეს დღეები, ყველას კისერში ამოგიყვანდი. ისე დაგღლიდი კოცნით, ერთ-ორი საათი არ გეყოფოდა, რეაბილიტაციისთვის. მკვდარივით დაგეძინებოდა, ჩემთან ჩახუტებულს.

ანა: და შენ თუ გგონია, რომ შენი წამება დამთავრდა, ძალიან ცდები, საყვარელო... ახლა უფრო ტკბილად გაწამებ....

მერაბი: თუ გინდა, ხვალ ჩამოდი.

ანა: მოვიცდი... ისევ ასე ჯობია. დავდნები და გადავირევი, შენთან ყოფნის სურვილით. მერე უფრო ტკბილი იქნება შენი ალერსი. პირს ჩავიგემრიელებ და შეგახრამუნებ. :)))

მერაბი: კარგი, კარგი, გიჟო, რა დღეში გაქვს ნერვები? მართლა ჩამოდი. დაგხვდები და გაგაცილებ კიდეც.

ანა: შეგეცოდე? :))) რა გულიანად გამეცინა... მაგარია, ამის გამო რომ შეეცოდები კაცს...

მერაბი: არა, კი არ შემეცოდე, მეც მინდა, რომ ჩამოხვიდე და იმიტომ გეუბნები. კაცის ხამი რომ იყო, ათასს ნახავდი თბილისში,

მოკლე ჩართვა

რაზე ვფიქრობ ყველაზე ხშირად?

<<< 6

• ნუ, რაც მართალია, მართალია. ყველაზე ხშირად სექსზე ვფიქრობ. არავინ შემეკამთოს იმაში, რომ მასზე უმშვენიერესი გრძნობა არსებობს. მრეწველობა კი არ გადაარჩენს საქართველოს, არამედ — სექსი! მისტერ.

• რაზე ვფიქრობ ჩემი კარგი და ერთადერთი საფიქრალი და ოცნება მაქვს, 2 წელია. შესაძლოა, ზოგს სისულელედ მოეჩვენოს, მაგრამ რა ვქნა? ძალიან, ძალიან მინდა ნანკა კალატოზიშვილის გაცნობა. აი, ამაზე ვფიქრობ ყოველდღე. ჩემზე უფროსია, მაგრამ მინდა გავიცნო და დავუმეგობრდე. იმედს არ ვკარგავ– ჩემი ფიქრები და ოცნება მხოლოდ ეს არის — ნანკას გაცნობა! ზესტაფონი-19

• საერთოდ ძაალიან ბევრ რამეზე ვფიქრობ ხოლმე... ჩემს თავში რომ ვინმემ ჩაიხედოს ტიტუუუ... რა ამბავი დახვდება

მაგრამ სხვა რამეშია საქმე აქ.

ანა: რამდენი ხნით შეგიძლია, შენი ყურადღება რომ დამითმო?

მერაბი: რამდენითაც გინდა. შენ რამდენი ხნით გინდა?

ანა: მაგ სიტყვების გამო გკოცნი (აი, ხამზე რომ მომწერე). საოცარია, რომ კაცი ამას ხვდება... ბევრი სხვანაირად იფიქრებდა... ჩემს სურვილზე თუ მიდგა საქმე, მე ახლა ჩაკეტილ ოთახში ცივი, დასალევი წყალი, ცხელი წყალი და შენ... სიგარეტი კიდევ და ყავა... 1 კვირა მეყოფა, ალბათ. :))) ნუ, ეს მე თუ მკითხავ...

მერაბი: ისე, მე რომ ვყოფილიყავი შენს ადგილზე, რა შემიშლიდა ხელს? დილით მოვახტებოდი მანქანას და ჩამოვიდოდი. ხვალ ისედაც ვისვენებ და ორშაბათს, თუ გეჩქარებოდა, წახვიდოდი ლამაზად. თუ საწვავის ფული არ გაქვს, მატარებლით წამოდი და მე დაგხვდები.

ანა: რაებს მეუბნები? რა საწვავის ფული არ მაქვს? სასაცილო ხარ... მატარებლით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ მიმგზავრია, წლებია... ახლა არ გამოვა... შუა კვირაში ვნახოთ... მაგრამ მანამდე ალბათ გადამივლის.

მერაბი: რა გადაგივლის? ნუ გეშინია...

ანა: გადამივლის ალბათ, ეს სულელური მდგომარეობა, აბა, არა? შენ ასეთ იმედს მაძლევ, რომ არ გადამივლის? მაშინ ვიღუპები და ეგაااااა...

მერაბი: აჰა, ესე იგი თუ გადაგივლის და მაგას ელოდები, მაშინ გამოდის, გულს გარეთ მელაპარაკებოდი? რატომ, რატომ, მაგით ვინ დაღუპულა, შე მხეცუნია?

ანა: არა, არა, რა მეტყობოდა, რომ გულწრფელი არ ვიყავი? ისეთი რაღაცები გითხარი, თავსაც რომ არ ვუტყდები ხოლმე... შენთან მინდა! და ეს არ არის ტყუილი... ხომ გაგიგონია, მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო?

მერაბი: აბა, გადამივლისო, ვერ ჩამოვალო და რა ვიცი, კიდევ რას მომწერ.

ანა: კარგი, ნუ მეჩხუბები. თენდება უკვე და დავიძინოთ. ისე, ერთ კითხვაზე მიპასუხე. როგორი შეგრძნებაა მამაკაცისთვის, როცა ქალი ეუბნება, მინდიხარო?

მერაბი: მაგარი, ენით აღუწერელი, მაგრამ ქალსაც გააჩნია. მე იმდენ ქალს ვუნდივარ, მაგრამ ყველასთან კი არ ვკონტაქტობ. დარწმუნებული ვარ, შენც ბევრ კაცს უნდიხარ, მაგრამ ყველას ხომ არ უყადრი თავს? ეგრეა.

ანა: ჰო, ეგ ასეა... კარგი, გკოცნი ახლა და დაიძინე...

მერაბი: კარგი, დავიძინოთ. ხვალ დაგირეკავ.

ანა: კარგი.

27 აპრილი, 09:34

ანა: მენატრები, შე საძაგელო... როგორ ვერ მოგისწარი?! კარგა ხანს ყოფილხარ საიტზე და...

მერაბი: არ გააცივო ჩემი მესიჯი, უცებ გახსენი. შენი დამპყრობელი მოვიდა!

ანა: როგორ არის ჩემი დამპყრობელი? გაგიხარდა, აქ რომ დაგხვდი?

მერაბი: აბა, არ გამიხარდებოდა? შენ როგორ გგონია? ახლა სად ხარ?

ანა: უკვე სამსახურში ვარ და დილიდან გელოდებოდი...

მერაბი: ვაიმე, შემოგევლე, ასეც ვიცოდი, გული მიგრძნობდა და იმიტომ მოვედი ასე ადრე სამსახურში.

ანა: თუ არ აფერისტობ, კარგია. :))) ნეტავ, შენ თუ ფიქრობდი ჩემზე გუშინ?

მერაბი: რა თქმა უნდა, ვფიქრობდი. აბა, რატომ მოგწერდი, მაშინ?

ანა: უნდა ჩამოვიდე ქუთაისში და რაიმე დანაშაული ჩავიდინო, შენ რომ დამიჭირო...

მერაბი: მოვიდა მამალი!

ანა: მამალი კი არა და... მაგას რუსულად „პეტუხი" ჰქვია, ბიჭოოო! :)))

მერაბი: „პეტუხს" გაჩვენებ, თუ ჩამოგივარდი მანდ. ქართული ენა მრავალფეროვანია და იმ კუთხით შეხედე, რომელი კუთხითაც საინტერესოა. ცუდიდან რატომ უყურებ?

ანა: შენ რა, მართლა გაბრაზდი? :(((

მერაბი: არა, შენგან არ მიტყდება. სხვისგან გამიტყდებოდა.

ანა: ჰოოო... იცი, რომ „პეტუხს" ფეხსაც არ დავაბანინებ და იმიტომ... ფუი, ეშმაკს... მასე რომ იყო, ასე კი არ შემიყვარდებოდი.

მერაბი: მერე, დააყენე საშველი, დღეს წამოდი. ვითომ საქმეზე მოდიხარ.

ანა: რას ამბობ? დღეს ვმუშაობ... არ არსებობს... ხვალ გასვენებაში მივდივარ...

მერაბი: ახლა გამახსენდა, მეც გასვენებაში მივდივარ ხვალ.

ანა: აბა, მანდ სხვისი იმედით მეპატიჟებოდი? შენი შემცვლელი უნდა დამახვედრო თუ რაშია საქმე?

მერაბი: შენ როგორ გგონია? როგორ წარმოგიდგენივარ? ნუთუ ასეთ პიროვნებას ვგავარ, რომ ვინმეს დავუთმო შენი თავი?

ანა: გენაცვალე... ასეთ რაღაცებს რომ მეუბნები, მიხარია, მაგრამ ძუნწი ხარ, უნდა გამოგძალო...

მერაბი: ქალი ისეთ დღეში უნდა ჩააგდო, რომ ხანდახან, თუ ხშირად არა, უნდა აკბენინო, გაამხეცო, რომ შემდეგ საწოლში მაგარი იყოს.

ანა: სიკვდილის ბუზი არ დაგაჯდეს საწოლში, ფრთხილად იყავი...

მერაბი: რა არის, მემუქრები? მოკვლას მიპირებ ანუშკები? მე ახლა გავალ პროფილაქტიკაში და დავბრუნდები. დღეს მორიგე ვარ და ხომ იცი, ღამეს ათენებ ჩემთან ერთად. არ მოიწყინო, მალე მოვალ.

ანა: კარგი, მაგრამ მეც უნდა გავიდე. გვიან ვიქნები, ასე, 9 საათის მერე და შენთან ვარ... დილამდე... მძინარავ.

მერაბი: საიტზე ხარ და არ მესაუბრები? რით ხარ დაკავებული ასე?

ანა: შემოგევლეე... შენზე ფიქრით ვარ დაკავებული... :))) არ ვიყავი აქ... ვმუშაობ...

მერაბი: მართლა მჯერა, სიხარულო. ასეთი საუბარი არავისთან მქონია. შენ გახდი ჩემი სამსახური. გინდ დაიჯერე და გინდ არა... სიმართლეს სად გავექცევი, თორემ არც მე მინდა, რომ ასეა... რას იზამ? ასე უნდა განგებას ალბათ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფოტო, რომელმაც ოპოზიცია ღაჯაჯინა

ამ ფოტოსთვის ზესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:

8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეს ასეთია:

ოფიციალურად ღიღი ქარტვის ფინ

დასაწყისი — „გზა“, №38-31

მარი ХაშარიძE

როგორც იქნა, ის ქალიც გამოჩნდა, რომელსაც წინადღეს შინ ვეწვიე. დამინახა თუ არა, მაშინვე გამიღიმა და მომესალმა. წამოვდექი და ხელი ჩამოვართვი.

— თქვენ რა, ერთმანეთს იცნობთ? — ვალერიმ გაოცება ვერ დამალა.

— დიახ, ეს მამაკაცი გუშინ ჩემთან იყო, — თვალები კეკლუცად დააფახულა ქალმა.

— რასთან დაკავშირებით?

— ნიცაზე მკითხა რაღაცები.

— კარგი, გასაგებია, — ჩაიბურტყუნა ვალერიმ, — მე მაინტერესებს, გუშინდლამდე იცნობდით მას თუ არა?

— კი, დამინახავს ნიცასთან ერთად, — ქალი შეყოყმანდა. თითქოს ლაპარაკის გაგრძელება სურდა, მაგრამ მორიგ კითხვას ელოდა.

— იმ დღეს, როცა ნიცა ბოლოს ნახეთ, ეს მამაკაცი იყო მასთან ერთად? — ვალერიმ კითხვა დასვა, მაგრამ არც მე მიყურებდა და არც ქალს.

მივხვდი, დაძაბული ელოდა პასუხს, მაგრამ არც მე ვიყავი მშვიდად.

— არა, ეს არ იყო. ისიც ძალიან სიმპათიური იყო, მაგრამ ეს გაცილებით ლამაზი და მოხდენილია, — თავით ანიშნა ჩემზე.

შვებით ამოვისუნთქე.

— მე თუ საჭირო აღარ ვარ, წავალ, — წამოვიწიე ადგილიდან, მაგრამ ვალერიმ უარის ნიშნად თავი გააქნია და ხელით მანიშნა, ადგილზე დავმჯდარიყავი.

მოწმეს კიდევ რამდენიმე კითხვა დაუსვა და გაუშვა.

— რა გინდოდა გუშინ მასთან? — თავი იმ კარისკენ გადააქნია, სადაც 2 წუთის წინ მოწმე გავიდა.

— ნიცაზე მაინტერესებდა რაღაცები და იმის გასაგებად მივედი, — ვუპასუხე და თვალი თვალში გავუყარე.

— მერე, რა გაიგე?

— ბევრი ვერაფერი, მაგრამ რაღაც კი გავიგე.

— მაინც?

— მოდი, ვალერი ემელიანოვიჩ, თქვენ თქვენი გამოძიება აწარმოეთ, მე ჩემი გზებით ვეცდები, თქვენი შვილისა და ჩემი საყვარელი ქალის ადგილსამყოფელის დადგენას. ასე ჯობია, დამიჯერეთ. დარწმუნებული ვარ, რომ არაფერს დაიშურებთ, ნიცას მოსაძებნად და ალბათ თქვენც ასევე ხართ დარწმუნებული, განსაკუთრებით მოწმეების ჩვენების შემდეგ, რაც ჩემზე ეჭვი აღარ გაქვთ, რომ მეც მთელ ენერგიას მოვახმარ, ნიცას მოძებნას.

თავი უხმოდ დააქნია.

— ახლა კი თქვენი ნებართვით წავალ, დრო არ ითმენს და აქ, თქვენს კაბინეტში ჯდომით არა მგონია, რამეს მივაგნოთ.

უცერემონიოდ ავდექი და ოთახი უკანმოუხედავად დავტოვე.

მეცოდებოდა ეს კაცი, რადგან რაც ნიცა გაუჩინარდა, იმის მერე თითქოს წელში მოიხარა და რამდენიმე წლით დაბერდა კიდეც, მაგრამ მაინც ვაჩვენე, რომ გულდაწყვეტილი და ნაწყენი ვიყავი მასზე იმის გამო, რომ ჩემში ეჭვი შეიტანა.

ჯერ დღის პირველი საათი იყო. დრო ბევრი მქონდა და შესაძლებელი იყო, რაღაც გამეგო ამ საიდუმლოებით მოცული გაუჩინარების შესახებ.

მანქანა დავქოქე და მილიციის სამმართველოს ეზოდან გამოვედი. ფიქრებში ისე ჩავიძირე, ვერც კი მივხვდი, ამხელა გზა როგორ გავიარე. როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, ნიცას სახლის გვერდით ვიდექი. საათს დავხედე. მთელი საათნახევარი იყო გასული მას შემდეგ, რაც ვალერისგან წამოვედი. აქ მოსვლას ასე, 40 წუთი დასჭირდებოდა. გამოდის, დანარჩენი დრო გაჩერებულ მანქანაში გამიტარებია.

ახლა ამ უბნის მაყურებელი უნდა მენახა. ყველაზე ნაღდი ეს იყო.

რამდენიმე კვარტალი გავიარე და ლაშას სახლს მივადექი. კარგა ხანი იყო, აღარ შევხვედროდი ჩემს ძველ ნაცნობს. მას შემდეგ, რაც მოსკვა-რეკაზე, გემზე მოწყობილი „სხადნიაკი“ ჩაშალეს ძაღლებმა.

ლაშა მარტო დამხვდა და ჩემი დანახვა ძალიან გაუკვირდა.

— რა იყო, რა სახე გაქვს, ბიჭო? — ოთახში შემიძღვა და ჩემ პირისპირ ჩამოჯდა, — მოხდა რამე?

— კი, მოხდა, ამ უბანში ჩემი ახლობელი გოგო ცხოვრობს და მეოთხე დღეა, მის ასავალ-დასავალს ვერ ვპოულობთ, — პირდაპირ საქმეზე გადავედი.

— ქართველია?

— არა, რუსია, მამამისი სამმართველოს უფროსია.

— მოიცა, მოიცა, შენ იმ ლამაზ გოგოზე ამბობ, რაღაც უცნაური სახელი რომ ჰქვია

— მოიცა, მოიცა, შენ იმ ლამაზ გოგოზე ამბობ, ხალაც უცნაური სახელი ხომ ჰქვია და მთელ უბანს ხომ უყვარს?

და მთელ უბანს რომ უყვარს?

— ნიცა...

— ჰო, ნიცა... როგორი ახლობელია ეგ გოგო შენი? ნაშაა?

— არა, — თავი გავაქნიე და ლაშას სიტყვებმა გამაღიზიანა, — ნაშა არ არის, საცოლეა ჩემი.

— ვაააა, რას ამბობ? მერე, სად არის ახლა? — უადგილო კითხვა დასვა.

— მეც მაგის დადგენას ვცდილობ. მეზობელს უნახავს, რომ ვიღაც სიმპათიურ, ქართველ კაცს ჩასჯდომია მანქანაში და იმის მერე არ ჩანს. უნდა დამეხმარო და უბნის ბიჭებისგან ინფორმაცია მომიგროვო.

— ბაზარი არაა, ძამაო, თუ გინდა, ახლავე წავიდეთ, — ლაშამ მაგიდაზე დადგმულ ჭიქებში კონიაკის ჩამოსხმა დააპირა.

— არ მინდა, — მტკიცედ ვთქვი და ჭიქას ხელი დავაფარე, — არ ვსვამ, ხომ იცი. ჯობია წავიდეთ.

უბანში ვიღაც ბიჭები მოიკითხა და დაიბარა.

1 საათში ოთხივემ მოიყარა თავი. ლაშამ სიტუაცია მოკლედ აუხსნა და დაავალა, ნიცას შესახებ გაეკითხათ და თუ რამის გაგებას შეძლებდნენ, ამბავი მისთვის მიეტანათ. შეხვედრა მეორე დღის 12 საათზე დავთქვით და დავიშალეთ.

ლაშა მეხვეწა, მასთან წავსულიყავი, მაგრამ მისი თავი არ მქონდა. ვიცოდი მისი ხასიათი, ამოიყვანდა ქალებს და ქეიფს გამართავდა, მე კი ამის გუნებაზე არ ვიყავი.

ლაშას დავემშვიდობე და შინ წავედი.

მელანო სახლში დამხვდა, მაგრამ განაწყენებული სახით იჯდა. მივხვდი, გაბუტული იყო.

დედამ სამზარეულოდან გამომძახა და მისკენ გავემართე.

კარტოფილს წვავდა და სახლში მადისაღმძვრელი სუნი იდგა. მაგიდას მივუჯექი.

ვუყურებდი, როგორ ფუსფუსებდა დედა და გული სიყვარულით მევსებოდა. თუმცა, ყელში რაღაც ბურთივით მეჩხირებოდა, **რადგან ჩემი გამზრდელი დედაც მახსენდებოდა, რომელიც** არანაკლებ მიყვარდა და უფრო მეტადაც.

როგორც ჩანს, ჩემი დაჟინებული მზერა იგრძნო და უეცრად შემობრუნდა.

— რატომ მიყურებ ასე?

— როგორ გიყურებ? — შევუბრუნე კითხვა.

— რაღაცნაირად.

— მოდი ჩემთან, დე...

პატარა ბავშვივით ჩავისვი კალთაში და ფუმფულა მკერდზე თავი დავადე. თავზე ლოყა დამადო და თვითონაც გაყუჩდა.

— ვერაფერი გაიგე, დედი? — მკითხა შემდეგ მზრუნველად.

პასუხი არ გავეცი.

— „იმას“ შეურიგდი, ცოდვაა, განიცდის, — მელანოზე მითხრა.

— თვითონ შემირიგდეს, გაცეცხლებული ვარ მაგის გამო, — ხმამაღლა ვთქვი, რომ მელანოს გაეგონა.

მელანო სამზარეულოს კარში გამოჩნდა. რაღაცნაირად, მოშვებული მოდიოდა. ჩემ წინ დაჯდა, ტაფიდან თეფშზე კარტოფილი გადმოიღო და მადიანად შეუდგა ჭამას.

— მე წესით ახლა აქ არ უნდა ვჩერდებოდე და შენი სახლიდან უნდა მივდიოდე, მაგრამ ჯერ წასასვლელი არსად მაქვს, — თქვა მერე მშვიდად.

— იყავი, არავინ გაგდებს, — სულგრძელად მივეცი დარჩენის უფლება.

— ცოტა ხანს ვიქნები, მერე კი წავალ. ჰო, მართლა, ნიცა ვინ არის? — თვალებში ჩამაშტერდა.

— ჩემი ახლობელი გოგონაა.

— ახლობელია თუ საყვარელი?

— საცოლეა, — არ დავინდე.

— გასაგებია... და ჩემთვის არ გითქვამს, რომ საცოლე გყავდა.

— უტა, მე წავალ, შვილო, ტელევიზორს ვუყურებ, — დედაჩემმა დაგვტოვა და საუბრის საშუალება მოგვცა.

— არ ჩავთვალე საჭიროდ, საქმის კურსში ჩამეყენებინე.

— ჰო, მეძავები ადამიანები არ ვართ და არცაა საჭირო, რომ ადამიანურად დაგველაპარაკო, არა? — თვალები მოჭუტა კატასავით.

— მელანო, ახლა შენი თავი არ მაქვს, დაღლილი ვარ, დისკუსია სხვა დროისთვის გადავდოთ, კარგი?

— კარგი, გადავდოთ, მაგრამ ძალიან ნუ გაწელავ დროს, ისევ შენთვის აჯობებს, — რაღაცნაირად დამცინავად აუთამაშდა ტუჩის კუთხე. ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი. გამარჯვებულის პოზიციიდან ლაპარაკობდა, რატომღაც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა ბინილები

მარი ჯაფარიძე

სხვისი საიდუმლო

გამარჯობა, ჩემო მოუსვენარო ადამიანებო. როგორც ვატყობ, თქვენ უნდა შემიწიროთ. დავაშავე რამე? არა, ხომ? აბა, რას მერჩით? ვერ გაიგეთ, ხომ, რაზე ვლაპარაკობ? ახლავე აგიხსნით, მაგრამ ჯერ ეს მესიჯი წაიკითხეთ, რომელიც დილის 5 საათზე მივიღე: „მარ, მაპატიე ამ დილაუთენია რომ გაწუხებ. გირეკავდი, მაგრამ მობილური გამორთული გქონდა... ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინო... ღამის პირველი საათისთვის ლიმონა, ეშმაკუნა, მის რეალი და 9717 ავარიაში მოხვდნენ. ეშმაკუნას მამა სატვირთოს დასჯახებია... მიშკა საოპერაციოშია, გადარჩენის იმედი აქვთ, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ხეიბარი დარჩებაო, ქირურგმა... მძღოლი და გოგონები საავადმყოფოში მიყვანამდე გამოგვეცალნენ ხელიდან... მე ბათუმელ მგზავნელებს წამოვყევი აქეთ, ქუთაისის დიაგნოსტიკურ საავადმყოფოში ვიმოფებით. შოკში ვართ, ასეთი საშინელება რატომ უნდა მომხდარიყო, ღმერთო, რატომ? ბათუმში მიდიოდნენო. რიცა“. აი, ეს საშინელი ტექსტი რომ წავიკითხე, ჯერ თავზარი დამეცა, მაგრამ სიტყვებმა — „გირეკავდი და მობილური გამორთული გქონდა“, მიმახვედრა, რომ მატყუებდნენ, რადგან მთელი ღამე ჩართული იყო ჩემი ტელეფონი. ჰოდა, რიცას მივწერე, ამ ტყუილისთვის დაისჯები-მეთქი. მერე? მერე რა მოხდა და ეს მესიჯი რატომ გამომიგზავნეს, დღევანდელ „გზავნილებში“ წაიკითხეთ.

ლაბერვაური პოინტი ლე „ერცთე ისე აცვალეთა ჯოლი“

პაპიდა

„მაგარი ანტიკვარი პაპიდა მყავს. გენაცვალე შენა, დაშულიკ! ჰოდა, რაც გათხოვდა, ბაზალეთში ცხოვრობს. 83 წლისაა და სოფლის ყველა ამბავი იცის. როცა მასთან ვცხოვრობდი, მთელი ბაზალეთელი ხალხის ამბები შევისწავლე. ერთხელ, ასეთი რამ მომიყვა: კომუნისტების პერიოდში, ბიბლიოთეკარი და მათემატიკის მასწავლებელი ერთმანეთს ჰყვარობდნენ. მათ ვნებიან რომანს კი ფარდა შემთხვევით აეხადა. ჩემი სასახელო პაპიდა, რომელსაც სკოლაში დირექტორზე დიდი გავლენა აქვს (ფაქტობრივად სკოლის პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც თავადაა), იმ დროს შესულა ბიბლიოთეკაში, როცა გვრიტები ვნებიანად კოცნიდნენ ერთმანეთს და კუჭის წვენის ამოღების პარალელურად, ადამისა და ევას მდგომარეობაში აგდებდნენ ერთურთს. იქ ამბავი ატყდაა! მტერს არ ვუსურვებ. ასე დაესვა წერტილი სკოლის ისტორიის ყველაზე ცეცხლოვანი წყვილის სასიყვარულო (ეგ კიდევ საკითხავია) ამბავს. Ashley PCD“.

ლოთი თუ ნარკომანი?

„სხვისი და თანაც ყველაზე უსიამოვნო და შემზარავი საიდუმლო ამ ახალ წელს გავიგე. ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში ჩემს ერთ ნათესავთან ვიყავი სტუმრად. უკვე შებინდებული იყო, როცა ბავშვების ჟრიამულზე, როგორ თოვსო, გარეთ გამოვედი, ბუნების ნამოქმედარის სანახავად. დედამიწისკენ უსწორმასწოროდ მომავალ ფანტელებს ისე ხარბად ვაკვირდებოდი, რომ ჩემდა უნებურად სახლის უკან აღმოვჩნდი, საიდანაც ჩემი ნათესავისა და თავისი ახლობლის ხმა შემომესმა... ვიფიქრე, ნასვამებს ალბათ გზა აერიათ-მეთქი და შესაშინებლად შევიმართე, რომ... უცნაურ ტექსტს მოვკარი ყური... ჯერ ვიფიქრე, ეტყობა ღვინომ იმოქმედა და რაღაც მომელანდა-მეთქი. ადამიანის და მით უმეტეს ქალის ცნობისმოყვარე ბუნება მოგეხსენებათ და ადგილიდან დაძვრა არც მიცდია. გაორმაგებული ყურთასმენით განვაგრძე მათი მოსმენა. ბევრს აღარ გავაგრძელებ და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-მიღებაზე ჰქონდათ საუბარი... მაშინ რაც ვიგრძენი, მტერს არ ვუსურვებ... შემდეგ ამ საშინელ სენზე ინფორმაციების მოძიება და ჩემს ნათესავზე დაკვირვება გადავწყვიტე, რადგან ტყუილად არაფერი მეფიქრა... იმ დღის შემდეგ დღითი დღე ვრწმუნდები, რომ იგი ამ სენითაა შეპყრობილი. არა და, ახლობლებს მთვრალი ჰგონიათ მაშინ, როდესაც წამლის ზემოქმედების ქვეშაა... Sweet-Girl“.

ვაჟაიას საიდუმლო

„ქუთაისში, ჩემს მეზობლად, ერთი მეტად „გაინტელიგენტებული“ ოჯახი ცხოვრობდა. სიმართლე უნდა ითქვას და ქალბატონი მარიკა ზომაზე უფრო ცოტა სიმპათიური იყო, მისი მეუღლე, გურამია სამაგიეროდ, მთავრობაში დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. მარიკია თუ უამრავი თაყვანისმცემლით იყო განებივრებული, გურამიას სახელი და ფული ჰქონდა და ასე შეხმატკბილებულ-შეჰარმონიავებულად ცხოვრობდა ორივე, ვიდრე უბანში ჭორიკანების ენები არ ასისინდა.

— დედაია, ეგი რა გევიგე ქალო, რაფერ ახადა ნამუსი ოჯახს ამ უსინდისომ?!

— მაგი თქვი შენ გოგო, ისე, სულ ვეჭვობდი, რეიზა დეეთრევა ბონდოიე მათხოვარი ამ გადატყლარჭულ მარიკიასთან-თქო. აგიხდა ყველაფერი კაი, ეგ მართალი აღმოჩნდა, გოგო...

— ისე, ქე არიან ღირსი, დააჭედოს გურამიამ მაგათ თავში ერთი კაპიკიანი ტყვია... ბონდო ჩვენი უბნის ყველაზე აღვირახსნილი კაცი იყო. ძალიან უყვარდა ქალები და მათ გამოსაჭერად ათას სისაძაგლეს იგონებდა. ჰოდა, თურმე მარიკასაც მიადგა და მაგრადაც „დააბოლა“. ქალს უთხრა, რომ გურამის შავი საქმეების მთელი ნუსხა ჰქონდა, იცოდა, როგორ იღებდა ქრთამს, როგორ დაძვრებოდა ერთ-ერთი მაღალჩინოსნის გოგოსთან და დაემუქრა თურმე, თუ ჩემი საყვარელი არ გახდები, ამ საიდუმლოს ფარდას საქვეყნოდ ავხდი და გურამიას რომ დაიჭერენ, სულ მშიერი დარჩები ამ შენს ცხვირმოუხოცავ ბავშვთან ერთადო. არ ვიცი, „საწყალი“ მარიკა ულუკმაპუროდ დარჩენამ შეაშინა თუ გახურებულმა სხეულმა ველარ გაუძლო ბონდოიას ვნებიან მზერას, მაგრამ მისი საყვარელი კი გახდა და მორჩა. ყველაფერი კი მარიკას პატარა ვაჟაიამ გამოააშკარავა. ერთ დღეს თურმე მეზობელ თამარასთან დაიჩივლა, თამარა დეიდა, აღარ მომწონს მე ბონდოია ბიძია რომ ჩვენთან დადის ყოველდღე, ვითამ საქმეზე. გუშინ ვითამ დამაძინეს, მერე ოთახში გაიყვანა დედა და წამებით ამოხადა სული. მესმოდა, როგორ კვნესოდა დედიკო სიმწრისგანო... მეორე დღეს პატარა ვაჟაიას დამსახურებით, უკვე მთელმა უბანმა იცოდა ბონდოია მექალთანის მიერ „სასტიკად ნაწამები“ ქალბატონი მარიკას ისტორია. შედეგი? ერთ კვირაში დაკარგული, ამდენი ტანჯვით მოპოვებული თანამდებობა, დანგრეული ოჯახი და უმამოდ დარჩენილი პატარა ვაჟაია, თავისი ბრძნული გამონათქვამით: ჯობია, დედიკოსთან დავრჩე, მამიკო კაცია და დედას კი დაცვა სჭირდება, კიდო რო ვინმემ არ აწამოსო... უი, ჰო, მართლა, შემდეგში ბონდოიას დაჟეჟილი გვერდები, მისი ცოლის მიერ დადგმული კონცერტები „ლანძღვა-გათახსირების“ შესახებ და მარიკას გაჩეჩილი თმა დამავიწყდა. P.S. მომენატრეთ



თუ ლიტერატურებში ვეძებთ, ე.ი. ძალიან ხშირად ტყუილებ ლეგენდებს

ბავშვებო, უძალიანმაგრესად. მაესტრო“.

მოგიკვდეთ იდიოტი მამა!

„არანორმალური გრაფიკით დატვირთულსა და გადაღლილს, იმის ენერგია და აზრები (მზისგან გამილაყდა) აღარ მრჩება, რომ ტრადიციისამებრ, ყოველ საღამოს ვიმესიჯო. ამიტომ ტელეფონის ნომერი შევცვალე და მხოლოდ 5 მგზავნელს გავანდე. მოკლედ, დაისვენეს გოგონებმაც, ტელეფონმაც და მეც! თურმე, ნურას უკაცრავად! წუხელ, ღამის 12 საათზე „მოქაქანდა“ დაშაქრული მესიჯი: „აბა, ვის უნდაო ყველაზე კაალქი გოგოს გაცნობაო, ვისაო?“ „მე ალაო, ალ მინდაო, ნანებში და სიზმარუკებში მივდივალ, პკ შენაო“. მეც წავუჩლიფინე პასუხად. „ბიჭო, შენ ხომ არ ჭედავ, ჩემისთანა გოგონები არც კი დაგესიზმრება, აზრზე მოდი“, სცადა ჩემი დამუნათება, მაგრამ კახელობას არ ვუღალატე და ვირზე შევჯექი: „აბონენტი გასულია მომსახურების ზონიდან და საუნაში სექსუალურ მასაჟიორთან ეროგენული წერტილების გეოგრაფიულ კვლევებს აწარმოებს, ხელს ნუ გვიშლი“. მივწერე იმ იმედით, რომ განაწყენებული დამემშვიდობებოდა და დავიძინებდი, მაგრამ იმ დალოცვილს ჩემზე კარგად სცოდნია ვირზე ჯდომა „აუუ, მეც შემომიშვით, რაა, თქვენთან მინდა“. გოგო აშკარად კაიფობდა, მე კი მელატონინს (ძილის ჰორმონი) ორივე ხელით ვყავდი ჩაბღუჯული და გასაშვებად არ ვემეტებოდი. „ვერ მოგართვი, ახლა ეგ გრძელი ცხვირი გარეთ გაყავი და რიგი დაიკავე, რიგიი, დღეს ამას გავფლირტავ და თუ ჭკვიანად მოიქცევი და დღეს აღარ შემაწუხებ, ხვალ შენი ჯერიც მოვა“. ეტყობა პირობამ დაიმედა და აღარ მოუწერია. მეც დილის 6 საათზე ზარი დავიყენე და ცალი თვალით უკვე სიზმარს ვხედავდი, როცა სხვა უცხო ნომრიდან სხვა მესიჯი მოცუნცულდა: „არ გამეცნობი?“ სიზმარდაფანტულმა აზრებს ძლივს მოვუყარე თავი და მივწერე: „ჰაი დედასაა! მგონი სხვაგან მოხვდი ჯოო, მენა 4 შვილი მამა ვარ და ახლა დედაკაცი შენზე ეჭვიანობს, მაგ საქმისთვინ ვერ გამოგადგები, გლეხი კაცი ვარ, ნუ მამკლაამ!“ ამით ვერ შევაშინე ის ყურუმსაღი: „მერე, არ გინდა, 4 შვილი მეც გაგიჩინო? ახლა 2-ცოლიანობაა მოდაში. არც ახლა გამეცნობი?“ მივხვდი, ძილს ადვილად ვეღარ დავიბრუნებდი და მეც კაიფი გავაგრძელე: „ვაიი, შვილებო, მოგიკვდეთ იდიოტი მამა! რად გინდოდა მობილური? მამაი გახევენ და თანაც რა მამააი?! თანაც პოლიგამიის კონცეფციებს არ ვიზიარებ, ადამივით ვაშლს ნუ მაწვდი, ვერ მაცდუნებ, ვერა“. ეტყობა გოგოსაც ეძინებოდა ან უნებურად მასში მატა ჰარის ენთუზიაზმი ჩავკალი და პასუხი აღარ მოუწერია. რაკი ვეღარ დავიძინე, ჩვენს ერთ ოინების მოყვარულ მგზავნელს დავურეკე. ღამის 2 საათი იყო. საუბრისას ცუღლუტური კისკისით მითხრა: 4 მგზავნელი ვიყავით „ოდნოკლასნიკებში“, „გზაშიც“ რაღაცები გავგზავნეთ და ახლა დავიშალეთო. მესიჯების ამბავი ვუამბე, მაგრამ ისეთი მომხიბვლელი სიცილით უარყო მათი წვლილი ჩემი მელატონინის ლიკვიდაციის საქმეში, რომ სულ პაწაწა ეჭვი მაინც დამრჩა (ეს ეჭვი ოდესმე დეზდემონას დამახრჩობინებს), რადგან ეს ჩემი ბალის ნომერი გაბაზრებული არაა. ისე, ჩემო ცუღლუტო, კუდიანო და საყვარელო მგზავნელებო, თუ ეს თქვენი საიდუმლოა და მართლა თქვენ იყავით, ჩემი ერთი უძილო ღამე გმართებთ და „აბაროტისთვის“ მოემზადეთ. არა, ნუ, მაინც რას ერჩით საცოდავ გლეხ კაცსა, რომ იმაი 4 შვილ მამაი და ლუკმაი ართმევთ, ჰაა? დაილია ქალაქში კაცები? ბოლოს და ბოლოს, ენიგმა ვარ და არა — კაცი გამოძახებით, ვააა. ენიგმა“.

დამწვარი პონტი

„1-ლი აგვისტო ისტორიაში შევა როგორც... „ამის პატრონმა რა ქნას“ თამაშის საერთაშორისო დღე. ნუ, მსოფლიოში თუ არ აღიარებენ, რამდენიმე მგზავნელსა და მარორიტას ნამდვილად არ დაავიწყდებათ. ახლავე გაგარკვევთ, რააშია საქმე. ფართიზე ვათენებდით, მე, 9717, ლიმონა, მის რეალი და რიცა. იმხელა ღამეს გასვლა არ უნდოდა? ჰოდა, ვიფიქრეთ, რა თემა აგვეგდო. ბოლოს გადავწყვიტეთ, „ამის პატრონმა რა ქნას“ გვეთამაშა. ჰოდა, წამოვიდა იდეები „კოკისპირულად“. ჯერ იყო და 9717-ს რიცამ სიყვარული აუხსნა. ეგ „დამწვარი პონტი“ იყო. დადგა ჩემი ჯერიც. რა ქნასო ეშმაკუნამო დაა როკოს სიყვარული აუხსნასოო. ეუჰ... მაგრამ დავიწყე და რა დავიწყეე, კაი დამწვარ ადამიანს შეშურდებოდა, ისეთი ტექსტი გავუშანშალე როკოს. მისს რეალმა რა ქნასო? რაა და მაესტროს აუხსნას სიყვარულიოოო.. ტიტუ, როგორ გინდა, ღამის 5 საათზე უცნობ ბიჭს სიყვარული აუხსნა? მაგრამ სიტყვა სიტყვა იყო და რეალმაც ჩააბარა თავანი. ნუ, ვინ აღარ ჩავრთეთ — დუჩი, ოსვალდი... ზოგს რა მივწერეთ, ზოგს რა. ზოგი მოვკალით, ზოგი „გავაპიდარასტეთ“, ზოგი ვაჩხუბეთ და დადგა მარორიტას ჯერი, რაზეც მარი გაგვიბრაზდა (მარ, იმედია, გვაპატიებ ამ „მძიმე ხუმრობას“ და ძალიან მკაცრად არ დაგვსჯი). ჰოდა, რიცას მივადექით, ახლა მარის უნდა მისწერო, ვითომ ეშმაკუნა, ლიმონა, რეალი და 9717 ავარიაში მოყვნენ, გოგონები საავადმყოფოში მიყვანამდე დაიხოცნენ, 9717 კი რეანიმაციაშიაო. მიწერით კი მისწერა რიცამ, მაგრამ დაგვცხაა... სიცილისგან მუცლები გვტკიოდა ყველას, თან სიმწრის ოფლი გვასხამდა. ასე იყო თუ ისე, სიცილ-ხარხარში გავატარეთ ეს ღამე. დილით ხალხი გავაღვიძეთ, ბევრს გაუგებარი მესიჯები მივწერეთ, ვიმღერეთ კიდეც და დილით სიყვარულისგან და სიცილისგან დაღლილები დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გიჟები ვართ, არა? ნეტავ ყველა ერთად როგორ შევიყარეთ? მარ, იმედია, გვაპატიებ და ამ მესიჯს დღის სინათლეს ანახვებ. ამის მოფიქრება ხომ მხოლოდ გიჟ და გადარეულ მგზავნელებს შეეძლოთ? ვისაც ძილი დაგიფრთხეთ, Sorry. გკოცნით, თქვენი ეშმაკუნა“.

„არცთუ ისე ანჯელინა ჯოლი“

„ჩემს სამსახურთან ახლომდებარე, 2-სართულიანი შენობის, 1-ლი სართულის ბინადარია 45 წელს მიღწეული, დაოჯახებული, 140

სმ სიმაღლისა და ყვავივით შავი ქალი. მის მეუღლეს სამსახურის გამო, სახლიდან დილით ადრე უწევს გასვლა და საღამოს გვიან ბრუნდება. მეუღლის გადატვირთული გრაფიკისა და შვილის ხანდახან შინ არყოფნით, „არც თუ ისე ანჯელინა ჯოლი“ ქალი, დროის მოხელთებით სარგებლობს და თავს უფლებას აძლევს, მეუღლის ლოგინში შემცვლელს უხმოს. წარმოიდგინეთ, 40 წლამდე მამაკაცი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: თმა — სქელი და დაუვარცხნელი; თვალები — ხშირად წირპლიანი; ცხვირი — მიმიქარავს ჟერარ დეპარდიე. ვაღიარებ, კარგი მაისურები აცვია ხოლმე, რასაც შარვალზე ვერ ვიტყვი: გახუნებული, ჭუჭყისგან პრიალებს და ცოტათი პატარაც აქვს. ფეხსაცმლის ქუსლები წინ და უკან საათობით სიარულისა და „არც თუ ისე ანჯელინა ჯოლი“ ქალის სახლის ფანჯრისკენ ყურებისგან (იმ იმედით, რომ ეგრეთ წოდებულ პაროლს შეამჩნევს), უკვე კარგადაა დაღრეცილი და შეთხელებული, ბებიაჩემის აზრებივით (ბებო, „იზვინი“, შენ არ მასწავლიდი, რომ ყოველთვის სიმართლე თქვიო?). მოკლედ, შეირხევა ფარდა, პაროლის თანახმად და მამაკაცი მივა ქალბატონთან და დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში რჩება იქ. შემდეგ ჩამოვა ძალიან მშვიდი და დაღლილი სახით. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი რამდენიმე წელია გრძელდება და თავად სულ რამდენიმე კვირაა, რაც ისინი და მათი ცუღლუტური გასართობი აღმოვაჩინე და ერთ-ერთი ჩემი დაკვირვების ობიექტად ვაქციე. ნუ, ჩემი და რამდენიმე ადამიანის გარდა, მათ შესახებ საქართველომ კი არა, საბერძნეთმაც გაიგო. აი, ეს იყო, რაა. მისტერ“.

მექალთანე ჯუბა

„სხვისი საიდუმლოს გამხელა დიდი ვერაფერი საქმეა, მაგრამ რადგან ასეთი თემაა, მეც გადავხედე ჩემს, უფრო სწორად, ჩემი მეზობელი ჯუბოს საიდუმლოებებს და ერთერთს თქვენც გაგიმხელთ. მუდამ ქალებზე შეყვარებული და ასე ვთქვათ, ქალის დანახვაზე აცუნდრუკებულ და ვნებააშლილ ჯუბოს, ერთი ჭკუანაკლული, გართობაზე შეყვარებული, აცეტებული ნინო ჰყავდა საყვარლად. ერთმანეთთან ურთიერთობას დიდი მონდომებით მალავდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველამ ყველაფერი იცოდა. ჯუბოს ცოლიც ჰყავს და როგორც ყოველთვის, მისი ცოლი აინუნშიც არ იყო მის თავს რა ხდებოდა. თავისთვის, ღიღინით „დაბუჩნიაობდა“ მთელი დღე შინ და არხეინად ნებივრობდა, მშვიდი ცხოვრებით. ერთ დღეს მეხის გავარდნასავით დაეცა ამ ქალს მეზობლის ქალი თავზე და კმაყოფილი სახით მიუსისინა ქმრის ღალატის შესახებ. — დიდუ, დიდუ, ეს რა მესმისო, შეჰკივლა ნანამ, სულ დაიპუტა თმა და შინ დაბრუნებულ ქმარს სახეჩამოხოკილი და თმაგაწეწილი, წივილ-კივილით დახვდა. ჯუბამაც არ დათმო თავისი პოზიცია და ისეთი ამბავი ატყდა, მტერ-მოყვარეს ვერ გაარჩევდი. ჩხუბში სანათესაოც ჩაერია. ვინ ვის ურტყამდა და უბაგუნებდა, კაცმა არ იცის. საწყალი ნანა ისეთი ნაცემი იყო, მთელი ღამე დამჯდარს ეძინა. კარგა ხნის შემდეგ, ყველაფერი რომ ჩაწყნარდა და თითქმის ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა, სწორედ მაშინ, ამ ჩხუბის ერთ-ერთი შემსწრე და ნანას ახლო მეგობარი ირმა ხედავს, ერთმანეთში ჩაფსკვნილ-გადახლართულ-გადაკონილ-გადატმასნილ ჯუბოსა და ნინოს. თვალები მოიფშვნიტა, ხომ არ მეჩვენებაო, კიდევ ერთხელ გაკვირვებით მიაშტერდა ჩაბსკვნილ-გადახლართულ-გადა... ნუ მოკლედ, ერთმანეთთან შესისხლხორცებულ წყვილს. მერე თავის ხელს უპწკინა ერთი-ორჯერ, თვალებიც რამდენჯერმე ააციმციმა და რომ მიხვდა, არ მეჩვენებაო, მხოლოდ მაშინ გაემართა ამბის მისატანად მეზობელთან. ჩაურაკრაკა მომხდარი დაზეპირებული ლექსივით და შემთხვევით უკან მიიხედა. ლამის გული წაუვიდა, როცა მის უკან ჯუბოს და მოლანდა. ვაიო, ერთი კი ამოიკივლა, მაგრამ სინანული გვიანი იყო და ისე დაიბნა, სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. აზრზე რომ მოვიდა, ჯუბოს და ხვეწნა-მუდარით აიკლო, არ დამღუპო და შენს რძალს არ უთხრა რაც გაიგონე, არ მინდა, ჩემ გამო კიდევ იჩხუბონო. მულმა თავისი ძმა დაინდო ცოლის რისხვისგან და ირმაც შეიბრალა, თორემ იმის გამო რომ ისევ აყალმაყალი ატეხილიყო, ირმა ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა ჯუბოს ცოცხალი. ბედი ჯუბოს ჰქონია, მისი ცოლი „გზას“ რომ არ კითხულობს, თორემ საბრალოს რა დღე დაადგებოდა, იმის წარმოდგენაც არ მინდა. ლუნა“.

დღიური

„საერთოდ ძალიან ბევრი ადამიანის საიდუმლო ვიცი, მაგრამ ყველა თავად მეუბნება ხოლმე, ჩუმად არაფერი გამიგია, ერთი საიდუმლოს გარდა: 3 წლის წინ მე და მამიდაშვილები ერთად ვისვენებდით ბათუმში. სახლის პატრონი 25 წლამდე ბიჭი იყო (ცოლ-შვილი დასასვენებლად ჰყავდა). მაშინვე ოთახი დაცალა, სადაც უნდა გვეცხოვრა. ამასობაში ჩვენ მისი ოთახი დავლაშქრეთ და მუსიკალური ცენტრიც გამოვაყოლეთ ხელს (რამე ხომ არ გინდათო, გვკითხა და ჩვენც ეს გვინდოდა). შემდეგ, როცა ჩვენი ბარგი ამოვალაგეთ, უკვე ზღვაზეც ვეღარ გავიდოდით, რადგან გვიანი იყო და დაღლილებიც ვიყავით. ოთახში ეულად მდგომი პატარა კომოდით დავინტერესდით, რომლის პატარა უჯრაშიც რვეული აღმოვაჩინეთ. ამ ბიჭის დღიური იყო. მთელი ღამე ვკითხულობდით და მთელი მისი ცხოვრება თუ საიდუმლო გავიგეთ. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ცოლ-შვილიანი კაცი პირველ სიყვარულს მისტიროდა მაინც. მერე შეგვრცხვა და წერილი დავუტოვეთ იმავე რვეულში, ცოტა სასაცილო ტექსტით. ახლა კი პატიება მინდა ვთხოვო. P.S. მიდი ახლა და შეუშვი ჩემნაირი სტუმარი ოჯახში. აჭარლებო, მიფრთხილდით, მალე უნდა გესტუმროთ და დღიურს თუ წერთ რომელიმე, დამალეთ. ყველანი ძალიან მიყვარხართ. შოკოლადა“.

2 კაცის 1 სიყვარული

„სხვის საიდუმლოს ხშირად ვიგებ, მინდა თუ არა ეს. ჭორიკანა არ გეგონოთ, თავისდაუნებურად ხდება. ყველა ჩემთან დგება გულახდილობის ხასიათზე. ეტყობა განსაკუთრებული აურა მაქვს. ერთადერთი, ვინც ვერაფრით ავალაპარაკე, ის ბიჭი იყო, ვინც მომწონდა, მაგრამ აქაც ვიპოვე გამოსავალი. მის საუკეთესო ძმაკაცს დავუმეგობრდი და იმას ვაყოლებდი ყველაფერს, ჩემს სანდროზე. სწორედ ვატოსგან გავიგე, რომ სანდროს უკვე ერთი წელია, რაც ვუყვარდი (მორცხვი იყო ალბათ და ვერ მითხრა), კიდევ აღმოჩნდა, რომ სანდროს ხშირი უხასიათობის მიზეზიც მე ვიყავი და კიდევ ვატომ ისიც მითხრა, ამ ყველაფერს იმიტომ მიყვებოდა, რომ ვუყვარდი. ესეც ნამდვილი მეგობრობა. ორივეს ერთი გოგო უყვარდა და ძმურად მიყოფდნენ ერთმანეთში. ასე გავიგე ორი უნებისყოფო და უთავმოყვარეო ადამიანის საიდუმლო. თან ორივე დღესაც სიყვარულს მეფიცება. ჩემი თუ არა, ერთმანეთის მაინც არ უტყდებათ? P.S. ყველას უკვირდა, რატომ გავწყვიტე მათთან ურთიერთობა, როცა ასე ახლოს ვიყავით? ახლა ყველას გასაგონად ვამბობ: არ შემეძლო ორ უპრინციპო ადამიანთან მეგობრობა, რომლებმაც არც ძმაკაცობა იციან და არც სიყვარული. ესეც თქვენი საიდუმლო, ბიჭებო! თუმცა, რაღა საიდუმლო? მარი თუ დამიბეჭდავს, უამრავი ადამიანი გაიგებს თქვენზე და დარწმუნებული ვარ, დაგცინებენ... ურჩი გოგო“.



შეიძლებელია, ერთდროულად ყოფილი შეხარული, ფხიზელი და ჭკვიანი

ფსევდოშეყვარებულების ფსევდოსაიდუმლო

„საპირველაპრილოდ მე და ჩემმა მეგობარმა გოგონებმა გადავწყვიტეთ, ჩვენი საერთო მეგობარი ბიჭებიდან ერთ-ერთი მოგვეტყუებინა. ბავშვობის მეგობრები ვერ გავიმეტეთ ტყუილისთვის და ახლად შეძენილი მეგობრის, დათოს მოტყუება განვიზრახეთ. მისთვის სიყვარული უნდა აგვეხსნა სათითაოდ, ყველას. ააბა, პირველი ვინ იქნებაო? მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველა გაისუსა, ჩემს გარდა. ამაყად და შეუპოვრად გავემართე დათოსკენ. ეეე, მოიცადე ქალბატონო... დამედევნა მარის ხმა. ა, რა იყო, შენ მიხვალ პირველი-მეთქი? ირონიული ღიმილი ამითამაშდა სახეზე, მაგრამ მალევე წამეშალა ღიმილის გამომხატველი იერი სახიდან. მარიმ დათოსკენ გაიშვირა ხელი და პათეტიკურად წარმოსთქვა: — მიდი, ის გელის! შემდეგ თვალებგაბრწყინებული და გამარჯვებული დაუბრუნდა მეგობრებს. უკან დასახევი გზა აღარ მქონდა, გავრისკე და შეუპოვრად გავემართე მსხვერპლისკენ. უცებ, მის დანახვაზე გენიალურმა აზრმა გამიელვა თავში. თუ იცით, რა ვქენი? რა და ყველაფერი ჩავუკაკლე დათოს და შევეხვეწე, ოღონდ ახლა არ დამღუპო და არ დამანელო, არ ჩამიშვა-მეთქი. ჩემი ცოდვით დამწვარი, ჩემ მიერ წამოწყებულ თამაშში ამყვა. დათომ ხელი გადამხვია და ჩვენი მეგობრებისკენ წავედით. თან ჩავჩურჩულე, ნუ გაქვს ეგეთი უმეტყველო სახე ბიჭო, ისეთი სახე მიიღე, ვითომ მართლა აგიხსენი სიყვარული-მეთქი. ისე შევედით როლში, მთელი დღე თვალებს ვუჟუჟუნებდით ერთმანეთს. იმედგაცრუებული გოგონები სიმწრისგან, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ყველაფერს იბდღვნიდნენ. მოთმინებამ უღალატა ერთ-ერთ მათგანს და დათოს სიცილით უთხრა, მოგატყუა მაგ ქალბატონმა, მართლა კი არ უყვარხარო. ერთხმად გაიცინა ყველამ. დათოს მაგრად გაუტყდა, მაგრამ ჩემი მავედრებელი თვალების დანახვაზე და ზემოთ ხსენებული სიტყვების გახსენებაზე („არ დამღუპო, არ დამანელო“), საიდუმლო შემინახა და უხმაუროდ დაგვტოვა, მეც და მოხარხარე გოგო-ბიჭებიც. ამ საიდუმლოს დღემდე ვმალავთ ორივე. უფრო სწორად, ვმალავდით. გეალერსებით ყველას, ცხვირზე კოცნით. გაცოცხლებული თოჯინა“.

პეტერი – ქალების მესაიდუმლე

„მარ, თუ ეს მესიჯი შენ გადაგირჩა და ჟურნალში მოხვდა, მერე მეც ვეცდები, ილინს გადავურჩე. მოკლედ, ჩემმა ბოროტუნა მეგობრებმა მოძებნეს რაღაც საიტი, სადაც ვინმე პიტერს უსვამ კითხვას და სთხოვ, მიპასუხეო. პრინციპი ასეთია: ირჩევ მსხვერპლს, უმტკიცებ, რომ პიტერი ყველა მის კითხვას უპასუხებს, თუ ამ კითხვას შენ დასვამ. ის გეუბნება კითხვას და შენ იმ გრაფაში, სადაც კითხვა უნდა ჩაწერო, კრებ შენთვის სასურველ პასუხს. იქ კი ყველა ვარიანტში იწერება ტექსტი: „Peter, Please Answer". ჩემი ერთ-ერთი მსხვერპლი გახლდათ ილინი, რომელიც გააოცა პიტერმა, შემდეგ კითხვებზე ზუსტი პასუხით: „რა დევს მაგიდაზე?" „რა მქვია მე?" „რა ვჭამე დღეს?" მაგრამ როცა ელემ მკითხა, რა ფერის საცვალი მაცვიაო, ნამდვილად ჩავიჭერი და თავი რომ დამეძვრინა, პიტერს ასეთი პასუხი დავაწერინე: „ხ... ევო ზნაეტ, რა ფერია". აქ კი ჩაბჟირდა ელე და მთელ თავის Skype-სანაცნობოს მოუყვა პიტერზე. ელე ადვილად გადაგვირჩა, თორემ ჩემი მეგობარი, რამაზი, მას შემდეგ გზაზე მარტო არ გადადის, რადგან პიტერმა „უწინასწარმეტყველა", მანქანა დაგეჯახება და დაინვალიდდებიო. კიდევ, ბაბუას მიერ მიწაში ჩაფლულ განძზე უამბო, რომლის ძიებაშიც, რამაზმა მთელი ჩხოროწყუ გადათხარა".

ხესთან

„გუშინ დილას ზღვაზე რომ მივდიოდი, ჩემთან მყოფებს შევეკამათე რაღაც უმნიშვნელო დეტალზე, მაგრამ ბოლოს ეს შეკამათება ცხარე დებატებში გადაიზარდა. წარმოიდგინე, ზღვაში ცურვის დროსაც ვკამათობდით (თან მაშინ დავაგემოვნე და ჯეროვნადაც შევაფასე შავი ზღვის მარილიანი წყალი). ნაპირზე შეშფოთებული გამოვედი. აღარც „ზაგარი" მინდოდა. დავავლე ჩემს ტანსაცმელს ხელი და მარტო წამოვედი. გაბრაზებულს არც შემიმჩნევია, სად მივდიოდი. ჩემებმა იფიქრეს, დაწყნარდება და მოვაო, მაგრამ რომ დავწყნარდი, გვიანი იყო. ბულვარში ისეთ ადგილზე ვიყავი, აქამდე თვალით რომ არ მენახა. ხალხიც თითქმის არ იყო. დილას ყველა ზღვაზეა და... ამასობაში ჩემებს გაუგიათ, რომ სახლში არ მივსულვარ და შეშინებულებმა დარეკეს, სად ხარ, ცოცხალი ხარო? ცოცხალი ვარ, მაგრამ სად ვარ, არ ვიცი-მეთქი. მიიხედ-მოიხედე, რას ხედავ, რამე მიგვანიშნე, რომ გიპოვოთო. მეც მივიხედ-მოვიხედე და ტელეფონში ჩავძახე: ბულვარში ვარ, სკამთან-მეთქი. სად სკამთან, აქ 100 სკამიაო. რა ვიცი, ხესთან ვარ-მეთქი. აქ უკვე მთლად დამაბნიეს. ხესთანოოო?! იქ ისეთი ხარ-ხარი ატყდაა... კიდევ კარგი, ვერ მხედავდნენ, თორემ ისე გავწითლდი, კიბორჩხალა მიმიქარავს. მოკლედ, ცოტა ტვინი გავანძრიე და დავბრუნდი სახლში. იმის მერე აღარ მაბრაზებენ, ეშინიათ, ისევ ბულვარში, ხესთან არ გავიქცე. ჩუპი".

„გზა" მზითვში

„ცდუნებას ვერ გავუძლებ, იმდენად დიდია. ამიტომ ლუნას საიდუმლო უეჭველად უნდა დავწერო. ეს საიდუმლო მხოლოდ მისმა ოჯახმა და მე ვიცით. შარშან, როცა შევხვდი ანას, გავიცანი და გავერკვიე მის დადებით თუ უარყოფით თვისებებში, გავოგნდი. ანას უდიდესი და მანიაკური სიყვარული აქვს ჟურნალ „გზის" მიმართ. ჟურნალები ისე სათუთად აქვს შენახული და ნომრების მიხედვით დალაგებული, ბევრ ადამიანს შეშურდება. მათ შორის — მეც. ისე ნაზად და საყვარლად უვლის, როგორც დედა თავის პირმშოს. მეგონა, ალბათ ასაკის ბრალია ეს ყველაფერი-მეთქი, მაგრამ წელს როდესაც იგივე ვნახე, მართლა გამიხარდა ანას საქციელი. როგორც თავად ამბობს, კეთილი ფერიებისა და პრინცების ნაწერებს უფრთხილდება. ოჯახის წევრებს თუ ათხოვებს „გზას", ოფიციალურად ეტყვის ყველას, ფურცლები ნელა გადაშალეთ, არ დაკუჭოთო. ახლობლები ანას ასეთ ქცევას ახირებად მიიჩნევენ, რის გამოც, მას ძალიან სტკივა გული და უკვე მერამდენედ აქვს ჩემთვის ნათქვამი: დეი, თუ რამე ცუდი დამემართა და მოვკვდი (რა დროს მისი სიკვდილია, მაგრამ ასე ამბობს ხოლმე), ხომ იცი, რაც უნდა ქნა? მეც უკვე დაზეპირებულ ფრაზას ვიმეორებ: კი, ვიცი, შენი „გზები" მე უნდა წავიღო ჩემთან და ისე მოვუფრთხილდე, როგორც შენ უფრთხილდები-მეთქი. თან ვეკითხები, რომ გათხოვდები, თან კი მიგაქვს, მაგრამ იქნებ ხისთავიანი ქმარი შეგხვდა და ჟურნალ „გზაზე" და მგზავნელებზე იეჭვიანოს, მაშინ რაღას იზამ? ანაც დამაჯერებლად მპასუხობს: ანგელოზებს ცუდი ბედი არ ხვდებათ, მე ჩემს სითბოს თანაბრად გავანაწილებ და ჩემს ქმარს ეჭვიანობის საბაბი არ ექნებაო. მარ, შენ რომ შენი თვალით განახა, თუ როგორ ეპყრობა ანა ჟურნალს, უეჭველი გაოცდებოდი. იმედია, მაპატიებს ამ საიდუმლოს გამხელას. გრუზინკა".

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„წყალტუბოში არის ფრუნზეს ქუჩა, რომელზეც ამბობენ, თუ სადმე დედას შვილი დაუწყევლია, ყველა აქ ცხოვრობსო. მართლაც ასეა, ბოშას კაბასავით ჭრელი ხალხი ცხოვრობს. გვყავს ნუნუ ბებო, რომლის თქმითაც, მისი ბინის წინ მდგარი ყველა ხეხილოვანი ხე მისი და მისი ქმრის დარგულია და ვაი მას,



ვიდრე ჭირს გაკლებ,
თვალში გაახილე

ვინც ხილის მოკრეფას გაბედავს. ასევე გვყავს კალმახიძეები, რომლებიც „იამახით“ არიან ცნობილი. არის თუ არა საქეიფო სიტუაცია, ისინი სულ ქეიფობენ, მეზობლები კი წყევლიან, კალმახიძე, წეგექცა კერიაო. მეზობლები ერთმანეთის ლანძღვაში არიან, მაგრამ მაინც ხახვზე ამოლესილ ლობიოზე ისე ქეიფობენ „იამახით“, გეგონება, სულ შემწვარ-მოხრაკული უწყვიათო. ასევე გვყავს კვადრატა, კოსო, პაჩალო, პაჩალიკა, ქილე, ფახია, ხვინჩილა, მალაქო, კოვზირიძეების დინასტია, ბოსკანტიჩი, ჩიჩმია, მურია. ყველანი რაღაცნაირად კარგები არიან“.

„იმდენი სხვისი საიდუმლო ვიცი, ერთხელ რომ გავგიჟდე და ყველაფერი ვთქვა, მარტო ისინი კი არ დაზარალდებიან, თქვენი მონა მორჩილიც მიჰყვება თან. ერთხელ ჩემ დას დაქალი ესტუმრა. მე შეუმჩნევლად შევედი მეორე ოთახში და მთელი საათნახევარი მათ თავგადასავლებს ვისმენდი. მაშინ გავიგე, თუ როგორ იწვოდა თამო მეზობელი ბიჭის სიყვარულით და ელენეს ვინ მოსწონდა. ბოლოს, გულები რომ მოიოხეს და ყბებიც დაეღალათ ლაპარაკით, ოლიმპიური სიმშვიდით გამოვეცხადე, მაგრამ რა? დღემდე ვინახავ მათ საიდუმლოს და იმედია, ამ მესიჯს არ ნახავენ. მარ, გატოცეეე. სოფი19“.

„ჩემს ახლად გამომცხვარ საიდუმლოს გაგანდობთ. ერთ დაქალუშკას ბანძი „პაკლო“ ჰყავდა. როცა მას ელაპარაკებოდა, ნერვები მეშლებოდა. ამიტომ ავდექი და ვითომ მესიჯის გაგზავნის მიზნით, დაქალს ტელეფონი ვთხოვე, იმ ბიჭს დავურეკე და მაგრად გავლანძღე. ვერც მიცნო, მისი „ლოვე“ ვეგონე. ჰოდა, ამის მერე ჩემი დაქალი ყოველდღე ელის მის ზარს, მე კი ჩემს „ბოროტ საიდუმლოს“ ასე ტკბილად ვინახავ. თეო, ხომ მაპატიებ? ბელო“.

„საუკუნეა, არ მომიწერია. მგონი მას შემდეგ, რაც ჩემი მესიჯები აღმოაჩინეს შენს რუბრიკაში. ნომერიც შევცვალე და რა ვიცი, მას შემდეგ უამრავი რამ შეიცვალა. ახლა დასასვენებლად ვარ, მიყრუებულ სოფელში, თან ორი უსაყვარლესი ძმისშვილი მყავს... მართალია, რაც აქ ვარ ჟურნალი „გზა“ არ მიყიდია, მაგრამ გადავწყვიტე, მაინც მოგწერო. 1 საათის წინ ჩემმა რძალუკამ საპირფარეშოში მივდივარო და ბავშვი დამიტოვა. ფეხით „კალიასკას“ ვარწევ თან ვმღერი, ბავშვმა რომ დაიძინოს, ერთი ხელით ძველ ნომერს ვკითხულობ. ახლა მესიჯს გწერ და იმედია, კვლავ მოვხვდები „გზავნილების“ ფურცლებზე. გკოცნი. თქვენი ძიძა“.

„მაარ, რა კარგია, რომ არსებობ. „გზას“ რამდენიმე წელია, ვკითხულობ და მიყვარს შენი გზავნილეთი. მარი, ახლობელმა კი არა, ცხოვრებამ მომიწყო ოინი. კაცმა, რომელმაც სიყვარული ჯერ მე ამიხსნა, ჩემი გათხოვების შემდეგ, ჩემი და გადარია და ცოლად წაიყვანა 16 წლის გოგო, თვითონ კი 45 წლისაა, თან ცოლ-შვილნაყოლი. ძალიან მიჭირს ამ ყველაფრის ატანა. ამას ახლობლის კი არა, ცხოვრების ოინი ჰქვია“.

„სხვებისთვის ოინების მოწყობა ჩემი ჰობია. ერთი ბიძაშვილი მყავს, გელა, რომელსაც საკმაოდ ეჭვიანი ცოლი ჰყავს. ეს ოჯახი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ვიფიქრე, ცოტას გავხალისდები-მეთქი და ერთ დღეს გელას სასიყვარულო შეტყობინება გავუგზავნე. თან ვწერდი, შენს ცოლს თავი დაანებე და დროზე მოდი-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩემი ნომერი არ იცოდნენ. იქ ამბავი დატრიალებულა?! გელამ გადმორეკა, მაგრამ არ ვუპასუხე. ოჯახში ეჭვი გაჩნდა. ეს ცუდი ხუმრობა იყო, მაგრამ მერე ყველაფერი გაირკვა და ბევრიც ვიცინეთ. მიყვარხართ, გელა და სოფო. გკოცნით, თქვენი გიული“.

„პატრულმა წივილ-კივილით გააჩერა მოტოციკლეტისტი და გამყინავი ხმით უბრძანა, დაქვავებოდა მოტოციკლს, თორემ ჩამოართმევდნენ და თვითონაც დაიჭერდნენ. იდგა ეს საცოდავი, საჭეს ჩაფრენილი უხერხულ პოზაში განძრევას ვერ ბედავდა. ცნობისმოყვარეებმა თავი მოვიყარეთ და შედეგს დაველოდეთ. ნახევარსაათიანი, მტანჯველი, იძულებითი დგომის მერე ურეკავს ვიღაც მობილურზე და... მსგავსი გინება არც გამიგონია. თურმე, პატრულის თანამშრომელი მისი მეგობარი ყოფილა და აი, ასეთი ოინი უყო. ვხარხარებდით ყველა. არ იცინოდა მარტო ოინის მსხვერპლი. თინეიჯერი შინაბერა“.

„გუშინ შემთხვევით ყური მოვკარი, ჩემი 5 წლის დეიდაშვილი თავის 7 წლის ძმას სიზმარს რომ უყვებოდა. დავინტერესდი და სმენად ვიქეცი. სიზმრის შინაარსი ფრიად უხამსი აღმოჩნდა (არა, მაინც რა თაობა მოდის?!). იმ წუთიდან მოყოლებული, მე და ჩემი ძმა ურცხვად ვმანიპულირებთ პატარა დეიდაშვილების საიდუმლოთი და ყოველ წამს ვაშანტაჟებთ: „აქეთ-იქით ნუ დარბიხართ და ნუ ყვირით, თორემ დედათქვენი გაიგებს, რაზე ლაპარაკობდით გუშინ“, „დილით ოთახში ნუ შემომივარდებით, თორემ ბებოს ყველაფერს ვეტყვით“. ბავშვები უსიტყვოდ გვემორჩილებიან. ალბათ ცუდად ვიქცევი, მაგრამ ამან შედეგი გამოიღო. :) გადარეულებივით აღარ დახტიან და ჩვეულებისამებრ, არც დილის 7 საათზე შემოვარდნილან ჩემს ოთახში, „გაიღვიძე და გვეთამაშეს“ ძახილით. კლაიპედა“.

„მე დაქალის საიდუმლოს ვინახავ... თან ისეთს, ნუ იტყვი... ერთი ბიჭი უყვარს და სკოლას თვეობით აცდენს იმის გამო, რომ გეგა ნახოს. გეგას მამა ექიმია და ჩემს დაქალს ყოველთვე ავადმყოფობის ცნობას აძლევს. ამ „ტკბილი წყვილის“ ამბავი მე და გეგას მშობლებმა ვიცით მარტო და უკვე თქვენც. წკაპუნა“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „დაუვიწყარი სიყვარული“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „რას ნიშნავს ნამდვილი მამაკაცი?“

სერვისების ასრულების ღლე ანუ უაფრო მეამის კაპიტანი

მარი ჯაფარიძე

ამ კვირის ორშაბათი რაღაც, უცნაურად დაიწყო... როგორც წესი, დილით 6 საათზე ვიღვიძებ. ამ დღესაც, ავდექი თუ არა, ჩვეულებისამებრ, ელექტრომადუღარას ღილაკს თითი დავაჭირე და სააბაზანოსკენ გავემართე, მაგრამ მადუღარამ ჩვეულებისამებრ, არ დაიტკაცუნა. მოვბრუნდი, ჩამრთველს თითი დავაჭირე და... სადაა დენი? ფაფუ! არ არის...

— აუჰ, — გავიფიქრე, — რა მეშველება? კომპიუტერი მჭირდება, შხაპი უნდა მივიღო და ყავაც უნდა დავლიო... დილიდანვე 3 პრობლემას წავაწყდი. ქათამმა რომ წყალი დალია და ღმერთს ახედა, სწორედ ისე ავხედე ჭერს და ჩავიბურტყუნე: — ღმერთო, ეს ორშაბათი რომ ასე დაიწყე, რა პონტია? მიდი, რა, დენი ჩამირთე-მეთქი. ამის თქმა იყო და მადუღარამ დაიტკაცუნა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ დენი მოვიდა...



გაოცებულმა თვალები დავაფახულე და ჩამრთველი მოვსინჯე, რომ დავრწმუნებულიყავი. სინათლე აინთო.

ვაააა... ასეთი რამ პირველად მოხდა. არა, ვიტყუები, — მეორედ. ბარემ იმ შემთხვევასაც გავიხსენებ: რამდენიმე წლის წინ, ზაფხულში, მე და ჩემი მეგობრები დუშეთისკენ, ხინკლის საჭმელად წავედით. რესტორნის ეზოში, ფანჩატურში დავსხედით იმ იმედით, რომ იქ უფრო სიგრილე იქნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ისე იყო ყველაფერი ჩახუთული, სუნთქვაც კი ჭირდა. არსაიდან ნიავი არ იძვროდა და დავიწყეთ იმაზე წუწუნი, რომ აქაც კი ცხელა, არ უნდა წამოვსულიყავით და ჯობდა, თბილისის რომელიმე „დაკონდიციონერებულ-დაზიმალეტებულ“ სახინკლეში წავსულიყავით. ოხშივარადენილი ხინკლის დანახვაზე ლამის გული შეგვიწუხდა. ამ სიცხეში კიდევ ცხელი და მდუღარე გვინდოდაო?

ვინაიდან ქალაქგარეთ წასვლის ინიციატორი მე ვიყავი, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და ვცდილობდი, ჩემი „დანაშაული“ ხუმრობით გამომესყიდა.

— ნუ წუწუნებთ, ხომ იცით, ღმერთი ჩემი „ახლობელი“ და „ძმაკაცია“, ახლა დავურეკავ და ნიავს გამოგვიგზავნის, — ვიხუმრე, მობილური ტელეფონი ყურთან მივიტანე, ავაპყარი თვალები ზეცისკენ და გავაგრძელე: — ალო, ღმერთო, შეგვიბრალე და ცოტაოდენი ნიავი გამოუშვი, რომ სიცხით გული არ წაგვივიდეს-მეთქი.

ამის თქმა იყო და ფოთლები აშრიალდნენ... მეგობრებმა გაოცებულებმა გადმომხედეს, მე კი თავმომწონედ გადავხედე ყველას, მაგრამ ნიავმა ნელ-ნელა უმატა და ქარად „გადაკეთდა“, მერე — ქარიშხლად, ეს ჩვენი ხინკალი მტვრითა და მიწით დაიფარა და იძულებული გავხდით, იქიდან გამოგვესწრო.

— ღმერთო, მე ხომ ნიავი გთხოვე, ამდენი არ მითხოვია, გულუხვობისთვის მადლობა, მაგრამ ყველაფერი ჩაგვშხამდა, — ისევ „გადავურეკე“ მამაზეციერს, რადგან ხუმრობის ხალისი დაკარგული არ მქონდა.

იმის მერე მეგობრები ღმერთის რჩეულს მეძახიან თუ რამეზე დავიწუწუნებ, მეხუმრებიან ხოლმე, მიდი, დაურეკე შენს „ძმაკაცს“ და გამოგიგზავნისო...

ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ ამ ორშაბათ დღეს მეორე შემთხვევა იყო, რაც ვინატრე, უცებ ამისრულდა. ეს კი უკვე კარგად მენიშნა...

როგორც იქნა, შინიდან ავიბარგე და სამსახურისკენ ავიღე გეზი. ის იყო, ეზოდან გამოვედი და გავიფიქრე, ნეტავ, რომელი საათია-მეთქი? ხელი მობილურისკენ წავიღე, რომ ეკრანზე საათისთვის დამეხედა და რადიოს დიქტორმა გამოაცხადა — თბილისის დროით 9 საათი და 6 წუთიაო.



— გმადლობთ, გენაცვალე, — ხმამაღლა გადავუხადე მადლობა დიქტორს და გამეცინა, მაგრამ სიცილი იქვე მოვსხიპე, რადგან გამახსენდა, რომ მანქანის ავზში ბენზინი თითქმის არ მქონდა და არც „ლარები“ მქონდა საფულეში... არც ბანკი მუშაობდა ამ დილაუთენია და ვერც ბანკომატამდე მივაღწევდი. ჰა-ჰა, პირველივე „კალონკამდე“ მიმეღწია და იქაც, რომ მიაღწიო, რა, მერე? ერთი 20-დოლარიანი მედო ჩანთაში და დოლარს კი ბენზინგასამართ სადგურზე არ აიღებდნენ. მერე ვიფიქრე, მოდი, ეშმაკობას ვიხმარ, ჯერ ბენზინს ჩავასხმევინებ და ფულს მერე მივაწვდი, ბენზინს უკან ხომ აღარ ამოიღებენ და იძულებული გახდებიან, დოლარი დაახურდაონ-მეთქი. ვაღიარებ, რომ სწორედ ამ განზრახვით მივადექი პირველივე სადგურს, მაგრამ ელდა მეცა. ჩემი ახლობლის ქმარი შემრჩა ხელში. მას ხომ ვერ მოვატყუებდი? ჰოდა, იძულებული გავხდი, ჩემი გასაჭირი მეთქვა.

— დოლარს ვერ დავახურდავებ, მაგრამ „პოსლეზე“ ჩაგისხამ და ფულს მერე მოიტანო.

აგაშენებს ღმერთი-მეთქი, გავიფიქრე. ეს პრობლემაც გადავჭერი, ყოველგვარი სირთულის გარეშე და მშვენიერ გუნებაზეც დავდექი.

ნახევარმა დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა... შვებულებიდან დაბრუნებული, გარუჯული თანამშრომლების დანახვაზე გამახსენდა, რომ მეც ძალიან მინდოდა შვებულებაში წასვლა და ბუნებრივია, წუწუნი დავიწყე — ზღვაზე მინდა, დასვენება მინდა, მართალია, ცურვა არ ვიცი და მხოლოდ წელამდე წყალში თუ შევალ და იხვივით ვიტივტივებ, მაგრამ მაინც ხომ დავისვენებ-მეთქი? ნათლად წარმოვიდგინე, როგორ ვიდექი ზღვაში, ზღვა როგორ ტორტმანობდა და როგორი კმაყოფილი სახე მქონდა...

— ღმერთო, მალე გავიდეს ეს 1 თვე, რომ მეც ავისრულო დასვენების წადილი-მეთქი, გავიფიქრე და კომპიუტერსა და სამუშაოს მივუბრუნდი.

თუმცა, გამახსენდა, რომ ყავა მინდოდა და ის იყო, უნდა ავმდგარიყავი და მომედულებინა, რომ თანამშრომელმა ოთახში ცხელ-ცხელი და არომატული ყავა შემომიტანა და მაგიდაზე დამიდგა.

— გმადლობთ, ღმერთო, — კიდევ ერთხელ ავაპყარი თვალები, ამჯერად სამუშაო ოთახის ჭერისკენ.

— ყავა მე მოგიტანე და მადლობას ღმერთს უხდი? — უკმაყოფილება ღიმილით გამოთქვა თანამშრომელმა და გავიდა.

მუშაობას საკმაოდ გვიან, ღამის 10 საათზე მოვრჩი. შინ წასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ბათუმში, დასასვენებლად მყოფ მეგობარს დავუმესიჯე, როგორ ხარ-მეთქი? „წვიმს და ვერ გეტყვი, რომ რომანტიკული განწყობილება მაქვს“, მომივიდა პასუხი. „კარგი, რაა, წვიმას რა ჯობია? ზღვაზე წვიმა ძალიანაც რომანტიკულია, აქ, თბილისში, ისევ ძალიან დაცხა, ნეტავ აქაც გაწვიმდებოდეს“, მივწერე და ამ კვირის „გზის“ ჩანართის ნუსხას გადავხედე, რომ დამედგინა, კიდევ რა მასალა მქონდა გასაკეთებელი.

„სიტუაცია“ — ეწერა ნუსხაში და გავიფიქრე — ნეტავ, რა უნდა დავწერო? არადა, კარგა ხანია, „სიტუაცია“ არ დამიწერია და ახლა დროა, რამე მოვიფიქრო-მეთქი. ჩანთა მხარზე გადავიკიდე და ის იყო, ოთახიდან უნდა გავსულიყავი, რომ ფანჯრის რაფაზე წვიმის წვეთების წკაპუნი გავიგონე. გარეთ გასულმა კი, როდესაც წვიმის გრილი წვეთები ვიგრძენი, ღმერთს ისევ მადლობა გადავუხადე, სურვილის ასრულებისთვის.

მაგრამ... თურმე იმ დღის მთავარი თავგადასავალი ახლა იწყებოდა.

შხაპუნა წვიმამ კარგ გუნებაზე დამაყენა და დაღლილობაც თითქოს სადღაც გაქრა. მანქანის მინა ბოლომდე ჩამოვწიე, რათა ცხელი ასფალტიდან ადენილი წვიმის სუნი სალონში შემოსულიყო და შინისკენ მიმავალ გზას დავადექი. თუმცა, ლაგუნა ვერესთან საერთოდ არ წვიმდა და ასფალტიც კი მშრალი იყო...

— კარგი, რა, ღმერთო, რა იქნება, აქაც რომ გაწვიმდეს, — გავიფიქრე „რომანტიკულ-გუნებაგაფუჭებულმა“.

ჰოდა, დასცხო და რა დასცხოოო?!.. წამოვიდა თქეში და ნიაღვარი... მინის მწმენდები ვერ ასწრებდა მინების გაწმენდას და ფაქტობრივად, ვერაფერს ვხედავდი. ძალიან ნელა და სიფრთხილით ვმოძრაობდი. გავცდი ციხეებს ორთაჭალაში და სადღაც, 1 კილომეტრში მანქანა ჩაქრა... ვერა და ვერ დავქოქე... არადა, წვიმა იმატებდა და ჩემ გარშემო წყლის დონეც თანდათან მაღლა-მაღლა ადიოდა. ცოტა ხანში მანქანის სალონში წყალმა დაიწყო შემოსვლა... ფეხები დამისველდა... ჩემ გარშემო სხვა მანქანებიც გაჩერდა და ყველა უმწეოდ იყურებოდა, აქეთ-იქით. წყლის დონე მანქანის სალონშიც იწევდა.

— ღმერთო, წვიმა კი გთხოვე, მაგრამ ამდენი არ მითხოვია-მეთქი, — ისევ ავაპყარი ამჯერად მანქანის ჭერისკენ თვალები. მერე გადავრეკე და დამხმარე ძალას ვუხმე. თუმცა, შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ მის მოსვლამდე კარგა ხანს მომიწევდა იქ დგომა.

მანქანაში გაჩერება შეუძლებელი იყო. გადმოვედი და წელამდე წყალში აღმოვჩნდი. რა უნდა გამეკეთებინა? გარშემო მიდამოს ვათვალიერებდი და დანარჩენებს ვაკვირდებოდი. ჯიპებიანი მამაკაცები ისე მივლიდნენ გვერდს და ისე მაკვირდებოდნენ, თითქოს უცხოპლანეტელი ვიყავი... ხანდახან რომ წავიწუწუნებ, მამაკაცები გადაშენდნენ-მეთქი, რატომ ამბობ მაგასო, მეუბნებიან.

ახლა წარმოიდგინეთ, შუა წყალში, გემივით გაჩერებული ჩემი ოპელიჩი, მე ჩასაძირავად განწირული გემის კაპიტანივით მის გვერდით ვდგავარ, ჩანთა სახურავზე მიდევს, მანქანაზე მიყრდნობილი, გულხელდაკრეფილი და წელამდე წყალში, მშვიდი სახით ვათვალიერებ გარემოს. გარშემო ამდენი მამაკაცია, რომლებიც თავისი ჯიპებიდან, სოროდან თავგამოყოფილი კურდღლებივით, იყურებიან და არავინ დახმარებას არ გთავაზობს...

წარმოიდგინეთ? ჰოდა, მაშინ აღარ გაგიკვირდებათ, რომ ხმამაღლა მინდოდა მეცინა და იმათთვის დამეცინა, ვისაც ფეხის დასველების ასე ეშინოდა... ის კი არა, ფანჯრიდანაც არ შემოუთავაზებიათ, იქნებ სადმე დარეკვა მჭირდებოდა და ტელეფონი დამისველდა ან ეკითხათ, სად მივდიოდი (სველი ვიყავი თავიდან ბოლომდე და მანქანის სალონს ხომ არ დამასველებინებდნენ?), ან ჩემი პატრონი სად ცხოვრობდა, ამბავი მაინც რომ მიეტანათ, თქვენი შვილი გმირულად ჩაიძირა გემთან ერთად, ისე, როგორც ნამდვილ კაპიტანს შეეფერისო... გვერდით რომ სხვა მანქანა გაივლიდა, წყალი ზღვასავით ტორტმანებდა და უკვე მკერდამდე მიწევდა, ოპელიჩში კი ფანჯრიდან გადადიოდა (ზღაპარი ან მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარი არ გეგონოთ, ნამდვილ ამბავს გიყვებით).

ასე, 2 საათის მერე ერთადერთმა მანქანამ გააჩერა — ჯიპმა... 2 აზერბაიჯანელი(!) მამაკაცი იჯდა... საბუქსირე ტროსი თუ გაქვს, ჩაგიბამ და გაგათრევ, მე არ მაქვსო... — არა-მეთქი, დანანებით ვუთხარი...

გვერდით გაჩერებული მანქანის მძღოლმა (ასე, 30 წლის იქნებოდა და თავისივე ასაკის მეგობარი ახლდა) გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და უთხრა, მე მაქვს ტროსი და მე წამიყვანეო... მაგრად დასცინეს — ტროსი თუ გაქვს, ამ ქალბატონს ათხოვე, ტელეფონის ნომერიც დაუტოვე და დაგიბრუნებსო.

არ წაიყვანეს...

მოკლედ, როგორც იქნა, მოვიდა ჩემი მაშველი ძალაც, დამიბუქსირა და სახლამდე მიმიყვანა...

მთელი დღის მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, ეს დღე ჩემი სურვილების ასრულების დღე იყო. ზღვა და წელამდე წყალი ვისურვე და ეგეც კი ამისრულა ღმერთმა (ნუ, როგორც შეძლო, რა...) და ვნანობ, მილიონი ლარი (არა, დოლარი კი არა და ევრო) რომ არ ვინატრე. დარწმუნებული ვარ, მაგასაც ამისრულებდა...

ამ დილით, რა თქმა უნდა, ჩემი ოპელიჩი ვერ დავქოქე და ეზოდან მოღუშული სახით გამოვედი.

— აუ, რა გაივლის ამ გზას ფეხით, მერე „მარშრუტკით“, ნეტავ ვინმე მანქანიანი ნაცნობი მაინც გამოჩნდებოდეს-მეთქი, ის იყო გავიფიქრე, რომ ვერცხლისფერი მანქანა გაჩერდა. მძღოლი ასაკოვანი მამაკაცი გახლდათ. შემომთავაზა, გაჩერებამდე მიგიყვანთ, წვიმს და ქოლგაც არ გაქვთო. აღმოჩნდა, რომ ერთი გზა გვქონდა და სამსახურამდე მომიყვანა...

ახლა დილის 10 საათია, უკვე სამსახურში ვარ, „სიტუაციას“ ვწერ (ხომ გახსოვთ, წინა დღეს ვნერვიულობდი, რა დავწერო-მეთქი და — აჰა!) და ვფიქრობ: დღევანდელი დღეც ისე დაიწყო, მგონი მილიონი რომ ვინატრო, არც ახლაა გვიან. კიდევ რა ვინატრო? კიდევ ის, რომ ის მილიონი „გაბრწყინებულ საქართველოში“ დავხარჯო, სადაც მამაკაცს გარდა „მონადირისა“ (როგორც თვითონ უყვართ ხოლმე აღნიშვნა — ბუნებით მონადირეები ვართო) და პოლიტიკური ამბიციებისა, ქალის დაცვისა და დახმარების ფუნქციაც ექნება შეთავსებული...

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 43 წლის, ქმარს გაცილებული ქალბატონი. გამომეხმაუროს 50 წლამდე ასაკის, დასაქმებული მამაკაცი, რომელიც ქალში აფასებს სულიერ სილამაზეს და არა გარეგნულს.

2. ვარ 34 წლის, პატიოსანი, სერიოზული და სიმპათიური. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობის და შემდეგ დაოჯახების მიზნით გავიცნობ უცოლო მამაკაცს, 34-44 წლამდე, სერიოზულს და დასაქმებულს. ვოცნებობ ისეთ ოჯახზე, სადაც ქალი ოჯახში ფუსფუსებს და მამაკაცი კი მუშაობს. დავიღალე სხვებზე ზრუნვით, მინდა ჩემი ოჯახი მქონდეს.

3. მარიამულო, ქალების განცხადებებში ჩამწერე, სიხარულო. თბილ, ტკბილ და გემრიელ ქალ ცდუნებას, სევდიან ქალს და მათ, ვისაც ჩემი გაცნობა სურს, მომწერეთ. გელით, თქვენი ლუნა.

4. ვარ 39 წლის, განათლებული, სიმპათიური და წესიერი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ განათლებულ, ინტელიგენტ და დასაქმებულ მამაკაცს, თბილისელს.

5. გავიცნობ 30 წლის ბიჭს, განათლებულს, სერიოზულს, ეკლესიურს, ოჯახის შექმნის მიზნით. ხატია.

6. ვარ 28 წლის, განათხოვარი ქალბატონი. ვეძებ ცხოვრების მამაკაცს. დამიკავშირდით 28-32 წლამდე ასაკის მამაკაცები. არასერიოზულებმა და დაოჯახებულებმა თავი შეიკავეთ.

7. მინდა გავიცნო მოსიყვარულე მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. ამომიდექით მხარში და ვიყოთ ერთად ბედნიერი. ვარ ნინო, 25 წლის. გთხოვთ, არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

მამაკაცები

8. ვარ 45 წლის, უცოლშვილო მამაკაცი. სერიოზულად გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. გამეცნობა ვინმე?

9. გავიცნობ 30-50 წლამდე ასაკის, კარგი ხასიათის, მოსიყვარულე ქალბატონს. ვარ 37 წლის მამაკაცი, ტორნადო. ვისაც სურს ჩემს ქარბუქში გახვევა, დამიკავშირდით.

10. ვარ 38 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ, დედისერთა ქალბატონს.

11. მყავს დასაქორწინებელი მეგობარი, ბინიანი, მანქანიანი, 37 წლის. გამოეხმაურეთ პატიოსანი და ლამაზი გოგონები, 32 წლამდე. სასურველია, დასავლეთ საქართველოდან.

12. გავიცნობ 32-37 წლის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 38/172/56. შემეხმიანეთ საღამოს საათებში. დანარჩენი პირადად.

ვეძებ



13. ვეზებ ლილე მათიაშვილს. თუ ვინმე იცნობთ, შეატყობინეთ. საბერძნეთში ველარ ვუკავშირდები. გამომეხმაურე ლილე, განვიცდი, ასე იდუმალად რომ დამეკარგე. ნანა.

14. ვეძებ მამა კახაბერ ურუშაძეს. ადრე სამების საკათედრო ტაძარში იყო, შემდეგ სად გადაიყვანეს, ზუსტად არვიცი, მაგრამ ვერავაკე-საბურთალოს რომელიღაც ეკლესიაშია. იქნებ ვინმე მისი მრევლიდან „გზას“ კითხულობს და ძალიან ვთხოვ, შემეხმიანოს ან როცა რომელიმე მკითხველი ეკლესიაში შევა, მამა კახაბერ ურუშაძე იკითხოს. წინასწარ მინდა ყველას მადლობა გადავუხადო. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მწარე.

სხვადასხვა



• მადლობელი ვარ, სევდიანო ქალო და ლიმონა, მოკითხვისთვის. გეხუტებით ორივეს. ბერბიჭ, გამახარე დაბრუნებით. მივხვდი, ჩემზე რომ იყო ნათქვამი ეგ ლექსი. გრუზი, რავა ხარ, დაია? კამის პაჩები. ლუნა, მეც ძალიან მიყვარხარ. ყველას გენაცვალეთ. ქალი ცდუნება.

• კამელიას მესიჯს გაჰყვა ჩემი გული. ვფიქრობ და ვნატრობ, რა იქნება, ასეთი ანგელოზისთვის ცხოვრება უფრო მარტივი და ლამაზი იყოს? ბედნიერებას არ გვიშლიდეს არვინ. ტირიფი73.

• შეწირულო, მე შენზე არ

დამიწერია. ვისზეც დავწერე, მიხვდა. თვითონ გადახედე ძველ ჟურნალს და მიხვდები. არ გიცნობ, მართალი ხარ და რატომ უნდა დამეწერა შენზე? შენ ვერ გაიგე ჩემი ნათქვამი. უშნო ბიჭი.

• რااااამ? მისტერ, შესავალი კარგად დაიწყე და ლამის ვერ გიცანი... მეთქი საიდან, ასეთი დაფასების უნარითქოოო... ჰოდა, აზრზე მალე მოვედი, მარტივად და პრიმიტიულად მოაზროვნე რომ მიწოდე... მგონი შენთან ლაპარაკს აზრი არ აქვს. მაინც შენსას გაჰკივიხარ... ღმერთმა გატაროს მაგ მცდარ გზაზე, ჭკვიანურად... ბელო.

• როგორ ხართ, ჩემო კარგებო? აუუ, უმაგრესად მომენატრეთ! ძალიან მიყვარხართ და სულ მახსოვხართ. გჯერათ? იმედია, გახსოვართ. ;)) გაკოცეთ უამრავი! თქვენი CRAZY GIRL.

• მერამდენედ წავიკითხე „გზავნილები“ და რამდენიმე რომანტიკული ადამიანი აღმოვაჩინე. კარგია, როცა გრძნობენ... მიხარია, როცა ბუნებას ეტრფიან! სარვიეტა.

• მისტერ, რას გერჩის ეს ხალხი, რა დაიბოღმნენ, არ მესმის. ყურადღება არ მიაქციო და გაატარე. აუ, ზღვაზე მინდა და არავინ დამპატიჟებთ? გკოცნით. NEWMOON.

• არ იტირო, მე რომ ვტირი, ეგეც მეყოფა, აღარ იტირო, ჩემი გული შენთან დარჩება. ცრემლით მაინც არაფერი არ გადარჩება. კამი, მიყვარხარ, დაიიი, ჩემო ფერიავ. ტირიფი73.

• ბერბიჭავ, მაპატიე გთხოვ, მეგონა ეგ ლექსი მე მეკუთვნოდა და მაგიტომ მოგწერე. მაპატიე, გთხოვ! სევდიანო ქალო, მიყვარხარ! კამი, ჩემო ფერიავ, ნუ ხარ ასე ტკბილი. ლუნა.

• ბერბიჭავ, მე მე ვარ. ტვინდასეტყვილი, ქალური ნიჭით დაჯილდოებული, ნუ მეხმიანები. შინაბერავ, უმაგრესი ხარ. დაბრუნდი და ამ დაუნებს ლექსების წერა ასწავლე. ბერბიჭა.

• სიკვდილას, იკას, პარის, კანიბალკას, სევდიან და იდუმალ ქალს თბილი მოკითხვა. ელექტრას დაბრუნებას ათგზის სალამი. გრუზ, ლუნ, ძალიან რომ მიყვარხართ, თუ იცით? ტირიფი73.

• ბაო, როგორ ხარ? სად დამეკარგე? ეგ ტელეფონი გამორთული რატომ გაქვს? მომენატრე. კოკო.

• მისტერ, ლენინის მოწაფევ და უზრდელო შვილო, დედა გენაცვალოს, აჰა, ეს პლატოკი და დორბლი მოიწმინდე, ხიხია სიტყვამ ენაზე ჭიები იცის. მავზოლეუმი ყელზე არ დაგადგეს, ვიროოო...

• ამპარტავნება გაცდუნებს, დაბალი დონის მისტერ, ჭკუასუსტი რომ თავად ხარ, მაგ ცხვირს იმიტომ იმტვრევ! სიკვდილ, რა ცალუჯრედიანი ხარ, გეშველება რამეე? ვითოომ? თემიდა.

• მისტერის გზავნილზე რა ამბავი ატეხეთ, მართლაც მდარე ხარისხის მოაზროვნეებო? სიყვარულით, კლაიპედა.

• იკუშკები, ამ შემთხვევაში მგონი მართალი ხარ. ალბათ არ იყო ჩემი საქციელი ლამაზი, რამაც შენი და რამდენიმეს გაღიზიანება გამოიწვია. ამიტომ, ყველას, ვინც კი გავანაწყენე, პატიებას ვთხოვ. გულით გთხოვთ ხალხო, მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით ყველას. ეს ჩემი ბოლო მესიჯია, ალბათ არ ვარ მგზავნელობის ღირსი და ამიერიდან ისევ თქვენი მესიჯების კითხვით შემოვიფარგლები. სამწუხაროა, მაგრამ არ შემიძლია ჩემი „გზაში“ ყოფნით ვინმეს გაღიზიანებას ვიწვევდე. ამიტომ მე წავალ და დაგემშვიდობებით ყველას...

• ჰოოო... და თქვენ ეს ყველაფერი დაიჯერეთ? ვერ მოგართვით, ვერაა! იკუშკები, გეტყვი, რომ ჩემი წასვლის ოცნებაზე ფიქრით შეგიძლია დაკავდე. ნუ, შენგან განსხვავებით, საკუთარ თავს პატივს ვცემ და შეურაცხყოფისთვის თავადვე გამოუნახე შენს თავს შესაფერისი სიტყვა. P.S. სიკვდილ, მომწონს შენი აზროვნება. მისტერ.

• შენ თუ ხუმრობას და „წაბაბნიკებას“ ერთმანეთისგან ვერ არჩევ, კარგად გქონია საქმე. ისე, შემიძლია დაგეხმარო და გაგარჩევინო. ნიკით მოწერამ შეგაშინაა? მისტერ.

• აუ, ელექტრა, მაგარი ვიხალისე შენს გზავნილზე. კაცმა ასეთი გმირობა ჩაიდინა და არ დაუფასე? არ მეგონა, ჩემზე გადარეული ვინმე თუ იყო ამქვეყნად. გატოცე. ASHLEY PCD.

• დუჩი, კანიბალკა, ლი ჰარვი ოსვალდი და რიცი გავიცანი. გენათალეთ, გოჭებოო. მოკითხვა NICOLES, მისს რეალს, 9717-სა და აბეზარას. მპუაჩ. ASHLEY PCD.

• კამელიას მესიჯით გაოგნებული ვარ. სიხ, არ გეწყინოს და წინასწარ დიდი ბოდიში, თუ რამე მეშლება, მაგრამ... არატრადიციული ორიენტაციის ხარ? კიდევ ერთხელ SORRY. ASHLEY PCD.

• მია, ფეშენ, ლუნა, მისტერ, თოლია და ა.შ. გამეცანით, თქვე ღლონტის გოჭებოო. ლუნას ადრე ვიცნობდი, მაგრამ... იტოგში, მომწერეთ ჩემს ნომერზე. ASHLEY PCD.

• გულითადობის ნიღაბით, მიამიტური ბლეფით, ეშმაკუნასაც არგუნა ჯორების 1 შხეფი, თურმე ლიმონას წუხილმა დააკარგვინა ტემპი, სულ მუდამ სტარტზე რავაა, გრუზი, შპიონთა შეფი?

• წკაპუნ, მაგადი საკალელი ნიკი გაქვს. მისტერ, არ გიცნობ, მაგრამ შენი მესიჯებით უარყოფითი შთაბეჭდილება დამიტოვე შენზე. რას ილანძღები, დედაკაცივით? ASHLEY PCD.

• NICOLE, რატომ არ მპასუხობ მტშ-ებზე? რათა, რათა, რათა? აუ, რაღაც დაგრუზულები მეჩვენებით, ხალხოოო! :) ზაფხულია, გახალისდით! ფლირტის დროა, ბოლოს და ბოლოოოს. ASHLEY PCD.

• სიკვდილ, როგორც იქნა, დაამუღამე, რა... :) გენაცვალლეე... უკარება, მპაჩ. ჩუპ, კახელო, ოსვალდ, სოფ19, რიცა, კობრავ და მგზავნელებო, სალამ-ნამასტეე. ლიმონა,

• ცხოვრების სიძნელეებს უნდა შევეჩვიოთ ფეშენ, მთავარია, სულით არ დავეცეთ,

თუ გუშინდელი ჭეიფის მერე თავს ყარგად გრძნობ და „ახხმელია“ არ ხარ, ე.ი. გუშინწინ გიჭეიფია



სულიით. რამ დაადარდიანა ჩემი პატარა თოლია? გამაგრდი ჩიტუნავ, „გზა“ შენთანაა. ლიმონა.

• კარგი წიგნები, მანქანები, სიჩქარე ჩემსავით ყველას მოსწონს ალბათ, მაგრამ ჩემი ცოტნე დადიანიც? გაკვირვებულ! ელექტრავ, ვინც ეძებს, ის იპოვის. ლიმონა.

• ეგ ტირადა იმიტომ არ დამიწერია, რომ ვინმემ შემიცოდოს. წარსული უკვე წასულია. განსაცდელები კი ისევ წინაა. აუ, ნეტავ იმ გასაუბრებას კარგად გავივლიდე. მეშინიაა. ლიმონა.

• ვაიმე, რა ქათმისტვინა ტუპიაკი ვااარ! რაც ჩემი ნომერი „გზაში“ გამოვჭიმე, ბიჭების არმია დამაცხრა თავს! ძვირფასებო, არც ლოვე და არც ქმარი არ მინდა, არااა! ASHLEY PCD.

• ჰი. როგორ ხართ, მგზავნელებო? ეჰ, სოფელში ვარ და ვერ ვიშოვე „გზა“. ნეტავ, რა ხდება? აუ, ჩემი, კვატი, იცი, რო ძაან მიყვარხარ? :-) დუჩი.

• ეშმაკუნ, თუ „გზიდან“ წახვალ, იცოდე, შენს დედობაზე ხელს ავიღებ. დარჩი, გთხოვ. მიყვარხარ უზომოდ... სიკვდილ, მიგასიკვდილებ, სადაც გნახავ. მევასები, ხო იცი? :-) დუჩი.

• შინაბერა2-ს: ერთხელ ხომ პკ მითხარი და ძმა მიწოდე, დაიკო? ჰოდა, სხვას მიეცი უფლება, რომ ჩემი გული გაიყოს. შენთან ფლირტს ტაბუ დავადე, სხვებს უნდა გავეარშიყო. ბერბიჭა.

• ბელო, იკა, ჯიგრები ხართ, თქვენ გვერდით ვარ, ფსონებში. ჩემო თოლი, გეფერები, მაგ ცრემლისფერ თოლებში. სევდიან ქალს სად ვაკოცებ? სად და გრძნობის მორევში. ბერბიჭა.

• ამ ბოლო დროს ჩემი შვილი, ჩემი დაცემა, ჰაეროვანი ქალი და ჩემი კვატი ძაან შემიყვარდნენ. არა, ყველა უზომოდ მიყვარხართ, გენაცვალეთ გულუკებში. გაკოცეთ. დუჩი.

• ცხრავე თვალს შენთვის გავახელ, მსურს, მხოლოდ შენ ერთს გიცქირო, ბერბიჭავ, გულს მოენატრე, მოხვალ თუ ისევ ვიტირო? სხივთა ალერსს გიგზავნი. გაკოცა შენმა ცხრათვალამ.

• გაუმარჯოს ორ დიდ გრძნობას, სიყვარულს და მეგობრობას. ირმა91.

• ეთო, რა გინდა ერთი? რატომ ჩხუბობ? აუ, მარ, მეორედ ასეთი სმს დაბლოკე რა? გასაღები, აბა მითხარი მგზავნელების საიტი?

• ნიბუ, ხალისმა ამავსო, რომ მომაწვდინე შენი ხმა! მიამგზავნელი ყოფილხარ, რაცხას ცუღლუტობ, ჩემს მიღმა. მაგ ცხვირუკებზე თითო პაჩს ძმურში გაკოცებთ ენიგმა!

• ჩემო სიხარულებო, ჩემი ნომერი განცხადებაში წერია. ვისაც სურვილი გაქვთ, დამიკავშირდით. მიყვარხართ და მენატრებით! გკოცნით თბილ გულებში. ლუნა.

• თელავში ვარ, თელავში... ჰოდა, ხუთშაბათს ჯადოსნური „გზა“ ჩემი იყო. ვიდექი მოედანზე და ენიგმას სმს-ზე ვიცინოდი, მარტო. კამელიას მესიჯმა შემაწუხა. ძალიან კარგია. ნილი.

• შეწირული დაბრუნდაა, გამიხარდაა, გენაცვალე, მომენატრე. დუჩი, მენატრები. ოლე, მაგრად მიყვარხარ, SWEET GIRL, ჩემი ტკბილი ხარ. ASHLEY, მომენატრე. სესი.

• იციიი, მარ, ძალიან მინდა მეც მგზავნელი გავხდე... დამრთავთ ნებას მგზავნელები? ნინი.

• აი, თურმე რა აკლდა „გზის“ ფურცლებს... ენიგმას ხალასი იუმორით გაჟღენთილი გზავნილები... მაგარი ადამიანი ხარ, გეტყობა... შენს „ადექ მუშავ შენ“-ზე მთელმა ოჯახმა გულიანად ვიცინეთ... აწი იმედია, აღარ დაგვეკარგები ხოლმეეე.... SWEET-GIRL.

• ვინ თქვა, ვირტუალური სიყვარული არ არსებობსოოო? არც მე მჯეროდა, მაგრამ ახლა ნამდვილად ვიცი, რომ არსებოოობს. ჩვენმა ჩუპიმ ისთე შემაყვარა თავიიი... ლამისაა კომპიუტერში გავძვრე ხოლმე, რომ ვესაუბრები. ჩუუუპ! ერთი სული მაქვს, როდის გნახააავ... ჩაყლაპვა დასწრებაზეაااა... SWEET-GIRL.

• აუ, როდის წავალ ბათუმში? უკვე კალენდარი გაუქმებული მაქვს და კვირების გასვლას „გზით“ ვითვლი... ეს უკვე მეორე „გზაა“, რაც აქ ვარ... 3 „გზაც“ და ბათუმში ვااარრრ! SWEET-GIRL.

• დიიიდი სიყვარულით, მონატრებითა და ჩაყლაპვაგადასანსვლის მუქარით მოვიკითხავ ჩემს ანტიდეპრესანტს, ჩუპის, მოუსვენარ და თავზეცეცხლწაკიდებულ (იცის რატომაც) — სუპერსთარს, ცუღლუტ და გამოუსწორებელ მექალთანე ვერმახტს (შენი ამბები აქაც მესმის) და ჩემს დეპრესანტს — მაესტროს, რომელიც სულ ნერვებს მიშლიიის... ხალხო, მიყვარხართ უმაგრესაად... SWEET-GIRL.

• მარ, ახლა ერთი განცხადება უნდა გავაკეთო და რომ დამბლოკო, ერთი მოუსვენარი გოგოს ცოდვა შენს კისერზე იქნება. ან მტკვარში გადავხტები, ან ჭოროხში (ნუ, ჯერ ვფიქრობ). მოკლედ, ასე: მივმართავ ჩემი ახლად შეძენილი დაიკოს, მეორენაირად კი ჩემი ანტიდეპრესანტის, ჩუპის დედიკოს: ქალბატონო ნათია, სექტემბერში ჩუპი გამოუშვით ბათუმში, რა�ა, თორემ აქციის მოწყობა და უვადო შიმშილობა მომიწევს, თქვენი სახლის წინ... კარავიც მაქვს და იმდენს ვიზამ, ეგონებათ, პარლამენტის შენობა ნახალოვკაში გადავიდაო... არ ვიმუქრები, მაააგრაااამ... იმედია, აგვისტოს ბოლომდე მიიღებთ ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტილებას... გკოცნით, თქვენი აქციონერ-პროვოკატორი SWEET-GIRL.

• მარეხი კეკიშვილო, ძალიან მიყვარხარ. ჩემი იმედი ხარ. შენი გიჟი შვილი, ნათია ბუჩუკური.

• ანზორ პარკოსაძეს: მოლოდინში გაყინულა წამები, გული მტკივა უშენობის ბრალია, მოგონებებს ვეფერები ჩურჩულით, მომენატრე, მომენატრე ძალიან. მარი.

• მარ, მინდა თქვენ მიმართ უდიდესი სიყვარული და მადლიერების გრძნობა გამოვხატო. თქვენი ჟურნალის მეშვეობით სულდგმულობენ ათენელი ქართველები და მეც 1 თვეა, მათ რიცხვს შევუერთდი. ყოველთვის საინტერესო და ჩემი თაობისთვის მნიშვნელოვან თემებს ეხებით. ნათია.

• მარი ამ მესიჯს „ტაგანკას“ ფონზე ვწერ და რომ არ დამიბეჭდო, მაგარი გამიტყდება. საქმე იმაშია, რომ ქობულეთში ვისვენებ, უკვე რამდენიმე დღეა. ჰოდა, პლაჟზე მეზობლები მყავს, ხალხის უნახავს გაგხდიან. მარჯვნივ კასპელები, მარცხნივ სომხები და ისმის მთელი დღე — სლავიიკ, არი სტეღ სლავიკ! ან კაი გულიანი, კასპური გინება. არა, მე კი არ მაგინებს, ცოლქმარი არიან და 2 პატარა შვილი ჰყავთ. ჰოდა, უმცროსი ისეთი მოუსვენარია, მამამისი გინებით რომ ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, მერე ყვირის, ბავშვის მეტი ყველა-

ფერია, ეს ჩემისაო. იმ დღეს მაგალითად, იმხელა დღლიზა მამამისს წიხლი უხერხულ ადგილზე, იმ კაცის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, თავს მოვიკლავდი. მუსიკალური გაფორმება ცალკე თემაა. ერთი მხრიდან სომხური ჰიტები მესმის, მეორედან — „ბუტირკას“ და შუფუტინსკის შედევრები. აი, ასე ორიგინალურად ვისვენებ. მე მომწონს და რა ვიცი... ფეშენა.

• მოგესალმები რეანიმაციიდან მარ, კომაში ვარ, ფაქტობრივად. მარ, წუხანდელი ხუმრობისთვის ბოდიში, რა, ჩემი ბრალი იყო, „ამის პატრონმა რა ქნას“ ვთამაშობდით და ჩემი იდეა იყო, ასე მოეწერათ შენთვის. ასე არ ვიხუმრებთ, ბოდიში. დამნაშავე ვარ. 9717.

• მე ახალი ვარ და ახლა ვაპირებ მგზავნელებთან ერთად თქვენს „მგზავრულში“ ჩაბმას, რა თქმა უნდა, თუ მიმიღებთ. დიდი ხანია, ვკითხულობ „გზას“ და განსაკუთრებით წერილებს — „გზის“ ვიწრო ფურცლებზე. მარიამულ, დიდი მადლობა, რომ ასეთ კარგ რუბრიკებს ამზადებ მგზავნელებთან ერთად. მიმიღებთ? პირობითად ს.ვ.თ.

• ვერ ვიძინებ, დრო გაჩერდა და გაიყინა. თითქოს ცუდი ბავშვი ვიყავი და გამომყვა. მავნე ვიყავი და ამიტომ მომბეზრდა სიცოცხლე. ამიტომ აღარ მინდა ამ დამპალ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც არავის სჭირდება სულიერება. მთავარი ამ ქვეყანაში მხოლოდ ფულია.

• ეთო, რა გულით ცდილობ, მთელმა ჟურნალმა შენზე რომ ილაპარაკოს?! ეს ბევრისგან უკვე ნაცადი, მაგრამ წარუმატებელი მეთოდია. წამებში მიღწეული პოპულარობა წამებში ქრება... მე მჯერა, რომ შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ, ამიტომ რჩევას არ დაგამადლი: სიკალულები და მპუაჩები გამოგვიგზავნე, შენ მიერ ნაგვად წოდებულ მგზავნელებს, მერე ჩვენც ვზაიმნას მოგაძახებთ და... ხუმრობა ხომ არ არის, დამწყები მჯღაბნელისთვის, აბორიგენი მგზავნელების ვზაიმნა? ვიცი, რომ გულის სიღრმეში მეც, ილინიც და სხვებიც ძალიან გიყვარვართ. უბრალოდ, ჯერ მცირე ფსიქოლოგიური (შეიძლება ბიოლოგიურიც) ასაკის გამო სწორად ვერ გამოხატავ ამ სიყვარულს... ჩვენ გვესმის შენი. გილოცავთ თბილი გულით და გიგზავნით უთვალავ ღიმილსა და კოცნას... ღმერთმა შეგარგოს. სიყვარულით, კანიბალკა.

• მგონი ყველას დავავიწყდი თუ რაშია საქმე, ჩემო ტკბილო მგზავნელებო, რომ აღარ გახსენდებით? კამი და ბერბიჭა, რატომ დამივიწყეთ? დამეხმარეთ, ძალიან მჭირდებიით. P.S. ბერბიჭას ამბავზე მაგრად ვიხალისე. ამ ნატკენ გულს ცოტა მოუხდა. ნუ დამივიწყეთ, რაა. გკოცნით. თოლია.

• ჩვენო საყვარელო, ნოსტალგიის შემამსუბუქებელო, „გზის“ კოლექტივო, შორეული საბერძნეთიდან მოგესალმებით და თქვენც და გადმოხვეწილ, ჩემს მსგავს ყველა ქართველს ვუსურვებ ბედნიერ, გაერთიანებულ საქართველოში დაბრუნებას.

• მარი გამარჯობა. პირველად გწერ და არ ვიცი, დამიბეჭდავ თუ არა. ახლა ათენში ვარ. წელიწადზე მეტია, საქართველოდან წამოვედი. ერთ ოჯახში ბავშვს ვუვლი. ხელფასიც ნორმალური მაქვს, მაგრამ ძალიან ძნელი ყოფილა შენი შვილების დატოვება და სხვისი შვილის მოვლა. მინდა, ჩემს საყვარელ ქმარ-შვილს ვუთხრა, რომ ძალიან მენატრებიან და ყოველ წამს მათზე ვფიქრობ. თამუნა.

•

ამბავი

•

•

• ქუთაისში ჩვენს ლამაზ დისშვილს, ნათია გურეშიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 5 აგვისტოს. ნათუშკები, გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას და უფლის წყალობას. ვოვა, მიშიკო და თოკო!

• ქუთაისელ ფიქრია ფხაკაძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ ერის გამრავლებას და ყოველივე კარგს, სოსოსთან და ჩვენთან ერთად. იხარეთ და იბედნიერეთ ინგა (ნიკიელი). მპაა.

• ფეშენ, საყვარელო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი ჩემთან და ნაზისთან ერთად. :) მაგრად მიყვარხარ. შენი გიჟი მაკა.

• სოფელ კორეთში მცხოვრებ, ირაკლი და თია გოგიტაძეებს: ცისარტყელა აკისკისდა, მიეფინა კლდეს, თოლიები ზღვის ნაპირზე ნაზად კრავენ წრეს. წვიმას იწყებს და წვეთები უღიმიან მზეს. გეფერებით და გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალი ბედნიერი დაბადების დღე გაგითენოთ ღმერთმა. მიყვარხართ და მენატრებით. თქვენი მამიდა, მაია.

• ცინარა შუბლაძეს დიდი სიყვარულით დაბადების დღეს, 10 აგვისტოს ვულოცავთ. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ანიკო, აზა და ინგა.

• ჩემს ნათლიას, ასმათ ლიკოკელს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 აგვისტოს. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ, თქვენს ოჯახთან ერთად. გკოცნით, ელზა ბუჩუკური.

• ჩემს საყვარელ ნათლულს, თათია მამნიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 აგვისტოს. ვუსურვებ საუკეთესო ბავშვობის წლებს. გკოცნის ელზა ნათლია.

• ათენში 4 აგვისტოს, დაბადების დღეს ვულოცავთ დიდი სიყვარულით ხათო ფეტვიაშვილს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს, სიყვარულს და ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. იცოდე, რომ ძალიან გვიყვარხარ. შენი დაიკოები, ნათია და ეთო.

• ხათო ფეტვიაშვილს გვსურს მივულოცოთ დაბადების დღე და ზედ დავურთოთ ათასი კოცნა, შენი ცხოვრების მეგზური იყოს, ღვთისმშობლის მადლი, იესოს ლოცვა. ზაზა და ზეზვა.

• გამზრდელო ეთერი ბებო, გილოცავ ელიობას და იუბილეს. სიხარულის, სიკეთის მთესველო, გისურვებ ჯანმრთელობას, გამძლეობას, შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით გახარებას. ეკა.

• 10 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ ჯონიკო მიქაძეს, რომელიც ბებოს ტკივილამდე ენატრება და უზომოდ უყვარს. ღმერთმა ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა არ მოგაკლოს, შენი ცხოვრების გზაზე, კარგ სწავლასა და ბედნიერ მომავალს გისურვებ, იხარე და იბედნიერე, ჩემო ანგელოზო. გკოცნის და გეფერება შენი დარეჯან ბებო.

• ველთა ბოკუჩავას და გოგა გახარიას ვულოცავ ბედნიერებას, ვუსურვებ ბედნიერ

ცხოვრებას. გკოცნით შორენა ქათამაძე.

• საბერძნეთში მცხოვრებ გოგიტა ჯანელიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ბედნიერება. გფარავდეს უფალი. ნინჩო.

• ლელა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. მომავალი დაბადების დღე შენს სახლში მომელოცოს. მე არ შეგარცხვენ, იცი. მცინარა.

• ლამარა ქობულაძეს 2 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ. დე, ნეტავ ცხოვრებაში ასეთი რა დავაშავე? ახლა, როცა გჭირდები, შენ გვერდით არ ვარ და შენს ტკივილსა და სიხარულს ვერ ვხედავ. ყოველ დილით უფალს და ღვთისმშობელს ვევედრები, რომ შენი თავი ცოცხალი და ჯანმრთელი დამახვედროს. გკოცნი და გეფერები, ჩემო სიცოცხლევ. შენი მონატრებული შვილი, დარეჯანი.

• 27 ივლისს დაბადების დღე მინდა მივულოცო დათო ბერეკაშვილს. გისურვებ ულევ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს. სულ ბედნიერი მენახე. ნი-სი.

• მსურს მივულოცო დაბადების დღე ერთ კარგ გოგონას, რომელსაც ყველას ტკივილის გათავისება შეუძლია. მრავალი გათენებოდეს, თავის საყვარელ ოჯახში. მისი სახელი და გვარია იზოლდა მესხიშვილი. პატივისცემით, ლეილა და ლილი ნიქაბაძეები.

• კოტე კვინიკაძეს და თეონა კამხაძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. სულ ბედნიერი იყავით და გამრავლდით. ცინარა დეიდა და მზია ათენიდან. ლია და მაია.

• ლუკა სეფერთელაძეს 31 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო პატარავ, გაიზარდე სასახელო ბიჭი, გაახარე შენი მონატრებული დედის გული. ჩემო იმედო, ძალიან მიყვარხარ. დედა.

• მინდა, 3 აგვისტოს დაბადების დღე მივულოცო დედოფლისწყაროში, ჩემს საყვარელ მულისშვილს, ვიქტორ ნატროშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და უფლის მფარველობას. წმინდა ელიას მადლი გფარავდეს. შენი ნათელა ბიცოლა.

• ჩემო საყვარელო ქრისტინე, გილოცავ დაბადების დღეს 5 აგვისტოს მრავალს დაესწარი შენს მშობლებთან, დედმამიშვილებთან და საყვარელ ხალხთან ერთად. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. გისურვებ კარგი ქართული ოჯახის შექმნას. შორენა კაპანაძე. თორნიკე ნიორაძე.

• ვანის რაიონში სერმანდი კაპანაძეს ვულოცავ ქრისტინეს დაბადების დღეს. გაგიხაროს და გაგიბედნიეროს, ღმერთმა. შორენა, თორნიკე.

• ჩემს მონატრებულ შვილს, თაია პატარაიას 7 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიხარულს, ჩანაფიქრის ასრულებას. ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. გფარავდეს უფალი. გეფერები და გკოცნი, შენი მონატრებული დედა.

• ლაგოდეხში ჩემს საყვარელ მულს, მარინა კაპანაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვო თავის ოჯახთან გამრავლება და გახარება. მიყვარხართ, მენატრებით ძალიან. მზია.

• ცოდნისკარში, გოგიტა ლაბუჩიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ უღრუბლო ცას, მშვიდობიან საქართველოს.

• მინდა, დაბადების დღე, 7 აგვისტო მივულოცო ათენში ზაირას და ჭიათურაში ნაირა მახარაძეებს. გისურვებთ ყოველივე კარგს. უფალი გფარავდეთ. გკოცნით უამრავს. მაყვალა.

• ჩემს საყვარელ დაიკოს, ციკო თაყნიაშვილს 29 ივლისს ვულოცავთ დაბადების დღეს. ძალიან გვიყვარხარ ყველას. იხარე და იბედნიერე.

• 5 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს დედიკოს, ნათიას და ჩემგან შორს, ათენში მყოფ თია დეიდულის. გახარებული მენახეთ. 8 წლის მწუხარების მერე პირველი სიხარული.

• ჩემს მამიდაშვილს, მალხაზ მაჩველიას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ლამაზ სიყვარულს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. შენი რუსკა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ნათია კეთილაძეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ცხოვრებაში გამართლებას და წინსვლას, შენს დედიკოსთან ერთად. მიყვარხარ ნათი, შენი ბიცოლა, მზია, შენი ბიძაშვილი ზაზა და მისი მეუღლე, ნათია. გკოცნი და რაც მე ვერ დაგლოცო, მაღალმა ღმერთმა დაგლოცოს.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

10 კერძი, რომელიც ოჯახში უთანხმოებას იწვევს



ზაფხულის დადგომასთან ერთად ოჯახში ცოლ-ქმარს შორის ხშირად რაციონის გამო განხეთქილება იწყება. ზღვის სეზონის დადგომისთანავე ქალები უფრო მსუბუქ კერძებს ანიჭებენ უპირატესობას, მამაკაცებს კი სულაც არ აინტერესებთ, რამდენ კალორიას შეიცავს ის კერძი, რომელიც მათ თეფშზე დევს. „როდესაც წყვილი სწორად იკვებება, მათ შორის გაცილებით ჰარმონიული ურთიერთობაა“, — ამტკიცებენ ფსიქოლოგები.

სალათები

ჯანსაღი, გემრიელი, ცოცხალი კერძია, მაგრამ თუ შინ ყოველდღე სალათაა, მამაკაცისთვის ეს აუტანელი ხდება და მისი ნერვული სისტემის გაღიზიანებას იწვევს.

იოგურტი

ამ პროდუქტს ქალების უმეტესობა საუზმეზე ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ მამაკაცი პირველივე დაგემოვნებისას დაიჭყანება და მეორედ მისი შეჭმის სურვილი აღარც უჩნდება.

მოცახელი

ყველის გარკვეული, უცხიმო სახეობაა, რომელსაც ქალები დიდი სიამოვნებით მიირთმევენ, მამაკაცებს კი „პლასტელინად“ ეჩვენებათ და სულუგუნი ურჩევნიათ.

ხილი

ქალების უმეტესობა ხილს დიდი რაოდენობით და სიამოვნებით მიირთმევს და ცდილობს მის შეჭმაზე მამაკაციც დაიყოლიოს. ხშირად ქალი იმასაც ცდილობს, რომ მამაკაცს ხილი საკუთარი ხელით ჩაუდოს პირში, რათა გაცილებით გემრიელი მოეჩვენოს, მაგრამ როგორც წესი, მამაკაცები ამაზე უარს ამბობენ ხოლმე.

სიმინდის ბუჩბუმელი

ეს კიდევ ერთი პროდუქტია, რომელსაც ქალები სიამოვნებით მიირთმევენ, მამაკაცები კი მიიჩნევენ, რომ ის საერთოდ არ იჭმება.

ხაჭო

ქალი ხაჭოს სიამოვნებით მიირთმევს, მამაკაცს კი ნაყინი ან ხაჭოს ნამცხვარი ურჩევნია.

ხილის წვენი

აქ ქალისა და მამაკაცის აზრი ერთმანეთს საბოლოოდ შორდება. მამაკაცი არასოდეს გაცვლის 1 კათხა ყინულოვან ლუდს, ხილის წვენზე.

დაღეხილი პური

ეს ქალის საზაფხულო რაციონის კიდევ ერთი ელემენტია. მაშინ, როცა მამაკაცი ცხელ ლავაშსა და სულუგუნს მიირთმევს, ქალი დაღერღილ პურს უხალისოდ ახრამუნებს.

შაქრის შემცვლელი

ამას მხოლოდ ქალები იყენებენ. მამაკაცები ყავის პატარა ჭიქაში 3 კოვზ შაქარს იყრიან.

ხორცი

ამ პროდუქტს ქალები ზაფხულში თითქმის არ მიირთმევენ, მამაკაცები კი მწვადსა და ხინკალს ზამთარ-ზაფხულ სიამოვნებით გეახლებიან. ●

გასართობი – მდიდარი ქალბატონებისთვის!

ინგა ჯაყელი

სიდედრსაც რომ არ გამოეგდო იმ დილით გარეთ, თავადაც აღარ გაჩერდებოდა — დაყვედრებული ლუკმა მართლა ამოუვიდა ყელში და არც ისე ზარმაცი გახლდათ, ყოველდღე მკვდარი დედ-მამის ლანძღვა რომ აეტანა ტელევიზორის წინ, ძველ დივანზე წამოგორებულს.

დიპლომი კი ინჟინრის აქვს ზაზას, მაგრამ სპეციალობით არასოდეს უმუშავია. იყო დრო, როცა ბიზნესმენობაც სცადა, მსახიობობაც და თონეც კი გახსნა, რომელიც ნაცნობ-მეგობრებზე გაცემული ნისიების გამო მალე გასაყიდი გაუხდა... ყველა მღერისო, და, თავადაც ჩაწერა სიმღერები, გადაიღო ერთი-ორი კლიპი. ჰოდა, სწორედ სიმღერით მოინადირა დედისერთა ნინიკოს გულიც. სიდედრმა ხუთასკაციანი ქორწილიც გადაუხადა და გულშიც ჩაიკრა „ცნობილი“ სიძე, მაგრამ... მერე აღარც სიმღერამ გაამართლა, აღარც მკაცრი სიდედრის წინაშე ფეხის წვერებზე ცირკის ლომივით სიარულმა და ამიტომაც, თავბედს იწყევლიდა. ნინიკომაც, თითქოს, მის ჯიბრზე „იმარჯვა“ და ტყუპი ბიჭი გააგორა. მათ იმდენი რძე და პამპერსი დასჭირდათ, იმ ფასად, კაცი ყოველ მეორე საღამოს, რესტორანში ივახშმებდა... უმუშევრობის გამო სიდედრი სულ მის ლანძღვა-გინებაში იყო და იმ დილასაც მისმა წყევლა-კრულვამ გამოიყვანა ძილ-ბურანიდან:

— თუ მე უნდა გაჭამოთ, ჩაგაცვათ და გაგათბოთ, რა სიკვდილად მინდა საძულველი სიძე სახლში?! — უჩიჩინებდა ნინიკოს და თქვენ წარმოიდგინეთ, ზაზამ აღიარა: მერე რა, რომ სიდედრია, მართალია და მორჩაო... თავადაც ვერ აიტანდა მასთან ცხოვრებას, მარჩენალი და ოჯახის ერთადერთი იმედი რომ არ ყოფილიყო „დედიკო დავიდოვნა“... ადგა, ჩაიცვა ერთადერთი და ბუნებრივად გახეხილი ჯინსი, ასევე გამოუცვლელად ნატარები მაისური და გაოცებულ ცოლს, რომელიც კარში შეეფეთა, შუბლზე აკოცა:

— წავედი და ვიდრე ოჯახის სამყოფ ფულს არ ვიშოვი, არ მელოდო!

— გამოდის, სამუდამოდ მტოვებ! — ნინუცამ მისი შეჩერება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა...

ზაზამ კიბე ჩაირბინა და გზას გაუდგა. იარა, იარა და... დაიღალა! ბოლოს, ჩამოჯდა ბორდიურზე და მანქანების გრძელ ქარავანს გააყოლა თვალი.

— აუ-აუ, ნეტავ, ეს ჯიპი მომცა! — გაიფიქრა და მერე, საკუთარ თავს ჰკითხა: — კი, მაგრამ რას ვიზამდი, ეს მანქანა რომ მყავდეს?.. რას ვიზამდი და, გავყიდდი! ფულს სიდედრს მივაშავებდი და ორი თვე მაინც აღარ დამწყევლიდა!..

ფიქრი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სწორედ ის ჯიპი უკანსვლით წამოვიდა და მის წინ გაჩერდა. ნაცნობი ეგონა და ამიტომ ფართოდ გამოაღო კარი. არადა, მართალია, კარგად შენახული, მაგრამ მაინც, დედისტოლა ქალი შერჩა ხელში.

— გცალია? — გაუღიმა „დედიკომ“.

— რა საცალოები მკიდია?! — მხრები აიჩეჩა ზაზამ და რადგანაც ქალმა ნებართვა მისცა, მაშინვე ჩაუჯდა მანქანაში.

ქალს გაეცინა:

— იქნებ, თავს გთხოვ და ფასი მაინც გეკითხა.

— რაი-ი?! — ყბა გვერდზე მოექცა ზაზას.

— ჰო, კარგი, დამშვიდდი და მითხარი, რა გაგჭირვებია? — ისეთი ხმით უთხრა ქალმა, ეგონა, ქალად ქცეული ოქროს თევზი ელაპარაკებოდა. ჰოდა, რატომღაც დაემორჩილა ზაზა მის ნებას და გულახდილად უამბო თავის გასაჭირზე.

— ნაცნობი სურათია! — არ გაჰკვირვებია ქალს, რომელიც ლამარა დავიდოვნად გაეცნო. — მეც ვარჩენ ინჟინერ სიძეს. აბა, რა ვქნა, უყვარს ჩემს ბოთე გოგოს და... მოდი, თანაშემწედ აგიყვან. გარეგნობა უნაკლო გაქვს და დაგეხმარები. ჩემი საქმიანობის პატრონს ხშირად მიწევს ისეთ საზოგადოებაში ტრიალი, სადაც მამაკაცთან ერთად მისვლა და გამოჩენაა საჭირო. ჰოდა, ჩემს ორასკილოიან ბებერ ქმარს ხომ ვერ წავათრევ?! მოკლედ, ჩაგაცმევ, დაგახურავ, შენ კი სადაც საჭირო იქნება, გამომყვები და საათში 30 ევროსაც გადაგიხდი. მოსულა?

ზაზას სიხარულისგან გააცივა:

— მაგ ფასად, თუ გინდა...

— აჰ! — შეაწყვეტინა ლამარამ. — არავითარი სექსი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან!..

მართლაც, ჩაცვა და დაახურა, ტრენაჟორებზეც ატარა, მასაჟისტიც დაუქირავა და ეტიკეტის მასწავლებელიც... ზაზამ პირველსავე ელიტურ შეხვედრაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. ლამარას ჯერ ერთმა მდიდარმა ქალბატონმა სთხოვა: შენი რა მიდის, გამაყოლე გერმანიაში, ბიზნესპარტნიორებთან შეხვედრაზე, ორი კვირითო! მერე კი მეორე დაუტკბა: ანტალიაში მივდივარ და არ მინდა, პენსიონერივით დასვენება. მოდი, ათი დღით „მათხოვეო“. ჰოდა, დავიდოვნას იდეა გაუჩნდა: ახალი ბიზნესი ხომ არ დავიწყო — ახალგაზრდა კაცებს გადავამზადებ და შემდეგ, მათ მდიდარ ბებრებს მივაქირავებო. მოკლედ, ამ საქმიანობით ლამარამ ხომ კარგად მოითბო ხელი და არც ზაზას დასწყვიტა გული: — კაცმა ერთ წელიწადში საკუთარი ჯიპიც იყიდა და სიდედრსაც იმდენ თანხას აძლევდა, თანაც — თვეში ორჯერ, რომ სამუდამოდ მოიგო მისი გული. ქალს აზრადაც არ მოსდიოდა ეკითხა, ასეთი რა სამუშაო იშოვა მისმა სიძემ? მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მებაღის სახელს, ოღონდაც, ხილი ყოფილიყო გემრიელი...

აი, ნინიკო კი ეჭვიანობდა, მაგრამ შიშით ხმას ვერ იღებდა — დედა ემუქრებოდა ხოლმე:

— შენი სისულელით რომ დაკარგოს შენმა ქმარმა სამსახური, მარტო იმას კი არა, ამჯერად, შენც გაგაგდებ სახლიდან, შენი შვილებიანად!..

ზაზას გულის გასახარად საქართველოში მოწყენილობისაგან გულშეღონებული იმდენი მდიდარი ქალბატონი აღმოჩნდა, რომ ცოტა ხნის წინ ძმაკაცსაც „მოათქმევინა სული“, დათა „სამსახურში“ აიყვანა და დამოუკიდებელი ფირმაც — „გასართობი — მდიდარი ქალბატონებისთვის“ — გახსნა. ■

ვინ უწოდა „დიდოსტატის მარჯვენას“ პორნოგრაფია

ემა ტუხიამვილი

„დიდად პატივცემულო ამხანაგო ჯანდიდ!

„საქართველოს შს სამინისტროს არქივი, საქმე №243“ — ასე ჰქვია იმ დოკუმენტს, სადაც გამოჩენილი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიასა და მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის პირადი მიმოწერაა დაცული. კაცს, რომელსაც განათლება დასავლეთ ევროპაში ჰქონდა მიღებული და გერმანიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ატაშედაც უმსახურია, ამ ამბავს „წითელი“ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ახსენებდა და მის წინააღმდეგ იარაღად იყენებდა. რესპუბლიკის პარტორგანიზაციის თავკაცთან გაგზავნილი წერილი, რომლის ტექსტსაც გთავაზობთ, საუცხოოდ გადმოსცემს იმდროინდელ ატმოსფეროს და გვიჩვენებს, როგორ იბრძოდნენ ადამიანები სასტიკი რეპრესიების ეპოქაში საკუთარი თავის გადასარჩენად.

და ვის სურდა კონსტანტინე გამსახურდიას სიკვდილი

სჩანს, ძალიან შორს მივყავართ.

თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, თავად შემოქმედებაა ყოველდღიური სვლა ბეწვის ხიდზე და მასზე ჯერ არავის გაუვლია შეუბორძიკებლად არასდროს. ხოლო მწერლობა, წმინდა ფიზიკური ჯაფის გარდა, იმდენ სულიერ ენერგიას მოითხოვს, ნამდვილი გმირობაა აქ საჭირო. საკუთარი უნიჭობისა და უნაყოფობისაგან გაბოროტებული ადამიანები აბამენ იდუმალ ქსელებს. თუ ვინმემ გაჰბედა და მათ წინ გაუსწრო საქმით, შრომით და შემოქმედებით, ქამანდებს ამზადებენ, როგორმე უყარონ და წააქციონ იგი. როცა მათივე ამხანაგი წიგნს გამოსცემს, აზავდებიან, კი არ იყიდიან, ბიბლიოთეკიდან გამოიტანენ, რათა ტირაჟი არ მოუმატონ. კითხულობენ წაღმა-უკუღმა, რათა რაიმე პოლიტიკური მარცხი ან შეცდომა ამოიკითხონ, გააზვიადონ ეს ყოველივე და ისე დააბეზღონ და ასეთ რამეებს სჩადიან ნაცვლად იმისა, რომ გაიხმონ იგი და მეგობრულად უთხრან ამხანაგს: ამ აბზაცში შენ ასეთი და ასეთი შეცდომა გაგეპარა, გაფრთხილდი და სხვა.

მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი მაქვს მე ერთი ცალი ჩემი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლის ყოველ აბზაცზეც მიწერილია ასეთი რამეები: „კონტრრევოლუცია“, „ფაშისტური აზრი“, „პორნოგრაფია“, „შერცხვეს შენი ავტორი“, „მიჰქარავ“, „ეს არის ქართველი სიტყვის ოსტატის ნაწერი?“ და სხვა. ამის შემდეგ მე ზუსტად დავადგინე, თუ რომელ მწერლებს ჰქონდათ წაღებული ჩემი წიგნი და ზოგთაგანის ხელი ვიცანი. ამავე პირების მიერ ნაჩუქარი წიგნები მაქვს სახლში, ასეთი ფარისევლური წარწერებით: „ქართული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს კ.გ-ს“, „მართლაც სიტყვის ოსტატს“ და სხვა. იგივე პირები, იმავე დროის მონაკვეთში ქუჩაში მხვდებიან, მელაქუცებიან, მიქებენ „დიდოსტატს“.

როგორც პირადად მოგახსენეთ, თქვენ, როგორც ჩვენი მუშაობისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელმა, ჩვენი სიგლახეც უნდა იცოდეთ, ამიტომაც მოგახსენებთ ხოლმე ასეთ ამბებსაც, რასაც მეორეს (გასაგები მიზეზების გამო, მემანქანეს ვერ ვანდე გადაბეჭდვა), სხვა ადამიანს არასდროს ვეტყვი. მოსკოვში ყოფნისას, როგორც ჩემს გამოსვლაში ანგლო-ამერიკულ ქვეყნებისათვის რადიოთი, ისე კიევურ რედაქციებში, მანდ გამართულ შეხვედრებში და საღამოებში გამოსვლისას სიმპათიურად ვიხსენებდი ერთ ავტორს. ტფილისში ჩამოსულმა გავიგე: იგივე კაცი სხვადასხვა წრეებში ლაპარაკობდა: ერთი უნდა დავთვრე და გამსახურდია უნდა მოვკლაო. ერთ ამხანაგს მიზეზი უკითხვას მისთვის და პასუხად მიიღო: ყველას თავზე გადაგვაჯდა, ამდენი წიგნი დაბეჭდა მოსკოვში, ეს ჩრდილავს ჩვენს მუშაობასო.

ა. შანშიაშვილის ცნობილი პამფლეტი „მნათობში“ დაბეჭდილი, ჩემს მიერ ზუსტად დადგენილი ცნობებით, კოლექტიური წერილია ერთი ჯგუფისა. იგი ოჯახებში აქვთ წაკითხული და შესწორებული საერთო ძალით. ამ სტრიქონების წერისას, მათ მრავალმხრივ გადაწერისას, მე ვითვალისწინებ იმ ფაქტს, რომ მე ამას ვწერ ჩვენი ქვეყნის ნაცადსა და დარბაისელ ხელმძღვანელს, იმასაც, რომ ამ ბარათის ასლი ჩემს არქივში რჩება და შესაძლოა, ოდესმე მომავალმა თაობებმა წაიკითხონ იგი, ამიტომაც მინდა მოგახსენოთ შემდეგი; ა.შ. ბრძანდება ლიდერი ქართლ-კახელი მწერლებისა, რომლებიც ამტკიცებენ, „პროვინციებიდან გამოსულებმა“ ქართული არ იციანო. ეს უბადრუკი ოდესღაც მემეგობრებოდა, არასოდეს კარგის მეტი წვლილი არ მიმიძღვის მის წინააღმდეგ, ჩემს მანდ ყოფნისას ლაიპციგში ჩამოვიდა, ენა არ იცოდა, დავეხმარე, ბინაც კი მე ვუშოვნე. „მთვარის მოტაცების“ გამო გამართულ დისკუსიაში გამოიყვანეს ეს საცოდავი და უნამუსო, პროვოკაციები მომიწყო პოლიტიკური. ასეთივე თავდასხმა მოგვიწყო მე და გალაკტიონს შარშან. მარცხნიდან მიტევდა. ხოლო 1942 წელს, როდესაც ჩვენი საქმეები ვერ მიდიოდა ფრონტზე კარგად, ამ საცოდავმა იფიქრა, ალბათ, კ.გ. შეფარული აგენტია, რაიმე რომ მოხდეს, გამომადგებაო (ასეა, ყოველ არამზადას სხვაც არამზადა ჰგონია). ერთ საღამოს შემხვდა ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში, ჯერ სიყვარულით მომიკითხა, მერე მითხრა: კაცო, რომ ჩაგვციებიან, წერეთ სამამულო ომზე, ეს მამულები სადღა შეგვარჩინესო? ასეთი ტიპი, რომელიც ნოე ჟორდანიას დავით აღმაშენებელს ადარებდა, კაცი, რომელიც საქვეყნოდ ამხილა ცნობილმა ავანტიურისტმა ლაღიძემ, ბედავს და მე მაკრიტიკებს პატრიოტიზმისა და მემარცხენეობის პოზიციებიდან.

იგივე პირი 1935-36 წლებში ხან თავის

ბინაზე, ხან ცნობილი ტროცკისტის, აღნიაშვილის ბინაზე „ქართლ-კახელ მწერლების“ ჯგუფის კრებებს მართავდა. ეს მე გავიგე დროზე, ვინახულე აღნიაშვილი, ა.კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და განვუცხადე: მე მაქვს ეჭვმიუტანელი ცნობები, რომ ქართლ-კახელი მწერლები იკრიბებიან ოჯახებში და ასეთ სამარცხვინო სეპარატისტულ საუბრებს ეწევიან და მინდა, ამხანაგ ბერიას მოვახსენო. აღნიაშვილი გაწითლდა, ანაზდად მიპასუხა: „იცით, ამხანაგო კონსტანტინე, ეს სამარცხვინო ამბები მეც ვიცი ყურმოკვრით, მაგრამ გთხოვთ, ჯერჯერობით თავი შეიკავოთ, მე თავად მოვახსენებ ლავრენტი ბერიას. შედეგს გაცნობებთ“. მესამე დღეს იგი დაიჭირეს.

ვაი, ამ დაჯინებას, რომ მე მიხდება თქვენ მოგაცდინოთ ასეთი უბადრუკი ამბებით, მეოცე საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ხელისუფლება თავად ცდილობს, მოსპოს ფეოდალური სიბნელიდან ჩამორჩენილი პარტიკულარიზმი ქართული ტომებისა და პროვინციალიზმის ის ჭაობი, რომელიც ქმნის ზემოთ მოხსენებულ ატმოსფეროს. ამას წინად, მრავალგზისი თხოვნის შემდეგ დავეთანხმე პიონერთა სასახლის ხელმძღვანელებს, შეხვედრა მოეწყოთ ჩემთვის. მე არ მიყვარს ასეთი საზეიმო შეხვედრები და დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. აგერ, წლებზე მეტია, რუსთაველის თეატრთან არსებული ინსტიტუტის სტუდენტებს გამზადებული აქვთ ჩემი რომანების ნაწყვეტები, ზეპირად სათქმელი; მთხოვენ, საღამოს გავმართავთო, მაგრამ ჯერაც თანხმობა არ მიმიცია, რადგან მე ძალიან ცუდად ვარ ამდენი უძილო ღამის და შრომის მეოხებით. თეატრში, პარტერში ვერ ვჯდები, რადგან კარები რომ დაიკეტება, გული მიწუხს. პიონერთა სახლში ოთხ მოხსენებას ვუსმენდი ზედიზედ. წინა დღეებში ავად ვიყავი, იმ საღამოსაც სიცხიანი წამოვდექი, რადგან სიტყვა მივეცი ყმაწვილებს და არაპუნქტუალურობა არ მიყვარს. კრების თავმჯდომარემ შენიშნა, ხალხი დაიღალა საკმაოდ ვრცელი მოხსენებებისგან. მოულოდნელად მომცა სიტყვა, საპასუხო სიტყვაში სხვათა შორის ვთქვი: „მე არა ვთვლი მართებულად აკაკის საყვედურს, ვაჟასადმი მიმართულს: „ენას გიწუნებ, ფშაველო“ და სხვა. შემდეგ სხვა კონტექსტში განვაცხადე: „ილიამ და აკაკიმ გააუბრალოეს, თავიანთი მუშაობის პირველ პერიოდში, გაიმერლეს ოდნავ ქართული ენა.“

ამას მოაბეს ჩემმა მტრებმა მრავალი, რუსები რომ იტყვიან, „ოტსებიატინა“: ილია და აკაკი გალანძღა, გაათახსირაო და სხვა.

თუ არ ვცდები, მე არ ვარ ვიღაც კაცი ქართულ მწერლობაში, რომელსაც უფლება არ უნდა ჰქონდეს, ზოგ რამეში შეედავოს კლასიკოსებს, ამ შემთხვევაში ჩემს წინაპრებს. ნამდვილი მწერლობა არჩევს, პარადოქსული იყოს, ვიდრე დაღეჭილი შაბლონები იმეოროს წარამარა.

ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ბარბეი დორევილმა უსასტიკესი პამფლეტი დაწერა გენიოსის, ევოსტეს წინააღმდეგ. „ბუკინისტი“ და „გამოჩერჩეტებული ბებერი“ უწოდა მას. ბოლოს, ტოლსტოიმ ჩვენი თაობის ხსოვნაში მიწასთან გაასწორა შექსპირი, დანტე, ბეთხოვენი. მწერლობა, უწინარეს ყოვლისა, თაობათა დავაა. გარდა ამისა, „გაიმერლება“ განა ლანძღვაა. იმერეთი საქართველოს მშვენიერი ნახევარია. ენის საკითხებში მე ჩემი კონცეფციები მაქვს, რომელთა თუნდაც, პარადოქსულად გამოთქმას ვერავინ დამიშლის.

ჩემი მტრები ჩურჩულებენ: „ესა სთქვა, მერმე სად? პიონერთა სახლში“. რაო, მწერალთა სახლში რომ მეთქვა, პიონერები ვერ გაიგებდნენ? იმ ოთხ მოხსენებაში ასეთი რამეები გამოიტანეს პიონერებმა, რომელნიც მეც დავიწყებული მქონდა.

როცა სამარეში არ აყენებდნენ, ყველაზე მეტი როზგები ილიას დაცვისთვის ჩემს ზურგს ხვდებოდა. ილიას სურათი გაიტანეს მწერალთა სახლიდან, ის სურათი მე გამოვართვი ი. ჯავახიშვილს და მე დავადგმევინე მანდ, როცა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. 1923 წელს მე გავმართე მთაწმინდაზე ილიას ხსოვნის შეკრება და იმავე წელს დავბეჭდე „ქართულ სიტყვაში“ ჩემი წერილი „ილია ჭავჭავაძეზე“, რომელსაც უცვლელად დავბეჭდავ სულ მალე. სად ბრძანდებოდნენ ამ დროს შანშიაშვილები და ძმანი მისნი? მალაქია ტოროშელიძის გვერდით, მონურად „ეპადხალიმებიან“ მას...

ეს ადამიანები რამ აღაშფოთა? განა, ილია ჩემზე მეტად უყვართ? ქვებს აგროვებენ ჩემს წინააღმდეგ სატყორცნელად.

ხსენებულ საღამოს, ჩემს მიერ უკვე მოხსენებული მიზეზების გამო, ჩემთვის ფრიად სამწუხარო „ლაფსუს ლინგვა“ შემემთხვა — როცა დაუსახელებლად შევეხე ერთ-ერთ ჩემს ლიტერატურულ მოწინააღმდეგეს, ესა ვთქვი: ამ კაცს ორი ორდენი აქვს მკერდზე და ცოტა ჭკუა მოიკრიბოს-მეთქი. ცხადია, კარგი ორატორი ამ ფრაზას მიუბრუნდებოდა და უფრო დეტალურად განმარტავდა, მაგრამ მე ვერც ორატორი ვარ კარგი, არც ჩავთვალე საჭიროდ, დამეხშო ავისმზრახველისთვის მისაპარავი ხვრელი, რადგან მანამდის მრავალი რამ ვთქვი ამხანაგი სტალინის, პარტიისა და ხელისუფლების სადიდებლად, ჩვენი მიღწევებისათვის და ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

ვიცოდი, ამ ფრაზასაც თავისებურ კომენტარებს არ დააკლებდნენ ზოგიერთები, არც იმას მოიხსენიებდნენ, რაც კარგი ვთქვით ან მე, ან იმ ოთხმა მომხსენებელმა.

ყოველივე ზემოთ მოხსენებულის გამო, ნება მივეცი ჩემს თავს, მომეცდინა თქვენი ყურადღება, სავსებით დარწმუნებულმა, რომ თქვენ, თქვენთვის ჩვეული დარბაისლობით და ჰუმანურობით, აწონ-დაწონით ხოლმე ჩვენი მუშაობის ღირსებებსა და დეფექტებსაც.

მარადის თქვენი ერთგული კონსტანტინე გამსახურდია“.

P.S. მომზადებულია შსს სამინისტროს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ მასალების მიხედვით. ■



ᲝᲧᲝᲓᲔᲯᲐ ᲐᲯᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲯᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ...

ვაქა გიგაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №18–31

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

ნოდარმა დააპირა ახსნა-განმარტება:

— ეგ იმიტომ, რო უზანგებზე...

იორამმა გაღიზიანებით აუქნია ხელი და გააწყვეტინა:

— კარგი, თუ ძმა ხარ! არაა ეს ჩემი საქმე! რა დროს ეგენია!

მერე შეხედა ზეინაბის გაწბილებულ, შეწუხებულ სახეს და მოლბა:

— არაფერი, არაფერი! ფეხით გავბრუნდები და ამასაც აღვირით წავიყვან, გოდერძის ჩავაბარებ... თქვენ გააგრძელეთ!

აღვირი მხარზე წამოიცვა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. კომენტარებს აღარ დალოდებია, შეტრიალდა და წავიდა შარაგზისაკენ, ცხენი მშვიდად მიჰყვა აღვირს.

— ვაჰ! — თქვა ნოდარმა. — ვერაფრით გავახალისე ეს კაცი! არადა, ბიჭობაში ყოჩაღიც იყო და სპორტულიც...

— იცი, რა კარგად ცურავდა, — თქვა ზეინაბმა, — თხილამურებზეც ლამაზად დადიოდა.

— ვიცი! ცურვაზე ერთად დავიწყეთ სიარული, მეხუთე კლასში... სწორედ მაშინ ჩამოვედით ჩრდილო კავკასიიდან. მე ჯერ აქ არავის ვიცნობდი. ეგ იყო პირველი მეგობარი...

— დეპრესია! ძალიან დაითრგუნა ბოლო წლებში...

— მესმის, მესმის! მაგრამ აწი საცხოვრებელი ფული აღარ გაგიჭირდებათ.

— მარტო ეგ არ არის საქმე! — ზეინაბს ხმაში თითქოს გაღიზიანება დაეტყო. — ეგ სხვანაირი კაცია! თავისი საქმე, ცხოვრების მთავარი აზრი, ხელიდან გამოეცალა. მუშაობის საშუალებაც აღარ არსებობს. ადამიანი ნადგურდება, ცხოვრების აზრს კარგავს...

— რას ამბობ, ცხოვრებას ათასი აზრი და გემო აქვს! შენისთანა ქალი კაცს გვერდში ჰყავდეს, რა ცხოვრების გემოს დაკარგვაზე მელაპარაკები! — სახეზე რაღაც ცუდმა ღიმილმა გადაუარა, ჰკითხა: — სხვა რაღაცითაც ხომ არაა დათრგუნვილი?

ზეინაბს სახეზე წამოანათა, ბრაზიანად იკითხა:

— რას გულისხმობ?

— ნუუ, ხომ იცი?

— არაფერიც არ ვიცი! — და უეცარი გააფთრებით შემოსცხო ცხენს ქუსლები. ლურჯა ადგილიდან მოწყდა და გიჟივით გაფრინდა მინდორზე. ნოდარს ყვირილი აღმოხდა:

— ეეეი! — და თვითონაც გააფრინა ცხენი. მიერეკებოდა დაუნდობლად და ხედავდა, როგორ ბურთაობდა უნაგირში ფაფარსა და კეხში განწირულად ჩაფრენილი ზეინაბი.

— უზანგში ფეხი არ შეჩხირო! უზანგში! — ყვიროდა ნოდარი და აჰა, თითქმის გაუსწორდა ლურჯას, გვერდში ჩაუდგა, დაიღრიალა: — გამოიღე ფეხები უზანგებიდან! — და იმავე წამს, ცალი მკლავით, მძლავრი მოძრაობით მოგლიჯა ქალი უნაგირიდან და თავისთან ჩასვა. მეორე ხელით კი ისე მოუგრიხა კისერი თავის ცხენს, რომ ის ადგილზე შემობზრიალდა და გაჩერდა. ლურჯა ისევ მიერეკებოდა ერთი ასი მეტრი, მერე შეანელა, სიარულზე გადავიდა, თავს აქნევდა და ფრუტუნებდა, მერე სიარულშივე წაეტანა ბალახის ბღუჯებს.

ნოდარი ზეინაბიანად ჩამოსრიალდა ცხენიდან, ჯერ ისევ მხრებით ეკავა, თითქოს ეშინოდა, არ წავიქცეო. ზეინაბი კი გაფითრებული, გაოგნებული, ჯერ კიდევ შოკში იყო. მერე უცებ გამოფხიზლდა, მხრები გააქნია, გაითავისუფლა, გვერდზე გადგა და გამომწვევად, თითქოს ბრალდებას უყენებსო, თქვა:

— რა ღონიერი ყოფილხარ! — მერე სერიოზული, განმსჯელი ტონით დაამატა: — მე მინიატურკა არა ვარ... კაი სამოცდარვაკილოიანი ქალი ვარ! ცალი ხელით!

ნოდარმა გაიცინა და მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინა.

— მაშ, აბა როგორ!.

მერე მკლავში სტაცა, იქვე ლოდებისაკენ გაქაჩა.

— მოდი, დავსხდეთ, ცოტა გადაგიარ-ოს!

ზეინაბმა მკლავი აიქნია, გააშვებინა.

— უკვე გადამიარა! მიდი, ლურჯა მოიყვანე, სახლში წავიდეთ!

ნოდარი უსიტყვოდ წავიდა, ლურჯა მოიყვანა.

— შენ მე ჩამიჯექი, ეგ აღვირით წავიყვანოთ...

— არა, შევჯდები! — ჯიუტად თქვა ზეინაბმა, ნოდარიც მაშინვე დაეთანხმა:

— კარგი! მე წინ ვივლი, ნელა... შენ უკან მომყევი. აღარ გაიქცევა, ოღონდ შენ ქუსლი არ ამოსცხო!

ზეინაბი უნაგირზე შესვა, ლურჯას აღვირისთვის ხელი არ გაუშვია, ისე შეახტა ცხენს, მერე აღვირი ზეინაბს გადასცა და დაიძრნენ შარაგზისაკენ.

ორშაბათ დილას ყაფლანიშვილი თბილისში მიდიოდა და გადაწყდა, ზეინაბიც გაჰყოლოდა მანანა ერისთავის მოსანახულებლად. ზეინაბი ოთახებში დაქროდა და დიდ ჩანთაში რაღაცებს ტენიდა. დამზადებული თექებიდან გადაარჩია რამდენიმე ნიმუში და ცალკე რულონად შეკრა. იძახდა:

— იორამ, სადა ხარ?

ოთახში შემოსული იორამი ჩაკოცნა და უთხრა:

— ესე იგი, ასე, ორ დღეში აქა ვარ.

— რა გეჩქარება? გაარკვიე კარგად შენი საქმე... ან ჯოტო, ან ნოდარი წამოვლენ და გამოჰყვები... თავს ნუ გაიწვალებ ავტობუსებზე...

ზეინაბმა კიდევ ერთხელ ჩაკოცნა და ჰკითხა:

— შენ რას იზამ?

იორამმა მხრები აიჩეჩა:

— რასაც ვშვრებოდი, იმას ვიზამ... მე რა მიჭირს!

— რას დამაბარებ?

— არაფერს... — მექანიკურად უპასუხა იორამმა, მერე გაეცინა და თქვა: — რამდენიმე დეტექტივი წამომიღე... რუსული... და კიდევ სკანვორდების გაზეთები.

ზეინაბმა სამხედრო სალმით მიიტანა ხელი საფეთქელთან, მხიარულად დაიძახა:

— არის, ამხანაგო კაპიტანო! დეტექტივები და სკანვორდები!

იორამმა გაიტანა მისი ჩანთა და მანქანაში ჩადო. გოდერძიც უკვე აქ იყო, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, სამხედრო ყაიდის პატარა ზურგჩანთით მხარზე.

— ყოფილიყავი სამოქალაქოში, — უთხრა ნოდარმა, — ახალ ფორმას იქ მიიღებ, იარაღსაც — პისტოლეტსა და ავტომატს... მობილურსაც...

— ქალაქში სეირნობას მაინც არ ვაპირებ და... თუ საჭიროა, გავალ, გამოვიცვლი.

— არა, კაცო, იყავი! აბა, დავიძარით!

— მთავარ ტრასამდე მე ვჯდები, ხომ შევთანხმდით! — დაიძახა ზეინაბმა.

საჭესთან ფეხშედგმულმა ნოდარმა უკანვე გადმოაბიჯა.

— რაც მართალია, მართალია! გეკუთვნის! ამ სამ დღეში მაგრად დამუღამდი... მა რას იზამდი ჩემისთანა მასწავლებელთან!

ზეინაბი საჭეს მიუჯდა, ნოდარი მის გვერდით დაჯდა. გოდერძი უკან მოეწყო. ზეინაბმა დაქოქა.

— ოღონდ ტრასაზე პრეტენზიები აღარ იყოს! — განაცხადა ნოდარმა.

— არა, არა! მე რულეტკა მინდა! — განაცხადა ზეინაბმა ჟორიეს კაზინოს დიდ დარბაზში, გაიარა პოკერისა და სხვა სათამაშო მაგიდებს შორის და რულეტკის დიდი მაგიდისაკენ გაემართა. ნოდარი უკან მიჰყვებოდა, ჰკითხა:

— რა, გითამაშია?

— თვალით არ მინახავს! პირველად ვხედავ! ოღონდ ყოველთვის მომწონდა კინოში!

ნოდარს კუდში მისდევდა ლივრეიანი მსახური ბიჭი, ორივე ხელით მიჰქონდა სათამაშო ქვებით სავსე პატარა შავი ლანგარი.

ნოდარმა ხელით ანიშნა ოფიციანტს. მოიტანეს ლანგარი კოქტეილის მაღალი, ყინულისაგან შეორთქლილი ჭიქებით.

— ოოო, რა კარგია! რა არი? — იკითხა ზეინაბმა, როცა ჭიქიდან მოწრუპა.

— ჩინზანო, იტალიური ვერმუტი... და კიდევ რამეები... ეს თეთრია, არსებობს წითელიც... იმასაც გავსინჯავთ!.

მიუსხდნენ მაგიდას. იქვე თაროზე დაულაგეს ქვებიანი ლანგარი და კოქტეილის ჭიქები. ნოდარი ხმადაბლა უხსნიდა მაგიდაზე დახაზული გრაფების მნიშვნელობას. ზეინაბი ხშირ-ხშირად წრუპავდა კოქტეილს, აღგზნებული ეჭაჩებოდა სიგარეტს.

— მეშინია! სულ ცოტათი დავიწყოთ... — ყველაზე მომცრო ქვა აარჩია. — ეს რამდენია?

— ხუთი დოლარი...

— ამაზე ცოტა აღარაა?

— მაგაზე ცოტა რაღა უნდა იყოს? მიდი, აარჩიე და დადე!

— შენ? შენ არ დადებ?

— არა, დღეს შენი თამაშია, სიფთა! მე არ ჩავერევი...

ზეინაბმა დადო ფსონი. კრუპიემ თამაში გამოაცხადა, დაბზრიალდა რულეტკა, ზეინაბმა წააგო. კრუპიემ წახვეტა მისი ქვა სხვა წაგებულებთან ერთად. ზედიზედ ოთხჯერ გამეორდა წაგება. გაფითრებული ზეინაბი კანკალებდა აზარტისა და შიშისაგან. კოქტეილის ჭიქა დაიცალა. ნოდარმა ანიშნა ოფიციანტს და ახლა წითელი „ჩინზანო“ მოიტანეს. ზეინაბს არც დაუხედავს, ისე მოწრუპა, თან სიგარეტს ეჭაჩებოდა. მეხუთე წაგების მერე ისტერიკა დაემართა.

— რაღაცას ისე არ ვაკეთებ, რაშია საქმე?

— ნუ ნერვიულობ! ეგრეა, თამაშია! შენ რა შუაში ხარ?! რულეტკა ტრიალებს! დადე ახლა ათიანზე! — ჩასძახა ნოდარმა.

— არა, მეშინია, შენ თვითონ დადე!

— ხომ გითხარი, დღეს მარტო შენი თამაშია!

— გეხვეწები, ახლა შენ დადე ჩემ მაგივრად! მაინტერესებს, გეხვეწები!

— კარგი, ოღონდ, თუ წავაგე, ქვას მე გამოვისყიდი...

— რაა? ვერ გავიგე! მიდი, მიდი, დადე!

ნოდარმა დადო ათდოლარიანი და მოიგო.

ზეინაბი აყვირდა, პირველი მოგებით აღტაცებული:

— ვაშაა, ხომ ვამბობდი?! მე რაღაცას ისე ვერ ვაკეთებ!

— ყველაფერს ისე აკეთებ! გაიგე, თამაშია, იღბალი! ხან ისეა, ხან ასე! დადე ახლა ოცდოლარიანი!



— გაგიჟდი?! — იყვირა თვალებგაფართოებულმა ზეინაბმა.

— დადე, რო გეუბნები! — იღრიალა ნოდარმაც.

ზეინაბი დაფეთებული მიაჩერდა. კოქტეილი მოსვა, მერე თავზე ხელაღებულად დაიძახა:

— მაშინ იქ დავდებ, სადაც შენ!

— სადაც გინდა, იქ დადე! ვაჰ!

ზეინაბმა დადო და...

— ვაიმე, ნოდარ, მოვიგე! — წამოვარდა და ტაში დასცხო. მერე უცებ დაჯდა და ნოდარს მიაჩერდა. — ესე იგი, შენ იცოდი! სწორად აარჩიე!

— არა, კაცო! არ არსებობს! შემთხვევაა, გაიგე, ათასი ვარიანტია!

— უნდა შევამოწმო! — და ისევ იმავეზე დებს ზეინაბი. ისევ მოიგო... გადარეული ებდღვნა ნოდარს, ყვიროდა:

— მითხარი სეკრეტი, მითხარი!

— არა-მეთქი! არ არსებობს! გაიგე, რა! ვაა, ეს ვინა ყოფილა?! — აღრიალდა ნოდარიც. ხალხი უკვე ინტერესით ათვალიერებდა ამ წყვილს, ზოგი ღიმილით, ზოგი გაღიზიანებით. მერე ნოდარმა წყნარად უთხრა:

— ახლა შენი თავიც შეამოწმე, აბა, ვნახოთ!

ზეინაბს ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი.

— ჰო, ვნახოთ! იქა ვდებ, სადაც სულ პირველად დავდე!

რულეტკა დატრიალდა. ისევ მოგება... ზეინაბი ხელით აგროვებდა კრუპიეს მიერ მოწეულ ქვებს, კიოდა:

— ვიგებ, ვიგებ! ნოდარ, გესმის?! ვიგებ!

— დადე ასდოლარიანი! — უყვირა ნოდარმა.

— გაგიჟდი?!

— თამაში მაგისაა! ცოტა უნდა გაგიჟდე! მიდი, გაიგიჟე თავი!

— აჰა, გავიგიჟე! — ხელს აფათურებდა ქვების გროვაში. — რომელია?

ნოდარმა მიაწოდა ასდოლარიანი ქვა, ზეინაბმა დადო. რულეტკა დატრიალდა...

ზეინაბი კოქტეილისა და გამარჯვებისაგან მთვრალი იყო, თვალები პროჟექტორებივით ენთო და ცოტა ფეხიც ერეოდა. უნებურად მხარზე წაეპოტინა ნოდარს და ნოდარმაც მყარად შემოხვია ხელი წელზე. ასე მივიდნენ სალაროსთან. ბიჭმა ქვებდახვავებული ლანგარი მოიტანა.

ნოდარმა ფული დაითვალა, ნაწილი გადაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენი ზეინაბს ჩაუდო ხელში.

— რა არი? — დახედა ზეინაბმა.

— შენი მოგება! სუფთა! მე ქვების ფული დავიბრუნე, ეს შენი სუფთა მოგებაა! ათას ოთხას ოცდაათი დოლარი!

— ااا...

პირდაღებული დასჩერებოდა ფულს.

— ახლა რა ვქნათ?! — იკითხა დაბნეულად.

— რა ვქნათ და... ჰაიდა, მეტეხი-პალასში! ნერვები დავიწყნაროთ! მაღარიჩი!

— ესე იგი, მე ვკისრულობ, ხომ?

— რაებს ამბობ! ეგღა მაკლია! სუფრა მაქვს დილიდან შეკვეთილი!

— გილოცავთ! გილოცავთ! — ძალით გაღრეჯილი ღიმილით ემშვიდობებოდათ ჟორიე.

ორივე ხელით ჩამოართვა ხელი ორივეს, ზეინაბს ხელზე აკოცა. მათი გასვლისთანავე კი სახე სიძულვილით მოეღრიცა და ჩაიბურტყუნა:

— რა ბედი აქვს ამ აფთარს ყველაფერში! ოჰ! ერთი შენი თავი გამაჭყლეტია სადმე, ნოდარიე ტერორისტო!

უკრავდა ორკესტრი. ცეკვავდნენ ნოდარი და ზეინაბი. კარგად შეწყობილი მოძრაობდნენ მუსიკის რიტმში. მხოლოდ ეგ იყო, ცოტა ზედმეტად ბღუჯავდა და იტმასნიდა ქალის სხეულს ნოდარი. ემოციებისა და სასმლისაგან გადაღლილი ზეინაბი ვეღარც ამჩნევდა ამას, არხეინად და მინდობილად დაჰყვებოდა.

მაგიდასთან მიბრუნდნენ და ოფიციანტიც მაშინვე იქ გაჩნდა. მოწიწებით ამოიღო შამპანურის ბოთლი ყინულიანი კათხიდან და სასმისები შეავსო. ხაზგასმული მოწიწება ფრანგული შამპანურის ძალიან ძვირფასი მარკით იყო გამოწვეული.

მაშინვე დასწვდნენ ზეინაბი და ნოდარი სასმისებს და მოწყურებულებმა დალიეს.

მაგიდა ძვირფასი სერვიზითა და ბროლით ბრწყინავდა. ეწყო სამი-ოთხი მელქიორის ლანგარი სხვადასხვა კერძის ნარჩენებით.

— ესენი აალაგე! — უთხრა ნოდარმა ოფიციანტს. — ესენი დატოვე, — აჩვენა ორაგულზე და თეთრ სოუსში ჩაწყობილ ლანგუსტის კუდებზე. მერე ზეინაბს მიუბრუნდა, — ახლა რა გავსინჯოთ?

— გასინჯვა კი არა, დანახვაც აღარ შემიძლია! მთელი მენიუ არ გავსინჯეთ?! აღარც მახსოვს, რაებს ვჭამდით...

— მაშ, აბა როგორ! ზეიმია! დღეს ჩვენი საზეიმო დღეა! დაასხი! — მიუბრუნდა ოფიციანტს, რომელმაც ლანგრები აალაგა და ახლა თეფშებს ცვლიდა.

— ჩვენს ზეიმს გაუმარჯოს! — ზეინაბს მიუწკარუნა სასმისი. ორივემ დალია.

— კაცო, ხუმრობა იქით იყოს და... იმდენი ცეკვის მერე მართლა მომშივდა... — ოფიციანტს მენიუში რაღაც ფრანგული დასახელების კერძი თითით აჩვენა. — ეს მოიტანე!

— მაგას, ბატონო, ნახევარი საათი დასჭირდება. ორმა კაცმა უნდა იმუშაოს. სოუსი ცალკე იხარშება, აუცილებლად ბორდოს ღვინით. მერე ყველაფერი ერთად იშუშება.

— ჰოდა, გააკეთე. ის წამოიღე, ფრანგული ყველი, ობიანი! ჰო, ისიც გაამზადე, თქვენ რო იცით, ხილის სალათა, — ყურძნით, ანანასით, ჟოლოთი და რაღაცებით, გაყინული...

უკვე წასულ ოფიციანტს დაადევნა ყვირილი:

— ერთი „ტობასკო“ მომიტანე, უცებ!

ოფიციანტი გაკვირვებული შემობრუნდა:

— „ტობასკო“ და სოიაც თავიდანვე მოგართვით! მანდაა, ბატონო!

ნოდარმა პაწია ცარიელი ბოთლი ზევით ასწია და დაიძახა:

— ეს ფლაკონჩიკი მეყოფოდა მე? მოიტანე! — ზეინაბს მიუბრუნდა. — ძალიან უხდება ორაგულს, შობელძაღლი!

ზეინაბი სიცილისაგან კინაღამ სკამიანად გადაბრუნდა, კისკისებდა და ვეღარ ჩერდებოდა.

— ვაა, ეს ვინა ყოფილა?! დევი ხარ, რა ხარ?! ბაყბაყ-დევი ხარ?! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— ვარ, მაშ, აბა როგორ! ჯერ სადა ხარ! ხომ დავგლიჯეთ! მთელი დღე სულ გამარჯვებულები დავდივართ! ცეკვაშიაც რა მაგარი ყოფილხარ! მგონი, ერთი საათი ვცეკვავდით! ახალგაზრდებს გადავუჯოკრეთ, ხო ნახე!

ოფიციანტმა როკფორი და „ტობასკო“ მოიტანა.

ზეინაბი იცინოდა და იცინოდა, ნოდარი კი ჭამდა და განაგრძობდა:

— რა სიფათი ჰქონდა იმ უბედურ ჟორიეს? ვითომ გვილოცავდა!

— ჟორიე ვიღაა?

— კაზინოს პატრონი! ხელებს რო გიკოცნიდა ვესტიბიულში... სახე ცეცხლზე გახუხულ ბადრიჯანს უგავდა ბოღმისაგან... მაგრამ გილოცავდა! აბა, რა ექნა!

— ეწყინა ხომ, რომ მოვიგეთ?

— ეგეც, ჰო! წუწურაქია, მაგრამ მაგისთვის თავში ცეცხლი შენი დანახვა იყო!

— რატომ, რა დავაშავე? — გაუკვირდა ზეინაბს.

— გეუბნები! ღამაზი ქალის დანახვაზე ავად ხდება! შავ დეპრესიაში ვარდება!

— რატომ?

— იმიტომ, რომ იცის, თვითონ ვერასდროს ეღირსება. იყიდის ერთი-ორ ბოზანკალს ფულით, ისინიც, როგორც კი რამეს დასცინცლავენ, ეთესებიან ხელად! ვა-ჰა-ჰა-ჰა! ერთი მაგისი! მეც გავახურე რა! რა დროს ჟორიეა! ისევ შენ გადღეგრძელებ! ვარსკვლავი ხარ! ძუ ლომი! რა პარტნიორი ხარ! ყველაფერში გამისწორე! მანქანის ტარებაში, თამაშში, ცეკვაში, სმაში, ჭამაში... ჰო, ჭამაშიც! მიყვარს, ღამაზი ქალი გემრიელად და ღამაზად რო ჭამს, არ იპრუწკება... ღმერთმა არ მომიშალოს შენნაირი პარტნიორი! სიცოცხლე ხარ! შენ წინ ვერავინ დაგიდგება!

ზეინაბი იცინოდა. იცინოდა მთვრალი, ბედნიერი სიცილით. ბოლო სიტყვებზე უცებ გაჩუმდა, სახე მოექუფრა, თვალებში ბრაზი გაუჩნდა.

— კი, აბა! იმიტომაც ვერ გამომატრიალეს იმ ქაჯებმა!

— ვინ, სადა?

— მანანა ერისთავის სალონში. ყველამ ერთად ამიბზუა ცხვირი! რა სიფათები ჰქონდათ! თითქოს დედა შევაგინე! სულ ქაჯები! თან სნობები! ეშინიათ კონკურენციის... გაკარება არ უნდათ არავისი!

— გინდა, პატარა მოლაპარაკება?

— არა! მე მაგათი დამნახავი აღარა ვარ!

— შენ არა! მივა ორი პატარა ბიჭი და რჩევას მისცემს... მიიღებენ, —მიიღებენ... არადა, ეცოდინებათ, რო ყოველთვის შეიძლება პატარა „პაჟარჩიკი“ მოხდეს სალონში!

ზეინაბს უცებ გამოუფხიზლდა თვალები.

— ნოდარ, ხომ არ გააფრინე! ვიღაც საწყალი ქალები რაღაცას წვალობენ...

— ვა-ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარა ნოდარმა. — ვხუმრობ, კაცო! ვხუმრობ ამერიკულ სტილში! ხელად არ დაიჯერა!

ზეინაბი ჩუმად იჯდა, რაღაცას ჩაუფიქრდა. სასმისი ასწია, ისეთი დაწაფებით დალია, როგორც პირგამშრალმა. მზერა ავაზასავით გამჭოლი გაუხდა. ეს მზერა ნოდარს თვალებში გაუყარა და მთვრალის თავზე ხელაღებულობითა და ყოყლოჩინობით თქვა:

— ისე, რამე რომ იყოს! რომ ღირდეს? მართლა დიდი ფულისათვის... ნამდვილად დიდი ფულისათვის! ასეთებზე არწამსვლელის! — მუშტი დაჰკრა მაგიდაზე.

— ვაჰ! — ნოდარს სახეზე გაკვირვება, მოწონებაც და ცოტა ირონიაც დაეხატა. — მაშ, ყველაფერზე წამსვლელი ხარ?! ბანდიტობა, ქურდობა, კაცის მოტაცება...

— ჰო! — თქვა ზეინაბმა გაბოროტებით, მთვრალის კატეგორიულობით. — ოღონდ უნდა ღირდეს! ამოვიდა რა, —

ყელზე ხელი გაისვა, — ჭიაყელასავით კლაკვნა ტლაპოში... თანაც, წასართმევი ისეთი ხალხია, რომ არ შემეცოდება, არ არიან დასანდობი!

ნოდარი აროხროხდა.

— შე კაი ქალო, შენისთანა ბაჯაღლო ოქროს ეგეთები რაში სჭირდება?! საკმარისია, ერთი ნეკი გააქნიო და...

ზეინაბმა წამოიწია, თვალები დაუწვრილდა და გესლიანად ალაპარაკდა:

— რას გულისხმობ? ბოზობას?! აი, ეგ კი — აუტ! ეგ კი ნაღდად არ შემიძლია! მაგას ციხეში ჯდომა მირჩევნია... მკვლელობისათვის! ვილაცები გხმარობდნენ, როგორც მოუნდებათ, და შენც ისეთი გეკავოს, რომ შენც მანდა ხარ... არა, ძმაო! მაგის ატანა შეუძლებელია!

ნოდარი თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა, ვერ მონახა უცებ საპასუხო.

ოფიციანტმა შეკვეთილი კერძი მოიტანა ხუფიანი ლანგრით. ნოდარმა ხუფი მოხადა, დაყნოსა.

— ო-ჰო-ჰო-ჰო! რა სურნელია! ეს უნდა გასინჯო!

— გავსინჯავ რა, გემოს მაინც ვეღარ გავუგებ და რა გამოვიდა. აი, ხვალ კი გამახსენდება და დამენანება...

— ხვალაც მოვიდეთ და ზეგაც, თუ გინდა! ჩვენი ნება არაა?

ოფიციანტმა ახლა ახალი ყინულიანი კათხა მოართვა ჩაცივებული შამპანურით, მარჯვედ გახსნა და ჩამოასხა. სიამოვნებით დალიეს. ნოდარი ჭამდა დამშეულივით, თან ღვინოს აყოლებდა. ზეინაბმაც გასინჯა ჩანგლის წვერით, ამანაც დააყოლა შამპანური და მერე გააბოლა. იჯდა ჩუმად და ბაგეზე გესლიანი ღიმილი დასთამაშებდა. მერე ოდნავ ჩახრინწული ხმით, თან წაქირქილებით თქვა:

— ისე, რომ იცოდე... ჩვენში რომ დარჩეს... რომ იყოს ეგეთი ვარიანტი... მომენტი... მილიონის გულისათვის! შეიძლება ერთხელ იკისრო! ერთადერთხელ! ერთი მილიონის გულისათვის! მორჩა და გათავდა! მერე რომ აღარც დაინახო და აღარც გაიგონო!

ნოდარს ხელში ჩანგალი გაუჩერდა. თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა.

— გესმის?! ეგ ისეთი ვარიანტია: ერთხელ ჩაყურყუმელავდე კლოაკაში და ოქროს ზოდი ამოიღო... გესმის?! აბა, ყოველდღე ხომ არ იყურყუმელავებ, თითო-ოროლა გროშის ამოსაღებად.

ნოდარი ისევ გაოცებული მისჩერებოდა და უცებ თქვა:

— რატო მაინცდამაინც კლოაკა, შე კაი ქალო, იქნება მოგეწონოს? იქნება ძალიანაც მოგეწონოს?!

— რა?

— რა და ისა! არა, კლოაკა კი არა! ისა, რა... ვინც იმ მილიონს გიხდის...

— ეგ გამორიცხულია! — ცივად, კატეგორიულად უპასუხა ზეინაბმა.

— ვითომ რატომ?

ზეინაბმა ისევ ცივი, მშვიდი, დამაჯერებელი კატეგორიულობით თქვა:

— ნერვი აღარ არის, გესმის? დაიხარჯა, დაიწვა... აღარ არის!

— ეგ როგორ? — ვერ გაიგო ნოდარმა.

— როგორ და ასე: ერთადერთი ტყვია რომ გაქვს და რომ გაისვრი, მერე მეტს ხომ ვეღარ გაისვრი? ჰოდა, მე ეგ ტყვია გასროლილი მაქვს, გაიგე?! ღმერთმა მე ეგეთი, ერთტყვიიანი გამაჩინა, რას იზამ? მე ერთხელ შევიყვარე და აწი, ქვეყანაც რომ გადაბრუნდეს, მეტი აღარ გამოვა... გესმის?! აი, რამე ისეთი რომ მოხდეს, რომ დამჭირდეს, მე თვითონ, გონებით რომ მოვინდომო, ფიზიკურად არაფერი გამომივა... ეგრეა!

ნოდარი ისევ ისე იჯდა, პირდაღებული. თითქოს რაღაცა საპირისპიროს თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და მხოლოდ წაიბურდღუნა:

— რა ვიცი, რა ვიცი, — და ჭამა გააგრძელა.

ზეინაბი შამპანურს წრუპავდა.

თეფშისაკენ თავწახრილმა ნოდარმა ლაპარაკი ისე დაიწყო, თითქოს თავისთვის მსჯელობსო.

— ეჰ, ქალები, ქალები! დღეს რაც გულწრფელად, ასი პროცენტით სჯერათ, ხვალ ან ზეგ შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო ისე გააკეთონ, არც კი გაახსენდეთ ადრე დაფიცებული. თვითონ არ იციან, როდის რა წამოუვლით და აბა, კაცმა როგორ უნდა დაუჯეროს.

ზეინაბი კარგად მთვრალი იყო, მაგრამ მაგიდაზე ნახევრად გადმოწოლილი, დაძაბული უსმენდა, მერე ხელი აიქნია და შეპასუხება დაუპირა, მაგრამ ნოდარმა არ დააცალა:

— არა, მომისმინე, რისი თქმა მინდა! იმას კი არ ვამბობ, არაფერი არა მჯერამეთქი... ვუჯერებ, აბა რა! ის ხო იმ წუთში სულითა და გულით, მთელი რწმენით ლაპარაკობს? როგორ არ დავუჯერებ? მაგრამ საქმე ისაა, მე მჯერა იმისა, რო ამ წუთში ალალი და მართალია... მაგრამ არა მჯერა იმისა, რო რამდენიმე დღეში არ შეიცვლება და ეგრევე ალალად სხვა რამეს არ დაამტკიცებს.

— მერე? ჰოდა, ბოლოს რა? დაამთავრე! ბოლოს რა? — აგრესიულად ჩაეკითხა ზეინაბი.

ნოდარი მოულოდნელად გაიღრიჭა, მსხვილი კბილები გამოაჩინა და კეთილი ხმით გააგრძელა:

— რა და, ბოლოს ის, რო აღარც სიტყვის გატეხა, აღარც ღალატი აღარ გიკვირს, აღარა ცოფდები და ჭკუიდან არ გადადიხარ ზოგიერთი ფრაერივით! ზოგიერთს კი არა, უმეტესობას ხო ეგრე მოსდის?

ეტყობა, ზეინაბი მართლა დაინტერესა ნოდარის ამ „თეორიამ“. ისევ ჩაეკითხა:

— ჰოდა, მერე რა? რასა შვრები?

— არაფერს! გუდ-ბაი! და მივდივარ ჩემს გზაზე, რომელიც მაგათ არ იციან. არავითარი ტრაგიკომედიები! ვისა სცხელა?! შენ ხო ეს ვარიანტიც გათვლილი გქონდა? ჰოდა, ეგრეც გამოვიდა! ვრჩები კეთილი და მადლიერი იმისა, რაც მივიღე. სწორი არ არი? რა ქნას იმ საწყალმა ქალმა, რაც შეეძლო, მოგცა... რაშია დამნაშავე? არ უნდა მოსთხოვო ის, რისი მოცემაც არ შეუძლია (გინდაც თვითონ შეგპირდეს და დაიქადოს)... ხო იცოდი, რო არ შეუძლია და შეუსრულებლობის გამო უნდა დასაჯო?

აქ ორი ვარიანტია: ერთი, რო დურაკი ხარ, თუ დაიჯერე! აბა, წარმოიდგინე: თხუთმეტი წლის ბიჭი გულიანად გპირდება: მამი, გავიზრდები, ინსტიტუტს დავამთავრებ და „ბეემვეს“ გიყიდიო და ოცდახუთი წლისას „ბეემვე“ კი არა, წვინტლიანი გოგო მოჰყავს შენს კისერზე! ჰოდა, შენ რო თავ-პირში დასცხო, სიტყვა როგორ გატეხეო, ჰა? ჰოდა, დურაკი ხარ! ახლა მეორე ვარიანტი: თუ მშვენივრად იცოდი, რო პირობა შეუსრულებელია და მერე მაინც პასუხსა სთხოვ და ყაილას ტეხ, მაშინ გოთვერანი და შანტაჟისტი ყოფილხარ და რაღაცა ცუდი გამოძრავებს... ვაჰ, პირი გამიშრა! — სასმისს დასწვდა და წყურვილი მოიკლა.

— მეც გამიშრა შენი სმენით! — ზეინაბმაც დალია.

— წამო, ვიცეკვოთ! ბებერი ელვისას როკია! — წამოხტა ნოდარი.

— მოიცა, კიდევ რაღაც მაინტერესებს!

— რა? მანამ ელვისასაც მორჩებიან, — ნოდარი დაჯდა.

— შენც თავიდან დაუკვეთე რა...

— ვაჰ, მართლა, ეეე! — გაეცინა ნოდარს.

— ახლა ეგ მითხარი... მაშ, როდისაა დასასჯელი ქალი, მაგ შენი თეორიის მიხედვით?

ნოდარი სერიოზულად პასუხობს:

— როცა აშკარად, თვალსა და ხელს შუა ტყუის. ესე იგი გასულელებს, შეურაცხყოფას გაყენებს!

— ბევრი დაგისჯია მაგისთვის?

— არა! აქამდე არ მიმყავს საქმე... — აგდებულად აიქნია ხელი.

— ეგ როგორ?

— ვცდილობ, მანამდე ვუგანო, სანამ... ვატყობ ადრე... — ისევ გაქაჩა ზეინაბი საცეკვაოდ. ზეინაბი გაჰყვა, მაგრამ გზაზე დაეჯაჯგურა და შეაჩერა.

— მოიცა, ერთიცა თქვი! როგორ გგონია? შენი ჭკუით, მაგ თეორიაში მეც ვთავსდები?

— შენ რატო? საერთოდ ქალების მოდგმაზე ვთქვი... გამონაკლისებიც იქნებიან, რა ვიცი.

ზეინაბმა ისევ მთვრალის კატეგორიულობითა და თავდაჯერებით ჩაუმარცვლა:

— ჰოდა, ეგ გამონაკლისი მე ვარ! კარგად დაიხსომე, ყაფლანიშვილო!

ნოდარმა გაიცინა და ისევ წააპორწიალა. დაიწყეს როკის ცეკვა. ნოდარს თითქოს ეშმაკი ჩაუჯდაო, ისე სწრაფად, მსუბუქად და მოქნილად მოძრაობდა, დაუჯერებლად ჩანდა ამ ზორბა მამაკაცისაგან. ზეინაბის ბუნებრივი, თანდაყოლილი პლასტიკა მშვენიერი სანახავი იყო. ამ წუთებში სხვა აღარაფერი ახსოვდა, მხოლოდ ცეკვის სტიქიით იყო სავსე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საუბარი

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების" სვეტისკენ არ გაგეცეთ თვალი

1. როგორ ცხენს ჰქვია ლაფშა?
2. რომელ ქვეყანას ეძახიან დაცინვით „ამერიკის ლეღვის ფოთოლს"?
3. ეს კაცი ტელეგრაფის სტილში წერსო, — მასხრად იგდებდნენ კრიტიკოსები ამ ამერიკელი მწერლის თხრობის სტილს. დაასახელეთ იგი.
4. რა არის ნერბი?
5. დაასახელეთ რძის პროდუქტი, რომელიც სრულიად უარყოფილია ჩინურ სამზარეულოში.
6. დაასრულეთ ქართული ანდაზა: „მელამ თქვა, ზღვას მუგუზალს შევუჩიჩხინებ და თუ ვერ დავაშრობ..."
7. სახალინზე ახალდასახლებულმა რუსებმა შენიშნეს, რომ იქაურ დათვებს ძროხების ეშინოდათ და სადაც დაინახავდნენ, თავზარდაცემულები გაურბოდნენ მათ. რა იყო ამის მიზეზი?
8. დაასრულეთ ბერტოლტ ბრეხტის სიტყვები: „მძულს ის ადამიანი, რომლის გონებას არ ძალუძს..."
9. რა არის კაიმაღი?
10. ინგლისელები ირმის რქისაგან ნემსებს ამზადებდნენ. რას ამზადებდნენ ირმის თვალის ჟელესგან?
11. დაასახელეთ საბჭოთა მსახიობის, ალექსანდრე ოსტუჟევის ნამდვილი გვარი.
12. რა არის შიშაგი?

ანეკდოტები

* * *



განცხადება: ვყიდი უნიკალურ ძროხას — შეუძლია, ჯიქნით სამი თითის კომბინაციის ჩვენება.

* * *

— გოგონებო, დღეს თქვენთან მოვდივართ სტუმრად!
— მაშინ, სასმელი თქვენზეა!
— კი, ბატონო, მაგრამ ტკბილეულობა და ქალები — თქვენზე!

* * *

ცოლი ქმარს ეუბნება:
— ჟაკ, ჩვენი გოგოს პიანინოს ჭიები გასჩენია!
— ეჰ, საწყალი ჭიები!

* * *

მამაკაცები საუბრობენ:
— ჩემი ცოლი მაგარ დიეტაზეა, მარტო ბანანსა და ქოქოსს ჭამს.
— დაეტყო?
— ძალიან! თვალის დახამხამებაში ხის კენწეროზე მოექცევა ხოლმე.

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:
— ვერ წარმოიდგენ, რა საინტერესოა, იყო მხატვრის ცოლი: ის ხატავს, მე სადილს ვამზადებ, ბოლოს კი ერთად ვმარჩიელობთ — ვის რა გამოგვივიდა!

* * *

მოსაზრება: მწეველებად არ იბადებიან, მწეველებად მხოლოდ კვდებიან.

* * *

კაცი ექიმთან მივიდა.
— ექიმო, სქესობრივი აქტის შემდეგ, 10 წუთის განმავლობაში სტვენა მესმის.
— რამდენი წლის ბრძანდებით?
— სამოცდათვრამეტის.
— თქვენ რა, გინდათ, აპლოდისმენტები გესმოდეთ?..

* * *

— თქვენი ქალიშვილი თანახმაა, რომ ჩემი ცოლი გახდეს.
— მერე, შენს თავს დააბრალე! აბა, რა გეგონა, ყოველდღე ჩვენთან რომ დაეთრეოდი?!

* * *

მიხო ბაზარში კიტრს ყიდის. მასთან პენსიონერი ქალი მივა, აიღებს კიტრს, ატრიალებს ხელში და ამბობს:
— ვიშ, რა ძალიან პატარები და რა ძალიან ბებრებია!
— ჰმ, შენ თვითონ რასა ჰგავხარ?! — შეუბღვირა მიხომ.

* * *



პაციენტი ექიმთან მივიდა:
— მიშველეთ რამე, ორი ისეთი დაავადება მჭირს, მოსვენებას რომ არ მაძლევს: პირველი ის არის, რომ სექსუალური მანიაკი ვარ, რადგან ყოველდღიურად, ქალთან კონტაქტი ასჯერ შემიძლია.
— მართლა?! არა უშავს, იქნებ, რამე გიშველოთ! ბარემ, მეორე დაავადებაზეც მიამბეთ!
— მეორე ის არის, რომ საშინელი მატყუარა ვარ!

* * *

ორი სვანი საუბრობს:
— გაიგე, თემრაზ, ალკოჰოლი თურმე, სიცოცხლის ხანგრძლივობას ორჯერ ამცირებს!
— ეგ როგორ?
— როგორ და, ახლა რამდენი წლის ხარ?
— 45-ის.
— ჰოდა, რომ არ გესვა, ახლა 90 წლის იქნებოდი.

* * *

ცოლი ქმარს ეჩხუბება:
— არ დამიწყო ახლა თავის მართლება! ერთი საათის წინ დაგინახე, როგორ ამოდიოდი ღვინის სარდაფიდან.
— მერე, რა გინდა?! ხომ ნახე, რომ ჩემით ამოვდიოდი?!

* * *

— ბრაზილიაში ძირითადად, ფეხბურთელები და მეძავები ცხოვრობენ.
— აბა, აბა!.. ჩემი ბიძაშვილი იქ არის გათხოვილი!
— მართლა?! რომელ გუნდში თამაშობს?

* * *

— ცოლს ვირთავ. ჩემი სასიმამრო პროკურორია!
— ვიზიარებ შენს მწუხარებას!

* * *

ორი ქალი საუბრობს.
— მე სპორტული სექსი მომწონს.
— ეგ როგორ?
— როგორ და სქესობრივი ურთიერთობის შემდეგ პარტნიორს ვეუბნები, რომ შიდსი მაქვს.
— მერე, რა შუაშია აქ სპორტი?
— როგორ თუ რა შუაშია? შენ გარბიხარ, ის კი დანით მოგდევს... მერწმუნე, ეს არაჩვეულებრივი ვარჯიშია!

* * *

— დღეს ხუთი ბუზი მოვკალი: ორი მამალი და სამი — დედალი.
— კი, მაგრამ როგორ განასხვავე?
— სამი სარკეზე იჯდა, ორი კი ლუდის ბოთლზე.

* * *

სომხური რადიოს წამყვანს მსმენელი ეკითხება:
— მართალია, რომ ამბობენ, სტაფილო პოტენციას ზრდისო?
— პრინციპში, კი, მაგრამ ცოტა ძნელი მისამაგრებელია.

* * *

მოსაზრება: იმპოტენციისგან ჯერ არავინ მომკვდარა, მაგრამ არც არავინ დაბადებულა.

ეროვნული საფარჯიერ

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. დაკოდილს. ასეთ ცხენს მეორენაირად, იაბოს ეძახიან.
2. კანადას.
3. ერნესტ ჰემინგუეი.
4. დედალი ცხვარი.
5. ყველი.
6. „...ხომ დავაშიშხინებო".
7. მათ არასდროს ენახათ ეს შინაური ცხოველები და არ იცოდნენ, თუ რამდენად საშიშნი იყვნენ.
8. „...გააძღოს მუცელი".
9. აჭარული არაჟანი.
10. წებოს.
11. პოჟაროვი.
12. ასე ეძახიან დედალ ცხვარს ერთიდან ორ წლამდე.

* * *

— გურულო, მოგვილოცავს ახალი ცოლი!
— მადლობთ, თქვენც მრავალს დაესწარით!

* * *

უშნო ქალი სარკეში იყურება, იყურება, იყურება და ბოლოს, ამბობს:
— ასე მოუხდება ჩემს ქმარს!

ჩვენი ფოტო გაღერება

როგორ დაგძლიოთ დეპრესია...

თავს ძალიან ცუდად გრძნობთ, ცხოვრების ხალისს კარგავთ, სრულ უუნარობას განიცდით, გაღიზიანებთ ყველა და ყველაფერი, სამყაროს მუქ ფერებში ხედავთ და თითქოს საშველიც არსაიდან ჩანს_ ეს ხომ დეპრესიაა, რომელიც თითქმის ყველა ადამიანს ერთხელ მაინც ემართება.

დეპრესია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადებაა და ფსიქიატრები მის დამარცხებას უამრავი მეთოდითა თუ მედიკამენტით ცდილობენ, თუმცა როგორც ამბობენ, მის დასაძლევად ყველაზე მარტივი საშუალება — სუფთა ჰაერზე სეირნობა და მზეს მიფიცხება ყოფილა.



დეპრესია ხასიათის დარღვევის კატეგორიაა, რომლის დროსაც ადამიანი უდიდეს სულიერ ტკივილს, სევდას, დანაშაულის მტანჯველ შეგრძნებას განიცდის; საკუთარ თავს არაფრის მაქნისად, არარაობად მიიჩნევს და ცხოვრება აუტანლად ეჩვენება. დეპრესია შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: 1. სევდა, დამთრგუნველი სულიერი მდგომარეობა; 2. ყოფითი საქმეებისადმი ინტერესების დაკარგვა; 3. ძილის დარღვევა (უძილობა ან მუდმივად ძილის სურვილი); 4. აქტივობის დონის მკვეთრი ცვლილებები; 5. უმადობა (ან პირიქით, მოჭარბებული მადა); 6. ენერგიის დაკარგვა, ძლიერი დაღლილობის განცდა; 7. ნეგატიური თვითშეფასება; 8. ყურადღების კონცენტრირების დარღვევა, აზროვნების შენელება და მერყეობა; 9. აკვიატებული აზრები სიკვდილსა ან თვითმკვლელობაზე და ა.შ.

ვის შეიძლება დაეუფლოს დეპრესია

სტატისტიკური მონაცემებით, ყოველ მესამე ქალს და ყოველ მეათე მამაკაცს, დეპრესია ცხოვრებაში ერთხელ მაინც ეუფლება.

დეპრესია დამახასიათებელია სუსტი იმუნიტეტის მქონე (და უმეტესწილად — სუსტი სქესის) ადამიანებისთვის. ფსიქოლოგიურად ძლიერ პიროვნებებს დეპრესია არ ემუქრებათ. მათ ძალუძთ, დიდ უბედურებასა და სტრესსაც კი ამ დაავადების განუვითარებლად გაუძლონ.

ასაკი და დეპრესია

დეპრესია ადამიანს ნებისმიერ დროს შეიძლება დაეუფლოს, მაგრამ ის, ძირითადად მაინც, 35-40 წლის ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ზოგს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი შეტევა შეიძლება ჰქონდეს, ზოგს კი — რამდენჯერმე გაუმეორდეს. დეპრესიის ეპიზოდებს შორის, ადამიანი სრულიად ჯანმრთელად გრძნობს თავს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მეოთხედს (განსაკუთრებით ქალებს), დეპრესია უხანგრძლივდება და ქრონიკულ ფორმას იღებს.

ქალებს დეპრესია შეიძლება დაემართოთ ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდებსა და გარკვეულ სიტუაციებში. მაგალითად, გარდატეხის ასაკში, ორსულობის, ლაქტაციის (ძუძუს წოვების), კლიმაქსისა და ხანდაზმულობის დროს.

დეპრესიის გამომწვევი მიზეზები

დაპრესიის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია: კონფლიქტი — ოჯახური თუ სამსახურებრივი; ინტიმური უსიამოვნებანი; მოლოდინის გაცრუება, ოცნებების დამსხვრევა, ხანგრძლივი ემოციური თუ ფიზიკური დაძაბულობა; ინტერესების სფეროს შევიწროება. დეპრესიის გამომწვევი მიზეზი ხშირ შემთხვევაში, შეიძლება გაუცნობიერებელიც იყოს. მაგალითად, შესაძლებელია, ჯანსაღ მდგომარეობაში დაიძინოთ და დეპრესიულში გაიღვიძოთ. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ წარსულში მძიმე ფსიქოლოგიური თუ სულიერი ტრავმები, სტრესული სიტუაციები გადაიტანეთ, რომლებმაც თავის დროზე თითქოსდა „შესამჩნევი“ გავლენა ვერ მოახდინა თქვენს ფსიქიკაზე. სინამდვილეში, თქვენ ვერ მოახერხეთ ტკივილის „გამოგლოვება“, ინფორმაციამ ცნობიერების უკანა პლანზე გადაიწია, მაგრამ — მხოლოდ დროებით და ერთ მშვენიერ დილას, დეპრესიის სახით გამოვლინდა.

თუკი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ოთხი-ხუთი მაინც აღგენიშნებათ, სწორედაც რომ დეპრესია გქონიათ.

როგორ გავთავისუფლდეთ მისგან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგს დეპრესია საერთოდ არ ემართება, ზოგს კი ძალუძს, საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს მას (თუმცა, ფორმას გააჩნია) და გააგრძელოს ნორმალური ფუნქციონირება ოჯახსა თუ სამსახურში. მაგრამ თუკი იმდენად ხართ შეპყროობილი ავადმყოფური განცდებით, რომ რეალობასთან კავშირს კარგავთ და ნორმალური ცხოვრებით ველარ ცხოვრობთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ფსიქოთერაპევტს ან ფსიქიატრს.

დეპრესიის მსუბუქ შეტევას კი შეგიძლიათ თავადაც გაართვათ თავი. ამ შემთხვევაში ხელი უნდა მოჰკიდოთ თქვენთვის საინტერესო საქმეს. რაც მთავარია, არ მისცეთ თავს მარტო დარჩენის საშუალება. მოინახულეთ საყვარელი ადამიანები — უმჯობესია, დრო მათ გარემოცვაში გაატაროთ, ვისთანაც მშვიდად იგრძნობთ თავს; ასევე, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე მზიან ამინდში; შეცვალეთ გარდერობი და მასში ღია, ნათელი ფერები (განსაკუთრებით — ყვითელი) შეიტანეთ. შეცვალეთ სახლის ან თქვენი ოთახის ინტერიერის დიზაინი; იკვებეთ სწორად — მიირთვით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. ზოგი მეცნიერის აზრით, კოფეინის შემცველი პროდუქტები, მაგალითად ყავა და შოკოლადი (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ უძილობა არ გაწუხებთ), მსუბუქი დეპრესიული შეტევის უებარი საშუალებაა. საერთოდ, დეპრესიის თავიდან ასაცილებლად, უნდა იცხოვროთ ცხოვრების ჯანსაღი წესით, მისდიოთ სპორტს.

დაბოლოს, ძვირფასო ქალებო, ეცადეთ, დავიწყოთ ყველანაირი უსიამოვნებანი და აკეთოთ ის, რაც გულით გსურთ. გააცნობიერეთ თქვენი დადებითი მხარეები და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თქვენ ხომ ერთადერთი და განუმეორებელი ხართ ამ სამყაროში?! გააცნობიერეთ თქვენი უნიკალურობა და დაიწყეთ ახალი ცხოვრება ამ შეგრძნებით. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ᲐᲖᲠᲔᲛᲘᲗ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ფერის გავლენა ადამიანის ქცევაზე

ფსიქოლოგებმა ხანგრძლივი გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ფერები მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის კულტურასთან, მისი ფიზიკურ მდგომარეობასთან, ცნობიერებასა და ქვეცნობიერებასთან

წითელი

წითელი ფერი ნერვული სისტემის სტიმულაციას განაპირობებს. ასევე კუნთებსა და ღვიძლს ენერგიით ამარაგებს, სისხლის წნევას ამაღლებს, მაჯისცემას აძლიერებს და სუნთქვით ვარჯიშებს ზრდის.

წითელი ფერი მამაკაცის აქტიურ საწყისთან, ცეცხლთან, სისხლთან, სიყვარულსა და ვნებასთანაა გაიგივებული. იგი ხშირად, შფოთვას, მოუსვენრობას იწვევს და ნერვულ დაძაბულობას აძლიერებს. ეს ფერი ადამიანს ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვაში, გამბედაობის მოკრებასა და ამტანობის გაძლიერებაში ეხმარება.

ყვითელი

ყვითელი, წითლის მსგავსად, სისხლის წნევასა და ადამიანის ტვინის აქტივობას აძლიერებს, გარე სამყაროს მიმართ ინტელექტუალურ ინტერესს იწვევს, მხედველობითი აღქმის გაძლიერებას უწყობს ხელს და გულისცემას არეგულირებს. ეს ფერი, ასევე შედარებით ნაკლები ინტენსივობითა და სტაბილურობით, გრძნობების გამჟღავნებასა და მის „აწყვეტამდე“ გამოვლენას იწვევს.

ყვითელი — მზის სითბოსთან, სიხარულთან, მხიარულებასა და ბედნიერებასთან ასოცირდება. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება პიროვნების ისეთ მახასიათებლებზე მეტყველებს, როგორიცაა: კონფლიქტისგან თავის გათავისუფლების სურვილი, დამოუკიდებლობისკენ ლტოლვა, ბედნიერების იმედი და მოლოდინი, სიახლისკენ სწრაფვა და პატივისცემის მოპოვება.

მწვანე

მწვანე ადამიანის მიზანსწრაფულობასა და შეუპოვრობას, სიმტკიცეს, მუდმივობას, ცვლილებათა მიმართ წინააღმდეგობას შეესაბამება. ამ ფერის ემოციური მდგომარეობა სიამაყეა. ადამიანი კი, რომელიც უპირატესობას მწვანეს ანიჭებს, თავისი შეხედულებებისა და მრწამსის გამარჯვებისკენ, საზოგადოებრივი აღიარებისა და თავისი პოზიციების შენარჩუნებისკენ ისწრაფვის.

მწვანე ფერი ახალი სიცოცხლის საწყისთან, სიყმაწვილესა და იმედთან ასოცირდება.

ეს ფერი სისხლისა და თვალის წნევის რეგულირებას, სუნთქვის სტაბილიზაციას, მხედველობის გაძლიერებას, ყურადღების კონცენტრაციას, ინტელექტუალური შრომისუნარიანობის ამაღლებას, სიმშვიდის განცდას, დადებითი ემოციების გამოვლენას და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას უწყობს ხელს.

ლურჯი

ლურჯი შინაგანად მელანქოლიურ ტიპს შეესაბამება და სიმშვიდისა და კმაყოფილების განცდას იწვევს. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება სიწყნარის მოთხოვნილებას, დასვენების აუცილებლობასა და ძალთა აღდგენის სურვილს ადასტურებს.

ლურჯი აზრსა და სამყაროსთან, ღვთიურ სიბრძნესა და ერთგულებასთან ასოცირდება.

ამ ფერის ტანსაცმლის ხანგრძლივად ტარება დაღლილობასა და დეპრესიას იწვევს. ღრმა განცდების შემთხვევაში კი ძალთა აღდგენას უწყობს ხელს.

ნაცრისფერი

ნაცრისფერი, შეიძლება ითქვას, ნატურალური ფერია და ადამიანზე არანაირ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას არ ახდენს: არც აწყნარებს და არც აღაგზნებს მას. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება მეტყველებს ადამიანის სურვილზე — ჩაიკეტოს და გაემიჯნოს სამყაროს; ხოლო მის უარმყოფელებს ცნობისმოყვარეობა ახასიათებს. ამ ფერს აღიარებენ ისინიც, ვისაც საკუთარი ღირსებების გამოვლენა არ სურთ.

იისფერი

იისფერი წითელი და ლურჯი ფერების ნაზავს წარმოადგენს და შესაბამისად, მათ თვისებებს მოიცავს. ამ ფერს უპირატესობას ბავშვები, მოზარდები, ინტელექტუალურად და ემოციურად ჩამოუყალიბებელი ადამიანები, ხშირად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებიც ანიჭებენ. ამ ფერის „აღიარება“ წარმოადგენს შთაგონებისკენ მიდრეკილებას, მოთხოვნილებას — სწორად გაუგოს პარტნიორმა; სურვილს, მოხიბლოს და მოაჯადოოს ადამიანი ისე, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს.

იისფერი ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ხანდახან მას ინტელექტს უქვეითებს და დეპრესიულ მდგომარეობაშიც კი აგდებს.

ცისფერი

ცისფერი ადამიანს ამშვიდებს, ადუნებს, სისხლის წნევასა და სუნთქვის სიხშირეს ამცირებს.

მუქი ცისფრისთვის უპირატესობის მინიჭება სიჯიუტეზე, ქედმაღლობასა და პიროვნების სისასტიკეზე მეტყველებს. ამ ფერს „ტკივილგამაყუჩებელი“ თვისებაც აქვს, თუმცა მისი ხანგრძლივი ზემოქმედება დაღლას იწვევს.

ყავისფერი

ყავისფერი ყვითელ-წითელი ფერების ნაზავია. ამ ფერისადმი უპირატესობის მინიჭება დისკომფორტისგან გათავისუფლების სურვილს გამოხატავს. აღნიშნული ფერი წმინდა მიწიერ ფერს წარმოადგენს.

ყავისფრის პერიოდულად ზემოქმედება იმ ადამიანებისთვისაა კარგი, რომლებიც ინტელექტუალურ საქმიანობას ეწევიან და მოდუნებასა და დასვენებას საჭიროებენ.

ნარინჯისფერი

ნარინჯისფერი სითბოს აღქმასთან უშუალო კავშირშია და ადამიანში სასიამოვნო აღგზნებასა და კეთილდღეობის შეგრძნებას იწვევს.

ეს ფერი ცეცხლის ალთან, ბედნიერებასთან, სიამოვნებასთან ასოცირდება.

შავი

შავი ფერი გაუჩინარების იდეას, სრული განდგომის სურვილს გამოხატავს. ამ ფერისათვის უპირატესობის მინიჭება მეტყველებს ადამიანის სურვილზე — გაემიჯნოს სამყაროს, წინ აღუდგეს თავის ბედს და საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, გაბედულად, დამანგრევლად და აგრესიულად იმოქმედოს. ამ ფერის უარყოფა კი საკუთარი ქცევისა და გადაწყვეტილების გაკონტროლების სურვილზე მეტყველებს.

შავი ფერის ტანსაცმელს ძირითადად აგრესიულად განწყობილი მამაკაცები, პროტესტის ნიშნად ატარებენ. ამავე დროს, ეს ფერი ძალზე პოპულარულია ქალებში.

■

ხითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-31

რა საოცრებაა, მიუხედავად ნერვიულობისა, გამთენიისას მაინც ჩაეძინა. მკვდარივით ეძინა, ძლივს გაახილა თვალი და პირველი, რაც დაინახა, იქვე, სკამზე დადებული თეთრი საცურაო კოსტიუმი იყო.

ერთიანად მოთენთილი იყო, როცა გაიღვიძა, მაგრამ აუზში ჩავიდა თუ არა, ისეთი სიმხნევე იგრძნო, გახალისდა კიდეც. იცურაო ასე, მარტო, შენთვის, ფერადი მარმარილოს ფილებით მოპირკეთებულ აუზში, ნამდვილი ნეტარებაა. აი, რა არის მდიდარი ადამიანების უპირატესობა... უნდა აღიაროს ეს.

— დილა მშვიდობისა, ნია.

წყალზე გულაღმა გაწოლილმა თვალები გაახილა და მისკენ მომავალი გიგი დაინახა — მაღალი, მხრებგაშლილი, შეუვალი მზერით, თავისი მანერებით სიძლიერისა და მბრძანებლობის აურას რომ ასხივებდა... შეამცივნა მის დანახვაზე, წყალში გასწორდა და სველ თმაზე გადაისვა ხელი.

— დილა მშვიდობისა.

— იმედია, კარგად გეძინა?

მამაკაცი ირონიის დამალვას არ ცდილობდა. ნია კი ვერ ახერხებდა მისი ნახვით გამოწვეული ემოციის დაფარვას.

— ჰო, რა თქმა უნდა, მშვენივრად გამოვიძინე, — მისი ხმა გამომწვევად ჟღერდა, თუმცა არც ისე გაბედულად.

გიგი თვალს ვერ სწყვეტდა ქალის არაჩვეულებრივ სხეულს, თეთრად რომ ლივლივებდა ცისფერ წყალში. თავად ძალიან ცუდად ეძინა. შუაღამისას იძულებული გახდა, ცივი შხაპი მიეღო, მაგრამ ვერც ამან უშველა და გამთენიისას ეზოში უაზროდ ხეტიალი გადაწყვიტა. ჭკუიდან შლიდა ის აზრი, რომ ნია სადღაც აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე ეგულებოდა და მაინც მიუწვდომელი იყო მისთვის. ცოტათი მაინც თუ დაფიქრდა მის წინადადებაზე?

მთელი ღამის უძინარი, განადგურებული იყო.

ახსოვს, როგორ ასწავლიდა ბავშვობაში მამა, ემოციებს არასდროს აჰყვეო. ასეც იქცეოდა და ყოველთვის მიაჩნდა, რომ ეს საუკეთესო მეთოდი იყო... მაგრამ ახლა ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც არ იყო მიჩვეული. ამ სიფრიფანა არსებამ მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. ერთი დღეც ველარ ძლებდა მის უნახავად. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, მუდმივად გვერდით ჰყოლოდა.

— საუზმეზე რას იტყოდი? — გიგი კიბესთან ჩამოჯდა და შარვლის ტოტები აიკაპიწა.

მხოლოდ ახლაღა მიხვდა ნია, როგორ მოშივებოდა. გიგიმ პირსახოცი გაუწოდა და როცა გოგონამ წყლიდან ამოსვლა დაიწყო, ხარბად მიაშტერდა მის სრულყოფილ სხეულს.

ნია სუნთქვაშეკრული მიუახლოვდა, იმ იმედით, რომ მამაკაცი ვერ მოითმენდა და დილის კოცნით დააჯილდოებდა, მაგრამ იგი ადგილიდან არ დაძრულა.

— საუზმე სასადილო ოთახშია გაშლილი, — მამაკაცი წამოდგა, — დერეფნის ბოლოში, მარცხნივ, შემდეგ კი მარჯვნივ. იქ დაგელოდები, — თქვა და უკანმოუხედავად წავიდა.

შავი ჯინსის შარვალსა და თეთრ მაისურში გამოწვართული ნია თეძოების რხევით შევიდა სასადილო ოთახში. გიგი სავარძელში ჩამჯდარიყო და გაზეთს კითხულობდა. იქვე შუახნის ქალი ტრიალებდა, ალბათ მოსამსახურე.

— მოდი, დაჯექი, ნათელა ყავას მოგიტანს. იქნებ, ჩაი გირჩევნია? — ახვლედიანმა გაზეთი დაკეცა და მაგიდის კიდეზე დადო.

— ჩაის დავლევ.

— საჭმელი? არა მგონია, იმ ქალების რიგს ეკუთვნოდე, დილით პირს რომ არაფერს აკარებენ, ან მხოლოდ ხილით კმაყოფილდებიან...

ნიამ პასუხად მხოლოდ გაუღიმა.

— რატომ იღიმი, რამე ისე ვერ ვთქვი? — მამაკაცის ცივი ტონი ძაბავდა გოგონას.

— მართალი ხარ, არ ვეკუთვნი. ხილით ვერ ვნაყრდები, ამიტომ ნოყიერად ვსაუზმობ ხოლმე დილაობით, თუმცა კერძების კეთებით თავს დიდად არ ვინებივრებ. მარტო რომ ვცხოვრობ, მეზარება ჩემი თავისთვის გავისარჯო.

გიგიმ დაკვირვებით შეხედა... ალბათ შვილები რომ ჰყავდეს, არ დაიზარებდა მათთვის სადილების მომზადებას.

— შენ რომელი ინსტიტუტი გაქვს დამთავრებული? — სრულიად უადგილოდ იკითხა მამაკაცმა.

— უნივერსიტეტი, დასავლეთევროპული ენების ფაკულტეტი. რატომ მეკითხები?

— უბრალოდ, ისე... მშობლები? დედა, მამა?

— მამას არ ვიცნობ. წლისაც არ ვიყავი, დედას რომ გაეყარა და მას მერე მის შესახებ არაფერი ვიცი. დედა კი გარდამეცვალა... ხუთი წელია უკვე.

— ვწუხვარ, არ ვიცოდი... მაპატიე.

— არა უშავს. შენი მშობლები?

— არც მე მყავს მშობლები. ავარიაში დამეღუპა ორივე. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა.

— ესე იგი, ორივენი ობლები ვართ?

— ასე გამოდის...

— იცი? იყო მშობელი, ჩემი აზრით, ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. არ არის ადვილი შვილების აღზრდა. ძალიან ბევრი შრომა უნდა ჩადო. პირადად მე, ქედს ვიხრი ყველა მშობლის წინაშე და ისინი გმირებად მიმაჩნია. გასაზრდელი პატარები კი არა, მერვეკლასელებს ვასწავლი სკოლაში და იმდენ ძალას მართმევს მათთან ურთიერთობა, ღამისაა, თმა გამიჭაღარავდეს.

— მაგრამ ხომ გინდა, შვილები გყავდეს?

მოულოდნელმა შეკითხვამ ნია წამით დააბნია.

— ასე მალე ალბათ, ვერა! ამისთვის ჯერ უნდა გავთხოვდე. ეს კი ასე ადვილი არ არის...

— რატომ?

— რა ვიცი... ჯერ ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანი, ვინც... — და გაჩუმდა, რადგან მიხვდა, კვლავ მტკივნეულ თემას რომ უბრუნდებოდა.

— წუხელ თავში კიდევ ერთი აზრი მომივიდა და მინდა გაგანდო, იქნებ ამაზე მაინც დაფიქრდე, — თქვა გიგიმ და გამჭოლი მზერა მიაპყრო, — რას იტყვი ექვსთვიან გამოსაცდელ ვადაზე?

მერე, თუ არ მოგეწონება ჩემთან ყოფნა, თავისუფლად შეგიძლია წახვიდე, არ დაგაძალებ. შენთვის ასე უფრო მოსახერხებელი იქნება?

ნიას გულმა ბაგაბუგი ატეხა.

— არ მესმის, საერთოდაც რატომ უნდა ვიცხოვროთ ერთად? არ სჯობია, დროდადრო შევხვდეთ ერთმანეთს, როგორც სხვა უამრავი წყვილი?

— არ სჯობია, პატარავ, არა. ჩვენ თითქმის ვერ ვხვდებით ერთმანეთს. ცალკე შენი სამსახური, ცალკე — ჩემი... ხომ ხედავ, როგორ გვეშლება ხელი. თუ ჩემთან გადმოხვალ, ორივესთვის უკეთესი იქნება. სახლი უზარმაზარი მაქვს. ვიწროდ არ ვიქნებით. არ მესმის, ასე რატომ ჯიუტობ, თითქოს რაღაც მიუღებელს გთავაზობდე...

— რომ დაგთანხმდე... სამაგიეროდ რას მოითხოვ ჩემგან?

— გახდე ჩემი ცხოვრების თანამგზავრი და საყვარელი, რა თქმა უნდა, — წამითაც არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა გიგიმ, — შენ რა გეგონა?

— მაგრამ თუ დაგთანხმდები, სამსახურს არ მივატოვებ, არავითარ შემთხვევაში, მინდა ეს იცოდე. ალბათ მივიღებ შენს წინადადებას, მაგრამ მე თავისუფლება მჭირდება. ჩემს დამოუკიდებლობას არაფერზე გავცვლი, გესმის?

გიგი შეეცადა, მისი სიტყვებით გამოწვეული სიხარული როგორმე დაეფარა. ჯანდაბას, იაროს იმ სამსახურში. ერთ მშვენიერ დღესაც მიხვდება, რომ მუშაობა არაფერში სჭირდება და თავადვე იტყვის მასზე უარს. თანაც, სადაც წავა, თან წაიყვანს. მოგზაურობას გემოს რომ გაუგებს, უბრალო მასწავლებლად მუშაობის სურვილი თავისთავად გაუქრება.

— ესე იგი, შევთანხმდით?

გიგი წინ გადმოიხარა, ხელი გამოუწოდა გოგონას და მძლავრად ჩამოართვა.

„ალბათ შევიშალე, ეს რამ მათქმევინა“, — გაიფიქრა შეცბუნებულმა ნიამ, მაგრამ უკვე გვიან იყო, სიტყვებს უკან ვერ წაიღებდა, ამიტომ ნელა დააქნია თავი.

— ოღონდ, ცოტა უნდა მაცალო. მე დრო მჭირდება, რომ ამ აზრს შევეგუო, გიგი.

— რამდენი ხანი?

— ერთი კვირა... შეიძლება ორიც...

— ზუსტად ათ დღეს გაძლევ, არც მეტი და არც ნაკლები, შემდეგ კი შენი ბარგის წამოსაღებად მძღოლს გამოგიგზავნი.

— მაგრამ... რას იტყვიან შენი მეგობრები და ახლობლები?

— შენი? — გიგიმ მის კითხვას კითხვა დაუხვედრა.

— არ ვიცი და არავისთვის არაფრის თქმას არ ვაპირებ. ეს ხომ ნამდვილი ურთიერთობა არ იქნება, — ნიას ისეთი ნაღვლიანი გაუხდა გამომეტყველება, გიგიმ მისდა უნებურად მოუჭირა თითებზე ხელი.

— ცდები, პატარავ. ეს ყველაზე ლამაზი ურთიერთობა იქნება. ექვსი თვე იმიტომ გითხარი, რომ თავად დარწმუნდე ამაში. ასე რომ, ვისაც გაგიხარდება, იმას მოუყევი.

— შენც მოუყვები?

ჰო, მოუყვება, აბა რას იზამს, თუმცა იცის, რომ ეს ამბავი არავის გაახარებს.

— რა თქმა უნდა.

ნია მთელი კვირა ადგილს ვერ პოულობდა. ძალიან უჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ერთ დღეს გიგიმ გამოუარა სკოლაში და მანქანით შინ მიიყვანა. ეს უკვე საბაბი გახდა იმისა, რომ პარასკევს, სკოლაში მივიდა თუ არა, დირექტორმა დაიბარა. როგორც ჩანს, ჭორები სწრაფად გავრცელდა.

— როგორც გავიგე, მალე ჩვენგან წასვლას აპირებთ, ნია... — ამირანმა ცხვირზე დაკოსებული სათვალე შეისწორა.

— მაპატიეთ... — გაოგნებულმა წარბები შეყარა.

— თქვენ ისეთი მდიდარი კაცი გაკითხავთ, ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენთან დიდხანს არ დარჩებით... — ირონია გაისმა დირექტორის ხმაში.

ნია ყოველთვის დიდ პატივს სცემდა ამირანს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვერ იტანდა მას. ის სამართლიანი ადამიანი იყო და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს არასდროს იღებდა. გაუკვირდა მისგან ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ როცა მამაკაცმა გაიღიმა, შვებით ამოისუნთქა.

— გაგეხუმრე, გოგონი. თქვენ შესანიშნავი თანამშრომელი ხართ და ნამდვილად დამწყდებოდა გული, ჩვენგან რომ წასულიყავით. ჭორებს მაინცდამაინც ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მალე მათ ახალი თემა გამოუჩნდებათ საჭორაოდ და შეგეშვებიან.

— გმადლობთ, ბატონო ამირან. სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მაინტერესებს, რას ლაპარაკობენ ჩემზე.

— ზეგ ბოლო ზარია, ხომ მოხვალთ? — სხვა თემაზე გადაიტანა დირექტორმა საუბარი.

— აუცილებლად, რა თქმა უნდა.

— თქვენ გონიერი გოგო ხართ, მჯერა, რომ კარგ კარიერას გაიკეთებთ. თუ რამეში დაგჭირდებით, ჩემი იმედი ყოველთვის გქონდეთ. როცა უნდა დაგჭირდეთ, თამამად მომმართეთ.

— დიდი მადლობა.

— კარგი, აბა, ზეგ შევხვდებით ერთმანეთს, — თქვა მამაკაცმა, წამოდგა და ნია კარამდე მიაცილა.

რაც დრო გადიოდა, ნია მით უფრო იძაბებოდა. იცოდა, გიგი ჟენევაში რომ გაემგზავრა, მაგრამ მაინც ყოველ წამს ელოდა, რომ დაურეკავდა და ეტყოდა, ეს ყველაფერი შეცდომა იყო და გადავიფიქრე შენი ჩემთან წამოყვანაო... მაგრამ მეექვსე დღე რომ მიიწურა და მამაკაცმა არ დარეკა, გოგონამ არ იცოდა, გახარებოდა თუ სწყენოდა.

— როგორ გაატარე გუშინდელი საღამო, ნია? — თამრიკომ, მათემატიკის მასწავლებელმა ალმაცერად აათვალიერა.

— კარგად, შენ? — გულუბრყვილოდ გაუღიმა გოგონამ.

— საინტერესო არაფერი მომხდარა. როგორ არის შენი მდიდარი მეგობარი?

ნიას სისხლი მოაწვა სახეზე.

— რაზე ლაპარაკობ, თამრიკო?

— კარგი, ერთი, თავს ნუ ისულელებ, ახლა. მას ყველა იცნობს თბილისში. შენს ადგილზე, ასეთ შანსს ხელიდან არ გავუშვებდი, რომ ამ ჯურღმულიდან გამეღწია. როცა ასეთ კაცს მოსწონხარ, რა ჯანდაბა გინდა ამ აყროლებულ სკოლაში?

— ეს ჩემი პირადი საქმეა, თამრი... ასე რომ, გთხოვ, ამ თემაზე მეტჯერ აღარ დამელაპარაკო.

— ჰო, რა თქმა უნდა... შენ ხომ ახლა ბევრად მაღლა დგახარ ჩვენზე, აღარ ხარ ჩვეულებრივი მოკვდავი...

— ცხვირაწეულმა ჩაილაპარაკა თამრიკომ, შეურაცხყოფილ გოგონას ზურგი შეაქცია და ქუსლების პაკაპუკით სამასწავლებლოსკენ გაეშურა.

კვირადღე იყო, გიგიმ რომ დაურეკა მობილურზე და სთხოვა, ჩემს მძღოლთან ერთად აეროპორტში დამხვდიო. ჟენევაში თითქმის ერთი კვირა დაყო და თავადაც არ ელოდა, ასე თუ მოენატრებოდა პატარა ჯადოქარი. დრო რომ არ დაეკარგა, გადაწყვიტა, პირდაპირ აეროპორტში ენახა იგი. ის დღეები ნიაც ვერ იყო მშვიდად, გამუდმებით მასზე ფიქრობდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა საყვარელ ადამიანს.

მოსაცდელ დარბაზში მოუთმენლობა უფრო შეეტყო — ნერვიულად ფურცლავდა მოდების ჟურნალს, თან იმაზე ფიქრობდა, რა უცნაურად შეტრიალდა მისი ბედი. რამდენიმე თვის წინ ვერც კი წარმოიდგენდა, ოდესმე ვინმეს საყვარლობას თუ დასთანხმდებოდა.

— ნია!

როგორც კი მისი ხმა გაიგონა, შემკრთალი ფეხზე წამოხტა. სიხარულისგან სახე გაებადრა, უნდოდა, მივარდნოდა გიგის, კისერზე ჩამოჰკიდებოდა, მაგრამ ფეხები აღარ ემორჩილებოდა, თითქოს ერთ ადგილს მიელურსმაო. იდგა და უმწეოდ იღიმოდა...

გიგი ძალზე გადაღლილი ჩანდა. მართალია, საქმეები ბოლომდე მოაგვარა და ჟენევაში რამდენიმე წარმატებული კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ იმდენი საქმიანი შეხვედრა და დაძაბული მოლაპარაკებები ჰქონდა მსხვილ ბიზნესმენებთან, ძალა გამოეცალა. ერთადერთი, რაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა, ნიაზე ფიქრი იყო. ის ყოველ წამს ახსოვდა. ამიტომაც ახლა, დაინახა თუ არა, სითბო ჩაეღვარა გულში და უნდოდა, თავისი წარმატებების შესახებ პირველად მისთვის მოეყოლა.

— აბა, როგორ ხარ? — დააშტერდა მამაკაცი.

— კარგად, — მორცხვად ახედა გოგონამ.

— მერე? ერთი კოცნა არ მეკუთვნის შენგან? — ღიმილით დაინტერესდა გიგი და უფრო ახლოს მივიდა მასთან.

ნიამ ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა.

— და მორჩა? სულ ეს არის? — თვალები მოჭუტა. — ეს თუ იმის მაჩვენებელია, როგორ მოგენატრე, იცოდე, რომ განხიბლული ვარ.

— დაღლილი სახე გაქვს, — სიტყვა ბანზე აუგდო გოგონამ.

— მაგრამ არც ისე ძალიან, რომ ვერ დავუმტკიცო ჩემს პატარას, როგორ მაკლდა იგი...

და სანამ ნია რამეს იტყოდა, მამაკაცმა თმაში ჩააავლო ხელი და ტუჩებზე დააცხრა.

— მგონი, ცოტა შენც მოგენატრე, — თქვა მამაკაცმა და ნიკაპქვეშ ამოსდო საჩვენებელი თითი, — თვალებმა გამანდვეს ეს საიდუმლო.

— შენი საქმეები როგორ არის? — ქალს ხმა უკანკალებდა.

— არა უშავს. ახლა არ მინდა ამაზე საუბარი. ერთი სული მაქვს, სახლამდე მივაღწიო, ცხელი ყავა დავლიო და შენთან ერთად ლოგინში ჩავწვე. ხომ რჩები ამაღამ ჩემთან?

— რა ვიცი... შენ ნამგზავრი ხარ, დასვენება გჭირდება... ხვალ გამოგივლი...

გიგის ერთდროულად აშინებდა და აღიზიანებდა კიდეც, ქალი წარამარა რომ ცდილობდა მათ შორის დისტანციის შენარჩუნებას. იქნებ მის არყოფნაში ვიღაცამ ურჩია, მისგან თავი შორს დაეჭირა? იქნებ მესამე ჩაერია მათ ურთიერთობაში?

— რა სისულელეა! მთელი კვირაა, ამ შეხვედრას ველოდები, შენ კი შინ წასვლას აპირებ? არაფრის მოსმენა არ მსურს. შენ ახლა ჩემთან წამოხვალ, მორჩა და გათავდა!

მისი მბრძანებლური ტონი ნერვებს უშლიდა ნიას. მასაც სიგიჟემდე სურდა, თან გაჰყოლოდა და მის მკლავებში ენებივრა, მაგრამ როცა ასეთი ტონით ელაპარაკებოდა, მისი შინაგანი „მე“ ბუნტს იწყებდა.

— რომ არ მიბრძანო, არ შეგიძლია? იქნებ დროა, თხოვნა ისწავლო? მე შენი მონა ხომ არ ვარ...

გიგიმ ამოიხვნეშა.

— ოოოოჰ! რა ხართ ეს ქალები. ეს წუთია, შევხვდით და უკვე რაღაც სისულელეზე ვკამათობთ. კარგი, ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი და კი არ უნდა მომეთხოვა, მეკითხა შენთვის, შეგეძლო თუ არა ამაღამ ჩემთან დარჩენა. ასე რომ, გეკითხები — გინდა თუ არა?

— დარწმუნებული ხარ, რომ ზედმეტად არ გადაიღალე?

— რა თქმა უნდა. ინვალიდი კი არ ვარ, საქმიანი შეხვედრიდან დავბრუნდი, — ეშმაკურად გაიღიმა, — და როგორც კი შინ მივალთ, მაშინვე დაგიმტკიცებ, რომ სულაც არ ვარ გადაღლილი.

გიგის საძინებელი საკმაოდ ფართო იყო, უზარმაზარი მუხის საწოლით და შინდისფერი გადასაფარებლით. ნია ინტერესით ათვალიერებდა ანტრესოლიან თეთრ კარადას და მოჩუქურთმებულ ოვალურ სარკეს, რომელშიც თითქმის მთელი ოთახი მოჩანდა.

გიგიმ ჰალსტუხი მოიხსნა, პერანგი გაიღეღა და ქალს მიუახლოვდა, ზურგს უკან დაუდგა და მძლავრად შემოხვია მკლავები.

— რას აკეთებ? — ჩურჩულით ჰკითხა ნიამ.

— შენ როგორ ფიქრობ? — მამაკაცის ხელები მოწყურებული ეალერსებოდა. — მინდა, თავიდან გაგიცნო, პატარავ.

მისი ხავერდოვანი ხმა თავბრუს ახვევდა ნიას. სიამოვნებისაგან თვალები მილულა და თავი უკან გადახარა, რომ მის მკერდს მიჰყრდნობოდა.

გიგიმ თავისკენ შემოატრიალა გოგონა და დაკვირვებით შეხედა. მოუთმენლობა და სურვილი ერთდროულად იკითხებოდა ნიას ზღვისფერ, წყლიან თვალებში. გოგონამ თითით მისი ტუჩების კონტური შემოხაზა. მამაკაცმა ხელი დაუჭირა და ხელის მტევნები გზნებით დაუკოცნა. დაუოკებელ ლტოლვას გრძნობდა ამ ქალის მიმართ, ამიტომაც ბევრი არ უფიქრია, მოულოდნელად ხელში აიტაცა და საწოლზე წამოაწვინა. ნია მძიმედ სუნთქავდა, სავსე მკერდი მადის აღმძვრელად აუდიოდა.

— ხვდები, ორივეს როგორ გვწყურია ერთმანეთი? ძალიან სექსუალური ხარ, პატარავ, ვერ ვითმენ, არ მოგეფერო.

— გიყვარს სექსუალური ქალები? ალბათ ჩემამდეც ბევრი გყოლია... — ნიას თვითონაც ძლივს ესმოდა ჩურჩულით ნათქვამი თავისივე სიტყვები.

— რა თქმა უნდა, მყოლია, მაგრამ შენ ვერც ერთი ვერ შეგედრება.

— მე კი სექსუალური გამოცდილება საერთოდ არ გამაჩნია.

— ეგ არაფერს ნიშნავს. შენ ისეთი ხარ, ნებისმიერ მამაკაცს გადარევ, მთავარი ეს არის. კმაყოფილი ხარ?

— მე კომპლიმენტი არ მითხოვია შენთვის, სიმართლის გაგება მინდოდა...

— ვფიქრობ, რაც მალე გადმოხვალ ჩემთან, მით უკეთესი იქნება, — მოულოდნელად წამოიწია მამაკაცმა და შუბლშეკრულმა დახედა თვალებმინაბულს, — ჩვენთვის აუცილებელია სადმე განმარტოება, რათა უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი. მითხარი, სად წავიდეთ, რომელი ქვეყნის ნახვას მოისურვებ პირველად?

— არ ვიცი... მაგრამ სანამ სკოლიდან არ დაგვითხოვენ, ვერსადაც ვერ წამოვალ.

— რა სისულელეა! — მამაკაცი მოიღუშა.

— ეს ჩემი ცხოვრებაა, გიგი. რა ვქნა...

— ყოველთვის ასეთი შრომისმოყვარე იყავი თუ ჩემი გაცნობის მერე გახდი ეგეთი? — ჰკითხა და იმწამსვე ინანა... მიხვდა, რომ ამით გოგონას ტკივილი მიაყენა.

— მე მიყვარს ჩემი სამუშაო.

— მე კი შენს მოსწავლეებზე ვეჭვიანობ. ასე მგონია, ჩემზე მეტად ისინი გიყვარს.

ნიამ გაიღიმა.

— მაგრამ ამწუთას მე მათ ვაჯობე, რადგან შენ ჩემს მკლავებში ფართხალებ. ასე რომ, გამიმკლავდი, პატარავ, — და სანამ ქალი პასუხად რამეს ეტყოდა, მისი სახე ხელებში მოიმწყვდია და ტუჩებში აკოცა...

თითქოს მისი მზერა იგრძნოო, ნია შეიშმუშნა. ყოველი ამოსუნთქვისას მისი მკვრივი მკერდი ვნებიანად ღელავდა. ძილშიც კი განუმეორებელი იყო. არა, უნდა აღიაროს გიგომ, რომ ასე არასდროს არც ერთ ქალს არ მოუხიბლავს.

კიდევ ერთი რამ მოსწონდა მამაკაცს მასში, რითაც გოგონა ბევრად განსხვავდებოდა მისი ყოფილი საყვარლებისგან: მათი უმრავლესობა ძალიან პრეტენზიული იყო; გამუდმებით მოითხოვდნენ, რაც შეიძლება მეტი ფული დაეხარჯა მათი სიამოვნებისთვის. ნიას კი ერთხელაც არაფერი უთხოვია! ზოგი ძალიან ეშმაკი იყო, ზოგი თვალთმაქცი, თავხედიც კი, მაგრამ მიზანი ყველას ერთი ჰქონდა — მისი საფულე. ნია არაფრით ჰგავდა მათ.

კიდევ ერთხელ დააშტერდა მძინარეს. ნუთუ სრულიად მერკანტილურია? ნუთუ არასდროს არაფერს მოსთხოვს ასეთ მდიდარ მამაკაცს? არ შეიძლება, ცდუნებამ ერთხელ მაინც არ სძლიოს. თუკი ეს ასეა, მაშინ ეს ქალი მისთვის ნამდვილი აღმოჩენა იქნება! დაიჯეროს, რომ ბედმა იშვიათი გამონაკლისი დაუშვა? უნდოდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო მის შესახებ. გოგონა არ გაურბოდა საკუთარ თავზე ლაპარაკს, მაგრამ მთლად ენაწყლიანიც არ იყო. თავად არასდროს წამოიწყებდა საუბარს თავის წარსულზე, გიგის კი არ უნდოდა, ძალით გამოეტყუა მისთვის სათქმელი. არადა, ცნობისმოყვარეობა კლავდა. ოდესმე ვინმე თუ ჰყვარებია ნეტავ? ხომ წამოსცდა, თბილისში ერთ ადამიანთან ერთად ჩამოვედიო... დარწმუნებული იყო, რომ ის „ერთი ადამიანი“ მამაკაცი უნდა ყოფილიყო, თორემ ხომ არ დაუმალავდა... როგორი ურთიერთობა ჰქონდა მასთან? თუ მოჰფერებია ის ვიღაც? თუ უკოცნია?.. იქნებ სექსიც ჰქონდათ... იქნებ შეცდა, როცა ქალიშვილი ეგონა? თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან აინტერესებდა, მაგრამ დაკითხვას ხომ არ მოუწყობდა ჯერ კიდევ შეუჩვეველ გოგონას?.. ამიტომაც თითქმის არაფერი იცოდა ამ პატარა ჯადოქრის შესახებ. რა თქმა უნდა, ვიღაც აუცილებლად იქნებოდა მის ცხოვრებაში, თუ ვიღაცები არა. ასეთ ქალს უყურადღებოდ ვინ დატოვებდა? მაგრამ ქალწული რომ აღმოჩნდა? მერე რა? ეს რას ცვლის? სიამოვნების მიღების სხვა ხერხებიც არსებობს. რა იცის გიგომ, მის გამოჩენამდე რა ხდებოდა ნიას ცხოვრებაში? მით უმეტეს, როცა ისეთი დაქალი გყავს, როგორიც კახა დევიძის საყვარელია...

რაც იყო, იყო. მთავარია, ეს ქალი ახლა მას ეკუთვნის და ხელიდან მის გაშვებას არ აპირებს. მარცხენა ხელი ფრთხილად ასწია და ნიას გაშლილ თმას შეეხო. გოგონა კვლავ შეიშმუშნა და ნამძინარევი თვალები ოდნავ გაახილა. გიგის დანახვაზე გაიღიმა.

— „პრივეტ“, — ნაზად წარმოთქვა.

პასუხად მამაკაცმა ყელზე აკოცა.

— მაპატიე, ასე ადრე რომ გაგაღვიძე, მაგრამ ადგომის დროა, ათ საათზე ოფისში უნდა ვიყო. სამაგიეროდ, ხვალ დაუვიწყარ საღამოს მოგიწყობ.

გოგონამ კვლავ გაიღიმა და წამოდგა.

— სხვათა შორის, მეც მეჩქარება, ამიტომ კარგი ქენი, რომ გამაღვიძე, — კეკლუცად წარმოთქვა და მისკენ გადმოხრილ მამაკაცს ტუჩებით ცხვირზე შეეხო.

— გეყოფა, თორემ ვეღარ მოვითმენ, იცოდე! — ღიმილით დაემუქრა გიგი.

— მორჩა, ახლავე ავდგები! — გადაიკისკისა ნიამ და საწოლიდან გადმოხტა.

ერთი საათის მისულიც არ იყო შინ, მაკამ რომ დაურეკა, შენი ნახვა მინდაო... ნიას სულაც არ ეპიტნავებოდა ახლა მასთან საუბარი, მაგრამ უარი ვერ უთხრა. რამდენიმე წუთში დაქალი უკვე მის ოთახში იჯდა ფეხიფეხგადადებული.

— სად დადიხარ, რომ ვერ დაგიჭირე? — გამომცდელი მზერა ესროლა მაკამ.

— პაემანზე, — მოკლედ და დამაინტრიგებლად მოუჭრა.

— პაემანზე? ვისთან?

— გიგი ახვლედიანთან.

— ვისთან? — გაოცებისგან მაკას თვალები შუბლზე აუცვივდა. — კაზინოს მეპატრონე რომ არის?

— ჰო, რა იყო, რატომ გაგიკვირდა?

— კი, მაგრამ სად გაიცანი?

— კაზინოში.

— როდის?

— იმ საღამოს, შენს საყვარელს რომ ვდარაჯობდი.

— რაღაც არ მჯერა... შენ როგორ მოეწონე? — ჩრდილმა გადაურბინა მაკას სახეზე.

— რატომ, ასეთი შეუხედავი ვარ? — ირონიულად გაეღიმა ნიას.

— არა, ეგ არ მიგულისხმია... მაგრამ მას იმდენი ქალი ახვევია გარს... თანაც ისეთი მდიდრები და ისეთი წრის...

— გინდა მითხრა, რომ მე მისი წრის არ ვარ? სულაც არ მადარდებს ეგ.

— ალბათ ვერ არის მთლად საღ გონებაზე.

— რას გულისხმობ?

— აბა, ერთი წუთით დაფიქრდი. შენ ლამაზი ხარ, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ერთი უბრალო მასწავლებელი ხარ და მეტი არაფერი. ის კი ცნობილი ბიზნესმენია, სუპერწარმატებული, სუპერპოპულარული მამაკაცი, რომელიც პრესტიჟულ უბანში ცხოვრობს და ფულში ცურავს. ნია, გონს მოდი, სანამ დროა. მას შენ მხოლოდ ერთი ღამისთვის სჭირდები, მხოლოდ გასართობად და არა ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ერთხელ დაწვება შენთან და მორჩა! მაშინვე მიგატოვებს!

ნიას ღიმილი პირზე შეაშრა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ მის წინ ამწუთას დაქალი კი არა, უცნობი ქალი იჯდა, რომელიც მორალს უკითხავდა.

— სხვათა შორის, მე უკვე ვიწექი მასთან... და არა — ერთხელ და ორჯერ. თანაც, უკვე შემომთავაზა, მასთან გადავიდე საცხოვრებლად.

— არ მჯერა!

აპილპილებული მაკა წამოხტა და ბოღმით სავსე მზერა მიაპყრო მეგობარს.

— რაში სჭირდება გიგი ახვლედიანს შენნაირი, როცა საუკეთესო ქალებით არის გარშემორტყმული? იცი, კვირაში რამდენ ქალს იცვლის? ვერ მოთვლი! უბრალოდ, უსიამოვნებებს ეძებ, ნია და არც აგცდება, იცოდე. მერილინ მონრო ხომ არ გგონია შენი თავი? ის შენი ერთგული არასდროს იქნება, გესმის? დაიმახსოვრე ეს!

სასოწარკვეთილი გოგონა ადგილზე ჩაიკეცა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„როგორ შევეზარდეთ თურმე ამ აურზაურს...“

„უცნაურია ბათუმის წვიმა... ისე მოიქუფრება ზეცა, იფიქრებ, მზე გამოჩენას კარგა ხანს ვეღარ გაბედავსო. ამ დროს უცბად გამოჩნდება მზე და ნაწვიმარ ქალაქს აუდენს ორთქლს. ასეთ მზესა და წვიმას ბათუმში თუ ნახავ... წლების წინათ, გაზაფხულზე თოვლიც ესტუმრა ბათუმს. მახსოვს, უცნაური ღიმილი იფრქვეოდა და მეც ბედნიერი სახით დიდხანს დავდიოდი ქუჩებში, თუმცა ბედნიერება ხომ ყოველ წამშია, ყოველ გათენებასა და ადამიანში. მთავარია, ადამიანებმა ბედნიერების შეგრძნება არ დავკარგოთ“, — ამგვარ ბედნიერებაზე ბათუმელი მწერალი და ყოფილი ჟურნალისტი **გენრიეტა ჟუთათელაძე** მესაუბრა მორიგი შეხვედრისას და რადგან მის დამაფიქრებელ შემოქმედებაში თანამედროვეობა ახლაც ლამაზ სტრიქონებად იწერება, მასთან ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტე. დიქტოფონის დანახვაზე ქალბატონმა გენრიეტამ თქვა: სად იყო ჩემი ჟურნალისტობის დროს ასეთი ფუფუნება?! ამგვარი ტექნიკური საშუალებები ჩემთვის ძალიან უცხოაო... საუბარი მაინც, პოლიტიკით დავიწყეთ...

ᲩᲐᲑᲐ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ

— რამდენი ხანია, გავიძახით: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“. არ იქნა და არ დადგა „მწყალობელი მომავალი“. ჩემი აზრით, ქართველი ერის ფსიქოლოგია დღემდე ყალიბდება. ჩვენ ხომ 70 წლის განმავლობაში კომუნიზმს ვაშენებდით და უცბად გადავწყვიტეთ, რომ დემოკრატიული სახელმწიფო უნდა შევქმნათ, დემოკრატია კი მართლაც, არაა „ლობიოს ჭამა“. ჩემთვის ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მთლიანად ერისთვის მისაღები, შორსმჭვრეტელი და გამართული პოლიტიკური ორიენტაცია, ძლიერი ეკონომიკური პროგრამა ექნება. რუსებმა გადაგვაჯიშესთქო, ვამბობთ, მაგრამ ყველაფრის სხვაზე გადაბრალებაც ოდესღაც ხომ უნდა მოვიშალოთ?! ქართულ ფასეულობებს დღეს მართლაც, გადარჩენა სჭირდება.

მაშინ ორივენი ახალგაზრდები ვიყავით...

— თქვენს სიყვარულით სავსე, ახალგამოქვეყნებულ ლექსებში ბევრს ლაპარაკობთ სიყვარულის დეფიციტზე, ფარისევლობასა და „ტელეეკრანის მკათათვეზე“...

— ზოგიერთი ძალიან ადვილად აგნებს ჭეშმარიტებას ან იჯერებს, რომ მიაგნო მას. რთულია ცხოვრების შეცნობა. მთავარი ისაა, რომ ადამიანი ცხოვრებაში გულწრფელი იყოს და სიყვარული მისი ცხოვრების თანამგზავრად იქცეს. ადამიანმა ყველაფერი უნდა გამოცადოს. დიდი ბიბლიური სიბრძნეა: „გიყვარდეს მტერი შენი!“ სიბრძნეა, მაგრამ ვერ ვიცავთ; მტერი კი არა, მოყვარე აღარ გვიყვარს, მგონი... საერთოდ, ისე მაბედნიერებს ყოველი დღე, რომ რთული წარმოსადგენია ჩემთვის წუწუნი, მაგრამ ჩემი აზრით, ბოლო დროს „ცისფერი ეკრანები“ დიდად განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების დინებას. ერთ დღესაც ჩავფიქრდი და დავწერე (ნაწყვეტები ლექსიდან — „მკათათვე ტელეკრანზე“):

„...აქ მთელი მსოფლიოა —
ომებით, ტერორებით, კატასტროფები...
რეკლამა ჭრელი, რეკლამა მუსიკალური,
კლიპები, კლიპები... კლიპები უხამსი სიტყვებით...
და ყოველ წუთში, ისევ რეკლამა,
ძალზე უტიფარი, ძალზე უჩვეულო...
...მხოლოდ ერთს მირჩევს:
ვიყიდო ყველაფერი მოწონებული
და გავხდე ბედნიერი...
მეძახის ვიღაცა... მართლა ვიღაცა,
ყოფილი ბოგანო,
ახლა გადიდკაცებული, ახალგამდიდრებული,
ახალი ქართველი.
ღმერთო ჩემო, რა პასაჟია!
როგორ დავაღწიო თავი ამ მართლა ჯოჯოხეთს —
ამ სიცრუის ყუთს, ამ ცისფერ ეკრანს...
გავბრაზდი, ხმა ავიმაღლე და ამ ჭრელ ეშმაკს
დავემუქრე,
— ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი!..
გაყუჩდა და ბოლოს სულ გაფერმკრთალდა,
აღარ ციმციმებს ახლა ეკრანი, აღარც ხმა ისმის;
იქნებ მეშველოს, იქნებ დავმშვიდდე.
მოლოდინით გავინაბე...
მერე დუმილმა ჩამოწოლილმა წამლეკა ლამის
და სევდიანად შევხედე ეკრანს — ნოსტალგია მომეძალა,
როგორ შევეზარდე თურმე ამ აურზაურს...“

მერე ვთხოვე, საკუთარ ჟურნალისტურ გამოცდილებაზეც ესაუბრა.

— ჟურნალისტი მაღაროს არ თხრის, მაგრამ ისეთივე რთულ საქმეს აკეთებს, როგორიც მაღაროს მუშა. ამ საქმეს დიდი ინტელექტი და გამოცდილება სჭირდება. სამწუხაროდ, დღევანდელ მედიაში ჟანრობრივი ერთფეროვნება შეინიშნება, ვეღარ წაიკითხავ: ნარკვევს, ესკიზს, ფელეტონს, პამფლეტს. ყველა ინტერვიუს წერს, თითქოს მარტივი იყოს. ხშირად გვესმის ჟურნალისტური ეთიკის შესახებ კრიტიკაც. ჟურნალისტიკა ადამიანების ცხოვრებას ასახავს, ის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ცდილობს და თუ ჟურნალისტმა ადამიანი არ შეიყვარა, ყოველთვის დარჩება პრობლემად ეთიკა... თავიდან, გურიაში, გაზეთში — „ლენინის დროშა“ ვმუშაობდი. სახელწოდება ნუ შეგაშინებთ; სხვათა შორის, მაშინაც ვახერხებდით შეფარვით სიმართლის თქმას. მას აქეთ, რაც ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიაფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, წლების განმავლობაში ვრედაქტორობდი ხელვაჩაურის რაიონულ გაზეთს. როცა მაშინდელი გლეხი სამართალს ვერსად პოულობდა, ჩვენთან მოდიოდა. არ დამივიჯერებთ, მაგრამ ძალიან ბევრჯერ დამიბეჭდავს კრიტიკული მასალა, რელიგიური გვერდიც შემოვიღე „გაგანია“ კომუნიზმის დროს. ეგ იყო მხოლოდ, ჩემი თანამდებობრივი წინსვლა მას შემდეგ შეფერხდა...

ხელვაჩაურის ისტორიულ ადგილებს მაშინ ხშირად სტუმრობდნენ ქართველი მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები. აი, ერთ-ერთი ფოტო — მსახიობ გურამ საღარაძესთან ერთად; მაშინ ორივენი ახალგაზრდები ვიყავით...

— ერთგან წერთ: „ნუ მაკვირდები მაგ ტელესკოპით, გული მომაპყარ, ოპტიკის ნაცვლად“... ყოველგვარი ოპტიკის გარეშე, თქვენი ცხოვრების გზაზე მიამბეთ.

— გურიაში დავიბადე და გავიზარდე. ჩვეულებრივ გარემოში ვიზრდებოდი, შრომაც ვიცოდი და სწავლაც, ჩაის ვკრეფდი და თან მსოფლიო ლიტერატურასაც ვკითხულობდი. პატარა ვიყავი, როცა ლექსების წერა დავიწყე. სკოლაში ქართულის მასწავლებელი დავალებას გვაძლევდა: უნდა გაგვეგრძელებინა რომელიმე მოთხრობა ჩვენეული ინტერპრეტაციით. კარგი რაღაცეები გამომდიოდა. ხელიდან ხელში გადადიოდა ჩემი ნაწერები... სიყვარული მაწერინებდა ალბათ ამდენს, სიყვარული და კიდევ, ტკივილი.

ქალბატონ გენრიეტას ეძნელება თავის მეუღლეზე, ან გარდაცვლილ მურმან ხომერიკზე ლაპარაკი. ეძნელება, რადგან ასეთი დიდი პიროვნების შესახებ სიტყვის სამოსელში გრძნობების გახვევა რთულია. ინტელექტუალური საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ფილოლოგი მურმან ხომერიკი, რომლის ორიგინალური და ღრმად ანალიტიკური ლიტერატურული წერილები თუ ესეები მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ იხილა მკითხველმა.

გენრიეტის უკანა მხარეზე პოეტის ახალგაზრდობის დროინდელი სურათია გამოსახული

...დავემშვიდობე ქალბატონ გენრიეტას, რომელიც ასე ძალიან უხდება ზღვისპირა ქალაქს, წვიმიანს თუ მზიანს; მწერალს, რომლის შემოქმედება სათანადოდ დღესაც ვერ შეგვიფასებია. ხელში მიჭირავს მის მიერ ნაჩუქარი წიგნი — „შემოდგომის ვერნისაჟი“. გარეკანის უკანა მხარეზე პოეტის ახალგაზრდობის დროინდელი სურათია გამოსახული. ისეთი ნათელია ახალგაზრდა ქალის ღიმილი, თითქოს ყოველგვარ ბოროტებას უჩერებსო გულს. წიგნის ფურცვლისას ერთ-ერთ გვერდზე ვჩერდები და ვკითხულობ: „ვერ დავიბრუნებ ვერასდროს წარსულს და მომავალსაც ვუჩენ თავსატეხს... ვგრძნობ, არასოდეს არაფერი იქნება ჭეშმარიტი და დასრულებული, სიკვდილის გარდა... სიყვარული კვდება? არა მგონია, იქნებ, საუკეთესო დასასრული დასაწყისია?.. საით გაქრა წამები, მშვენიერი, ამაღლებული წამები, რატომ ითხოვს გული მეტის უფლებას?.. ვკითხულობ, ვერ გამიგია... სიყვარული... იქნებ, ესაა უსამანო თვითდამკვიდრება?!“

სპეციალური კროსვორდი

ჩ	ვ	ე	ნ	ი	ქ	უ	რ	ნ	ა	ლ	ი	ს	ა	უ	კ	ე	თ	ე	ს	ო	ა	რ	ჩ	ე	ვ	ა	ნ	ი	ა
უ	ი	ნ		ი	ც	ო	ი	ო	უ		ლ	ო	დ	ე	ე		თ	ა	ა	ტ	გ	ი	ნ	ი	ე	დ	ლ	გ	ი

ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ წᲔᲡᲘ: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჩ. ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც კოსმოსში გაგზავნეს; **ვ**. ქალის პირბადე; **ე**. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **ნ**. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **ი**. შამილის ტიტული; **ქ**. მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული რუმინეთში, მაზრა, ოლქი; **უ**. ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც საკუთარმა შვილმა ცელით მოჰკვეთა ასო და ისე გამოასალმა სიცოცხლეს; **რ**. სპორტის სახეობა, რომელის შესახებაც ინგლისელები ამბობენ, ეს არის ხულიგნური თამაში, რომელსაც რაინდები თამაშობენენ; **ნ*** ინგლისელი ფიზიკოსი, რომელმაც ფიზიკის ერთ-ერთი კანონი ვაშლის ხის ძირას მჯდომმა აღმოაჩინა; **ა*** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ლ*** სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში, უდრის ოთხ კილომეტრს; **ი*** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ს*** შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ა*** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **უ*** მაღალი წიწვოვანი ხე; აქვს მოწითალო ფერის გამძლე მერქანი; **კ*** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ე*** ატმოსფერული მოვლენა; **თ*** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ე*** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ს*** ჩეხი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი; **ო*** ციური სხეულის სამოძრაო გზა; **ა*** ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **რ*** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **ჩ*** ტარიანი ოვალური ჩარჩო, რომელზედაც ბადეა გაჭიმული ბურთის დასარტყმელად. რაკეტა; **ე*** განსწავლული ადამიანი; **ვ*** შურისძიების სიცილიურ-კორსიკული წესი; **ა*** იჯარა; **ნ*** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ი*** დონ კიხოტის წოდება; **ა*** ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა.

„გზის“ №29-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პასუხები: **გ**. გუდუნა; **ა*** ატაშე; **ე*** ებრაელი; **რ*** რეიგანი; **თ*** თეატრი; **ე*** ერთაოზი; **თ*** თხუნელა; **დ*** დიალოგი; **ა*** აკვანი; **დ*** დადუნა; **ა*** არარატი; **ი*** იორდანე; **ს*** სვიფტი; **ვ*** ვუალი; **ე*** ელჩი; **ნ*** ნოე; **ე*** ეშმაკი; **თ*** თეირანი; **გ*** გოგოლი; **ზ*** ზღურბლი; **ა*** აღლუმი; **ს*** სტიმული; **თ*** თემიდა; **ა*** აკაკი; **ნ*** ნირვანა; **ე*** ექთანი; **რ*** რეა; **თ*** თელავი; **ა*** ასინეთა; **დ*** დიანა.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

დარია თუ ავდარია, ჩემი გული მართალია.

10 ყველაზე რომანტიკული ხელის თხოვნა

ვარსკვლავური ქორწინებები მუდამ უდიდესი ყურადღების ცენტრში ექცევა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ქორწილს — როგორც წესი, წინ ხელის თხოვნა უძღვის. ვარსკვლავთა ცხოვრების ეს რომანტიკული მომენტი, ჩვეულებისამებრ არ ხმაურდება, მაგრამ ზოგიერთი ცნობილი ადამიანი საზოგადოებას საკუთარ გამოცდილებას მაინც უზიარებს. ამჯერად სწორედ ყველაზე რომანტიკული შეთავაზების შესახებ მოგითხრობთ.



როგორ უნდა სთხოვო გულის სწორს ხელი ისე, რომ თანხმობა მიიღო? ალბათ სინაზითა და ღრმა გრძნობით, ექსტრავაგანტურობითა და სიმამაცით უნდა გააოცო... და რა თქმა უნდა, მოულოდნელობის ეფექტ-საც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება! ამ საქმეში ვარსკვლავებს ჭეშმარიტი მასტერკლასის ჩატარება შეუძლიათ.

ჰაიდი კლუმი და სილი

სილს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ ჰაიდი კლუმი დაქორწინებაზე დაეყოლიებინა. მან სატრფო შვეულმფრენით გასასეირნებლად მიიწვია და მთებში წაიყვანა, სადაც ჰაიდის არაჩვეულებრივი სიურპრიზი ელოდა... შვეულმფრენი 4267 მეტრის სიმაღლის ყინულოვანი მთის წვერზე დაეშვა, სადაც სილის თხოვნით, იგლუ (ესკიმოსთა ყინულის ქოხი) იყო აშენებული. ქოხის სიღრმეში ვარდის ფურცლებით მოფენილი საწოლის გარშემო უამრავი ანთებული სანთელი, მრავალნაირი ტკბილეული და შამპანურის ბოთლები ეწყო. სილმა ამ ულამაზეს ოთახში სატრფოს გული შესთავაზა, ხელი სთხოვა და 10-კარატიანი ნიშნობის ბეჭედი მიართვა. განა შეეძლო ჰაიდის ასეთი რომანტიკული მამაკაცისთვის უარის თქმა?!

ცნობილი მოდელი და ცნობილი მომღერალი 2005 წელს დაქორწინდნენ. ჰაიდიმ რომანტიკულ მეუღლეს 2 ვაჟიშვილი გაუჩინა და ახლა კვლავ ორსულადაა.

კეტი ჰოლმსი და ტომ კრუზი

ტომ კრუზმა კეტი ჰოლმსს გული და ხელი მსოფლიოს ყველაზე რომანტიკულ ქალაქში — პარიზში სთხოვა და ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მათი რომანის დაწყებიდან 2 თვეში მოხდა. რომანტიკული ვახშამი სანთლების თანხლებით პარიზის ყველაზე პრესტიჟულ რესტორანში Le Jules Verme გაიმართა, რომელიც ეიფელის კოშკის კენწეროზე მდებარეობს. გამთენიისას კრუზმა კეტის ულამაზესი 5-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიართვა. ჰოლმსმა თანხმობა განაცხადა და სასიძემ მომავალი ქორწილის შესახებ განცხადება იმავე საღამოს გააკეთა. ტომ კრუზს ინტერვიუებში არაერთხელ განუცხადებია, რომ კეტისთვის ნიშნობის ბეჭედი მასთან პირველი შეხვედრისთანავე შეიძინა. წყვილმა 2006 წელს იტალიაში იქორწინა. მათ ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც სური დაარქვეს.

პინკი და კერი ჰარტი

მომღერალი პინკი საკუთარ საქმეებს თავადვე აგვარებს. გათხოვების ამბავიც თავად მოაგვარა და შეყვარებულ კერი ჰარტს ხელი და გული შესთავაზა. ეს ამბავი მოტორბოლის დროს მოხდა, რომელშიც კერი მონაწილეობდა. გულშემატკივრებს შორის მდგომმა პინკმა პლაკატი აღმართა, რომელზეც ეწერა: — „ცოლად შემირთავ?“ როდესაც ჰარტმა პლაკატი დაინახა, მოტოციკლის შეჩერება სცადა. ამ დროს პინკმა პლაკატი შეაბრუნა და შეყვარებულს ახალი წარწერა დაანახვა — „სერიოზულად გეუბნები“. კერი ჰარტი დისტანციას გამოეთიშა და პინკის შეთავაზებაზე თანხმობა განაცხადა. ისინი დაქორწინდნენ, მაგრამ 2008 წლის თებერვალში, ქორწილიდან 2 წლის შემდეგ გაიყარნენ. სხვათა შორის, უცხოური პრესა იუწყება, რომ ყოფილი მეუღლეები ახლა კვლავ ერთად არიან.

ტორი სპელინგი და დინ მაკდერმოტი

ტორი სპელინგს ქმრის არჩევანში ნამდვილად გაუმართლა. მან სატრფოს ულამაზესი გარემო შეუქმნა და ხელი სთხოვა. ეს ამბავი კი ასე მოხდა: შობის ღამეს მაკდერმოტმა ტორი ცხენებშებმული კარეტით გაასეირნა. შეყვარებულებმა ჩინური ფარნებით განათებული 500-მეტრიანი ხეივანი გაიარეს. ხეივნის ბოლოს ტორის რომანტიკული ვახშამი ელოდა. ლამაზად გაწყობილი სუფრის გარშემო საახალწლო ნაძვის ხეები იდგა. მაკდერმოტმა დაიჩოქა

და ტორის ხელი სთხოვა... ამჟამად მათ ოჯახში ორი ბავშვი იზრდება. სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად დინი ცოლს ყოველ წელს ახალ ნიშნობის ბეჭედს ჩუქნის. წელს ტორი სპელინგის საქორწინო ბეჭდების კოლექციას მეოთხე ბეჭედი შეემატა.

კრისტინა აგილერა და ჯორდან ბრატმანი

ჯორდან ბრატმანმა კრისტინა აგილერას ხელი კალიფორნიაში უიკ-ენდზე ყოფნის დროს სთხოვა. მუსიკოსმა სასტუმროს ნომერი ვარდის ფურცლებითა და საჩუქრის კოლოფებით მორთო. თითოეულ კოლოფში საჩუქართან ერთად კრისტინასადმი მიძღვნილი ლექსები ეწყო, რომელთა ავტორი თავად ჯორდან ბრატმანი გახლდათ. როდესაც კრისტინა ნომერში შევიდა და ეს სილამაზე იხილა, აღფრთოვანებისგან სუნთქვა შეეკრა... ხოლო როდესაც უკანასკნელი კოლოფი გახსნა, მასში 5-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აღმოაჩინა! ბრატმანმა სატრფოს წინაშე მუხლი მოიყარა და ცოლობა სთხოვა. კრისტინა, რაღა თქმა უნდა, დათანხმდა. მათ 2005 წელს იქორწინეს. ერთი წლის წინ წყვილს ვაჟიშვილი შეეძინა.

ჯენიფერ გარნერი და ბენ აფლეკი

ბენ აფლეკმა ჯენიფერ გარნერს ხელი ძალზე ორიგინალურად სთხოვა. იმ დღეს, როდესაც ჯენიფერს 33 წელი შეუსრულდა, იგი აფლეკის ერთ-ერთმა მეგობარმა „შემთხვევით“ კაფეში შეიყვანა, სადაც მალე სასიძოც გამოჩნდა, ფანჯარასთან კი საბარგო მანქანა გაჩერდა, რომელზეც უზარმაზარი საჩუქრის ყუთი იდო. ჯენიფერს ეგონა, რომ სატრფომ დაბადების დღის აღსანიშნავად ავტომობილი აჩუქა, მაგრამ ყუთი ცარიელი აღმოჩნდა... საპატარძლომ მხოლოდ გულდასმით დათვალიერების შემდეგ აღმოაჩინა პატარა კოლოფი, რომელშიც სანუკვარი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იდო. ჯენიფერ გარნერისა და ბენ აფლეკის ქორწინება ძალზე ბედნიერი აღმოჩნდა. ვარსკვლავურ ოჯახში ორი გოგონა იზრდება — 3 წლის ვიოლეტი და სერაფინა როუზი, რომელიც 2009 წლის 6 იანვარს დაიბადა.

კეტრინ ზეტა-ჯონსი და მაიკლ დუგლასი

პროდიუსერმა და მსახიობმა მაიკლ დუგლასმა მასზე 25 წლით უმცროს რჩეულს ხელი 2000 წლის ახალი წლის ღამეს სთხოვა. როდესაც წყვილმა მესამე ათასწლეულის დადგომა იზეიმა და დუგლასმა 2 თვის ორსულ კეტრინს განმარტოება შესთავაზა, იგი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა სიურპრიზი ელოდა. დუგლასმა ზეტა-ჯონსს 1920-იან წლებში დამზადებული ექსკლუზიური 10-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიართვა. წყვილმა იმავე წელს იქორწინა. დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ისინი საოცრად ბედნიერები არიან და 2 შვილს ზრდიან.

კალისტა ფლოკჰარტი და ჰარისონ ფორდი

ქალთა გულთამპყრობელი ჰარისონ ფორდი დიდი ხნის მანძილზე ჰოლივუდის ყველაზე სასურველ მამაკაცთა რეიტინგის ლიდერი იყო. მან კალისტა ფლოკჰარტს დაქორწინება მხოლოდ ურთიერთობის დაწყებიდან 7 წლის შემდეგ შესთავაზა. ქორწილი ჯერჯერობით არ შემდგარა, მაგრამ ნაბიჯი გადადგმულია, თანაც — კინემატოგრაფიული რომანტიკის ყველა წესის დაცვით... შეყვარებულთა დღეს კალისტამ საუზმეზე კრუასანების პაკეტი გახსნა და მასში ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აღმოაჩინა. ამჟამად წყვილი ქორწილის სამზადისშია. ცოტა ხნის წინ პრესაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ 66 წლის ჰარისონ ფორდმა და 44 წლის კალისტა ფლოკჰარტმა ქორწილისთვის აუცილებელი პროცედურის გავლა დაიწყეს. ფორდს წინა ორ ქორწინებაში შეძენილი სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავს, კალისტა კი ვაჟიშვილს ზრდის, რომელიც 2001 წელს იშვილა.

ეშლი ჯადი და დარიო ფრანჩიტი

ეშლი ჯადმა სიზმრად საოცნებო, მართკუთხა ბრილიანტით შემკული ნიშნობის ბეჭედი იხილა და ამის შესახებ შეყვარებულს, ავტომრბოლელ დარიო ფრანჩი-

ტის უამბო (ან იქნებ სატრფოს სხვაგვარად ვერაფრით მიანიშნა?). შეყვარებულ მამაკაცს სხვა რა გზა ჰქონდა, ორიგინალური ბეჭდის საშოვნელად გაეშურა და 5 თვის შემდეგ ეშლი ჯადმა სანუკვარი ბეჭედი მიიღო! წყვილი 2001 წელს შოტლანდიაში დაქორწინდა. დროთა განმავლობაში ეშლი რბოლების ჭეშმარიტ მცოდნედ და ფანატად ჩამოყალიბდა და შეჯიბრებებზე რომანტიკულ მეუღლეს გულშემატკივრობს.

გვინეტ პელტროუ და კრის მარტინი

„იმედი მაქვს, რომ იგი როგორმე გაბედავს და ცოლობას მთხოვს, მაგრამ თავად მე, ინიციატორი არ ვიქნები. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცი მე კი არა, ის არის“, — განაცხადა ერთხელ მოუთმენელმა გვინეტ პელტროუმ, რომელსაც გათხოვება ძალიან უნდოდა, სასიძო კი დუმდა და არაფერს ამბობდა...

ბოლოს და ბოლოს, გამოცემაში The Sun გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ კრის მარტინს ამერიკული ტურის დროს გვინეტი იმდენად მოენატრა, რომ სატრფოს ლონდონში პირდაპირ თვითმფრინავიდან დაურეკა და დაქორწინება შესთავაზა. საქორწილო ცერემონია სამხრეთ კალიფორნიაში საიდუმლო ვითარებაში, ფოტოგრაფებისა და პრესის გარეშე ჩატარდა, რადგან გვინეტს მიაჩნია, რომ პირადი ცხოვრების სახალხოდ გამომზეურება სიბრიყვეა. „უცხო ადამიანებთან პირადი ცხოვრების შესახებ საუბარი სამარცხვინოა. თითოეულ ჩვენგანს ჩვენი საიდუმლო უნდა გვქონდეს. როდესაც ცნობისმოყვარეებს უამბობ, თუ რომელ კრემს ხმარობ, სადილად რას მიირთმევ და

ვისთან ერთად ვახშმობ, იდუმალების საბურველი ქრება და შენი სახელი უფასურდება“, — ამბობს მსახიობი, რომელიც კრის მარტინთან შეძენილ ორ შვილს — 5 წლის ეფსსა და 3 წლის მოსეს ზრდის. ბოლო ხანებში პრესაში პერიოდულად ვრცელდება ცნობები ვარსკვლავური წყვილის განქორწინების შესახებ, მაგრამ ეს ცნობები ჯერ-ჯერობით არ დასტურდება. ■

მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

საშუალოში არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტი და ფრანგი ჟურნალისტის თვალით დანახული ქართული ამდია...

ის პროფესიით ჟურნალისტია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრის დიპლომით დაამთავრა. მუშაობდა პრესაში. მერე გათხოვდა და აღმოჩნდა საფრანგეთში, სადაც კვლავაც სწავლა განაგრძო...

ლალი ფაცია

დიანა ჟანკოტაძე:

— საფრანგეთში რომ ჩავედი, მაგისტრატურაში (ევროპული ჟურნალისტიკის განხრით) განვაგრძე სწავლა. წელს უკვე მეორე კურსი დავამთავრე. ვცხოვრობ ქალაქ რეიმსში, რომელიც საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარეობს. უნივერსიტეტში ლექციებს მთელი ევროპის მასშტაბით ცნობილი ჟურნალისტები მიკითხავენ, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას გვიზიარებენ. ფაკულტეტზე ერთადერთი უცხოელი ვარ. ენის ბარიერი მალე დავძლიე. ქართული აქცენტით ვლაპარაკობ და მეგონა, ამის გამო დამცინებდნენ. ამიტომ თავიდან ლექციაზე შეშინებული და დაბნეული ვიყავი. მაგრამ შევცდი, თბილად მიმიღეს.

— ახლა არდადეგებზე ხარ თბილისში ჩამოსული?

— კი, ასეა. რაც ჩამოვედი, ყოველდღე ფრანგი მეგობრები ელექტრონული ფოსტით წერილებს მიგზავნიან: გვენატრები, მალე დაბრუნდიო. სტუდენტებთან საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება აქვთ ლექტორებსაც. მათ საქმეში მაშინვე ჩამაბეს... ასე რომ, დავამთავრე მაგისტრატურა და ველოდები დიპლომს. ამ ზაფხულს სავალდებულო იყო, რომელიმე ტელევიზიაში სტაჟირება გამევლო. ფრანგულ არხებზე მოხვედრა ძალიან რთულია. ამიტომ ჩემმა ლექტორებმა და ხელმძღვანელებმა მირჩიეს, კარგი იქნება, შენს ქვეყანაში რომელიმე ტელევიზიაში გაიარო სტაჟირება; ჩვენ არ ვიცნობთ ქართულ მედიას და ამიტომაც საინტერესო იქნება შენი ნაშრომიო. ყველგან მივედი და ყველგან მიპასუხეს, — სტაჟიორებისთვის არ გვცალიაო. ბოლოს დავუკავშირდი „ბიზნესკურიერს“ და პირადად აკაკი გოგიჩაიშვილს, რომელმაც გულისხმიერად მიმიღო. ჩემს კონტრაქტს ხელი მაშინვე მოაწერა... ამის საფუძველზე ერთი თვე მასთან ვიმუშავე. ბევრი რამ ვისწავლე. ჯგუფის წევრები ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად დამხმარებოდნენ. აკაკის ჩემი რამდენიმე იდეა მოეწონა და საშუალება მომცა, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, სიუჟეტები გადაგვეღო. ეთერში ორივე გავიდა. ასე რომ, ძალიან გამიმართლა.

ფრანგული არხისთვის რეპორტაჟის გაკეთებისას

— ჩვენს ელექტრონულ მედიას როგორ შეაფასებ?

— მას მერე, რაც საფრანგეთში წავედი და ევროპის ცნობილ ჟურნალისტებთან მომიწია ურთიერთობამ, ბევრ რამეს სხვაგვარად შევხედე. ამასთან, ფრანგმა კოლეგებმა მთხოვეს, ქართულ მედიაზე მოხსენება გამეკეთებინა. მათ ვაჩვენე ჩვენი პრესაც, ასევე საიტების მეშვეობით — ტელეგადაცემებიც. სხვათა შორის, ტელევიზიებისგან განსხვავებით, დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულმა პრესამ. ისინი დაინტერესებულები არიან აღმოსავლეთ ევროპის მთელი მედიით. რომ შეადარეს რუმინეთის, სლოვაკეთის, ჩეხეთის პრესას, მართალია, შინაარსი ვერ გაიგეს, მაგრამ საუკეთესო შეფასება მისცეს გარეგნულად. ის, რაც ტელევიზიებში განსაკუთრებულად არ მოეწონათ, წამყვანები არიან.

— ტოქშოუს წამყვანები თუ საინფორმაციო გამოშვებების?

— ორივესი. მიაჩნიათ, რომ ეკრანზე შეუსაბამოდ აცვიათ. ამასთან, თითქმის ყველას ერთნაირი ვარცხნილობა და მაკიაჟი აქვს (უსვიათ თუნდაც ერთი და იმავე ფერის „პომადა“). ამასთან, აქვთ დაძაბული მეტყველების მანერა და ტონი; ხშირად, მკაცრი გამომეტყველება გამაღიზიანებელია, რადგანაც მაყურებელს მუდმივად დაძაბულობაში ამყოფებს. ამას იმით ვხსნიდი, რომ საქართველოში მძიმე

ცხოვრება და დაძაბულობაა, ომის შემდგომი კრიზისია და მათი სიმკაცრეც ამით არის განპირობებული-მეთქი. ფრანგები მუშაობენ უბრალოდ, მარტივად და სადად. მათვე შენიშნეს, რომ ქართველი ჟურნალისტები პრივილეგირებულად გრძნობენ თავს, მაშინ, როცა ევროპაში ჟურნალისტობა ჩვეულებრივი პროფესიაა; როგორც ნებისმიერ ფრანგს აცვია, წამყვანიც ასეთივე სამოსით ზის ეთერში და არის მხოლოდ შუამავალი მოვლენასა და ხალხს შორის. იქ არანაირი ტელეწამყვანის, როგორც ჩვენთან არის, კულტი არ არსებობს... მინდა, რომ ჩემმა ქვეყანამ ყველაფერში შექება დაიმსახუროს. არ თქვან, რომ სლოვაკეთში, სადაც ყველაზე დაბალი ხარისხის ტელევიზიაა, უკეთესიაო.

— ბევრი ცნობილი ჟურნალისტი გიკითხავს ლექციებს. საუბრის დაწყებამდე ერთი ჟურნალისტი ახსენე, რომელიც მთელი ცხოვრება ომის თემებზე მუშაობს. ხან ერაყშია, ხან — ისრაელში, ჩვენთანაც ყოფილა შარშან ომის დროს. საინტერესოა მისი აზრი ქართულ მედიაზე.

— ეს გახლავთ ჟან ფილიპ დებორდი, ჟურნალისტი, რომელსაც აქვს სახელმწიფო არხებზე მუშაობის გამოცდილება, ასევე — სხვადასხვა დამოუკიდებელ ტელევიზიაში. ახლა ომებზე დოკუმენტურ ფილმებს იღებს. უამრავი წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის უნიკალური ნაშრომი — „ბავშვი და ტელევიზია“. კარგი იქნება, თუ ეს წიგნი ითარგმნება და მომავალი ქართველი ჟურნალისტები მას წაიკითხავენ... მან გაგვაკეთებინა საიტი — „ევროპა ნიუს ონლაინი“, რომელზეც დევს ჩვენი სტატიები, სიუჟეტები... მე მოვამზადე მასალა — ქართველების თვალით დანახული ევროპა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საინტერესო მასალა გამოვიდა. დებორდს მოეწონა და მერე სიუჟეტების გაკეთება დამავალა. ახლა პარალელებს რომ ვავლებ, აბსოლუტურად განსხვავდება აქაური და იქაური მუშაობის სტილი. იქ მოპოვებული ინფორმაციის მაქსიმალური გადამოწმება ხდება. ჟურნალისტი პასუხისმგებელია ინფორმაციაზე და არავინ აპატიებს შეცდომით გაპარულ ერთ სიტყვასაც კი. როცა მთლიანად შეისწავლიან ინფორმაციას, მერე ხელს აწერინებენ რესპონდენტს (წყაროს), რომ ეს ინფორმაცია ოფიციალურად მას ეკუთვნის. იქაური რესპონდენტები უფრო გახსნილები არიან. დებორდი საქართველოზე ფილმის გადაღებას აპირებს და აქ ჩამოვა. მე მას დახმარებას გავუწევ, მაგრამ წელს ეს ალბათ ვერ მოესწრება... იქ ასევე ახალგაზრდა ევროპელი ჟურნალისტების კონკურსი ტარდება. ვინაიდან დებორდი მაგისტრატურის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, გადაწყვიტა, რომ მთელი ფაკულტეტიდან იმ კონკურსში მე მიმეღო მონაწილეობა და დამავალა თემის დაწერა. თემატიკა ასეთი გახლდათ — რატომ არის ევროპისთვის გაფართოება მნიშვნელოვანი. რომ გადავხედე მასში მონაწილე ქვეყნების სიას, სამწუხაროდ, საქართველო მასში არ იყო. მერე ლექტორს ჩემი ვერსია შევთავაზე, დავწერ თემას — რატომ არის ჩემი ქვეყნისთვის ევროპის გაფართოება მნიშვნელოვანი; ყველა კითხვასა და მოთხოვნას საქართველოდან გამომდინარე ვუპასუხებ-მეთქი. დამეთანხმა. მოვიფიქრე, რომ რეპორტაჟული სტილის სტატია დამეწერა — „ჩემი სისხლიანი არდადეგები“. ვგულისხმობდი იმას, თუ შარშან არდადეგებზე საქართველოში ჩამოსული როგორ მოვხვდი ომში. საშინელი რამ გამოვცადე. საკუთარი თვალით ვუყურებდი, ჩემი სახლის წინ ტანკებს (*დიანა ხაშურიდან გახლავთ. — ავტ.*) და ყოველდღე სიკვდილის მოლოდინით ვცხოვრობდით. გადავიღე უამრავი, სულის შემძვრელი ფოტო (როგორ იწვის ტყე, როგორ მოდიან რუსების ტანკები, ჩამონგრეული გორი, დევნილები...). ამ ფოტოებით მოვყევი ჩემი თავგადასავალი საქართველოში, თუ რა გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ და რატომ არის მნიშვნელოვანი ევროპის გაფართოება და მასში საქართველოს რიგით წევრად შესვლა. ეს სტატია საიტზეა უკვე განთავსებული და ველოდებით შედეგებს. ბატონი დებორდი ამბობს, რომ გამარჯვების დიდი შანსი მაქვს. მითხრა, — ზუსტად იცი ის, რასაც წერ, ამასთან, გტკივა კიდეცო...


საიტზე მუშაობისას ფრანგ ჯგუფელებთან ერთად


ის ასპირანტი გახლავთ, საფრანგეთის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის სტიპენდიანტი

— შენს მეუღლეზეც მიამბე რამე. ისიც, როგორც ვიცი, შენსავით, საფრანგეთში სწავლობს.

— ჩემი მეუღლე — დათო სებისკვერაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტიდან გაგზავნეს იქ. ახლა ის ასპირანტი გახლავთ, საფრანგეთის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის სტიპენდიანტი. მუშაობს ნაშრომზე. ადამიანის ორგანიზმში ულტრაგამსხივებით გამოწვეულ სიმსივნეს იკვლევენ. წელიწადნახევარში დაამთავრებს. მერე რა იქნება, ეს მომავლის საქმეა. არის წარმატებული ასპირანტი, სამეცნიერო კონფერენციებზე უამრავ ქვეყანაში დადის. ეს არის დიდი შრომის, ბევრი უძილო ღამის, ბიბლიოთეკებში გამუდმებული ჯდომის შედეგი; ამასთან — მძიმე სამსახურისაც. სწავლა რომ დაეფინანსებინა, ამისთვის მუშაობდა. ეს ყველაფერი დაუფასდა.

— რამდენ ხანს აპირებთ საფრანგეთში ყოფნას?

— მინდა, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი დიპლომები, ცოდნა და გამოცდილება საქართველოს მოვახმაროთ; რომ მეტად განვითარდეს ის სფეროები, რომლებიც ჩვენ ავირჩიეთ. იმედია, ჩემი საუბრისთვის არც კოლეგები და არც ზოგადად საზოგადოების წევრები არ გამკიცხავენ. როდესაც ჩემს მოსაზრებებს გამოვთქვამ ხოლმე, მეუბნებიან, — ევროპიდან ჩამოხვედი და გგონია, რომ მაგარი ხარ, ყველაფერს ზემოდან უყურებო. მე არაფერი არ მგონია, საქართველოში პროფესიონალი ჟურნალისტები გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ, ის ტელევიზიები, სადაც მუშაობენ, სანაქებო ტელევიზიებად აქციონ. რასაც მე ვლაპარაკობ, არ არის ჩემი პირადი ამბიციური განაცხადი, მე ევროპელი ჟურნალისტების შეფასებების მიხედვით ვსაუბრობ. ქართველ ჟურნალისტებს ღიმილი და ელემენტარული თავაზიანობა რომ აკლიათ, ეს მგონი, ადვილი შესამჩნევია... ვისურვებდი, რომ ძალიან მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეცვლილიყოს.

ვისგან ჭორაობენ თინეიჯერები

მოზარდები გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათზე ჭორაობენ, ენებს იფხანენ, შედეგად კი ბოროტებას სჩადიან ანუ სწორედ ჭორიკანებს აბრალებენ იმას, რომ მათი სიყვარული დაინგრა, მშობლები რაღაცებს უკრძალავენ, მეგობრებთან პრობლემა ექმნებათ და ა.შ. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ მათი შურთ და ჭორებს ამიტომაც უგორებენ. ცოტა მათგანი თუ აღიარებს, რომ ჭორიკანების ნათქვამში ზოგჯერ, სიმართლის მარცვალიცაა. ამ ყველაფრის გამო, მოზარდებში ჩავატარე გამოკვლევა. მაინტერესებდა, ვისზე ჭორაობენ თავად ისინი? აღმოჩნდა, რომ ძირითადად, მეგობრებზე ლაპარაკობენ. თუმცა, არც ცნობილ სახეებს ივიწყებენ და მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, მაკა ასათიანის ცხოვრების შესახებ დიდი ხანია, არსად არაფერი თქმულა, მის სახელს მაინც არ ივიწყებენ და ზოგჯერ, მაკასაც გაჰკრავენ კბილს.

მაკა ასათიანის ცხოვრება, კახა კადაძის შვილი და ზურა ხაჩიძის „ხელიდან გაშვებული შანსი“

ლიკა ქაჯაია

სალი, *17 წლის:*

— არ მომწონს, როცა სხვები ჭორაობენ, მაგრამ საკუთარ თავსაც ხშირად ვიჭერ იმაში, რომ სხვის ცხოვრებას განვიხილავ. მაგალითად, მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვჭორაობთ იმ მოზარდებზე, რომლებიც რჩევისთვის შენ მოგმართავენ, მაგრამ ამას ავი განზრახვით არ ვაკეთებთ. უბრალოდ, როცა მათ ცხოვრებას განვიხილავთ, ამით ვცდილობთ, ყველაფერი გავაანალიზოთ და ამა თუ იმ ადამიანს ნორმალური რჩევა მივცეთ. მესმის, რომ საქართველოში პროფესიონალი ადამიანების დეფიციტია — თუნდაც, ფსიქოლოგებს ვგულისხმობ — ან მართლაც რომ თავისი საქმის უბადლოდ მცოდნეს უფულოდ ლაპარაკიც კი ეზარება, მაგრამ ხომ შეიძლება, წმინდა ადამიანურმა გრძნობებმა მისცეს მათ ბიძგი და მოზარდებს თავადვე გამოგვეხმაურონ, სასარგებლო რჩევა მოგვცენ.

— ამ ბოლო დროს, შენ და შენმა მეგობრებმა ვისი ცხოვრება განიხილეთ?

— ყველაზე მეტად, სახლიდან გამოგდებული გოგონას მესიჯმა მატკინა გული, რომლის მშობელსაც დედობრივი გრძნობა არ ჰქონია. ვერ ვხვდები, შვილმა ისეთი რა უნდა დააშავოს, რომ სახლიდან გამოაგდონ? რა, დასჯის სხვა მეთოდები არ არსებობს? ხომ შეიძლება, სახლიდან გაგდებული გოგონა გზას ასცდეს, ქურდობა ან მეძაობა დაიწყოს და ეს ყველაფერი მისი მშობლის ბრალი იქნება! ამ საკითხზე დიდხანს ვკამათობდით და ბოლოს, გოგონას რაღაც რჩევებიც მივეცი, მაგრამ ცუდი ისაა, რომ

ჩემს „სასტავს“ ეგ ბიჭი მაგრად გვევასებოდა და ახლაც მოგვწონს

თავად არც კი გამოგვეხმაურა, თავისი ცხოვრების შესახებ აღარაფერი მოგვწერა. ალბათ, ყველაფერთან ერთად, უმადური ადამიანია.

— შენ ახლა მასზე ისევ ჭორაობ...

— ეს იმიტომ, რომ მან ამის საბაბი მომცა... მთავარია, ადამიანმა ბოროტი განზრახვით არ იჭორაო, თორემ ცოცხალ არსებას ცნობისმოყვარეობის გრძნობა ამოძრავებს და არ არსებობს, რომელიმე ჩვენგანს ვიღაცის შესახებ რაიმე არ ეთქვას...

— მეგობრები ერთმანეთზე თუ ჭორაობთ?

— კარგი გაგებით, კი. მაგალითად, ამას წინათ ჩვენმა ერთმა დაქალმა „ლოვე“ გაიჩინა და მას შემდეგ, იშვიათად გვეკონტაქტება. თავიდან ძალიან ვბრაზდებოდით და ვამბობდით, მის გარდა არავინ უნდათქო, მერე ერთმა თქვა, — მოვა დრო და ისევ ჩვენთან მოცუქცუქდებაო. ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს, ეს ნამდვილად არ გამიხარდება.

— რა არ გაგიხარდება?

— ანუ იმ შემთხვევაში მოვა, როცა შეყვარებულთან პრობლემა ექნებაო, ეს კი ნამდვილად არ მინდა. მოკლედ, ამ გოგონაზე და მის „ლოვეზე“ ყოველი შეკრებისას ვლაპარაკობთ და ერთმანეთში ინფორმაციებს ვცვლით, რაღაცებს განვიხილავთ. ჩვენი აზრით, მეგობარი არასწორად იქცევა, რადგან ფაქტობრივად, ხელი გვკრა. იმედია, ამას ისიც წაიკითხავს და თავის დანაშაულს მიხვდება.

— ეს პირადად მისთვის რომ გეთქვა, არ სჯობდა?

— სად ვნახე, რომ მეთქვა?! მხოლოდ მესიჯებს მიგზავნის და მასზე ისე ვარ გაცოფებული, რომ პასუხის გაცემაც არ მინდა.

— კარგი, კიდევ რაზე ან ვისზე ჭორაობთ მეგობრები? ცნობილი ადამიანებიდან არავის ცხოვრებას არ განიხილავთ?

— ახლა კახა კალაძის ოჯახი გვყავს ამოჩემებული. ჩემს „სასტავს“ ეგ ბიჭი მაგრად გვევასებოდა და ახლაც მოგვწონს. ვიცით, რომ მისი „შებმის“ არანაირი შანსი არც გვქონდა და არც გვაქვს, მაგრამ ვიდრე უცოლო იყო, თითქოს რაღაცის იმედი გვქონდა.

— და ახლა მის ცოლზე ჭორაობთ?

— ეგ თემა მოძველდა, ახლა მის შვილზე ვჭორაობთ. გვაინტერესებს, როგორია პატარა ლევან კალაძე და წინასწარ ვცდილობთ იმის განჭვრეტას, თუ რა პროფესიას აირჩევს, მამის გზას გაჰყვება თუ არა და ა.შ.

— ანუკაზე რას ამბობდით?

— მას ჩვენი დასაწუნი არაფერი სჭირს, მაგრამ ზოგჯერ, ბოლმას მაინც ვანთხევდით და მის წინაშე ვცოდავდით. ზოგი მის სიმაღლეს იწუნებდა, ზოგი — თმის ფერს, ვიღაცები „სოფლელობასაც“ აბრალებდნენ (*იცინის*). რაც შემეხება მე, ვამბობდი, რომ ის კახას არ შეეფერება, რაღაცნაირი სიფრიფანა და ცივი გარეგ-

ნობის გოგოა-მეთქი. ალბათ, ამას იმიტომ ვამბობდი, რომ მისი მშურდა და ამას ვაღიარებ კიდეც. ახლა კალაძის ოჯახს ბედნიერებას ვუსურ-

მაკაზე დადებით რაღაცებთან ერთად, ბევრ სიბინძურესაც ამბობდნენ, ალბათ იმიგომ, რომ მისი შურდათ

ვებ და ხმამაღლა ვამბობ, რომ ანუკა მართლაც, ძალიან ლამაზი გოგოა და ის კახას ნამდვილად შეეფერება. იმედია, მომიტევებს და ამის გამო არ გამინაწყენდება. ისიც ხომ გოგოა და ვინმეზე ბრმად შეყვარებული რომ ყოფილიყო, მერე კი იმ ვითომ „ლოვეს“ სხვა შეერთო, შეეცდებოდა, მის ცოლში რაღაც ნაკლი ეპოვა. მეც ასე დამემართა. სამაგიეროდ, ახლა ყველასთან ვამბობ, რომ ის არაჩვეულებრივია (*იცინის*).

— გარდა კახა კალაძის ოჯახისა, კიდევ, ვის ცხოვრებაში ცდილობთ ცხვირის ჩაყოფას?

— ინგა გრიგოლიაზეც ხშირად ვლაპარაკობთ. ეს ქალბატონი არასდროს დუნდება, საოცრად ენერგიულია და საზოგადოებას ძალიანაც უყვარს. თუმცა, აკეთებს ისეთ რაღაცებსაც, რაც თურმე, ჩვენი მენტალიტეტისთვის მიუღებელია, მაგრამ პირადად მე, მის ცხოვრებაში ბნელსა და საშინელს ვერაფერს ვხედავ, ამ ქალს პატივს ვცემ და მასზე მხოლოდ დადებითად ვჭორაობ.

— „დადებითად ჭორაობა“ როგორია?

— მაგალითად, ხშირად აღვნიშნავ იმას, რომ განათლებული ქალბატონია, უკეთესი პირადი ცხოვრების ღირსია და სატელევიზიო სივრცეში მისთვის საქმროსაც კი ვარჩევ ხოლმე.

— მერე, შეურჩიე ვინმე?

— ზაალ უდუმაშვილი ძალიან მომწონს. ის გაწონასწორებული პიროვნება, ნაკლებად ფეთქებადი მგონია. თან, ჭკვიანი კაცია და ინგას გაგება არ გაუჭირდებოდა. მოკლედ, ზაალი და ინგა კარგი წყვილი იქნებოდა, მაგრამ ვიცი, ეს არასდროს მოხდება — ზაალს ოჯახი აქვს, ინგას კი ალბათ, სხვანაირი, ჩემგან რადიკალურად განსხვავებული გემოვნება აქვს.

— შენი აზრით, როცა ამას წაიკითხავენ, თავად ინგასა და ზაალს როგორი რეაქცია ექნებათ?

— ალბათ, უდუმაშვილი მხოლოდ გაიღიმებს, ინგა კი გულიანად გადაიკისკისებს...

სვეტა, *19 წლის:*

— ჭორაობის მსხვერპლი მეც არაერთხელ ვყოფილვარ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეროვნებით რუსი გახლავართ და ქართველები ამას ვერ „მპატიობენ“. სულ იმაზე აკეთებენ აქცენტს, რომ რუსი და უსისხლო ვარ. განსაკუთრებით, ისინი მიყურებენ ამრეზით, ვისაც რუსებთან ომის დროს ახლობელი ადამიანი მოუკლეს. იმას ვერ ხვდებიან, რომ მეც მათსავით შემტკივა გული თითოეული ადამიანის დაღვრილ სისხლზე, რომ მე ორმაგად ვიტანჯები, როცა რუსეთ-საქართველოს შორის რაღაც ცუდი ხდება. ჩემს სულში ჩახედვას არავინ ცდილობს და ადამიანები ჭრილობაზე მარილს მაყრიან... ამას წინათ შეყვარებულს ლამის დამაშორეს. გიორგი ქართველია, შევუყვარდი და ცოლობაც კი მთხოვა. მაშინ ვუთხარი, ცოტა ხანი კიდევ მოვიცადოთ, ჯერ პატარები ვართ და ოჯახის შექმნისთვის მხოლოდ ჩვენი სიყვარული საკმარისი არაა-მეთქი. მან დამიჯერა, მაგრამ ჩვენი ამბავი მშობლებს, ნათესავებს გავანდვეთ. მათ გადაწყვიტეს, ნიშნობა მოეწყოთ. ნიშნობის წინადღეს ჩემმა სადედამთილომ განაცხადა, — ყველაფერი უნდა გადავდოთო! მოგვიანებით, ამის მიზეზი თავად გიორგიმ მითხრა. დედამისისთვის მეზობელ ქალებს უთქვამთ: ეს რუსი გოგო რად გინდა, მას კაცებთან „გულაობის“ მოთხოვნილება სისხლში ექნება და შენს შვილს გაამწარებსო. როცა სადედამთილოს ჩემი დაცვა დაუწყია, უთქვამთ: ამაზე ლაპარაკი არ გვინდოდა, მაგრამ შენი ოჯახისთვის კარგი გვინდა და იძულებულები ვართ, სიმართლე ვაღიაროთ: ის გოგონა რუსეთში იყო გათხოვილი, შვილიც ჰყოლია, თურმე; ალბათ, ეს გიორგიმაც იცის, მაგრამ იმ გოგომ მოაჯადოვა და ეს აღარაფრად მიაჩნიაო. ჩემს სადედამთილოს გული წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ. ამ ამბავს დიდხანს მალავდა, მაგრამ როცა გიომ მკაცრად უთხრა: თუ არ იტყვი, ჩვენი ნიშნობის საწინააღმდეგო რა გაქვს, იცოდე, დღესვე წავალ სახლიდანო, — ყველაფერი აღიარა. თურმე გიოს სიცილი აუტყდა, მერე კი მეზობლის ქალებს დაერია და მათ აგინა კიდეც. რომელიღაცას თავი ასე უმართლებია: რა ვიცი, იმ გოგონას მეზობელმა გვითხრა ეს ამბავი და დავიჯერეთ, შენთვის კარგი გვინდოდა და დედაშენს ამიტომაც ვუთხარითო. სამწუხაროდ, მის მეზობლებს იმ ქალბატონის დასახელება არ სურთ, რომელმაც მათ ეს ამბავი შეატყობინა. ცხადია, ზღაპარი შეთხზეს და მისი ვიღაცისთვის გადაბრალება სურთ. ასეა, ჭორიკანა ადამიანების ავ განზრახვას ხშირად მივყავართ

ზაალ უდუმაშვილი ძალიან მომწონს. ის გაწონასწორებული პიროვნება, ნაკლებად ფეთქებადი მგონია

ზაალი და ინგა კარგი წყვილი იქნებოდა, მაგრამ ვიცი, ეს არასდროს მოხდება

ცუდ შედეგამდე. საბედნიეროდ, მე და გიო უკვე დავინიშნეთ და მალე ცოლადაც გავყვები, სხვების ჯინაზე!

— ბედნიერებას გისურვებ! საინტერესოა, თავად არასდროს გიჭორავია?

— თუ ცნობისმოყვარეობაც ჭორაობად მიიჩნევა, სხვის ცხოვრებაში ძალაუნებურად, ცხვირი მეც ჩამიყვია (*იცინის*), მაგრამ ბოროტება არასდროს გამიკეთებია (ღმერთმა დამიფაროს ამისგან).

— მაგალითად, ვის ცხოვრებაში ჩაგიყვია ცხვირი?

— გიოს ყოველთვის ძალიან მოსწონდა მაკა ასათიანი. ეს ქალბატონი მეც მომწონს და მასზე დღესაც ხშირად ვლაპარაკობთ.

— მასზე მაინც, რას ლაპარაკობთ?

— ძირითადად, მის სილამაზეზე ვაკეთებთ აქცენტს. სამწუხაროდ, არ ვიცით, დღეს როგორ ცხოვრობს, მაგრამ ცხადია, ის მდიდარია და შესაბამისად, ნაკლები პრობლემა ექნება. ალბათ, შვილების მოვლითაა დაკავებული. მჯერა, ის კარგი დედაა. მაკაზე დადებით რაღაცებთან ერთად, ბევრ სიბინძურესაც ამბობდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მისი შურდათ. მე ქალის არასდროს შემშურდება. პირიქით, როცა ლამაზ გოგონას დავინახავ, თავადაც მსიამოვნებს და თუ გიო მათ თვალს გააყოლებს, ეს ჩემთვის ტრაგედიის ტოლფასი ნამდვილად არ იქნება. მთავარია, სულიერად მე მოვწონდე, ვუყვარდე და სხვებს მხოლოდ თვალი გააყოლოს. კარგი იქნება, თუ მაკა ასათიანის შესახებ რაიმე დაიბეჭდება ან სატელევიზიო გადაცემა გაკეთდება... ასევე, ჩემს გარემოცვაში ხშირად ლაპარაკობენ თავად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზეც. ბევრი ამბობს, რომ ის ქალების მოყვარულია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს — ყველა კაცს უნდა მოსწონდეს ქალი და მანდილოსნების სილამაზის ნამდვილი დამფასებელი იყოს. ქალბატონ სანდრაზეც ბევრს ჭორაობენ საზოგადოებაში. მართალია, მასზე უმეტესობა კარგს ამბობს, მაგრამ ზოგიერთს ენა გაურბის და ისეთ რაღაცებს ამბობს, რასაც პირადად მე, ვერ დავიჯერებ. მერწმუნეთ, ბოროტ ადამიანებს უფალი სამაგიეროს აუცილებლად მიუზღავს, მათი ჭორაობით კი თავად სანდრა რულოვსსა და მაკა ასათიანს არაფერი დაუშავდებათ.



ქეთა თოფურია რომ ზურა ხაჩიძის ძველ სიყვარულზე ალაპარაკდა, ამაზე ბევრი ვიხალისე

ჭორიკანეგის დედოფალი:

— გამოგიტყდებით და, ჭორაობა ძალიან მიყვარს, მაგრამ მხოლოდ ცნობილ სახეებზე ვყბედობ. აბა, ჩემი მეზობლის, გელასა და მისი ცოლის ამბავი რაში მაინტერესებს? ეგ ხომ ისედაც ვიცი და მათი ჩხუბი ყელშიც მაქვს ამოსული. ცნობილები უფრო გემრიელად გასაჭორნი არიან, მეტ სალაპარაკოს გაძლევენ. ძალიან მაინტერესებს, ვინ როგორ ცხოვრობს, ვის ვინ მოჰყავს ცოლად, ვინ ვის და რატომ დააწყებინა სამსახური, „მის საქართველოს“ რა პრინციპით ირჩევენ და ა.შ.

— ბოლოს ვისზე იჭორავე?

— ქეთა თოფურია რომ ზურა ხაჩიძის ძველ სიყვარულზე ალაპარაკდა, ამაზე ბევრი ვიხალისე და ეს თემა მეგობრებთან ერთად კარგადაც განვიხილე. აუ, შენ წარმოიდგინე, ზურა როგორ ინანებდა, ასეთი შანსი რომ გაუშვა ხელიდან...

— მას ქეთაზე რომ ეფიქრა, სხვას არ შეირთავდა.

— მაშინ „დაბრმავებული“ იყო, ქეთას ვერ ამჩნევდა, მაგრამ ახლა, თოფურია ისეთი გალამაზებული და ჩამოყალიბებული დაგვიბრუნდა, აუცილებლად ინანებდა, ცოლი რომ შეირთო და მაგარი პონტი დაკარგა.

— ვფიქრობ, ის ახლაც მაგარ პონტშია, თავის ცოლთან და შვილთან ერთად...

— თუნდაც, ასე იყოს, მაგრამ ახლა, კარიერაში სრული უკანსვლა აქვს, ქეთა კი გზას რუსეთში და სხვა ქვეყნებშიც გაუკვალავდა... ისე, ძალიან მაინტერესებს, ვინაა თოფურიას შეყვარებული. ამბობენ, ვიღაც რუსიაო, მაგრამ ამის ნაკლებად მჯერა. ჩემი აზრით, ის იტალიელი ან ესპანელი იქნება.

ბევრს ვხალისობ იმაზე, რომ ყველგან და ყველაფერზე თავისი ინიციალების მიწერა უყვარს

— ასე რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ ქეთასნაირი ტემპერამენტის მქონე ადამიანს რუსი კაცი ვერაფერს დააკლებს. მას დიმა ბილანთანაც ჰქონია რაღაც და აქედან გამომდინარე, მასზე ცუდ ტიპს აღარც უნდა შეხედოს. რა ვიცი, მის ადგილას მე ასე მოვიქცეოდი და... ისე, მაგარი ნაშა დადგა, არა? ნეტავ, ამ ყველაფერთან დაკავშირებით, მის მშობლებს როგორი რეაქცია აქვთ?..

— ქეთას გარდა, ყველაზე ხშირად, ვინაა შენი ჭორაობის ობიექტი?

— ყველა ქართველ მომღერალზე ვჭორაობ. ადრე ქართულ შოუბიზნესში რაღაცები ხდებოდა, ახლა კი ყველაფერი მოკვდა, აქა-იქ თუ გამოანათებენ ვიღაცები ციცინათელებივით და მალევე იხევენ უკან. ერთი ნინო ჩხეიძე ცდილობს გავარსკვლავებას, თუმცა, მისი სიმღერების არაფერი მესმის და მასზე ჭორაობის სურვილიც იშვიათად მიჩნდება. ბევრს ვხალისობ იმაზე, რომ ყველგან და ყველაფერზე თავისი ინიციალების მიწერა უყვარს. ამას წინათ, რაღაცის პრეზენტაცია მოუწყვია. მისულ საზოგადოებას თურმე, ტორტიც მიართვეს და შენ წარმოიდგინე, მასზეც კი ნინოს ინიციალები და მისი სახე ყოფილა აღბეჭდილი. ვა, რა იშოვა, კაცო, ამდენი?!.

— ახლა შენზე იტყვიან, რომ ნინოსი გშურს...

— ეს დიდად არ მანაღვლებს. მე ერთი უცნობი ქალი ვარ, რომლის ცხოვრებაც ისეთი ფერმკრთალია, რომ საჭორაოს ვერაფერს იპოვი. ჰოდა, უცხოებმა გინდ ბოროტი მეძახონ და გინდ, სიკეთით სავსე, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მე ხომ ვიცი, სინამდვილეში ვინც ვარ (*იცინის*)! ■

www.elva.ge
365

ᲡᲝᲡᲔᲚᲝᲡ „ᲛᲐᲛᲝᲑᲘᲚᲘ“ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲤᲣᲠᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲘᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘ�გᲡ ᲛᲘᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲙᲐᲛᲐᲗᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ, ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ. ᲛᲘᲡᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ „ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲭᲘᲚᲘᲐ“, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲡ“. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ — ᲘᲐᲙᲝᲑ ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ... ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ, ᲕᲔᲠ ᲐᲮᲓᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲐᲡ „ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ“ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲐᲛ ᲘᲓᲣᲛᲐᲚ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲡ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲣᲪᲜᲝᲑ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲮᲘᲠᲡᲔᲚᲘ

სოსო (სოსელო) ჯუღაშვილის ბავშვობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იაკობ ეგნატაშვილის ოჯახთან. იაკობს მომავალი ბელადის უფროსი ძმები მოუნათლავს, რომლებიც ადრეულ ასაკში ტიფით დაიღუპნენ. კეკეს (სტალინის დედას — ეკატერინე გელაძეს) უთქვამს: კარგი კაცი ხარ, იაკობ, მაგრამ მძიმე ხელი გაქვს და სოსოს შენ აღარ მოგანათვლინებო...

იაკობი განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა პატარა სოსოს მიმართ, სწავლის გადასახადსაც კი უხდიდა. ამ გარემოებამ საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა და ეჭვი წარმოშვა; ბევრ პუბლიკაციაში გაჩნდა ვერსია — თითქოს იოსებ სტალინი იაკობ ეგნატაშვილის უკანონო შვილი იყო.

იაკობ ეგნატაშვილი

ამ ხმებს ალბათ ისიც ამყარებდა, რომ მილიონობით ადამიანის კერპად ქცეულმა გორელმა ბიჭმა ეგნატაშვილების ოჯახი არ დაივიწყა: იაკობის შვილი — ალექსანდრე და შვილიშვილი — გიორგი საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნა: გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილი წლების მანძილზე, სამთავრობო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის — ნიკოლოზ ვლასიკის მოადგილე იყო, სამეურნეო დარგში, მისი შვილი გიორგი კი საკავშირო პროფკავშირების თავმჯდომარის, ნიკოლოზ შვერნიკის პირადი დაცვის უფროსად მუშაობდა. გიორგის შვილი — ნათელა ეგნატაშვილი წლების მანძილზე მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი გახლდათ; ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და შვილიშვილი. სტალინისა და იმ რთული ეპოქის შესახებ ბევრ საინტერესო და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ ამბავს გვიყვება, რომელიც დიდ ბელადთან დაახლოებული მამისა და ბაბუისგან მოუსმენია. ბავშვობაში მოსკოვსა და კუნცევოს აგარაკზე ცხოვრებისას, თავადაც ბევრი საინტერესო ფაქტის მომსწრე გამხდარა. პირადი არქივიდან, სტალინის უცნობ ფოტოებსა და სხვა საინტერესო სურათებსაც გვთავაზობს.

ალექსანდრე და გიორგი ეგნატაშვილები

ნათელა ეგნატაშვილი შვილიშვილთან ერთად

— სტალინის დედა ოჯახებში მსახურობდა და ჩემი დიდი პაპის ოჯახშიც მოდიოდა: რეცხავდა, კერავდა, პურს აცხობდა... პატარა სოსო ამ ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. იაკობი თურმე დასვამდა ხოლმე მას მაგიდასთან და ყაზბეგისა და ილია ჭავჭავაძის წიგნებს უკითხავდა. ორივეს განსაკურებით მოსწონდა ყაზბეგის „მამის მკვლელი“, სადაც მთავარი გმირი — რაინდული სულის კობა თავგანწირვით იბრძვის სიმართლისთვის. ალბათ ამიტომაც, სახელი — „კობა“ სტალინის პირველი „ფსევდონიმი“ გახდა. სოსო კეკეს მესამე შვილი იყო. მიხეილი ერთი წლის ასაკში დაიღუპა, გიორგი — ჩვილობაში. ორივეს ნათლია პაპაჩემი იაკობი გახლდათ. პატარა სოსომაც მოიხადა ტიფი, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა.

— გამიგონია, იაკობი გორის კოლორიტი იყო...

— ცოცხალი ლეგენდა! 86 წელი იცოცხლა. ამაყი, ძლიერი, დამოუკიდებელი, ახალგაზრდობაში ბეჭდაუდებელი ფალავანი გახლდათ. მდიდარიც იყო. ღვინით ვაჭრობდა, ჰქონდა ვენახები. მთელ საქართველოში განთქმული იყო მისი მუშტი. პატარა სოსოს უყვარდა კრივის ყურება. ქალაქი მაშინ ორ ნაწილად იყოფოდა — ქვემო და ზემო უბნებად. იაკობი ზემოუბნელი გახლდათ. ჯერ პატარა, ყვინჩილა ბიჭები იწყებდნენ ძიძგილაობას, მერე — მოზრდილები, სულ ბოლოს — მამაკაცები „ჩაუდგებოდნენ ჯიბრად“ ერთმანეთს. ერთ-ერთი ორთაბრძოლის დროს (1896 წელი იდგა) ადგილობრივმა ბოქაულმა ვერ დაიმორჩილა გორელები და საქმეში მაზრის უფროსი — ზურაბ ერისთავი ჩაერია,

პოლიციით. ხალხი გარეკეს. მერე აკრძალეს კრივიც და საჯარო ჭიდაობაც. მაშინ ძმებს — იაკობსა და მიხაკას ქართული ჭიდაობა სოფლის დღეობაზე გადაუტანიათ... ეს ტრადიცია ახლაც ძალაშია. ერთხელ გორში ამილახვრები რუსეთის მეფეს, ნიკოლოზ პირველს შეხვდნენ. დიდი სუფრა გაიშალა. თამადად იაკობი ყოფილა. უძირო ყანწებით უსვია ღვინო. მეფის სადღეგრძელო თაბახით შეუსვამს, ალავერდს ძმასთან — მიხაკასთან გადასულა. გიორგი ლეონიძე წერდა:

„ეგნატაანთ იაკობა,
მოდის, როგორც გემი ზღვაში,
მის მუშტს უნდა განა მკობა?
ვენაცვალე ბიჭს ულვაშში!
მას რა ძალა დააკავებს?
უთხლაშუნებს მძიმე მკლავებს!..“

— იაკობის შთამომავლებიც გამოირჩეოდნენ ძლიერი მუშტით?

— მამაჩემი, გიორგი ეგნატაშვილი ახალგაზრდობაში აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ეწეოდა, გატაცებული იყო ბერძნულ-რომაული ჭიდაობით. რამდენჯერმე წარმატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. იაკობმა შვილებს ერთმანეთის სიყვარული და თანადგომაც ასწავლა. 1928 წელს ალექსანდრე დააკავეს, მაგრამ მისმა უმცროსმა ძმამ, ვასომ მოახერხა ის, რომ ალექსანდრეს მაგივრად საპატიმროში შევიდა, ის კი სტალინთან გაემგზავრა. ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, — ნათქვამია. დიდ სტალინთან შეხვედრამ შედეგი გამოიღო. ძმები გაათავისუფლეს, ალექსანდრე კი სტალინმა ყირიმში, დასასვენებელი სახლების ქსელის დირექტორად დანიშნა.

— ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ სტალინმა თავის პირმშოს იაკობი დაარქვა. რას გვეტყვით იაკობ ჯუღაშვილზე?

— როდესაც 1931 წელს მამა მოსკოვში გადავიდა, თავიდან, მთელი თვე იაკობ ჯუღაშვილთან ცხოვრობდა. მართალია, იაკობი მასზე 7 წლით უფროსი იყო, მაგრამ ისინი ძალიან დამეგობრდნენ. გიორგი და იაკობი ერთად დადიოდნენ კრივის შეჯიბრებაზე, თამაშობდნენ ბილიარდს სასტუმრო „მეტროპოლში“. იაკობს თურმე მთელი ღამე შეეძლო, ეთამაშა ბილიარდი... მან მამაჩემი სამუშაოდ, ელექტროსადგურში მოაწყო, მაგრამ მძღოლის კურსებზე დაიწყო სიარული და სამუშაოც იქ მისცეს. მერე იაკობს ავტომობილის მართვა ასწავლა. ის-ის იყო, გამოჩნდა „ემკა“, რომ იაკობს მამამისმა აჩუქა... მამაჩემი ამბობდა, რომ იაკობი საოცრად კეთილი ბიჭი იყო. ის თურმე ხშირად დადიოდა მამასთან ყირიმში, როცა პაპა დასასვენებელი სახლების დირექტორად მუშაობდა. ერთხელაც, სანადიროდ წავიდა ტყეში, რომელიც ფრიალო კლდეებზე იყო გაშლილი. საკმაოდ შეაგვიანდა. როცა გამოჩნდა, ძაღლი ორივე ხელში აყვანილი მოჰყავდა, თოფი მხარზე გადაეკიდა... მამას უკითხავს: ძაღლი ხომ არ დაიჭრაო? იაკობს გასცინებია: დაიღალა და ხელში ავიყვანეო...

— იაკობ ჯუღაშვილის ტყვეობასთან დაკავშირებით რა იცით?

— იაკობი ომის პირველსავე დღეებში მოწინავე ხაზზე იყო. ცნობილია — როცა ტყვედ ჩავარდა, გერმანელებმა სტალინს შესთავაზეს, შვილი სტალინგრადთან დატყვევებულ ფელდმარშალ პაულიუსზე გაეცვალა... ომის დროს, როცა გერმანელები სმოლენსკს ტოვებდნენ, ჩემი ბებია და დედა ერთად დახვრიტეს... სასწაულმა გადამარჩინა. მას შემდეგ, საშა პაპასთან, კუნცევოს აგარაკზე ვცხოვრობდი. მახსოვს, ერთ დღეს, პაპაჩემს იაკობის მეუღლე — იულია ბელცერი ქალიშვილ გალინასთან ერთად ეწვია. მას იმედი ჰქონდა, რომ საშა ეგნატაშვილი შეძლებდა სტალინის დარწმუნებას, გადაწყვეტილება იაკობის სასარგებლოდ მიეღო. სანამ პაპა მოვიდოდა, მე და გალინა ლექსების თქმაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მე 6 წლის ვიყავი, გალინა კი შვიდის. როდესაც პაპა ოთახის ზღურბლზე გამოჩნდა, იულიამ ხელი დაავლო გალინას და პაპას ფეხებში ჩაუვარდა. ჩექმებზე ეხვეოდა და ემუდარებოდა: გადაურჩინეთ გალინას მამა, თქვენი ავტორიტეტით, დაარწმუნეთ იოსებ ბესარიონოვიჩი, რომ მოხდეს გაცვლა; მან დაიმსახურა, თავისი შვილი ნახოსო... ეს დაუვიწყარი სცენა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გონებასა და გულში. ბელადის პასუხი ცნობილია: ფელდმარშალს ჯარისკაცზე არ ვცვლიო...

ვასილი, ჭდანოვი, სვეტლანა, იოსები და იაკობი

— პირადად თუ გინახავთ სტალინი?

— 6 წლის ვიყავი, როდესაც სტალინი კუნცევოს აგარაკზე გვესტუმრა. ღამაზად გამომაწყვეს და საპატიო სტუმართან წარმადგინეს. სტალინმა მუხლებზე დამისვა, მომეფერა და ლექსებისთვის შემაქო. — აბა, თქვი, ვინ გიყვარს ყველაზე მეტადო? — ჩამაცივდნენ ჩემიანები. ჩვეულებრივად ვუპასუხე: ყველაზე მეტად, ამხანაგი სტალინი მიყვარს-მეთქი. ეს პასუხი არ იყო ხელოვნური — ომის დროს ბავშვების უმეტესობა ასე ფიქრობდა. მჯეროდა, დარწმუნებული ვიყავი იმაში, რასაც ვამბობდი... ეს არ არის სწორი, — მითხრა სტალინმა, — ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეს დედა, შენი სამშობლო და მერე, ვინც გინდაო.

— სხვა დროსაც თუ ყოფილა სტალინი თქვენს აგარაკზე?

— თვეში ორ-სამჯერ საშა პაპა ბელადთან ვახშმობდა. სტალინი თურმე არ თვრებოდა, ძალიან პატარა ჭიქებით სვამდა ქართულ ღვინოს. პაპა ყოველთვის შეფიქრიანებული ბრუნდებოდა იქიდან. ერთ-ერთ ვახშამზე სტალინმა მას ჰკითხა: — საშა, დათა გასიტაშვილი ცოცხალიაო? — ცოცხალია, სოსო, ახლა უკვე 80 წლისა იქნებაო... დათა გასიტაშვილი სტალინის მამის — ბესარიონ ჯუღაშვილის შეგირდი გახლდათ, ასაკით სტალინზე უფროსი იყო და პატარა სოსო ხშირად მხრებზე შესმული უტარებია... დათა მოძებნეს და დაახლოებით 10 დღეში მოსკოვში ჩაიყვანეს. ჩვენთან, აგარკზე დაასახლეს. ეს იყო 1938 წელს. სტალინმა დაურეკა დათას და უთხრა, რომ ძალიან გაუხარდა მისი ჩამოსვლა, თან დასძინა: გადაუდებელ საქმეებს რომ მოვრჩები, აუცილებლად გნახავ, მერე დავსხდეთ და გემრიელად ვილაპარაკოთო... გავიდა შემოდგომა, ზამთარი, დადგა გაზაფხული. სტალინი დროდადრო ურეკავდა და ბოდიშს უხდიდა დათას, რომ დრო ვერ გამონახა. ბოლოს მოხუცმა თქვა: მეტს ვეღარ დაველოდები და გორში ვბრუნდებიო!.. 1939 წლის 6 მაისს საშა პაპა სახლში რეკავს: მოემზადეთ, მოვდივართო! სტალინი, ვლასიკთან და ბერიასთან ერთად მოვიდა. მამა იხსენებდა: სტალინს შინელი მე ჩამოვართვი, საკიდარზე ჩემი შინელის გვერდით რომ დავკიდე, შემრცხვა: — ჩემი შინელი ბევრად უკეთესი იყო — აბრეშუმის სარჩულზე, მისი კი — სატინის სარჩულზეო... ჩვენს ოჯახში დიდი სუფრა გაიშალა. ქართულად საუბრობდნენ, გორული აქცენტით. ხან რას იხსენებდნენ, ხან — რას... სტალინი გორულად უქცევდა: — მითხარი, დათა, გორიდან რომ ატენში მიდიხარ, მოსახვევში, ხიდისთავთან დიდი ქვა იდო, ის ქვა ისევ იქ არისო?.. დათამ უპასუხა. მერე მკლავები აიკაპიწა და უთხრა: — რა გგონია, შენ ჩემთვის ისევ ის სოსო ხარ! ახლა ჩაგხდი ამ ლაპლასებიან შარვალს და ისე მოგცხებ, რომ ერთ ადგილს შენი დროშისფრად აგიწითლებო. ყველა გაშეშდა... სამარისებური სიჩუმე ისევ სტალინის გულიანმა სიცილმა დაარღვია. ყველამ შვებით ამოისუნთქა და ბელადს სიცილში აჰყვა.

სტალინი დათას დაემუქრა: — მე კიდევ გესტუმრები შენ გორში და ერთ 20 კაცს ჩამოგიყვანო. — არ გაბედო, მე ჩემს ერთ ოთახში ამდენ ხალხს ვერ დავტევო, — შეიცხადა დათამ. იმ დღეს, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც ბევრი იმხიარულეს.

— როგორც ვიცი, ცნობილ ყირიმის კონფერენციაზე, სადაც დიდი სამეულის (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) შეხვედრა შედგა, თქვენც ახლდით პაპათქვენს.

— კონფერენცია 1945 წლის თებერვალში ჩატარდა. პაპა ყირიმში იყო მივლინებული და მეც თან ვახლდი. ომის პერიოდში საშას ყველგან თან დავყავდი. თუ

რაიმე დაგვემართება, ერთად დაგვემართოს, არ მინდა, უპატრონოდ დარჩეო, — მეუბნებოდა... ჩვენს სახლში საორგანიზაციო საკითხები წყდებოდა. მახსოვს, როგორ მოვიარეთ პაპასთან ერთად, ავტომანქანით ობიექტები — ყირიმი გერმანელების მიერ იყო დაბომბილი და გადარჩენილი შენობები ჰქონდა შესარჩევი... საღამოს ჩვენთან ნიკოლაი ვლასიკი და ვიღაც ლამაზი, შავგვრემანი ქალი მოვიდნენ. ისინი დიდი სტუმრების მენიუს ადგენდნენ. ეს ქალი დეგუსტატორი ყოფილა... სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი ცალ-ცალკე სასახლეში განათავსეს. როდესაც იალტაში დიდი სამეულის კონფერენცია მიმდინარეობდა, რადიოთი „ბლეფი“ ინფორმაცია ვრცელდებოდა: მხარეები ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ შეხვედრის ადგილზე, ჩერჩილს და რუზველტს პრეტენზიები აქვთო. ცრუინფორმაცია იმისთვის იყო საჭირო, რომ ქალაქი გერმანელებს არ დაებომბათ.

— გიორგი ეგნატაშვილი სად იყო ამ დროს?

— მამა ამ ისტორიული მოვლენის უშუალო მონაწილე გახლდათ. თურმე შეხვედრაზე, როცა სამივე სახელმწიფოს მეთაური სამუშაო მაგიდას მიუახლოვდა, სამმა ოფიცერმა მათთვის სკამები გამოსწია. დაჯდომისას სტალინმა იქვე მდგომ, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ გიორგის შეხედა და ქართულად გადაულაპარაკა: ბიჭო, ამათ მე კუტი ხომ არ ვგონივარო?!..

— ეგნატაშვილებს ხომ არ დაგრჩათ რაიმე განსაკუთრებული ნივთი, რომელიც სტალინის სახელს უკავშირდება?

— 1940 წელი იდგა. პაპამ ვახშმის შემდეგ, ღამის პირველ თუ ორ საათზე სტალინი გაიცილა. შინ რაღაც შეკვრით ხელში დაბრუნდა. ყველა გაოცდა და შეკვრა საზეიმოდ გახსნა. იქიდან 80-90 სმ სიგრძის, ჯაყვის მსგავსი დასაკეცი დანა ამოიღო (ნატიფი ნაკეთობა, ანტიკვარი); დანის პირზე ასეთი წარწერა იყო: „ეს ტოლედოში დამზადებული ნივთი სტალინს, მადლიერების ნიშნად, ნორგო კობალიერმა უსახსოვრა“ (1936 წელს სტალინი ნორგოს, დიქტატორ ფრანკოსთან ბრძოლისას ეხმარებოდა). ულამაზესი, განსაცვიფრებელი ნივთი იყო. ყუთში, დიდი დანის გვერდით იდო დაშნის მსგავსი მეორე, საკანცელარიო დანა, და კიდევ — ვაზის ფორმის, ბრინჯაოს საფერფლე, რომლის სიმაღლე 15 სანტიმეტრი იქნებოდა. ეს საჩუქარი მიართვა პაპას სტალინმა, თან დასძინა: „საშა, ჩვენმა ბავშვობამ ერთად ჩაიარა, მე არ მავიწყდება ის წლები და განსაკუთრებით, გორი. ეს საჩუქარი მიიღე, ნიშნად ჩვენი ბავშვობის დღეების მოგონებისა...“

— სტალინის საჩუქარზე — გერმანულ ავტომანქანაზეც გვიამბეთ.

— 1939 წელს საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერასა და სტალინის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ადოლფ ჰიტლერმა საბჭოეთის მეთაურს საჩუქრად გერმანული მსუბუქი ავტომანქანა გამოუგზავნა. ძალიან ლამაზი და მოხერხებული მანქანა გახლდათ. მაგრამ სტალინი არ ჩაჯდა და საშა პაპას „გადაულოცა“.

— თვითონ რატომ არ ჩაჯდა?

— ხშირად მიფიქრია ამაზე. ეს ან საბჭოთა საავტომობილო ინდუსტრიისადმი პატრიოტიზმის გამოვლენა იყო, ან სტალინმა ადოლფის წინაშე „პოზა დაიჭირა“, რომ მასთან დისტანცია შეენარჩუნებინა. ასე იყო თუ ისე, ჰიტლერის მანქანა საშას ხელში აღმოჩნდა. მანქანას განსაკუთრებული სიგნალის ხმა ჰქონდა. როცა მანქანა ჩვენს სახლს უახლოვდებოდა, მძღოლი გვატყობინებდა სიგნალით, თუ რა ხასიათზე ბრუნდებოდა პაპა: მას ჩვენთვის „პაროლი“ ჰქონდა შემოღებული, რაც იმაში გამოიხატებოდა, თუ რამდენჯერ და რა ინტენსივობით აჭერდა კლაქსონს... საშა პაპა ძალიან მკაცრი და მომთხოვნი გახლდათ. ყველანი ვცდილობდით, გვესიამოვნებინა, ღირსეულად შევხვედროდით. წასვლის წინ ყველას დავალებას გვაძლევდა, მერე კი გვეკითხებოდა, — აბა, დღეს რა გააკეთე შენი ოჯახისა და სამშობლოსთვისო?..

— ახლა სად არის ჰიტლერის ნაჩუქარი ავტომობილი?

— მოსკოვის კინოსტუდიამ შეისყიდა. ამ ავტომანქანით, მეორე მსოფლიო ომის ამსახველ ფილმებში „გერმანელი ოფიცრები“ სარგებლობენ...

6 ივნისს, მოსკოვის მახლობლად მდებარე ტყეში ოპოზიციონერთა საიდუმლო კრება ჩატარდა. მისმა ორგანიზატორებმა პაროლებზეც იზრუნეს, პატრულიც დააყენეს და კონსპირაციის სხვა საშუალებებიც მოიშველიეს. ამ კრების ორგანიზებაში ზინოვიევიც მონაწილეობდა, ხოლო სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ლაშევიჩი თავის გამოსვლაში პირდაპირ მოუწოდებდა ცეკას წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

მანამდე ცოტა ხნით ადრე, მაისის დამლევს, სტალინი საქართველოში გაემგზავრა, რათა ჰიდროობიექტებს შორის ამიერკავკასიაში პირველი — ზემოავჭალის ელექტროსადგურის გახსნაში მონაწილეობა მიეღო. ერთ საღამოს, ის თბილისის საოპერო თეატრში სპექტაკლს — „თამარ ცბიერი“ — დაესწრო და კომპოზიტორ ბალანჩივაძესაც ესაუბრა. შემდეგ, 8 ივნისს, დაესწრო მუშათა კრებას რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც მისი, როგორც რევოლუციონერის გზა იღებდა სათავეს. ის 4 ივლისს გამოემგზავრა მოსკოვს, სადაც დიდი ბრძოლა ელოდა.

ცეკას პლენუმზე, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში გაიმართა, მის წინააღმდეგ კვლავ გაილაშქრეს ოპოზიციონერებმა. ზინოვიევ-კამენევის ფრაქციის წევრებმა კვლავ წამოსწიეს ლენინის ე.წ. „ანდერძის“ საკითხი და მისი ტექსტი პლენუმის წევრებს შორის გაავრცელეს. ამის საპასუხოდ, სტალინმა, პოლიტბიუროს დავალებით, ლენინის წერილის სრული ტექსტი წაიკითხა.

„ანდერძის“ და მასში სტალინის ლენინისეული დახასიათების საკითხი ოპოზიციონერებმა მომდევნო წელს, ოქტომბრის პლენუმზეც მოიშველიეს. ამ პლენუმზე საგანგებოდ განიხილებოდა ოპოზიციის საკითხი, წარმოდგენილი იყო მოხსენება ტროცკისა და ზინოვიევის ფრაქციული საქმიანობის შესახებ. გაიმართა კამათი, რომლის დროსაც თავიანთი შეხედულებები, პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ ბრალდებები გამოთქვეს ოპოზიციონერებმა.

თავისი გამოსვლისას სტალინმა თქვა:

— პირველ რიგში, პირად საკითხს შევეხები. თქვენ გესმოდათ, თუ რა მონდომებით ლანძღავენ ოპოზიციონერები სტალინს. ეს სულაც არ მაოცებს, ამხანაგებო. ის ფაქტი, რომ მთავარი იერიში სტალინზე მოდის, იმით აიხსნება, რომ ის ყველაზე უკეთაა გაცნობიერებული ოპოზიციონერთა ხრიკებში და ხვდებიან, მისი მოტყუება არცთუ ისე იოლია. ამიტომაც ცდილობენ, დარტყმა პირველ რიგში, სტალინს მიაყენონ. რა გაეწყობა, ილანძღონ, რამდენიც უნდათ... მეტსაც გეტყვით — ჩემთვის ღირსების საგნად მივიჩნევ იმ გარემოებას, რომ ოპოზიცია მთელ თავის სიძულვილს სტალინისადმი ანთხევს. ასეც უნდა იყოს. ვფიქრობ, უცნაურიც იქნებოდა და საწ-

MK

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“

სტალინი დროს უქმად არ კარგავდა. ყრილობიდან ორი კვირის შემდეგ, 1926 წლის 18 იანვარს, ლენინგრადის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელად ზინოვიევის ნაცვლად სტალინის მეგობარი და ერთგული თანამოაზრე, სერგეი კიროვი აირჩიეს, ხოლო ზინოვიევი ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ცოტა ხანში, მოსკოვში ასევე გადააყენეს კამენევი.

ოპოზიციონერებმა, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას იყენებდნენ, გაზეთების ფურცლებიდან ერთიანად გაილაშქრეს სტალინზე. ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი გამოდიოდნენ სტიქიურად მოწყობილ მიტინგებზეც და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ბოლშევიკი ჩაეთრიათ პარტიის მთავარი შტაბის საწინააღმდეგო დისკუსიაში, აყალიბებდნენ იატაკქვეშა ჯგუფებს.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-31

ყენიც, ოპოზიცია, რომელიც პარტიის დანგრევას ლამობს, სტალინს აქებდეს, რადგან ის პარტიულობის ლენინისეულ საფუძვლებს იცავს...

და კვლავ გაისმა ლენინისეული კრიტიკის საკითხი, რომელიც მის „ანდერძში“ სტალინის მიმართ იყო გამოთქმული. გენმდივანი ამ წერილის დამალვაში დაადანაშაულეს. სტალინმა მათ ასე უპასუხა:

— ამბობენ, ამ „ანდერძში“ ლენინი, რომელიც ამას სტალინის „ხისტობით“ ასაბუთებდა, სთავაზობდა ამხანაგებს, გენერალური მდივნის პოსტზე მისი შეცვლის საკითხი განეხილათ. მართალია, მე ხისტი ვარ. დიახ, ხისტი ვარ, ამხანაგებო, მათ მიმართ, ვინც ხისტად და ვერაგულად ანგრევს და ხლეჩს პარტიას. ეს არც ადრე დამიმალავს და არც დავმალავ. არც შემიძლია, ლმობიერი ვიყო ამ ხალხის მიმართ. X ყრილობის პირველ პლენუმზეც მივმართე ამხანაგებს განცხადებით, გავეთავისუფლებინე გენერალური მდივნის მოვალეობისგან. ყრილობამაც განიხილა ეს საკითხი. თითოეულმა დელეგაციამ იმსჯელა და ყველამ ერთსულოვნად — მათ შორის, ტროცკიმაც, ზინოვიევმაც — დააკისრა სტალინს, ამ პოსტზე დარჩენელიყო. მაშ, რა შემიძლია, მოვიმოქმედო? გავიქცე ამ პოსტიდან? ეს არ მახასიათებს — არც ერთი პოსტიდან არ გავქცეულვარ და არა მაქვს უფლება, გავიქცე, რადგან ეს დეზერტირობის ტოლფასი იქნებოდა. მე დამოკიდებული, კანონმორჩილი ადამიანი ვარ და როცა პარტია მავალდებულებს, უნდა დავემორჩილო...

პლენუმმა ტროცკისა და ზინოვიევის ფარული ფრაქციული საქმიანობის საკითხი განიხილა და ეს ადამიანები ცეკას შემადგენლობიდან გაიყვანა. მაგრამ ისინი არა მარტო დისკუსიას განაგრძობდნენ, არამედ ღია გამოსვლებსაც მიჰყვეს ხელი. 1927 წლის 7 ნოემბერს, რევოლუციის მე-10 წლისთავზე, მოსკოვსა და ლენინგრადში ალტერნატიული მანიფესტაციები ჩაატარეს.

სტალინის სტრატეგიული გენიალობა იმ მოთმინებასა და თავშეკავებაში გამოიხატა, რომელიც მან გამოიჩინა, როცა ჯერ კიდევ არ ფლობდა გადამწყვეტ ძალაუფლებას (ის ტროცკისა და მის თანამოაზრეთა ხელთ იყო), ამიტომ დისკუსიას მართავდა ოპოზიციონერებთან და ამასთანავე, თანდათან იმაგრებდა ზურგს, იმრავლებდა თანამოაზრეებს, იხვეჭდა პარტიისა და ხალხის ნდობას.

ყველაზე დიდი ბრძოლა — ჯარისთვის ბრძოლა — მან წინა წლებში გადაიტანა, როცა სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი) ლევ ტროცკი ფაქტობრივად, მთლიანად აკონტროლებდა არმიას. სამოქალაქო ომის დროს მან უდიდეს პოპულარობასა და ძალაუფლებას მიაღწია, თითქმის ყველა სამეთაურო და პოლიტიკურ თანამდებობაზე მისი ერთგული ადამიანები ინიშნებოდნენ. საჭირო იყო, ეს ძალაუფლება ტროცკისთვის გამოეცალა.

სტალინი სამხედრო წრეებში ფართო მხარდაჭერით არ სარგებლობდა, მას მეტი გავლენა რეგიონულ ორგანიზაციებში ჰქონდა. ამიტომ, 1923 წელს, მან მოიწვია პლენუმი, რომელზეც ტროცკისთან ბრძოლაში პარტიის მხარდაჭერას მიაღწია. შემდეგი ნაბიჯი — სამხედრო-რევოლუციური საბჭოს პოლიტსამმართველოს უფროსის თანამდებობიდან ტროცკის ერთგული ანტონოვ-ოვსეენკოს შეცვლა გახდა. ამ პოსტზე 1924 წელს, სტალინის ერთგული ვოროშილოვისა და ბუდიონის მხარდაჭერით, ბუბნოვი დანიშნეს. შემდეგ, მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელსაც ჯარში არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლა. მისი დასკვნით, გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომლებიც „არმიის დაშლის საფრთხეს შეიცავს“ და დაისახა შეიარაღებული ძალების გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამა. დასახული ამოცანების გადაწყვეტა დაევალა სტალინის ერთგულ მიხაილ ფრუნზეს, რომელიც ჯერ ტროცკის მოადგილედ დაინიშნა (მისი ერთგული სკლიანსკის ნაცვლად), შემდეგ კი შეთავსებით, არმიის შტაბის უფროსად და სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელადაც. ამასთანავე, ჯერ კიდევ თავმჯდომარედ დარჩენილ ტროცკის, სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში გვერდში ამოუყენეს სტალინის ერთგული კადრები: ვოროშილოვი, ბუდიონოვი, ორჯონიკიძე, ბუბნოვი, ხოლო მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლად, ტროცკისტი მურალევის ნაცვლად, ვოროშილოვი დანიშნეს.

1924 წლის დამლევისთვის უკვე შემზადებული იყო ტროცკის თანამდებობიდან მოხსნის ნიადაგი. 1925 წლის იანვარში ცეკას პლენუმმა განიხილა ტროცკიზმის, როგორც პარტიისაგან ჯარის მოწყვეტის საშიშროების შემცველი მოვლენა და ტროცკი სამხედრო-რევოლუციური საბჭოს და სამხედრო მინისტრის პოსტებიდან გაათავისუფლა. პირველ თანამდებობაზე ის მიხაილ ფრუნზემ შეცვალა, მეორეზე — კლიმენტ ვოროშილოვმა. ამასთანავე, პოლიტსამმართველო საბჭოს გამოეყო და უშუალოდ არმიის დაქვემდებარებაში გადავიდა, თან, მას პარტიის ცეკას განყოფილების უფლებები მიენიჭა. ამგვარად, ჯარის პარტიული ორგანოები უკვე უშუალოდ ცეკას და მის გენერალურ მდივანს — იოსებ სტალინს დაექვემდებარა.

P.S. შემდეგ ნომერში — „დარტყმა ზურგში“: როგორ მოიკლა თავი ნადეჟდა ალილუევამ.

ქრისტიანული ეკლესიის დაბადების დღე, იუდეველთაგან დევნილი ქრისტიანები და პირველი საეკლესიო მსახურებები

„გზის“ დღევანდელი ნომრიდან მოგითხრობთ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას. როდის დაარსდა ახალი აღთქმის ეკლესია და რა დანიშნულება აქვს მას? ვინ იყვნენ მისი პირველი წევრები? სად აღესრულებოდა პირველი მსახურებები? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

მორენა მერკვილაძე

— ვიდრე ეკლესიის ისტორიაზე დავიწყებთ საუბარს, განვმარტოთ, რას ნიშნავს სიტყვა „ეკლესია“. ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ეკლესია ფიზიკურად აგებული ტაძარი, თვალით დანახული შენობა ჰგონია...

— „ეკლესია“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად კრებულს ნიშნავს, ანუ ეკლესია არის მორწმუნეთა კრებული, სადაც ადიდებენ უფალს. ყველა ტაძარს თავისი ფორმა აქვს, მაგრამ შესაძლოა, საგანგებოდ მოწყობილ ოთახშიც აღვავლინოთ ღვთისმსახურება. ეკლესია არ არის ფიზიკური სხეული, არამედ ამ ფიზიკურად აგებულ სხეულში შეკრებილი ადამიანები — სასულიერონი და მრევლი ერთობაში აღიქმება ეკლესიად, ხოლო იმის გამო, რომ ეკლესიად იწოდება მართლმორწმუნეთა კრებული, მათ შესაკრებელ ადგილსაც, რომლის შესატყვისიც არის ტაძარი, ეკლესიად მოვიხსენიებთ.

ეკლესია ხილული სამყაროს, ადამის გაჩენამდეც არსებობდა. მისი წევრები იყვნენ ზეციური ანგელოზები. ადამის გაჩენის შემდეგ დაარსდა ქვეყნიური ეკლესიაც და მის პირველ კრებულს ადამი და ევა, შემდგომ კი ძველი აღთქმის მართალნი შეადგენდნენ. მოგვიანებით, მოსე წინასწარმეტყველი ღვთის ბრძანებით ააგებს მოძრავ ტაძარს — ღვთის ჭეშმარიტი მსახურებისთვის განკუთვნილ შენობას, ანუ იგება ძველი აღთქმის ეკლესია ხილული სახითაც. რაც შეეხება ქრისტიანული, ახალი აღთქმის ეკლესიას, მისი დაარსება მოხდა მაცხოვრისგან, მოციქულების მიერ. ქრისტიანული ეკლესიის დაარსების დღედ მიიჩნევა სულთმოფენობის — ქრისტეს მოწაფეებზე სულიწმინდის გარდამოსვლის დღე, რაც უფლის მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოხდა. იმ დღეს პეტრე მოციქულის ქადაგებით 3 ათასი ადამიანი მოექცა ანუ შეიქმნა ქრისტეს მორწმუნეთა კრებული, დაარსდა ეკლესია. ამ დღიდან იწყება ქრისტიანული ეკლესიის ისტორია და მას წმინდა მამები ეკლესიის დაბადების დღესაც უწოდებენ.

— მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლა იერუსალიმში, სიონის მთაზე მოხდა და შესაბამისად, პირველი ადგილობრივი ეკლესიაც იქ გაჩნდა. როგორი იყო ახალდაარსებული ახალი აღთქმის ეკლესიის პირველი წლები? მსახურებებს მხოლოდ მოციქულები აღასრულებდნენ?

— დიახ, მაშინ მსახურებებს მოციქულები აღასრულებდნენ. ისინი უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ მოწყალებას — გაჭირვებული ადამიანების დახმარებას, მაგრამ როდესაც ეკლესია თანდათან გამრავლდა, მოციქულთაგან ყველა საქმის გაკეთება შეუძლებელი გახდა, ამიტომ მორწმუნეთა კრებულიდან გამოარჩიეს შვიდი კაცი, დიაკვნებად დაასხეს ხელი და კონკრეტულად ამ მსახურებისთვის — მოწყალების საქმეების მიხედვით განაწესეს. თუმცა, ისინი ქადაგებასაც აგრძელებდნენ. პირველი მოწამე ქრისტიანი არის სწორედ იმ შვიდ დიაკონთაგანი — სტეფანე, რომელიც სწორედ ქრისტეს ქადაგებისთვის ჩაქოლეს, ანუ ის თავის საქმესთან — ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა დახმარებასთან ერთად, ქადაგებდა კიდეც.

შემდგომში, როდესაც მოციქულები საქადაგებლად სხვადასხვა ქალაქში მიდიოდნენ, იქაც ჩნდებოდა ქრისტიანთა კრებულები და ამიტომაც, დაიწყეს ხუცესების დადგენა. ოდნავ მოგვიანებით, როდესაც სხვადასხვა ადგილას კრებულები იმდენად მომრავლდა, რომ ერთი ხუცესი საკმარისი აღარ იყო, დაადგინეს რამდენიმე მათგანი, შემდეგ კი ერთ-ერთი გამოარჩიეს და ის ზემდგომად — ეპისკოპოსად დადგინდა. ეს აუცილებელი იყო, რადგან ეკლესია არის იერარქია, არა მარტო ქვეყნიური, არამედ — ზეციურიც. თავად ანგელოზთა დასებიც ერთმანეთზე იერარქიულად არიან დაქვემდებარებულნი. ვთქვათ, ერთ ქალაქში რომ ყოფილიყო რამდენიმე ისეთი პიროვნება, რომელთაც აბსოლუტურად თანაბარი უფლებები ექნებოდათ, ეს ეკლესიაში არეულ-დარეულობას გამოიწვევდა. მსგავსი რაღაც რომ არ მომხდარიყო, ამიტომაც დადგინდა ეპისკოპოსები — მღვდელმთავრები, რომელთაც ემორჩილებოდნენ და ექვემდებარებოდნენ იერარქიულად მათზე დაბლა მდგომი ეკლესიის წევრები.

როგორც ვთქვით, პირველი ქრისტიანული ეკლესია ჩამოყალიბდა იერუსალიმში და პირველი ქრისტიანები იყვნენ მოქცეული იუდეველები — ებრაელები. მოგვიანებით, დაახლოებით საუკუნის 40-იან წლებში იერუსალიმში იუდეველთაგან ქრისტიანთა დევნა დაიწყო და ქრისტიანი ებრაელები გაიფანტნენ ისრაელის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც იმ დროს რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. როდესაც ქრისტიანი ებრაელები იუდეას ტოვებდნენ და რომელიმე სხვა ქალაქში მიდიოდნენ, პირველ რიგში, თავიანთ თვისტომელებს ნახულობდნენ და მათ შორის ქრისტიანობას ავრცელებდნენ, იქ ქადაგებას იწყებდნენ.

„საქმე მოციქულთას“ მიხედვით ქრისტეს მოწაფეებს, ქრისტეს მიმდევრებს ქრისტიანები პირველად ანტიოქიაში ეწოდათ და ეს სახელწოდება ნელ-ნელა, მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

— ქრისტიანთა პირველი დევნა სისასტიკით და მასშტაბურობით თუ გამოირჩეოდა?

— 40-50-იან წლებში ქრისტიანთა დევნა ისეთი სისასტიკით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, როგორც ეს დეოკლეტიანეს, ნერონის ან შემდეგ, სპარსეთის ბატონობისა და უფრო მოგვიანებით, მუსლიმანების დროს ხდებოდა. შესაბამისად, ამ დევნისას მოწამეთა რაოდენობაც ნაკლები იყო.

— ქრისტიანული, ახალი აღთქმის ეკლესიის მნიშვნელობაზეც ვისაუბროთ... რა განსხვავებაა ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიას შორის?

— ძველი აღთქმის ეკლესია არ იყო მაცხოვნებელი, მას არ შეეძლო, ადამიანი სასუფეველში დაემკვიდრებინა. ძველი აღთქმის ეკლესიის მოვალეობა და მისია, მაცხოვრამდე ადამიანის მიყვანა გახლდათ, რათა მათ მიეღოთ განკაცებული მხსნელი. ახალი აღთქმის ეკლესია არის მაცხოვნებელი, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ზეციურ სასუფევლამდე — გვასწავლის, როგორ ვიცხოვნოთ სული, როგორ დავიმკვიდროთ სასუფეველში. ეკლესიის უმთავრესი მოვალეობა არის ადამიანის ცხონება და მას არავითარი მიწიერი მოვალეობა, მისია არ გააჩნია.

— იერუსალიმის შემდეგ, სად დაარსდა პირველი ეკლესიები? სად გაჩნდა ქრისტიანთა პირველი კრებულები?

— ქრისტიანთა პირველი კრებულები იერუსალიმის გარშემო გაჩნდა. როდესაც პირველდიაკონ სტეფანეს ქვებით ჩაქოლვის შემდეგ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ქრისტეს მიმდევრები იერუსალიმის გარშემო — იუდეასა და სამარიის მხარეში გაიფანტნენ, მოციქულები კი კვლავ იერუსალიმში დარჩნენ. როგორც „საქმე მოციქულთა“ ამოწმებს, დევნილმა ქრისტიანებმა სამარიაში იქადაგეს და პირველად სწორედ სამარია მოექცა, მერე — დამასკო და ა.შ. ყველა ქალაქსა თუ მხარეში ვრცელდებოდა ქრისტეს სჯული, ჩნდებოდა ქრისტეს მიმდევართა კრებულები.

— სად აღესრულებოდა პირველი მსახურებები? სად იკრიბებოდნენ პირველი ქრისტიანები?

— ამისთვის სპეციალურად განკუთვნილი შენობები ქრისტიანობის პირველ წლებში არ ყოფილა. საეკლესიო მსახურებები სახლებში, უმეტესწილად, ქორებში — სახლის საგანგებოდ მოწყობილ ზედა სართულებში აღესრულებოდა, რომელთაც საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის არ იყენებდნენ. ამის დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს, მაგრამ სავარაუდოდ, ეს იქნებოდა იმ ადამიანთა სახლები, რომლებიც დადგენილნი იყვნენ საეკლესიო მსახურებად — ხუცესებად. შემდგომში, პირველივე საუკუნეში გაჩნდა სპეციალურად საეკლესიო მსახურებისთვის განკუთვნილი შენობებიც, სადაც წირვა-ლოცვებს აღასრულებდნენ.

— პირველ მსახურებებსაც შევეხოთ...

— ვიცით, რომ ამჟამად, ეკლესიაში ძირითადად, იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვები და გრიგოლ დიოლოღოსის პირველშეწირულის წირვა აღესრულება. მათ დამკვიდრებამდე არსებობდა პეტრეს და იაკობის ჟამისწირვები ანუ ლიტურგიები (ასევე, ვარაუდობენ, რომ არსებობდა მარკოზის ჟამისწირვაც, მაგრამ მეცნიერთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო იგივე პეტრეს ჟამისწირვა, რადგან მარკოზი, გარკვეული დროის განმავლობაში, მისი მოწაფე გახლდათ), რომლებიც ძირითადად, არსობრივად, იგივე ქმედებებისგან შედგებოდა, რა ქმედებებისგანაც იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვები. ჯერ ბასილი დიდმა, შემდეგ კი იოანე ოქროპირმა დახვეწეს და საბოლოო სახე მისცეს პეტრესა და იაკობის ჟამისწირვებს, მათ ვიზუალურადაც იგივე დატვირთვა-გამოხატულება მიანიჭეს, რაც შინაარსობრივად, შინაგანად ჰქონდა. და კიდევ, ყველა მათგანი იყო და არის ერთ ღერძზე, ერთ მსახურებაზე აგებული მსახურებები.

იაკობი

იერუსალიმის ეკლესიას აქვს ასეთი ტრადიცია: წელიწადში ერთხელ, იაკობ მოციქულის ხსენების დღეს აღესრულება იაკობის ჟამისწირვა.

— ქრისტიანობის პირველ წლებში, I-ელ საუკუნეში კერძო მსახურებებსაც თუ აღასრულებდნენ?

— პირველი კერძო მსახურებები მოციქულთა დროსაა დაწესებული. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში წერია: „უძლურ თუ ვინმე არს თქვენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცენ მის ზედა, და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა; და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან“, — ანუ ლაპარაკია კერძო მსახურების, კერძოდ, ზეთისცხების საიდუმლოს შესახებ. ვიცით, რომ ასევე, აღესრულებოდა ნათლისღება, ქორწინების მსახურება, მიცვალებულთა მსახურებები, მღვდლობის საიდუმლო და სხვა.

— პირველი ქრისტიანული ეკლესია იერუსალიმში დაარსდა და მისი პირველი წევრები იუდეველები, ებრაელები იყვნენ. თუმცა, ებრაელ ქრისტიანთა ცალკე ფრთა არ ჩამოყალიბებულა და იერუსალიმის ეკლესიაც ბერძნულენოვანი გახდა. რა იყო ამის მიზეზი?

— 70-იან წლებამდე, ვიდრე იუდეველები რომის იმპერიას აუჯანყებოდნენ და რომაელთა ჯარები იერუსალიმს მიწასთან გაასწორებდნენ (ღვთის ნებით, მხოლოდ ქრისტიანი ებრაელები იყვნენ გაყვანილნი იერუსალიმიდან), იერუსალიმის ეკლესია — მისი წევრები და მღვდელმთავრები ებრაელები იყვნენ. მოგვიანებით, რომაელებმა იერუსალმი აღადგინეს და ის რომაულ ქალაქად იქცა. ვიცით, რომ რომის იმპერიის აღმოსავლეთი მხარე მთლიანად ელინური იყო. შესაბამისად, იერუსალიმში ელინური, ბერძნული კულტურაც დამკვიდრდა და როგორც ქალაქი, ისე ეკლესიაც ბერძნულენოვანი გახდა.

— ვინ იყო ქრისტიანული ეკლესიის პირველი მწყემსმთავარი?

— მწყემსი ეკლესიისა არის ქრისტე, მაგრამ ადგილობრივ ეკლესიებს ჰყავდათ თავიანთი მღვდელმთავრები. პირველი ეკლესია იერუსალიმში დაარსდა და მისი პირველი მღვდელმთავარი იყო იაკობ მოციქული — ძმა უფლისა — მართალი იოსების ვაჟი. რაც შეეხება თავად იაკობს, ის იმდენად მტკიცე და მოღვაწე იყო, მიუხედავად იმისა, რომ უფლის თორმეტ მოციქულთა შორის არ შედიოდა, მათგან ყოველთვის პატივდებული გახლდათ. მოციქულთა პირველ კრებას სწორედ იაკობი თავმჯდომარეობდა, განაგებდა. ის არა მარტო ქრისტიანებს შორის, არამედ საერთოდ, იუდეველებს შორის უდიდესი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამიტომაც იყო, რომ შემდგომში, ის იერუსალიმის ტაძრის ქიმზე აიყვანეს და მოსთხოვეს, ტაძრის წინ შეკრებილი იუდეველების წინაშე ეთქვა, რომ ქრისტე იყო ჩვეულებრივი კაცი, რომელიც მათ ოჯახში გაიზარდა, იაკობმა კი მათ წინაშე ქრისტეს აღდგომის შესახებ იქადაგა და სწორედ ამიტომ, ის იერუსალიმის ტაძრის ქიმიდან გადმოაგდეს. იაკობი მოწამებრივად აღესრულა და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქრისტესთვის მოწამეთა შორის.

P.S. ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.

„ვუმკურნალებთ ბოლომდე და თანხის ამოღებაზე მერე ვიზრუნებთ...“

დაახლოებით 1 თვეა, რაც 17 წლის ნანა დოლენჯაშვილი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში იმყოფება. გოგონა ყველაფერს ხედავს, გრძნობს, კიდურებს ამოძრავებს, მაგრამ ხელოვნური სუნთქვის აპარატის გარეშე ვერ იცოცხლებს. მისი მკურნალობა საავადმყოფოს ხარჯებით ხდება და თუ გოგონა სიკვდილს გადაურჩება, ხოლო მისი ახლობლები საავადმყოფოს ვალს ვერ გაისტუმრებენ, საქმეში სასამართლო ჩაერევა. აღსანიშნავია, რომ ნანა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახიდანაა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვთა სახლშიც იზრდებოდა, რადგანაც ოჯახს მისი რჩენის საშუალება არ ჰქონდა.

ეთო ყორღანაშვილი

პაპუნა ბახტაძე, *რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი:*

— ნანა დოლენჯაშვილი საავადმყოფოში 1-ელ ივლისს, „სასწრაფოს“ მანქანით მოიყვანეს. მას გულის გაჩერება აღენიშნებოდა. გულის მუშაობის აღდგენა რეანიმაციული ღონისძიებებისა და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გადაყვანით მოხერხდა. გოგონა სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ პრობლემები მეორე დღესვე დაეწყო. ნანას რთული ცხოვრების გზა აქვს გავლილი — 14 წლამდე ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მისი ავადმყოფობის ისტორიაში წერია, რომ ტუბერკულოზის აქტიური ფაზა ჰქონდა და ეს დაავადება ახლაც აქვს.

— მისი მდგომარეობის გაუარესება რამ გამოიწვია?

— ტუბერკულოზმა ფილტვები დააზიანა, რის გამოც, სუნთქვის პრობლემა შეიქმნა და ჟანგბადით მომარაგება შეუფერხდა ტვინს, გულს და ა.შ. ამან გულის გაჩერება გამოიწვია. გოგონას ფსიქიკური ავადმყოფობის ნიშნებიც აქვს. ისე, როგორც ვიცი, საკმაოდ პუტკუნა ბავშვი იყო, ახლა კი ძალიან გამხდარია. ბუნებრივია, გამოკვლევები სჭირდება, თუმცა, მკურნალობის ამ ეტაპზე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

— 1-ელი ივლისის შემდეგ, გოგონა ხელოვნური სუნთქვის აპარატის საშუალებით ცოცხლობს?

— რამდენჯერმე ვცადეთ, ხელოვნური ვენტილაციიდან ბუნებრივ სუნთქვაზე გადაგვეყვანა, მაგრამ ვერ შეძლო.

— მისი მკურნალობის ხარჯებზე ვინ ზრუნავს?

— ზოგჯერ სააფთიაქო ბაზების მიერ ნაჩუქარი წამლებით ვმკურნალობთ, მაგრამ ეს მხოლოდ საჭირო მედიკამენტების 10-15%-ს შეადგენს. ჯერჯერობით, საავადმყოფოს ხარჯზე ვმკურნალობთ და დანახარჯი 4000 ლარს შეადგენს. ეს თანხა ყოველდღიურად იზრდება. იმის გამო, რომ ავადმყოფის ახლობლებს ფული არა აქვთ, გოგონას ხომ არ მოვკლავთ?! ვუმკურნალებთ ბოლომდე და თანხის ამოღებაზე მერე ვიზრუნებთ.

— როგორ იზრუნებთ?

— თუ პაციენტის ახლობლები ვერ გადაიხდიან, იძულებული გავხდებით, საქმე სასამართლოს გადავცეთ.

— ავადმყოფებს საავადმყოფოს ხარჯზე ხშირად მკურნალობთ?

— თვეში 2-3 ასეთი პაციენტი ნამდვილად გვყავს. მაგალითად, ამას წინათ ერთმა ყმაწვილმა გულმკერდში იარაღი ისროლა — მთვრალი იყო. მისი ოპერაცია-მკურნალობა დაახლოებით, 2.000 ლარი დაგვიჯდა. დედამისი დღემდე ხელებს გვიკოცნის, მაგრამ მკურნალობის ხარჯები ისევ დასაფარავია. ქალაქის მერია 900 ლარის ფარგლებში დახმარებას დაგვპირდა. ალბათ, სექტემბერში გადმოგვირიცხავენ და მინიმალურ ხარჯებს მაინც დავფარავთ. გარდა ამისა, ყოველდღიურად უამრავი პაციენტი მოდის, რომლებსაც ერთი დღის განმავლობაში აღმოვუჩენთ ხოლმე დახმარებას. ზოგ მათგანს პატრონი არ ჰყავს და დილით რომ ვუშვებთ, თან, ჩვენს ტანსაცმელს ვატანთ. ამის წყალობით, რაც ტანზე მაცვია, მხოლოდ ეს სამოსილა შემომრჩა.

— ნანა დოლენჯაშვილს ვინ ჰპატრონობს?

— მისი ბებია-ბაბუა ახალი მთვარესავით გამოჩნდება ხოლმე. ძირითადად, ექიმები პატრონობენ. ქალაქის მერიამ დაახლოებით, 1.000 ლარით დახმარების სურვილი გამოთქვა; ახლობლებმა ჯანდაცვის სამინისტროშიც შეიტანეს განცხადება და იმედია, იქიდანაც დაეხმარებიან. სახელმწიფომ უამრავი ადამიანი აღიარა უმწეოდ და დოლენჯაშვილის ახლობლებსაც შეეძლოთ, უმწეოთა პოლისი აეღოთ. ამისათვის თავის დროზე განცხადება უნდა დაეწერათ და პრობლემა მარტივად მოგვარდებოდა.

ნანა დოლენჯაშვილის ბებია-ბაბუას შინ გვიან საღამოს მივაკითხე. ჩვენ ეზოში ვისაუბრეთ, რადგან დავალიანების გამო, ბინაში დენი არ ჰქონდათ და ძალიან ბნელოდა. ნანას დედა ცოტა ხნის წინ, სიმსივნით გარდაცვლილა. ბებიის თქმით, გოგონას ჯანმრთელობის გაუარესებაზე ამ უბედურებამაც იმოქმედა. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილ პოლისს რაც შეეხება, ოჯახს ამის თაობაზე განცხადება დაუწერია, მაგრამ ქულების საკმარისი რაოდენობა ვერ დაუგროვებია... ■

„ფერარის“ სუპერავტო

ცოტა ხნის წინ კომპანია „ფერარიმ“ ოფიციალურად წარმოადგინა ახალი სუპერავტო, რომელიც 8-ცილინდრიან ავტომობილებს შორის ყველაზე უმცროს მოდელად იქცევა. მას საზოგადოებას ფრანკფურტის მოტორშოუზე, მიმდინარე წლის სექტემბერში წარუდგენენ. ატელიეში — Pininfarina — შემუშავებული სიახლე, რომელსაც 458 Italia ჰქვია, Ferrari F430-ს შეცვლის. სუპერავტო ალუმინის შასიზეა აგებული და ჰაერის ნაკადის შემამცირებელი სპეციალური აეროდინამიკური ელემენტებითაა აღჭურვილი. საშუალო მოტორის მქონე მანქანა 570 ცხ.ძ. სიმძლავრის, 4,5-ლიტრიანი, V8 ძრავათია აღჭურვილი, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიანი, რობოტიზებული კოლოფით იმუშავებს. გარდა ამისა, უკანაამძრავიანი Ferrari 458 Italia E-Diff-ის აქტიური დიფერენციალით, Prefill-ის სისტემის კარბონ-კერამიკული სამუხრუჭე მექანიზმებით აღიჭურვა, რომელსაც გაზის სატერფულიდან ფეხის აღების შემთხვევაში, ხუნდები დისკებთან მაქსიმალურად ახლოს მიაქვს (ეს სამუხრუჭე, სატერფულზე მორიგი ფეხის დაჭერის წინ, დროის რეაქციას ამოკლებს). სავარაუდოდ, ევროპულ ბაზარზე სიახლე მომავალი წლიდან გაიყიდება. Ferrari 458 Italia-ს ფასი დაახლოებით, 170 ათასი ევროა. ■

„შევროლეს“ 5-კარიანი ჰეჩბეკი

კომპანია „შევროლემ“ ახალი 5-კარიანი კომპაქტური ჰეჩბეკის — Agile — პირველი ოფიციალური გამოსახულება გაავრცელა, რომლის წარმოებაც მიმდინარე წლის ბოლოს, არგენტინაში მდებარე „ჯენერალ მოტორსის“ კუთვნილ ქარხანაში დაიწყება. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, კონცეპტუალური Chevrolet GPiX-ის სტილისტიკით შესრულებული ავტომობილის გარეგნული სახე, რომელიც პირველად სანპაულუს მოტორშოუზე წარადგინეს, ბრაზილიაშია შემუშავებული. წინასწარი ინფორმაციით, სიახლე „ჯენერალ მოტორსის“ პლატფორმაზე — Gamma — იქნება აწყობილი. იგი ბენზინის 4-ცილინდრიანი ძრავების ფართო გამით დაკომპლექტდება, მათ შორის, 105 ცხ.ძ. სიმ-



ძლავრის, 1,4-ლიტრიანი და 129 ცხ.ძ. 1,8-ლიტრიანი აგრეგატებით. სამხრეთ ამერიკის ბაზარზე ჰეტჩბეკი 2009 წლის ბოლოდან იქნება გაყიდვაში. გარდა ამისა, გამორიცხული არაა, რომ ეს ავტომობილი Aveo-ს სახელით ჩრდილო ამერიკაშიც გამოჩნდეს. ■

ახალი ავტო ჰამბერსაიდის ავტოინსპექტორებისთვის

ბრიტანული საგრაფოს — ჰამბერსაიდის საგზაო პოლიციას სედანის — Lexus IS-F — ავტომობილები გადაეცა, რომელიც ავტოფარეხში Subaru-ს მარკის მანქანებს შეცვლის. სპეციალურად პოლიციისთვის დამზადებული მანქანა ინსპექტორებმა სხვა ავტომობილებიდან 12-თვიანი გამოსაცდელი ვადის შემდეგ ამოირჩიეს. პოლიციური Lexus დიოდური შუქფარებით, კავშირის აუცილებელი საშუალებებითა და კომპიუტერითაა აღჭურვილი. უკანაამძრავიანი Lexus IS-F 420 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, 8-ცილინდრიანი, 5-ლიტრიანი ძრავათია დაკომპლექტებული, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 8-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით იმუშავებს. ამასთან, მას Brembo-ს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები დაუმონტაჟდება. მწარმოებლის მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს სედანი 4,8 წამში ავითარებს, 200 კმ/სთ-ს — 15 წამში, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 270 კმ/სთ-ია. Lexus IS-F-ის ფასი დიდ ბრიტანეთში 45443 გირვანქა სტერლინგიდან იწყება. ■

„მაზდამ“ ახალი სპორტული კუპე შექმნა

მიმდინარე წლის სექტემბერში, ფრანკფურტის საავტომობილო გამოფენაზე Mazda სპორტული კუპეს — RX-8 — განახლებული ვერსიის წარდგენას გეგმავს. ავტომობილს აეროდინამიკის გამაუმჯობესებელი ძარას ახალი ელემენტები აქვს. აგრეთვე, იგი უმნიშვნელოდაა შეცვლილი გარეგნულად და ინტერიერის მხრივაც. წინამორბედი ავტომობილისგან განახლებული ვერსია წინა და

უკანა სპოილერებით, გამომშვები სისტემის მილაკებით, უკანა დიოდური შუქფარებით და მუქად შეღებილი 19-დუიმიანი, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული ბორბლების დისკებით იქნება განსხვავებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტომობილის სალონში შეცვლილია ხელსაწყოთა პანელი. სავარაუდოდ, სიახლე მხოლოდ 1,3-ლიტრიანი, 231 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავათი აღიჭურვება, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით იმუშავებს. კუპეს — RX-8 — ამჟამინდელი ვერსიაც ასევე, 192 ცხ.ძ. სიმძლავრის მოტორითაა აღჭურვილი. ზოგიერთი მონაცემით, ავტომობილის ფასი დაახლოებით, 38 ათასი ევრო იქნება. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ჰოსპიტალი; 2. სირცხვილი; 3. პაბი; 4. დინასტია; 5. ბლანტი; 6. ზარბაზანი; 7. ზვარი; 8. სიცხე. 9. მარაო; 10. დონორი; 11. კოელიო; 12. უხა; 13. მაიორი; 14. რინიტი; 15. გოდოლი; 16. დოლი; 17. ანოა; 18. ბანდეროლი; 19. ლიანა; 2. ომლეტი; 21. იორი; 22. ტრავიატა; 23. ორლი; 24. ამირეჯიბი; 25. რია; 26. ტალანტი; 27. ზამბია; 28. ლაგამი; 29. რკო; 30. ოლიფა; 31. ფა; 32. მინდია; 33. ოსლო; 34. ვარძია; 35. ურო; 36. არიზონა; 37. მანგუსტი; 38. აბოლიცია.

სურათებზე: 1. ჰიზერ გრემი; 2. ვინს ვონი.

ჰოროსკოპი

(6 - 12 აგვისტო)

ვერძი:

საქმეები გვერდზე გადადეთ და პირად ცხოვრებაზე იფიქრეთ. დასვენებისას გაცნობილი ადამიანი, თუ მის მიმართ ძალიან კრიტიკული, ირონიული და მომთხოვნი არ იქნებით, მომავალში შეიძლება, თქვენი მეწყვილე გახდეს.

ხარი:

ნუ ეცდებით, საკუთარი აზრები საყვარელ ადამიანს მოახვიოთ. ადროვეთ, სიტუაცია თავად გააანალიზოს და დასკვნებიც გამოიტანოს. ამ პერიოდში დამატებითი შემოსავლის წყარო გამოგიჩნდებათ.

ტყუპი:

მეგობრებთან ერთად დასვენება მხიარულებასა და დაუვიწყარ მოგონებებს გპირდებათ. დასვენებული და ახალი იდეებით სავსე კი ყველაფერს ადვილად მოაგვარებთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ.

კიბორჩხალა:

თუ მეგობართან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, მას ფული არ ასესხოთ. კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანს ახალ ნივთებს უყიდით. კვირის ბოლოს ნათესავები სადილზე დაპატიჟეთ.

ლომი:

მხიარულება, წვეულებები და უამრავი საჩუქარი გელით. ოჯახის წევრები პრეტენზიებით შეგაწუხებენ, მაგრამ შეეცადეთ, მათი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოთ. ნასვამ მდგომარეობაში საქმე ნუ მიუჯდებით.

ქალწული:

კარგი პერიოდია მუშაობისთვის, ახალი იდეების განსახორციელებლად. დეპრესიის შემოტევისთანავე მეგობრებთან ერთად, გასართობად წადით. კვირის ბოლოს ოჯახის წევრების პრობლემების მოგვარება მოგიწევთ.

სასწორი:

მეგობრებთან გართობა უარყოფითად იმოქმედებს თქვენს სამუშაო განწყობილებაზე. საყვარელი ადამიანების გულის მოგებას საჩუქრებით ნუ შეეცდებით. კვირის ბოლოს ბუნებაში განმარტოვდით.

ღრეჩო:

მოერიდეთ ოჯახის წევრებთან კონფლიქტს. მოსაგვარებელი საქმეების სია ჩამოწერეთ და იმოქმედეთ. კვირის ბოლოს შესაძლოა, ძველ სიყვარულს შეხვდეთ და გრძნობები განგიახლდეთ.

მშვილდოსანი:

თუ გარისკავთ და საკუთარ იდეების განხორციელებაზე იზრუნებთ, მოგებული დარჩებით. განწყობილების ასამაღლებლად ახალი სუნამო ან აქსესუარი შეიძინეთ. კვირის ბოლოს მეგობრებს შეხვდით.

თხა:

გააანალიზეთ საკუთარი შესაძლებლობები და ნუ შეეჭიდებით ისა საქმეებს, რომელთა მოგვარებასაც ვერ შეძლებთ. ამ კვირაში უჯობესია, შვილებთან ერთად, დასასვენებლად გაემგზავროთ.

მეთევზე:

თუ ახლობლებთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, აგრესიისგან და ირონიისგან თავი შეიკავეთ. სტრესთან ბრძოლაში ცურვა დაგეხმარებათ. უცნობებთან საკუთარ გეგმებზე ნუ ილაპარაკებთ.

თევზი:

პირადი პრობლემების მოსაგვარებლად ნათესავებს ნუ გამოიყენებთ. გააანალიზეთ სიტუაცია და საჭიროების შემთხვევაში, დათმობაზეც წადით. კვირის მეორე ნახევარში პარტნიორებთან შეხვედრა გელით.

პატარები მენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

პატარა საბა ხარაძე დეიდაშვილ ლუკას ესტუმრა. ბავშვებმა ცელქობის დროს ვაზა გატეხეს. ლუკა მამამ დატუქსა და როცა ჯერი საბაზე მიდგა, შეშინებული პატარა მაგიდის ქვეშ შეძვრა, თან, ბუტ-ბუტებდა:

— მე სტუმალი ვალ!

ანა მჭედლიშვილს ახალი ფეხსაცმელი აცვია. მეზობლის ბიჭმა მოუწონა და ჰკითხა:

— ანუკი, რა ლამაზი ფეხსაცმელი გაცვია, მაგრამ მაინტერესებს, ხომ არ გიჭერს?

— არა, ჩემხელაა! — მიუგო გაბრაზებულმა ანამ.

5 წლის მარიამ არჩემაშვილს დედა რუსულს ასწავლის.

— გუგული არის „კუკუშკა“.

მეორე დღეს მარიამს ეკითხებიან:

— როგორ არის რუსულად გუგული?

— კუკული, — უპასუხა მარიამმა.

დედამ პატარა მანანა და ნესტან ხურციძეები დააწვინა, შემდეგ კი მეუღლეს სთხოვა, იქნებ, შენ დააძინოო. მამა შვილებს ჩამოუჯდა და სასაცილო ამბების მოყოლა დაიწყო. პატარები სიცილისგან ლამის, საწოლიდან გადმოცვივდნენ. ბოლოს, დაქანცულებმა ძლივს ამოითქვეს:

— კარგი, რა, მამი, ნუ დაგვხოცე სიცილით, თორემ ხვალ მკვდრები გავიღვიძებთ.

4 წლის თამუნას სულმა წასძლია და კანფეტები სულ შესანსლა, ცოტა ხნის შემდეგ კი პატარა დაიკოსთან თავის მართლება მოუხდა:

— რა ვქნა, ჩამეყლაპა და თუ გინდა, ისევ ამოვყლაპავ.

ტელევიზიით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ უჩვენებდნენ. კადრში ზურიკელა გამოჩნდა. 5 წლის თიკა თევზაძე დედას ეკითხება:

— დედიკო, ეს ილიკოა, ილარიონი თუ მე?

— მე, — მოკლედ უპასუხა დედამ.

უფროსებს სიცილი აუტყდათ. თიკა განაწყენდა.

— რა გაცინებთ? აბა, ბებია რომ არ იყო, მეც მივხვდი.

პატარა ანი მჭედლიშვილს ყური ასტკივდა და დედამ ყურის ექიმთან წაიყვანა.

რამდენიმე დღის შემდეგ გოგონამ თითი გაიჭრა და დედას ეკითხება:

— დედიკო, ახლა თითის ექიმთან უნდა წამიყვანო?

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 14

ბრიტანელმა მოზარდმა სიკვდილი გადაიფიქრა

14 წლის ბრიტანელმა ჰანა ჯონსმა, რომელმაც გასულ წელს, გულის გადანერგვის ოპერაციის გაკეთებაზე ექიმებს უთხრა უარი, სიკვდილი გადაიფიქრა და უკვე ახალი გულიც მიიღო.

5 წლის ასაკში ჰანა ჯონსს ექიმებმა ლეიკემიის იშვიათი ფორმა დაუდგინეს, რის შემდეგაც, გოგონამ ძლიერმოქმედი პრეპარატებით მკურნალობის კურსი გაიარა. მართალია, ამ გზით კიბოს დამარცხება მოხერხდა, მაგრამ ქიმიოთერაპიის გამო ჰანას ახლა დიალეტაციური კარდიომიოპათია განუვითარდა. კარდიოსტიმულატორების იმპლანტაციის მიზნით გაკეთებული 3 ოპერაციის შემდეგ, გოგონას გული თავის ფუნქციას მხოლოდ 10%-ით თუ ასრულებდა.

გასული წლის ნოემბერში ექიმებმა განაცხადეს, რომ გულის გადანერგვის გარეშე 13 წლის გოგონა მხოლოდ ნახევარ წელიწადს თუ იცოცხლებსო. თუმცა, თავად ჰანამ ოპერაციას „ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში ღირსეული სიკვდილი“ ამჯობინა. მის განზრახვას მშობლებმაც დაუჭირეს მხარი. მაშინ მედიკოსებმა სასამართლოს მიმართეს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჰანა ჯონსის ასაკის ბავშვებს მკურნალობაზე უარის თქმის უფლება აქვთ.

ბოლო 8 თვის განმავლობაში ჰანას მდგომარეობა მკვეთად გაუარესდა. ცოტა ხნის წინ, თირკმელების ფუნქციის დარღვევის გამო, გოგონას სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია და ჰემოდიალიზი დასჭირდა, მაგრამ ექიმებმა მისი ჩატარება ჰანას სუსტი გულის გამო ვერ შეძლეს. 21 ივლისს გოგონამ გადაწყვეტილება შეცვალა, დონორის ორგანოს მიღებაზე ჩაწერა და უკვე ახალი გულიც მიიღო.

„ერთ დროს სიკვდილი მართლა მინდოდა, — აღიარებს ჰანა. — მაგრამ მიმაჩნია, რომ საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლის უფლება ყველას აქვს“.

„ჩემი შვილი წარმოუდგენლად გაბედული გოგონაა“, — ამბობს ჰანას დედა, ყოფილი მედდა კრისტი ჯონსი, რომელიც შვილის ახალი გადაწყვეტილებით კმაყოფილია. თუმცა, ის და მის მეუღლე ჰანას წინა გადაწყვეტილებასაც მიესალმებოდნენ, გოგონას საქციელით ამაყობდნენ და როგორც ამბობდნენ, იმითაც კმაყოფილნი იქნებოდნენ, თუ მათი შვილი შობამდე მაინც იცოცხლებდა.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ №28-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	8	2	3	6	5	7	1	9
9	3	5	7	2	1	6	4	8
7	1	6	9	8	4	3	5	2
6	9	3	8	1	7	4	2	5
5	7	8	6	4	2	9	3	1
2	4	1	5	3	9	8	7	6
3	2	9	4	5	8	1	6	7
1	6	7	2	9	3	5	8	4
8	5	4	1	7	6	2	9	3

4	9	1	3	5	7	6	2	8
2	8	7	6	1	4	3	9	5
5	3	6	8	2	9	7	1	4
9	2	8	4	7	3	5	6	1
1	4	3	5	6	2	8	7	9
7	6	5	9	8	1	4	3	2
3	5	4	2	9	6	1	8	7
8	7	2	1	3	5	9	4	6
6	1	9	7	4	8	2	5	3

5	3	4	8	1	6	9	7	2
6	9	7	2	5	3	8	4	1
1	8	2	9	7	4	5	6	3
4	7	9	5	3	1	6	2	8
8	1	6	4	9	2	3	5	7
2	5	3	6	8	7	1	9	4
7	4	8	1	6	5	2	3	9
9	2	5	3	4	8	7	1	6
3	6	1	7	2	9	4	8	5

* მარტივი

6				3			1	
	3				7		5	
				1				9
		2		5				3
		3		8		1		
9			4		3	8		
8				2				
	5		9				2	
	2			6				7

** საშუალო

6				3				1
2			7				4	
5					4			
8				9			5	
9		1		4		6		3
	6							7
			4					5
	2				1			9
4				8				6

*** რთული

	2				9			7
3		8			2			9
		7					2	
7			2			3		
		3				8		
		1	9					6
	7					4		
9			7			2		8
6			4				7	

ფოტოკუჩიოზები

„მის თინეიჯერი"

ზაფხულის სეზონი

ტურისტული კომპანია „ჩემოდანი"

მის.: ლესელიძის 53
ტელ.: 72 01 10

კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, იხილეთ ფოტოები ჟურნალ „ოსკარში", SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8886.

კონკურსანტთა შეფასება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტპორტალზე:

WWW.AMBEBI.GE

„მის თინეიჯერის" ზაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „ჩემოდანისაგან" გადაეცემა:

ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, შარმელშეიხში, 5 ვარსკვლავიან სასტუმროში

ბრილიანტის სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფინისგან"

კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან, სასაჩუქრე ბარათი საფეიქინო და ესთეტიკურ ცენტრ „მედისაგან" და სამახსოვრო საჩუქრები კონკურსის სპონსორებისაგან

+ 20 ნომინაცია





SMS

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".